**რამაზ კლიმიაშვილი:** # რეზოლუცია 1683-ის მუხლი 8.2 სააკაშვილს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოში ამწესებს! 4

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა

www.geworld.net

№32

7 – 13 ოქტომბერი, 2009

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი

გამოდის ოთხშაბათობით

info@geworld.net

## სააკაშვილი ამერიკელებმა 5 სატყუარად გამოიყენეს და გადააგდეს

„სოფელ ხუცუბანში, სადაც ადრე სასულიერო პირები და ბერები ცხოვრობდნენ და სადაც მართლმადიდებლური ეკლესია-მონასტრების ნანგრევებია მთებში, დღეს სოფლის ცენტრში თურქული დროშა ფრიალებს! ავტეხეთ მთელი ამბავი, გადავკეტეთ გზა, მაგრამ თითქოს ჯინაზეო, უფრო მაღლა აწიეს თავიანთი დროშა!“

თბილისი. სააკაშვილს. ხუცუბანზე ფრიალებს თურქეთის ხელისუფლების დროშა. გაუმარჯოს ახალ ვილაიეთს. ვარშალომიძე



2

# სააკაშვილმა «მტირალა მთის» გადახერხვა დაიწყო, ბათუმში კი — «ბაქსფლენ»

**გუბაზ სანიკიძე:** ## «ეროვნულ ფორუმს» ამერიკელებთან სერიოზული ურთიერთობა ჩამოუყალიბდა 7




8

## «მაშასადამე, ევროპელობიდან» «მაშასადამე, NATO-ელობამდე»

# ჩავიდა რუსთაველში და ნახა... აფხაზეთი! 12

6



## მაშ, მტყუანის?..

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# თბილისი. სააკაშვილს. ხუცუბანზე ფრიალებს თურქეთის ხელისუფლების დროშა. გაუმარჯოს ახალ ვილაიეთს. ვარშალომიძე



**რამდენიმე დღის წინათ ბათუმში ვიყავი ჩასული და, მართალი გითხრათ, იქ იმდენ აღმაშფოთებელ ამბავს მომიყვნენ, გადავწყვიტე, „საქართველო და მსოფლიოს“ მკითხველიც ჩამეყენებინა საქმის კურსში. „სააკაშვილის არაადეკვატურობას და სიგიჟეებს როდის მოეღება ბოლო, გამაგებინეთ ერთი? ქართველებთან და საქართველოსთან როგორ იბრძვის, ეს უკვე ვნახეთ, ბატონო, მაგრამ ბუნებასთან ბრძოლა გაგონილა? ახლა აჭარაში ვინც უნდა გააჩეროთ ქუჩაში, ყველა გეტყვით, რომ „მტირალას მთა“ მალე „გადაიხერხება“ და თურმე ბათუმის თავზე ღრუბლებთან და წვიმასთან ბრძოლაც ამით დამთავრდება!**

## სააკაშვილმა «მტირალა მთის» გადახერხვა დაიწყო, ბათუმში კი — «ბაქსფლენ»

როცა ტელევიზორში თქვა: ჩემს საყვარელ ბათუმში მალე სულ კარგი ამინდები იქნება, ჩვენი დამსახურებითო, ვიფიქრე: აი, კაცი სულ გაგიჟდა, ალბათ, თორემ შეუძლებელია, არ იცოდეს, აჭარა უხვნალექიანი კუთხე რომ არის ოდითგანვე-თქო. მაგი კი არა, რაც შემდეგ თქვა, იმან გამაგიჟა პირადად მეც და ბევრი ბათუმელიც: „მტირალას მთა“ წვერში „მოიჭრება“, რელიეფი მოსწორდება და არც თვითმფრინავებისთვის და არც კარგი ამინდებისთვის საფრთხის შემცველი აღარ იქნებაო! ვიღაც ჩვენი ცოდვით სავსეს უთქვამს მიშასთვის: „ღრუბლების მოგროვებას „მტირალა“ ძალიან უწყობს ხელს, საჰაერო ხომალდებს ხომ სისტემატურად ექმნება პრობლემები, ტრაგიკული შემთხვევებიც ყოფილა, სომხების თვითმფრინავი ჩამოვარდა და მოდი, გადავჭრათ ეს მთა, ძნელიაო? დღეს „მტირალაზე“ რაღაც გაურკვეველი ჯგუფები უკვე მუშაობენ, ზომავენ, ითვლიან, რაღაცებს აკვირდებიან, გეოლოგებთან „კონსულტაციებს გადიან“ და, ალბათ, მალე ჩანაფიქრს რეალობად აქცევენ, გამიგეთ?“

**„გაიგოს თბილისმაც და მთელმა საქართველომაც, რომ სააკაშვილი მალე მთებთან მებრძოლ „რაინდად“ მოგვევლინება, მაგრამ როგორც ყველა გიჟი, იმაზე არ ფიქრობს, რა ეკოლოგიური კატასტროფა შეიძლება მოჰყვეს მის ქმედებებს თუნდაც „მტირალას“ მთის „პრობლემის“ მოხსნით!“ — მიამბო ძველმა მაღალჩინოსანმა მოხელემ და თან შუბლზე საჩვენებელი თითი დაატრიალა, ეგენი ალაოდ არიანო!..**

**„არ გეგონოს, ტყუილს და გაგონილ ჭორს გიყვები ახლა. ჩემს სოფელ ხუცუბანში, სადაც ადრე სასულიერო პირები და ბერები ცხოვრობდნენ და სადაც მართლმადიდებლური ეკლესია-მონასტრების ნანგრევებია მთებში, დღეს სოფლის ცენტრში თურქული დროშა ფრიალებს! ავტეხეთ მთელი ამბავი, გადავკეტეთ გზა, მაგრამ თითქოს ჯინაზეო, უფრო მაღლა აწიეს თავიანთი დროშა!“**

— კი, მაგრამ თურქული სიმბოლიკა საიდან გაჩნდა იქ? — ვკითხე.

— თხილის გადამმუშავებელი ქარხანა ააშენეს ჩვენთან, სოფლის ქალები 100-150 ლარად მუშაობენ იქ, მაგრამ უნდა განახა, რა დღეში ჰყავთ საცოდავები. სულს ხდიან და როგორც მონებს, ისე ექცევიან... ძლივს დავბრუნდით საქართველოში და რა არის, ახლა თურქეთის ჰიმნით და დროშის ფრიალით რომ გვითენდება ყოველდღე? ლევან ვარშალომიძეც ამოვიდა მაშინ, აქცია რომ მოვაწყეთ, მაგრამ რად გინდა? მკვდრის გაკეთებული საქმე გინახავს სადმე? ასე გვითხრა: მე რა შემიძლია, ქარხანა მაგათია, ააშენეს, ხალხი დაასაქმეს და ახლა ხომ არ ვეტყვით, დროშა ჩამოხსენით, აქაურებს აღიზიანებსო? ქართველი ბიზნესმენებიც კი აშენებენ სადღაც-სადღაც უცხოეთში საწარმოებს, მაგრამ, დავიჯერო, ყველა მათგანზე ქართული დროშა ფრიალებს? მიაქციეთ ყურადღება აჭარის თემატიკას, ჩემო ირინა, თორემ სულ მალე აქ ქართული აღარაფერი დარჩება! მთელ ქობულეთ-ბათუმის სანაპიროზე კაი-კაი სახლები სომხებმა იყიდეს, თან იძახიან: ფოთამდე ჩვენ ვიყიდით, იქამდეც ჩავალთო და იცი, რა გამახსენდა? — „მი დოიდიომ დო ბერლინას“ რომ იძახოდნენ საბჭოთა ჯარისკაცები!

ამასწინათ კიდევ ერთი მაგარი სახლი იყიდეს სომხებმა 800000 დოლარად და იცი, ვინ გაყიდა? ქობულეთელმა თემურ ჯაშმა, ჩაის ფაბრიკის დირექტორმა, რომელმაც ქუთაისელ მყიდველს უარი უთხრა და სომეხს კიდევ აქეთ-იქეთ დაჰყვებოდა, „არიქა, ჩქარა გადავაფორმოთ, არ გადაიფიქროო!!!“ რა უნდა ერევნელ სომხებს ქობულეთის ზღვის სანაპირო ქუჩაზე, რომელსაც თამარ მეფის სანაპირო ჰქვია? იმ სახლის გვერდით საპატრიარქოს ეგიდით გახსნილი სკოლა-გიმნაზიაა, მაგრამ მიწის ნაკვეთს ვარშალომიძე-სააკაშვილის ხელისუფლება 5 წელი არ უმტკიცებდა და ახლა ძლივძლივობით დაიმტკიცეს მღვდლებმა, ბავშვებს რომ ნორმალური ადგილი ჰქონოდათ! ასლანის დროს სომხები კი არა, თბილისელებიც ვერ იმტკიცებდნენ სახლებს, აღარაფერს ვამბობ თურქებზე თუ სხვა რჯულის ადამიანებზე, — აღშფოთებას ვერ მალავს ქობულეთის რაიონის სოფელ ხუცუბნის მკვიდრი, პროფესიით პედაგოგი ლ.ს., და თან დასძენს: სააკაშვილის ასეთ „გაბოგინებას“ ვის ვემართლები, აჭარლების ბრალია ყველაფერი, მტერ-მოყვარეს რომ ვერ ვარჩევთო!

**„ფერიას მთაზე, იქ, სადაც სააკაშვილის ხელისუფლებამ ეკლესია დაანგრია, ახლო მომავალში „კაზინოების ცენტრი“ იქნება! ინვესტორიც მოძებნილია, დოკუმენტებიც ხელმოწერილია და რომ არა გაზეთი „ბათუმელები“, ჩვენ კიდევ დიდხანს ვერ გავიგებდით, რა ჩანაფიქრის განხორციელებას გეგმავს ეს ხელისუფლება! ფერიის მთაზე „კაზინოში“ ზღვიდან საბაგირო გზით ავლენ, განვითარდება „იქაური ინფრასტრუქტურა“, დასაქმდება ხალხი და დამსვენებელიც უფრო მეტად კმაყოფილი დატოვებს აჭარას, ცუდია?.. უტიფრად მიყურებდა თვალებში და მიმტკიცებდა ერთ-ერთი მაღალჩინოსანი მოხელე, როცა ჩემი აღშფოთება ვერ დავფარე ამ ფაქტის გამო“, — მიყვება ბათუმელი ჟურნალისტი გოგონა, რომელმაც ისიც მითხრა: „ბულდოზერით რომ მოასწორეს იქაურობა, ეს ინფორმაცია მხოლოდ მაშინ მოგვაწოდეს ადგილობრივებმა, თორემ ვერც კი გავიგებდით, ხელისუფლებას რა გეგმები ჰქონდათ სინამდვილეშიო“.**

— კი, მაგრამ ფერიის მთაზე ადგილობრივებმა პატარა **ეკლესია ხომ მაინც ააშენეს და იმას რა ბედი ეწევა?**

— დაანგრევენ, რადგან მაინცდამაინც ის მონაკვეთია გეგმაში შეტანილი, სადაც ეკლესია დგას! მოსახლეობა, საზოგადოება უკვე ჩავაყენეთ საქმის კურსში, მაგრამ როგორ განვითარდება მოვლენები, იმაზეა დამოკიდებული, სააკაშვილი და მისი მაოხრებლები კიდევ რამდენ ხანს დარჩებიან ხელისუფლებაში! ეს კაცი ეკლესიების ნგრევით მოვიდა ხელისუფლებაში და იმედს ვიტოვებ, ეკლესიის ნგრევითვე წავა ხელისუფლებიდან, რადგან აქ ხელმეორედ აშენებული ტაძრის დანგრევას აღარავინ აპატიებს! რაც გითხარი. სიტყვა-სიტყვით დაბეჭდე, ჩემო ირინა, და გადაეცი ჩვენს კოლეგებს, რომ ამ „ისტორიაზე“ ზარები ძალუმად შემოჰკრან, რათა შემდეგ გვიანი არ იყოს!“

ბათუმი თხრილებადქცეულ ერთ დიდ ქალაქს დაემსგავსა... კანალიზაციის, სასმელი წყლის, სანიაღვრე მილების სიმრავლე ყოველ ნაბიჯზე თვალშისაცემია, რაც უდავოდ კარგია, იმიტომ, რომ, თუნდაც, დატბორვას გადაურჩეს ქალაქი ნიაღვრად წამოსული წვიმების შემდეგ. აქ ყველგან შეხვდებით უცხოელ ინჟინრებსა და მათ ჩამოყოლილ კვალიფიციურ მუშახელს. ბათუმი იმდენად „უცხოური“ გახდა, რომ ადგილობრივებისთვის „საშაყირო“ თემადაც იქცა და, „აქტუალურობიდან“ გამომდინარე, ანეკდოტიც „გამოაცხვეს“:

თბილისიდან ჩასული „ტურისტი“ თხრილში მომუშავე მუშას ეკითხება:

— რას თხრით ასე გაუთავებლად, ბატონო?

— ბაქსფლენ, — სიტყვის ბოლო მარცვალზე მახვილით უპასუხებს მუშა სწრაფად და თან ხელით ანიშნებს — გეიარე, გეიარე, ნუ მაცდენო.

— რა ბრძანეთ? — ეკითხება ისევ თბილისელი დამსვენებელი.

— ბაქსფლენ, ბაქსფლენ!..

— „აი ემ სორი, იქსქიუზ მი“, — მიუგო თბილისელმა გაკვირვებით და დიდხანს ფიქრობდა, „ბაქსფლენ“ ინგლისურად რას ნიშნავდა. თან იმასაც „დარდობდა“, ამ შუაგულ აჭარაში „მოინგლისურე“ მუშა საიდან გაჩნდა — ნუთუ სააკაშვილის ხელისუფლება მუშებსაც იმის მიხედვით არჩევს, ინგლისური იცის თუ არაო?

მოკლედ, ჩვენმა ტურისტმა, ბოლოს და ბოლოს, მასპინძელი ოჯახისგან შეიტყო, რომ „ბაქსფლენ“ აჭარული დიალექტით „ბაქს ფლავენ მიწაში“ ნიშნავს და შვებით ამოისუნთქა — გადავრჩითო!

ღმერთმა გადაგვარჩინოს უკეთურებისგან, ქართველებო, ღმერთმა გადაგვარჩინოს მთებთან და ბუნებასთან მებრძოლი სააკაშვილის ხელისუფლებისგან და ვიფიქროთ, მათი ყოველი ახირება-ნოვაცია რა შედეგების წინაშე დაგვაყენებს თუნდაც „მტირალას“ მთის „გადახერხვის“ შემთხვევაში!

**ირინე გოგოსაშვილი**

ბსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

**და იყო მეხუთესა წელსა მეფობისასა მიქაელისა და მეორესა წელსა ბარაკაისა და კარად სამეფოდ მიიწია გრიგოლ ვაშას ძე, კაცი ფრიად გამშვენებული ულვაშითა და თმავარცხნილობითა, რომელ არს კარე. და ოდენ მთელი კარი სამეუფოისა წარგზავნილ იქმნა ამერიგოს ქუეყანასა შინა, იხელთნა დროი ურჯულომან და მოსცნა გრაგნილნი ყრმათა თვისთა, რომელსა ზედა გამოსახულ იყო ურჯულოთა სამეფო, ვითომდა წილ-ხვდომილ ჩვენი მიწისა, არმენთა, კვიპრთა, კიდევ მრავალთა და მრავალთა ქუეყანისა და აიძულებდა ყრმათა, რამეთუ ამითი ესწავათ... არადა, გეოგრაფიის სწავლას ისტორია ისწავლონ და ასწავლონ თავიანთ ბავშვებს, ჯობია!**

# ამბავი ერთი კარტოგრაფისა, რამდენიმე მეფისა, ერთიც წაგებული ომისა




სანამ დეტალებზე გადავიდოდე, გეტყვით, რამ გამოიწვია ჩემი გაბრაზება და რამ დამაწერინა ეს წერილი:

გასულ კვირას თურქეთის ერთ-ერთ სკოლაში შეიტანეს გეოგრაფიის სახელმძღვანელო, რომელზეც თურქეთის რუკა ერთობ უცნაური საზღვრებით იყო გამოსახული, კერძოდ — ამ რუკის თანახმად, თურქეთის შემადგენლობაში შედიოდა სომხეთი, კვიპროსი, საქართველოს ნაწილი (აჭარა), ნახჭევანი, ბულგარეთის ნაწილი და ერაყის ორი პროვინცია.

**ჰოდა, იმას გეუბნებოდით, რომ საქართველოს ნაწილის მიერთება დანარჩენ ევრაზიასთან თურქებმა, რა თქმა უნდა, შეცდომად მონათლეს და, გამოძიებას დავიწყებთო, ისიც თქვეს.**

მაგრამ ფაქტია, რომ რუკა არსებობს და ეს რუკა არც ვინმე უცნობი ბავშვის დახატულია და არც სტამბის საღებავის გასხმისგან გამოწვეული ქარხნული წუნი. ხოლო იმას, თუ საიდან გაჩნდა ეს რუკა სასკოლო სახელმძღვანელოში, ალბათ, უახლოეს მომავალში დაადგენენ; პრინციპში, ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა აღარც აქვს, მთავარი, როგორც გითხარით, რუკის არსებობაა.

აჰა!

**იხელთეს დრო, როგორც საერთოდ სჩვევიათ, ძალღთაპირი ოტომანების შთამომავლებმა და მიიერთეს ნახევარი ევროპა!**

**ზემოთ ვამბობდი, გეოგრაფიის შეცვლას ისტორია ისწავლონ-მეთქი, ჯობია!**

ისწავლონ და ნახავენ, როგორ მთავრდებოდა ყველა მათი მცდელობა, საქართველოს ნაწილების მიერთებისა.

ჯერ იყო და, სანამ ოტომანები მოვიდოდნენ, მაგათი წინაპრები, ურჯუკი თურქსელჯუკები უტევდნენ და იპყრობდნენ საქართველოს, მერე მოვიდა დავითი და მაგათი მეწინავე სეფე-დროშა ტარიანად გაუკეთა მაგათ მთავარსარდალს, ილ-ღაზს და ასე, ფარშევანგივით გაუშვა უკან!

მერე წამოვიდნენ ოსმალოები, აიღეს კონსტანტინოპოლი, სტამბოლად გადააკეთეს, მერე სასტიკად დაამარცხეს ჯვაროსნები, უკან მისდიეს მთელი ევროპის გასწვრივ და ავსტრიამდე მივიდნენ. ასე შეიქმნა ოტომანების ძლევამოსილი იმპერია, რომლის საზღვარიც დასავლეთით დუნაიზე, აღმოსავლეთით კი რატომღაც ჩოლოქთან გადიოდა, გარკვეულ მომენტამდე მაინც!

აი, სწორედ ამ გარკვეულ მომენტზე მინდოდა, მეთქვა: ისტორიის სწავლა ჩვენც არ გვაწყენდა.

## თუ დავაკვირდებით, თურქები მხოლოდ მაშინ აქტიურდებოდნენ, როცა საქართველოს სათავეში სუსტი და გაუწონასწორებელი მთავარსარდალი და ხელმძღვანელი იდგა!

ასე იყო დიდი თურქობისასაც, როცა სელჯუკები საქართველოს დაატყდნენ თავს, ჩვენი მეფე მაშინ გიორგი მეორე იყო, კაცი, რომელსაც ყველაზე მეტად გართობა და დროსტარება უყვარდა, და რომელიც თავისი ნებით, ყოველგვარი მიტინგებისა და მანიფესტაციების გარეშე, გადადგა და ტახტი დავით მეოთხე აღმაშენებელს დაუთმო.

ასე იყო ოტომანების ზეობის დროსაც — თემურ-ლენგის მიერ ათასგზის გვემული და აოხრებული ერთიანი საქართველო რომ დაიშალა, სწორედ მაშინ იხელთეს დრო მუხანათმა ოსმალებმა და თითქმის მთელი სამხრეთ საქართველო მიიერთეს, და ასე იყო რუსეთ-თურქეთის ომამდე.

ასე იყო ბოლოს, მეოცე საუკუნის დასაწყისშიც — ჩვენი „ლიდერი" ნოე ჟორდანია იყო, ხოლო თურქებისა — მუსტაფა ქემალ ათათურქი და, დროზე რომ არ შემოსულიყო ბოლშევიკური მეთერთმეტე არმია „სამშობლოს მოღალატედ" მონათლული ორჯონიკიძის მეთაურობით, ამჯერად ჩვენ აღმოვჩნდებოდით ფარშევანგის პოზიციაში.

**და ასეა ახლაც — შეხედეს თურქებმა, რომ საქართველოს სათავეში დგას კაცი, რომელმაც უკვე წააგო ომი, და შექმნეს რუკა, რომელზეც აჭარა თავის საკუთრებად გამოაცხადეს!**

**თანაც დაინახეს, რომ ომი სწორედ იმ ქვეყანასთან წავაგეთ, რომელმაც თავის დროზე აჭარა მაგათ აახია და ჩვენ დაგვიბრუნა!**

## მიხვდნენ, რომ დამხმარეც აღარ გვეყოლება ჩვენი უთაობის გამო და ამოქმედდნენ!

გასულ კვირას საქართველო ოთარ ჭილაძეს დაემშვიდობა...

მეც მას დავესესხები მისი რომანის სათაურს („გზაზე ერთი კაცი მიდიოდა") და გეტყვით, რომ ჩვენკენ, მართლაც, არაერთი თურქი მოდიოდა, მაგრამ ყველა მათგანმა სწორედ საქართველოსთან ბრძოლაში წაიმტვრია რქები და ცხვირი.

**იმედი მაქვს, ასე იქნება ახლაც! მიუხედავად იმისა, რომ მოკავშირე ამ წუთისთვის აღარ გვყავს, ყველაფერი დროის საკითხია და იმ დროისთვის, როცა თურქეთი გაბედავს (თუ გაბედავს) და აჭარის მიერთებას შეეცდება, ჩვენი მოკავშირე, ალბათ, ისევ ჩვენი მოკავშირე იქნება!**

**იმედით ცოცხლობს ადამიანი!**

**გეგა ბაიტიანი**

# ვინ სად და როდის დაუდგამს ძეგლს თემურ მირიანაშვილს?

**„ბატონო მიშა, თქვენ ხართ ცნობილი გიჟი!" — ამ სიტყვებით მიხეილ სააკაშვილს თემურ მირიანაშვილმა ჯერ კიდევ მაშინ მიმართა, როდესაც ქვეყნის ამჟამინდელი პრეზიდენტი შევარდნაძის მთავრობის იუსტიციის მინისტრი იყო. საქართველოს ექს-პრეზიდენტ, ედუარდ შევარდნაძის მრჩეველი თემურ მირიანაშვილი ახლაც ამბობს, რომ მას არ შეუცვლია აზრი მიხეილ სააკაშვილის ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე; პირიქით, დღითიდღე რწმუნდება საკუთარი სიტყვების სისწორეში. ბუშისთვის ნასროლ ფეხსაცმელს ერაყში ძეგლი დაუდგეს. ჯერჯერობით უცნობია, ვინ სად და როდის დაუდგამს ძეგლს თემურ მირიანაშვილს მის მიერ დასმული უტყუარი დიაგნოზისთვის. „საქართველო და მსოფლიო" თემურ მირიანაშვილს მმართველი გუნდისა და ოპოზიციური სპექტრის პოლიტიკურ ნაბიჯებზე, პოლიტელიტის საშინაო და საგარეო ურთიერთობებში დაშვებულ შეცდომებზე ესაუბრა.**



**— როგორ შეაფასებთ ჰაიდი ტალიავინის კომისიის დასკვნას? მმართველი გუნდი ირწმუნება, რომ დასკვნაზე მომუშავე ჯგუფს ტენდენციურობა ეტყობოდა რუსეთის სასიკეთოდ.**

— ჩემი აზრით, ტენდენციურობა ნამდვილად შესამჩნევია. აშკარაა, რომ ომი ქართულმა მხარემ დაიწყო, რაც პრეზიდენტის დიდი უპასუხისმგებლობაა საკუთარი ქვეყნისა და ხალხის წინაშე. რუსეთთან რომ ომს იწყებ, არ უნდა დაფიქრდე? რუსეთმა ნაპოლეონი და ჰიტლერი დაამარცხა და მასთან იარაღის გამოყენება როგორ შეიძლება? და მერე, როგორც კი საქმე საქმეზე მიდგა, სააკაშვილმა სიმხდალისა და ლაჩრობის საოცარი მაგალითი აჩვენა. ჩვენ აღარც ჯარი გვყავს და აღარც მთავარსარდალი, იმიტომ, რომ პრეზიდენტი ლაჩარია.

**— თქვენი აზრით, რა ქმედითი ნაბიჯები უნდა გადადგას მმართველმა გუნდმა საგარეო ურთიერთობების მოსაწესრიგებლად?**

— ევროპა და დასავლეთი აშკარად მხარს უჭერენ სააკაშვილს, რომელმაც გააყალბა არჩევნები, მოსპო დამოუკიდებელი ტელევიზია... ქვეყანაში იგნორირებულია ადამიანის ყველანაირი უფლება და ამაზე ევროპა დუმს. მეეჭვება, დასავლეთმა საქართველოსთვის სასარგებლოდ რაიმეს გაკეთება შეძლოს. აქ ისიც გასათვალისწინებელია, რომ აღარც ევროპა და აღარც ამერიკა დღეს უკვე ის არ არის, რაც იყო ადრე — მსოფლიოს ცენტრი და ა.შ.

ჩვენ კვლავ ჩვენს დიდ წინაპრებს უნდა დავუჯეროთ, ყურად ვიღოთ იაკობ გოგებაშვილის, ილია ჭავჭავაძის, დიმიტრი ყიფიანის რჩევა და უკიდურესად ფრთხილად მოვიქცეთ რუსეთთან. არც დღეს შეიძლება რუსეთის ინტერესების სრულიად იგნორირება. მით უმეტეს, არ შეიძლება რუსეთის ლანძღვა-გინება. მაგრამ ამ ხელისუფლებას ეს არ ესმის და დაიკარგა ნახევარი საქართველო.

**— თქვენ ედუარდ შევარდნაძესაც აძლევდით მსგავს რჩევებს, როდესაც მისი მრჩეველი იყავით?**

— რა თქმა უნდა, შევარდნაძესაც ვაძლევდი რჩევებს, მაგრამ მაშინ სიტუაცია ცოტა სხვანაირი იყო. არც შევარდნაძე მიჯერებდა მაშინ, მაგრამ ის ასე თავხედურად და გიჟურად არ იქცეოდა, თუმცა მაშინ დასავლეთი სხვა იყო, ახლა დასავლეთი სულს ლაფავს.

**— სააკაშვილის მრჩეველიც რომ იყოთ, რას ურჩევდით მას?**

— სააკაშვილის მრჩეველი არ ვიქნებოდი, რადგან მაგასთან ლაპარაკს აზრი არ აქვს; რომ ურჩიო, უნდა ესმოდეს; თან გარემოცვა ჰყავს ისეთი, რომ...

სააკაშვილის გუნდიდან მე არც ერთი პიროვნება არ მომწონს. სააკაშვილს ეს ადამიანები იმ პრინციპით ჰყავს შერჩეული, რომ ემსახურონ პირადად მას და მის ინტერესებს.

**— თქვენ ერთ-ერთი პირველი იყავით, ვინც მიხეილ სააკაშვილს გიჟი უწოდა. რატომ მიეცით პრეზიდენტს მაშინ ასეთი შეფასება?**

— ყველა გიჟს, თუ მთლად კრეტინი არ არის და სააკაშვილი არ არის კრეტინი, თვითგადარჩენის ინსტინქტი აქვს. ჰოდა, მასაც შეუძლია თავის გადარჩენა. ახლა უფრო მეტად ვარ დარწმუნებული მის სიგიჟეში, ვიდრე მაშინ, როცა გიჟი ვუწოდე... მაშინ მთლად ასე გადარეული არ მეგონა.

ესაუბრა
**შორენა გოგოლაძე**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

რამაზ კლიმიაშვილი:

# რეზოლუცია 1683-ის მუხლი 8.2 სააკაშვილს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოში ამწესებს

**ბოლო დღეებში ყველამ შეამჩნია ჩვენი „არაადეკვატური“ პრეზიდენტის, რბილად რომ ვთქვათ, მისთვისაც კი გადამეტებული არაადეკვატურობა. ბევრი დაიბნა, რადგან ვერ გაიგო, რა ხდებოდა – სახელისუფლო ტელეარხები ხომ მხოლოდ მორიგ „გამარჯვებებზე“ საუბრობენ. ამ დღეებში აღელვებული სააკაშვილი სულ ტელეეთერშია და ერთი მეორის მიყოლებით სულ უფრო და უფრო გამაოგნებელ განცხადებებს აკეთებს. მაგალითად, სიხარულს ვერ ფარავდა, რომ, მისი აზრით, პუტინსა და მედვედევს უახლოეს ხანში ჰააგის ტრიბუნალის წინაშე მოუწევთ წარდგომა (ამაზე ქვემოთ).**



განსაკუთრებით „შთამბეჭდავი“ იყო კალათ-უბანში სასტიკ სიცივეში პერანგის ამარა მისი გამოსვლა, როდესაც მუშებად გადაცმულ დაცვის წევრებს ერთი ადგილიდან მეორეზე თითო აგური მიჰქონდათ, გვიჩვენებდნენ, რომ ამ „მუშათა კლასს“ სრულებით არ აინტერესებდა, თუ რას ბრძანებდა მისი „მაგარი“ პრეზიდენტი, რადგან დემონსტრაციულად ზურგით იდგნენ და ერთხელაც არ შეუხედავთ მისთვის! არადა, მოსასმენი მართლაც იყო და ბევრსაც იცინებდნენ.

რამ გადარია ეს, ისედაც გადარეული, სააკაშვილი, იკითხავს ზოგიერთი ნაკლებად ინფორმირებული მოქალაქე? ტელემაყურებელი ხომ ვერ შეამჩნევდა, რომ გაეროს გენერალურ ასამბლეაზე, სადაც ორასამდე ქვეყნის პირველი პირი იმყოფებოდა, მას არავინ შეხვდა. არადა, სახელმწიფოთა მეთაურები იქ ერთმანეთთან პირადი კონტაქტების დასამყარებლად ჩადიან, მაგრამ, რაც ყველაზე უარესია, ამერიკის ახალი პრეზიდენტი თითქმის ყველა პრეზიდენტს შეხვდა ვენესუელის, ირანისა და ლიბიის მეთაურთა გარდა. და რაც უნდა დამამცირებელი იყოს ჩვენთვის, ქვეყნის ჯერ ისევ პრეზიდენტად წოდებული სააკაშვილიც სწორედ ამ სიაში მოხვდა და ბარაკ ობამამ მისთვის ხელის ჩამორთმევაც არ ისურვა.

**თბილისში დაბრუნებულმა, „შავ“ ოთხშაბათს რომ ელოდა, მაშინ, როდესაც ჰაიდი ტალიავინის ევროკავშირის საგამოძიებო კომისიის საბოლოო დასკვნა რომ უნდა დაედო, დამატებითი და უფრო მტკივნეული დარტყმა ამჯერად სტრასბურგიდან მიიღო!**

29 სექტემბერს ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ თავის საშემოდგომო სესიაზე მიიღო რეზოლუცია 1683 „ომი საქართველოსა და რუსეთს შორის: ერთი წლის შემდეგ“, რომელსაც ხმა მისცა 80 დელეგატმა, მათ შორის, საქართველოს დელეგაციამ, ხოლო წინააღმდეგ – 36 დელეგატმა, მათ შორის, რუსეთმა. ხმათა ასეთი განაწილება გვაფიქრებინებს, რომ რეზოლუცია საქართველოსთვის სასარგებლოა, ყოველ შემთხვევაში, სახელისუფლო ტელეარხები ამას გვიმტკიცებენ. ამიტომ სრულად მოვიყვანოთ ამ რეზოლუციის მე-8 მუხლი და გავერკვეთ, თუ რას ნიშნავს ის და რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს მას:

**„საპარლამენტო ასამბლეა ვერ მიიღებს საქართველოსა და რუსეთის სურვილის არ ქონას, რომ დამაჯერებლად გამოიძიონ სერიოზული ბრალდებები ომის დროს და მის შემდეგ მათი ჯარების, სამოქალაქო შენაერთებისა და მათი მოქალაქეების მხრიდან ადამიანის უფლებათა და ჰუმანიტარული სამართლის ნორმების სერიოზული დარღვევების შესახებ. ის მხედველობაში იღებს, რომ ევროკავშირის გამოძიება (ტალიავინის კომისია), ასევე, შეიცავს ფაქტებს ადამიანის უფლებათა და ჰუმანიტარული სამართლის ნორმების სერიოზული დარღვევების, ისევე, როგორც ომის დროს ჩადენილი დანაშაულობების, შესახებ; ამიტომ:**

**8.1 ასამბლეა დაუბრუნდება ამ საკითხს ევროკავშირის დასკვნის საფუძველზე ამ ორივე ქვეყნისთვის შესაძლო სანქციების დაწესების შესახებ;**

**8.2 წინადადებას აძლევს (ჰააგაში) სისხლის საქმეთა საერთაშორისო სასამართლოს პროკურორს, ოფიციალურად დაიწყოს გამოძიება 2008 წლის აგვისტოს საომარი დაპირისპირებისა და მის შემდეგ კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი შესაძლო დანაშაულობების შესახებ“.**

აქედან ირკვევა, რომ ბ-ნ სააკაშვილს თანდათან უხდება ის, რასაც (ოქრუაშვილის სიტყვები გავიხსენოთ) დიდი ხნის განმავლობაში სიზმრებში ხედავდა — ჰააგის ტრიბუნალის წინ წარდგომა; ისევე, როგორც მანამდე ანალოგიური დანაშაულებებისათვის — სერბიის პრეზიდენტ სლობოდან მილოშევიჩს. ეს რომ ასეა, რამდენიმე დღის წინათ სააკაშვილს სატელევიზიო გამოსვლისას წამოსცდა. მან თქვა, რომ პირველად ისტორიაში გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრი (ანუ – რუსეთი) ჰააგის ტრიბუნალის წინაშე წარსდგება. არადა, როგორც ზემოთ ვნახეთ, რეზოლუციაში აღნიშნულია გამოძიების დაწყება არა მარტო რუსეთის, არამედ ევროსაბჭოს ორი წევრი ქვეყნის, ანუ საქართველოსა და რუსეთის მიმართ. ასე რომ, ჩვენს „საყვარელ“ პრეზიდენტს რომ კოშმარები აწუხებს და ფსიქიკა არეული აქვს (თუმცა არც ადრე ჰქონა დალაგებული), აშკარა ხდება.

მიუხედავად იმისა, რომ ქართული მასმედია მხოლოდ ტალიავინის საგამოძიებო დასკვნაზე ლაპარაკობს, ნახევრად სიმართლეა – დასკვნაში, რასაკვირველია, მხილებულია რუსეთის დანაშაულებრივი ქმედებანი, მაგრამ თითქმის არაფერი ისმის ამ კომისიის მხრიდან ქართული მხარის დადანაშაულებაზე. მაგალითად, ჩვენ სისტემატურად გვესმის ქართველი პოლიტიკოსებისაგან: „რა მნიშვნელობა აქვს, პირველმა ვინ გაისროლა; მთავარია, რომ ჩვენი ტერიტორიებია ოკუპირებული“. აქ ადგილი აქვს ელემენტარული ლოგიკის უქონლობას – ტერიტორიები იმიტომაა დაკარგული, რომ ომი მოხდა; ხოლო ამ ომის დაწყებაში კომისიამ საქართველო (ანუ სააკაშვილი) დაადანაშაულა, ე.ი. საქართველოს ტერიტორიები დაკარგულია სააკაშვილის გამო!

დასავლეთის მასმედია რამდენიმე დღე აკეთებდა ამ დასკვნის კომენტარებს. ჩვენ მათი აზრი შეგვიძლია შევაჯამოთ და სამ პუნქტად ჩამოვაყალიბოთ:

საქართველომ პირველმა გაისროლა და დაიწყო ომი;

არ არსებობს სერიოზული მტკიცებულება იმისა, რომ რუსული ტანკები რეგიონში ომის დაწყებისათვის უკვე შესული იყო;

და რომ საქართველოს ქმედებები საერთაშორისო სამართლის მიხედვით უკანონოა.

გარდა ამისა, დასავლეთის პრესა ყურადღებას რამდენიმე სხვა საკითხზეც ამახვილებს: საქართველოს მიერ ომის დაწყების მომენტისათვის ქართულ ჯარსა და სამინისტროებში იმყოფებოდა ასზე მეტი ამერიკელი სამხედრო.

სააკაშვილის აპელირება პოლონეთისა და ბალტიისპირეთის ისტორიისადმი, დასავლეთის მასმედიის აზრით, უადგილოა, ვინაიდან ეს სამხედრო ოპერაცია თავდაცვითი არ ყოფილა – მისი მიზანი იმთავითვე (პირველ დღესვე) გაცხადდა: „კონსტიტუციური წესრიგის აღდგენა“.

თუმცა მოსალოდნელია, სიტუაცია კიდევ უფრო გართულდეს – შეიძლება წამოიჭრას ბრალდების კიდევ ერთი მუხლი, რამაც სტრასბურგში გაიჟღერა, მაგრამ რეზოლუციის საბოლოო ტექსტში ვერ მოხვდა: როდესაც 7 აგვისტოს ღამეს ცხინვალი „გრადის“ ტიპის რაკეტებით დაიბომბა, ვინაიდან ეს რაკეტები სიზუსტით არ გამოირჩევიან, ისინი მშვიდობიან კვარტალებში აფეთქდა, რითაც დაირღვა ჟენევის კონვენციის I პროტოკოლის 51(4) მუხლი, რაც კიდევ უფრო ამძიმებს სააკაშვილის დანაშაულს. ამ შემთხვევაში კი ის სამხედრო დამნაშავედ გამოცხადდება; ხოლო, სამხედრო დამნაშავეებს რა ელით, ამაზე ფიქრიც კი არ გვინდა...

ისმის კითხვა: რამდენად მომგებიანია საქართველოსთვის სააკაშვილის, როგორც სამხედრო დამნაშავის, ჰააგაში გასამართლება? განვიხილოთ მილოშევიჩის ჰააგაში გასამართლების მაგალითზე.

მოკლე ისტორიული ექსკურსი: კოსოვო ისევე არის სერბიის ისტორიული ნაწილი, როგორც ყოფილი სამხრეთ ოსეთი – საქართველოსი. იქ (კოსოვოში) მეზობელი ქვეყნიდან მასიური ჩამოსახლება XIX საუკუნეში დაიწყო, შემდეგ კომუნისტებმა კოსოვოს ავტონომიის სტატუსი მისცეს. 1991 წელს კოსოვო სეპარატისტებმა ჩაიგდეს ხელში.

სერბიის ნაციონალისტი ლიდერი მილოშევიჩი ხელისუფლებაში სწორედ კოსოვოს დაბრუნების ტალღას მოჰყვა. 1995 წლისათვის ის ამერიკის ფავორიტი გახდა დაიტონაში ბოსნიის ომის შეწყვეტაში წვლილის შეტანის გამო. მაგრამ, როდესაც მილოშევიჩმა „კონსტიტუციური წესრიგის აღსადგენად“ კოსოვოში ჯარები შეიყვანა, ამერიკამ თავისი ფავორიტი გასწირა, როგორც ჩანს, **მუსლიმების** ხათრით; და ნატოს ავიაციამ სასტიკად დაბომბა სერბეთი.

მილოშევიჩი მალევე გადააყენეს, მაგრამ მერე სერბებმა სერიოზული შეცდომა დაუშვეს, როდესაც იგი ჰააგის ტრიბუნალს გადასცეს! არადა, ის რომ იქვე, ბელგრადში, გაესამართლებინა სერბულ სასამართლოს, დარწმუნებული ვარ, ბუშის ხელისუფლებასა და ევროკავშირს მიზეზი აღარ ექნებოდათ კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარების გამოცხადებისა; ასევე, აღარ შეიქმნებოდა „კოსოვოს პრეცედენტი“, რის საფუძველზეც რუსეთმა ჩვენს ოკუპირებულ ტერიტორიებს „დამოუკიდებლობა“ მიანიჭა!

აქედან გამოვიტანოთ დასკვნა —

**თუ სააკაშვილს ჰააგაში გაასამართლებენ, აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას მრავალი ქვეყანა სცნობს და პროცესი შეუქცევადი გახდება, რის შემდეგაც ქვეყნის შემდგომი დაშლა გარდაუვალი გახდება. ხოლო ამის აცილება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს გენპროკურატურა სააკაშვილის წინააღმდეგ საქმეს აღძრავს „ერისა და ქვეყნის წინაშე ჩადენილი დანაშაულებების“ ბრალდებით და ის თბილისში გასამართლდება.**

სამწუხაროდ, ამ მომენტისათვის ეს საკმაოდ არარეალური პერსპექტივაა, მაგრამ მისთვის ბრძოლა ღირს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ეს ხომ აფხაზებსა და ოსებს უჩვენებდა, რომ ქართველები სამართლიანი ხალხი ვართ და ჩვენი ნდობა და ჩვენთან ერთად ცხოვრება შეიძლება!

დაბოლოს, სააკაშვილი ისეთ სულიერ მდგომარეობაშია, რომ, თუ საზოგადოებამ დროზე არ მიიღო პრევენციული ზომები, საქართველოს კვლავ რაიმე ახალი უბედურება დაემუქრება!

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# პაატა ზაქარეიშვილი: აგვისტოს ომში სააკაშვილი ამერიკელებმა რუსეთის წინააღმდეგ სატყუარად გამოიყენეს და გადააგდეს

**„სააკაშვილს არაოფიციალურად, ტელეფონით ამერიკის ნეოკონსერვატიული ფრთიდან ეძლეოდა მინიშნებები, წინადადებები. მიშაც ძალიან თამამად ცდილობდა რუსეთის გაღიზიანებას. ამერიკელებმა სააკაშვილი ანკესზე მისაბმელ ჭიაყელად გამოიყენეს და გადააგდეს,“ — აცხადებს პოლიტოლოგი პაატა ზაქარეიშვილი, რომელსაც „საქართველო და მსოფლიო“ ტალიავინის დასკვნის შესაფასებლად ეწვია.**





**„სამხარი მოქმედებების დროს პარლამენტის თავმჯდომარემ (ბაქრაძე იგულისხმა) ამერიკელებს პირდაპირ ჰკითხა: „სად არის თქვენი არმია?“**

**— ბატონო პაატა, ტალიავინის დასკვნას საკმაოდ არაერთგვაროვანი შეფასებები მოჰყვა ხელისუფლებისა და ოპოზიციის მხრიდან. თქვენი აზრით, რა არის ყველაზე მნიშვნელოვანი ამ დასკვნაში?**

— ამ დასკვნაში ყველაზე მნიშვნელოვანი ევროპელების ხედვაა და მისი ინტერპრეტაცია, ცოტა არ იყოს, სასაცილოა, რადგან ამ კომისიაში მონაწილეობა არ მიუღია არც ქართულ და არც რუსულ მხარეს. არათუ მუშაობაში, მათ კომისიის შექმნაშიც კი არ მიუძღვით წვლილი. ეს დასკვნა ევროპელების მიერ ევროპელებისთვის დაწერილი საკმაოდ ობიექტური და დაბალანსებული დოკუმენტია. 19 ექსპერტი სწავლობდა აგვისტოს მოვლენებს და მათ შორის მხოლოდ ორ გვარს ასახელებენ პრორუსულს. ამაშიც ეტყობა, როგორ შეეცადნენ ევროპელები, ისე დაებალანსებინათ კომისია, რომ ყველა მხარის ინტერესები გაეთვალისწინებინათ და ყოვლისმომცველი დასკვნა დაედოთ. ასეთი კომისია არასდროს შეუქმნია ევროკავშირს და არც ასეთი დიდი დოკუმენტი დაწერილა ევროკავშირის არაწევრი ქვეყნისთვის. ეს დოკუმენტი ობიექტურია, მაგრამ მრავალი ხარვეზიც აქვს...

**— ხარვეზებში რას გულისხმობთ?**

— ყურადღება არ არის გამახვილებული 3 ივლისს, სანაკოევის წინააღმდეგ მოწყობილ ტერაქტზე. ჩემი აზრით, აქედან დაიწყო 7-8 აგვისტოს მოვლენები. ხარვეზია ისიც, რომ ამ დოკუმენტში აგვისტოს კონფლიქტს თავისი სახელი არ დარქმევია — ხან ომად მოიხსენიებენ და ხან — მოვლენებად. სააკაშვილი ქართველი საზოგადოებისგან მუდმივად მოითხოვდა, მომხდარისთვის ქართულ-რუსული ომი ეწოდებინათ. ამ დოკუმენტში კი ეს ტერმინი ერთხელაც არაა ნახსენები.

**— თქვენ აღნიშნეთ, რომ ეს დაბალანსებული კომისია იყო, მაგრამ ყველასთვის კარგადაა ცნობილი გერმანიის რუსეთისადმი დამოკიდებულება; კომისიის 9 წევრი კი გერმანელი გახლდათ. ისინი რუსეთის ინტერესებს არ გაუწევდნენ ანგარიშს?**

— არა. რეალურად ყველანი პროევროპელები იყვნენ და ეს დოკუმენტი დაწერეს არა ქართველებისა და რუსებისთვის, არამედ ევროპელებისთვის, რადგან მხოლოდ ევროპელებს არ ჰქონდათ წარმოდგენა რეალობაზე.

**— ანუ ეს ის დოკუმენტია, რომლითაც ევროპამ უნდა იხელმძღვანელოს?**

— რა თქმა უნდა. ამიტომ, თუ ჩვენ პროქართულ და პრორუსულ ძალებს დავუწყებთ ძებნას, ღრმად შევტოპავთ. ჩვენს გონებაში დაგებულ ხაფანგში მოვექცევით და მისი მძევლები გავხდებით. თუ ევროპელები ვართ, ევროპულად უნდა წავიკითხოთ ეს დოკუმენტი და მასში მტერს არ დავუწყოთ ძებნა. ამ დოკუმენტის უმთავრესი ამოცანა ფაქტების დადგენა იყო და არა — დამნაშავის პოვნა.

**— თქვენ ამბობთ, რომ ეს დოკუმენტი ევროპელების თვალით დანახული აგვისტოს მოვლენებია. როგორ დაინახეს მათ ეს კონფლიქტი?**

— მათ დაგვინახეს, როგორც აგრესორი სახელმწიფო, მხარე, რომელსაც საკუთარ ხალხთან საერთო ენის გამონახვა არ უნდოდა. მათ მკაფიოდ გამოხატეს, რომ ამ კონფლიქტის თავიდან აცილება შეიძლებოდა. სააკაშვილი კი რუსეთის ტყუილებს ითვლიდა. მოდი სააკაშვილის ტყუილებიც დავითვალოთ.

**— საინტერესოა...**

— პირველი: ხელისუფლება ამბობდა, რომ ომი გარდაუვალი იყო. დოკუმენტში პირდაპირაა დაფიქსირებული, რომ ომის თავიდან აცილება შეიძლებოდა. მეორე: ხელისუფლება აცხადებდა, რომ ეს ქართულ-რუსული კონფლიქტი იყო. დოკუმენტში ნახსენებია ქართულ-ოსური და ქართულ-აფხაზური კონფლიქტები.

**— ქართულ-რუსული არა?**

— არა. დოკუმენტში პირდაპირ ნათქვამია, რომ საქართველოს მიერ ცხინვალის დაბომბვა იყო საბაბი რუსული აგრესიის განხორციელებისა, ანუ პირველი ნაბიჯი გადადგა საქართველომ. ჩვენი ხელისუფლება კი ცრუობდა, როცა აცხადებდა, რომ რუსეთი შემოვიდა და ჩვენ საპასუხო ცეცხლი გავხსენითო. დოკუმენტში წერია, — საქართველომ დაიწყო ცხინვალის დაბომბვა, გამოიყენა გრადები და ამას რუსეთმა არაადეკვატურად უპასუხა. არავინ ამტყუნებს რუსეთს ცხინვალში შესვლისთვის. მას მხოლოდ იმაში სდებენ ბრალს, რომ გადალახა ე. წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ადმინისტრაციული საზღვარი და გორში გადმოვიდა. საქართველოს კი ბრალი ედება დაგომისის ხელშეკრულების დარღვევაში. დღეს ბევრი ჩვენგანი გაიძახის, რომ საქართველოს ტერიტორიაა და ცეცხლის გახსნის უფლება გვქონდაო. სამართლებრივად, ამ ტერიტორიაზე მოქმედებდა საქართველოს მიერ 1992 წელს ხელმოწერილი სოჭის დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც ჩვენ საომარი მოქმედებების განხორციელების უფლება არ გვქონდა. ამას სააკაშვილი არ ახსენებს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ

**ფაქტების 80 პროცენტი უარყოფითად მეტყველებს რუსეთზე, 20 პროცენტი — საქართველოზე, მაგრამ ეს ის 20 პროცენტია, რომელიც იმ დეტონატორის მოქმედებას ჰგავს, რომელიც ყუმბარას აფეთქებს. ამიტომ რუსეთის 80 პროცენტი გუბეა, სადაც მას ცხვირსაც ვერ ჩააყოფინებენ, საქართველოს 20 პროცენტი კი ოკეანეა, სადაც დახრჩობა შეიძლება.**

ევროპას საქართველო ისე არ სჭირდება, როგორც რუსეთი. საქართველოს კი რუსეთზე მეტად ევროპა სჭირდება. შესაბამისად, რას მოგვიტანს ეს დოკუმენტი, არავინ იცის. ევროპელები გვეუბნებიან, თქვენ, ქართველ ერს, არ გქონდათ უფლება, საკუთარი ხალხის მიმართ აგრესიულები ყოფილიყავითო. საქართველოს მიერ ქართული ქალაქის — ცხინვალის დაბომბვა და ამაზე გაჩუმება, დანაშაულია. ჩვენ სამართლიანად დავტირით იმ მსხვერპლს, რაც ჩვენმა ქვეყანამ ქალაქ გორში გაიღო. მაგრამ ასე არ განვიცდით ცხინვალში დაღუპულ ჩვენს თანამოქალაქეებზე? იქ ხომ უფრო მეტი ადამიანი დაიღუპა, ვიდრე გორში? ამაზე რატომ არ იღებენ ხმას? იმიტომ ხომ არა, რომ ის ჩვენი ქალაქი, ჩვენი ტერიტორია აღარაა?! ის დავთმეთ და ეს დაინახეს ევროპელებმა.

**— პრეზიდენტი ოსებზე, როგორც თავის ხალხზე, ისე საუბრობს?**

— ცხინვალში ხალხის დაღუპვის გამო წუხილი არ მსმენია.

**— ბატონო პაატა, მინდა, საქართველოს საპარლამენტო კომისიის იმ დასკვნასაც შევეხოთ, რომელიც აგვისტოს მოვლენებს სწავლობდა. ტალიავინის დასკვნაში მოცემულ ფაქტობრივ მასალასთან თუ ჰქონდა თანხვედრა ქართულ დოკუმენტში მოყვანილ ფაქტებს?**

— საქართველოს საპარლამენტო კომისიას ერქვა „რუსეთის აგრესიის გამოვლენის დროებითი კომისია“, ანუ საპარლამენტო კომისიამ პირდაპირ დაისახა მიზნად, რუსეთის აგრესია გამოევლინა. ტალიავინის კომისიის ამოცანა არც რუსეთის და არც საქართველოს აგრესიის გამოვლენა არ ყოფილა. მათი მოტივი ფაქტების დადგენა იყო. თუ ჩემი მიზანი რუსეთის აგრესიის დამტკიცება იქნება, ისე დავალაგებ ფაქტებს, რომ კიდეც დავამტკიცებ. საპარლამენტო კომისია ობიექტური ვერ იქნებოდა და, შესაბამისად, მისი დასკვნები სანდო არაა.

**— ტალიავინის დასკვნაში წერია, რომ კონფლიქტის თავიდან აცილება შესაძლებელი იყო. ის თუ წერია, როგორ უნდა მოგვეხერხებინა ეს?**

— როცა დოკუმენტი ამბობს, რომ კონფლიქტის თავიდან აცილება შეიძლებოდა, ეს იმას ნიშნავს, რომ მხარეებმა ყველაფერი გააკეთეს ომის დასაწყებად და არაფერი მოიმოქმედეს კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოსაგვარებლად. ომის თავიდან აცილება შეიძლებოდა, თუკი კომპეტენტური ხელისუფლება გვეყოლებოდა, რომელსაც მუდმივად ექნებოდა კავშირი აფხაზურ და ოსურ მხარეებთან; მუდმივად შეამოწმებდა პროცესებს. **2006 წლის მაისამდე ვითარება ნელ-ნელა უკეთესობისკენ მიდიოდა. 15 მაისს შამბა ჩამოვიდა თბილისში და ჩამოიტანა დოკუმენტი „მომავლის გასაღები“. დღეს ამაზე ხმას არ იღებენ. 2005 წლის დეკემბერში კოკოითმა სააკაშვილს წერილი გამოუგზავნა, მშვიდობა და ლუბლიანის დოკუმენტზე მუშაობა შესთავაზა. აფხაზური და ოსური მხრიდან წინადადებები მოდიოდა. შესაძლოა, მიუღებელი, მაგრამ მასზე მსჯელობა შეიძლებოდა. ჩვენმა სრულმა სიყრუემ, მთელი ყურადღების რუსეთზე გადატანამ, რუსეთის გაღიზიანებამ, რათა მუდმივად შექმნილიყო ომის საფრთხე, ავტობუსების დაწვამ, სანაკოევის პროექტის შექმნამ, 3 ივლისის ტერაქტმა, უპილოტო თვითმფრინავების გაფრენამ, კოდორში ჯარების შეყვანა-გამოყვანამ აგვისტოს მოვლენებამდე მიგვიყვანა.** თუ ვართ ერი, ჩვენი წილი პასუხისმგებლობა უნდავაღიაროთ და ამ კრიზისიდან გამოსასვლელი გზების ძიება დავიწყოთ.

**— ტალიავინის დოკუმენტში ნახსენები იყო, რომ ამერიკელ სამხედრო მრჩევლებს არ შეეძლოთ, გავლენა მოეხდინათ პროცესებზე. თუ ეს, მართლაც, ასეა, რა საჭირო იყო ამ დოკუმენტში მათზე საუბარი?**

— ტალიავინის დოკუმენტში წერია, რომ ამერიკელებს არ შეეძლოთ, გავლენა მოეხდინათ პროცესებზე, მაგრამ რაკი ახსენებენ, ამით მინიშნებას აკეთებენ და ამის დასტურად შემიძლია ისეთი ავტორიტეტული ორგანო მოვიყვანო, როგორიც ბრიტანეთის ლორდთა პალატაა. მან 2008 წლის სექტემბერში გამოაქვეყნა განცხადება: **„ამერიკელებმა ცრუ მოლოდინები შეუქმნეს სააკაშვილის ხელისუფლებას“. ამერიკაში საკმაოდ მაღალი დონის შეხვედრაზე ვიყავი, სადაც ამერიკელების როლზე იყო საუბარი და იქ მკაფიოდ დააფიქსირეს, რომ სახელმწიფო დეპარტამენტი აფრთხილებდა სააკაშვილს, საომარი მოქმედებები არ დაეშვა. მათ კითხვა შევუტრიალე: „დიკ ჩეინი?“ უცებ, ყველა გაისუსა. ისინი დაფიქრდნენ და ვერ უარყვეს ვიცეპრეზიდენტ დიკ ჩეინის ფაქტორი, რადგან ეს უკანასკნელი განსხვავებულ როლს ასრულებდა ბუშის ადმინისტრაციაში. ის იყო ნეოკონსერვატიული იდეოლოგიის წარმომადგენელი. ნეოკონსერვატიული იდეოლოგიის მთავარი საფუძველი კი მტრის ხატის შექმნაა ქვეყნის საზღვრებს გარეთ, ამ შემთხვევაში ისლამისა და რუსეთის სახით.** მართალია, ეს არ ჩანს ტალიავინის დასკვნაში, მაგრამ მგონია, რომ სააკაშვილს არაოფიციალურად, ტელეფონით ნეოკონსერვატიული ფრთიდან ეძლეოდა მინიშნებები, წინადადებები. სააკაშვილიც რუსეთის გაღიზიანებას თამამად ცდილობდა. ამერიკელებმა სააკაშვილი ანკესზე მისაბმელ ჭიაყელად გამოიყენეს. ძალიან მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ ქართულ-რუსული დაპირისპირება ჯონ მაკკეინმა თავის წინასაარჩევნო კამპანიაში ეფექტიანად გამოიყენა, მიხეილ სააკაშვილს ილუზია შეუქმნა ამერიკის დახმარებასთან დაკავშირებით და, ჩვენდა საუბედუროდ, გადააგდო.

ამასწინათ ბურჯანაძემ მნიშვნელოვანი რამ თქვა: **„საომარი მოქმედებების დროს პარლამენტის თავმჯდომარემ (ბაქრაძე იგულისხმა) ამერიკელებს პირდაპირ ჰკითხა: „სად არის თქვენი არმიაო?“** წარმოიდგინეთ, ამ ხელისუფლებას ამერიკელებისაგან რამხელა მოლოდინი ჰქონიათ. ეს რომ მომხდარიყო, მესამე მსოფლიო ომი დაიწყებოდა.

**— და მაინც, ამ დასკვნის დადების შემდეგ რას უნდა ველოდოთ?**

— ამ დასკვნას სამართლებრივი ძალა არ გააჩნია, მაგრამ მრავალი პოლიტიკოსი, სახელმწიფო მას პოლიტიკური მიზნებისთვის გამოიყენებს. მაგალითად, ორმა-სამმა სახელმწიფომ, შეიძლება, ამ დოკუმენტზე დაყრდნობით აღიაროს აფხაზეთი და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი. ასევე, შეიძლება გამოყენებული იყოს ევროპასა და საქართველოს შორის ურთიერთობისას. ჩვენ ევროპას ვეღარ ვეტყვით, რომ დემოკრატები ვართ და რომ რუსებმა შემოგვიტიეს. საქართველოს რუსეთის წინააღმდეგ ჰააგის სასამართლოში აქვს სარჩელი შეტანილი, სასამართლო ამ ფაქტებს ხელახლა განიხილავს და, არ არის გამორიცხული, კიდევ ერთხელ აღმოვჩნდეთ მძიმე მდგომარეობაში.

ესაუბრა
**ნათია ქადაგიშვილი**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# მაშ, მტყუანის?..

**როგორც იქნა, გველირსა და ჰაიდი ტალიავინის კომისიამ თავისი კომპეტენტური დასკვნა დადო, რომელსაც თითქოს ყველაფერი უნდა გაერკვია — თუ რა, როგორ და რატომ მოხდა შარშან აგვისტოში, თუმცა მოდი, ვაღიაროთ, რომ ქართველ საზოგადოებას ის უფრო აინტერესებდა, რა გამოხმაურება ექნებოდა ამ დასკვნას საქართველოს საზღვრებს გარეთ, თორემ ქართველებმა ჰაიდის გარეშეც მშვენივრად ვიცით, რა მოხდა!**




ნეტავ, თემურ იაკობაშვილი თავს ისულელებს თუ ქართველი საზოგადოება ჰგონია სულელი?

სწორედ ამიტომ, რომ იტყვიან, ტალიავინის 900-გვერდიან დასკვნას ჯერ ხეირიანად მელანიც არ შეშრობოდა, რომ მთელი ძალით და უტიფრობით ამუშავდა ნაცპროპაგანდა. ერთ-ერთი პირველი, ვინც საქართველოს ამ დასკვნის სახით მორიგი გამარჯვება მიულოცა, რეინტეგრაციის მინისტრი თემურ იაკობაშვილი იყო, რომელმაც თქვა, დოკუმენტში არსად წერია, რომ ომი საქართველომ დაიწყო, ხოლო ეს ანგარიში ცალსახად უჩვენებს, რომ ყველა რუსული არგუმენტი არასწორი ან ტყუილიაო! და ა.შ.

**მოდი და ამისთანა ურჯუკს ელაპარაკე, — არ დარჩენილა მსოფლიოს არც ერთი სერიოზული გაზეთი თუ ჟურნალი: „ნიუ იორკ თაიმსი" თუ „დეილი ტელეგრაფი", „გარდიანი" თუ „ვაშინგტონ პოსტი" (აღარაფერს ვიტყვი „გაზპრომის" მიერ „ნაყიდ" „შპიგელზე"), რომ ტალიავინის დასკვნის გამოქვეყნებისთანავე პირველ გვერდებზე მსხვილი შრიფტით არ „მიეცათ" — აგვისტოს ომი საქართველომ დაიწყო!**

**ეტყობა, ზოგადად, ჩვენი ხელისუფლებისთვის და დანარჩენი მსოფლიოსათვის სხვადასხვა დასკვნა დაიწერა, თორემ მინისტრის ასეთი თავხედობა გაგონილა?!**

დასკვნაში შავით თეთრზე წერია, რომ რუსეთის ჯარის რეგულარული ნაწილები მას შემდეგ შემოვიდნენ როკის გვირაბში, რაც სააკაშვილმა 7-8 აგვისტოს ღამით ცხინვალის მასირებული დაბომბვა დაიწყოო. რას ნიშნავს ეს, თუ არა იმას, რომ ფართომასშტაბიანი საომარი მოქმედებების საბაბი სწორედ საქართველოს ქმედება იყო?

მიშას ურაპატრიოტიზმით მოწამლულთა გარდა, ყველა ქართველისათვის ეს უდავო ჭეშმარიტება არაფერს ნიშნავს რეინტეგრაციის წვერცანცარა მინისტრისათვის, რომელიც კიდევ უფრო შორს მიდის და აცხადებს — „კომისიის დასკვნაში ნათლადაა აღნიშნული, რომ რუსული ჯარები ცხინვალის რეგიონში 7 აგვისტომდე იმყოფებოდნენ" და მოგვიანებით ამბობს, რომ „ოფიციალური თბილისი არ ეთანხმება დასკვნის იმ ნაწილს, რომლის მიხედვითაც, საქართველოში არ მომხდარა რუსეთის ჯარების 8 აგვისტომდე მასობრივი შემოჭრა".

ნეტავ, იაკობაშვილი თავს ისულელებს თუ ქართველი საზოგადოება ჰგონია სულელი? თუ დასკვნაში წერია, რომ რუსები ცხინვალში 7 აგვისტომდე იმყოფებოდნენ, მაშინ რას და რატომ არ ეთანხმება ოფიციალური თბილისი?

**ერთი სიტყვით, სრულ უაზრობად მიმაჩნია დეზინტეგრაციის მინისტრზე საუბარი. დიახ, არ შემშლია „დეზ", რადგან ინტეგრაცია, მითუმეტეს „რე", ანუ ხელახალი ინტეგრაციისა ვერაფერი ვნახეთ თემურ იაკობაშვილის მოღვაწეობაში. მართალია, ეს წვერცანცარა ეშმაკი რუსების გინებაში ათენ-აღამებს, მაგრამ ბოროტი ენები ირწმუნებიან, რომ საკუთარი ცოლ-შვილი „საზიზღარ" რუსეთში გადაუხვეწია.**

ტალიავინის დასკვნის გამოქვეყნების დღეს იაკობაშვილი „კავკასიის" ეთერშიც გამობრძანდა და ათასი სისულელე იბჟუტურა. აბა, რა უნდა გვექნა, წინააღმდეგობა არ უნდა გაგვეწიაო? საქმეც მაგაშია, რომ უნდა გაგვეწია და ვერ გავწიეთ — უპატრონოდ დავაგდეთ ჯარიც და ადგილობრივი მოსახლეობაც. შემდეგ ერთნი დეზერტირობისთვის ციხეებში შევყარეთ, ხოლო მეორენი — გეტოსაქათმეებში.

**მოკლედ, რაღა ბევრი გავაგრძელო, იაკობა მინისტრო, — მაშ მტყუანის?..**

**გაამოს!**

**P.S. წერილი უკვე მზად მქონდა, როდესაც „რუსთავი 2"-ზე ნინო შუბლაძის თოქშოუში კიდევ ერთხელ წარდგა ჩვენი „იაკოფა" მინისტრი მორიგი იგავმიუწვდომელი დემაგოგიით. მის ბაგეთაგან ამოფრქვეულ ყველა „მარგალიტს" რა დათვლის და ამიტომ ამ უტიფარი არაკაცის ფინალურ ოპუსზე შევაჩერებ მკითხველის ყურადღებას.**

**მამუკა კაციტაძის შეკითხვასა და დამუნათებას — ერთი მითხარი, გაეროს ასამბლეაზე რატომ არც ერთი ქვეყნის პირველი პირი არ შეხვდა სააკაშვილსო — დეზინტეგრაციის მინისტრმა შუბლზე ძარღვშეუტოკებლად მიუგო — როგორ არა, ლიტვის და პოლონეთის პრეზიდენტებს შეხვდაო!!! ამაზე დიდი უტიფრობა და სიტუტუცე გაგონილა? იმავე დღეს, მცხეთაში მიშამ შარშან აგვისტოში პირველი გასროლა იმით გაამართლა, რომ ასე მოიქცეოდა საფრანგეთი, ინგლისი, ესპანეთი და ამერიკაო, ანუ ჩვენ მაგათზე ნაკლები ბიჭები არა ვართო, და იმ რიხით ჩამოთვლილი ქვეყნების პრეზიდენტები, რომელთაც მიშა თავს უტოლებს, მასთან ოფიციალურ შეხვედრას კი არა, ხელის ჩამორთმევას გაურბიან! როდესაც თბილისიდან რამდენიმე კილომეტრში რუსული ტანკები დაქოქილია და თბილისზე „მარშბრასოკისთვის" მზადაა, ლიტვისა და პოლონეთის პრეზიდენტები გვიშველიან ან წმიდა გიორგის ორდენის მორიგი კავალერი ვიტაუტას ლანდსბერგისი, არა? გენაცვალე ლოღიკაში!**

**ამიტომ კიდევ ერთხელ — მაშ, მტყუანის... „იაკობა" მინისტრო!**

# წამოაყენებ, თორემ შენც კრამიტებ ლანწალუნი არ აუყენო!..

**ერთი კახური ანეკდოტის ეს მცირედ პერიფრაზირებული ვარიანტი მომივიდა თავში, როცა ე. წ. ტრადიციონალისტთა კავშირის ე. წ. ლიდერის განცხადების შესახებ გავიგე. „მედიანიუსის" ცნობით, ტრადიციონალისტები დედაქალაქის მერის პოსტზე საკუთარი კანდიდატის (ალბათ, კაკო ასათიანის, — ავტ.) წარდგენას არ აპირებენ. რო დააპირონ, რას შობი მერე, შე საწყალო მიშავ, შენა? ჯერ იყო და, ზვიად გამსახურდიას მთავრობა ბუნკერში უკანასკნელ დღეებს რომ ითვლიდა, სწორედ მაშინ დაეწყო კაკო ასათიანს „გულის პრანჭვა" და ზვიადისგან აჭარაში საშველად მივლინებული ქობულეთშივე დარჩა.**

**ამასობაში ის უბედური ზვიადი საქართველოდან გააქციეს და კაკო ასათიანმაც საჭიროდ არ ჩათვალა, გროზნოში მაინც ჩასულიყო, თუმცა იქ რა დარჩენოდა, რო? როცა თბილისში შევარდნაძის ხელახალი ზეობის ხანა დადგა, ბევრისთვის მოულოდნელად კაკო ასათიანმა „შევას" დანიშნულ არჩევნებში მიიღო მონაწილეობა, მიიღო და პარლამენტის დეპუტატობაც „გაიკრა".**

მანამდეც და მას შემდეგაც, ეს ერთადერთი შემთხვევა იყო, როცა ქართველ ტრადიციონალისტთა ლიდერმა დამოუკიდებლად, ე. წ. პარავოზის გარეშე შეძლო პარლამენტში შეძრომა. იმიტომ, რომ იმ პირველ, პოსტზვიადის არჩევნებზე, არანაირი ბარიერი არ არსებობდა — საკმარისი იყო, დროზე მოგესწრო პარტიის რეგისტრაცია და პროპორციული სიით გადეპუტატებაც თითქმის გარანტირებული გქონდა.

**აი, მას შემდეგ, რიგით მეორე — 1999 წლის არჩევნებზე საქმე შედარებით გართულდა, რადგანაც 5%-იანი ბარიერის გადალახვა გახდა საჭირო და აკაკი (კაკო) ასათიანი „აღორძინების" ბლოკთან ერთად მოხვდა პარლამენტში; ეტყობა, თავის დროზე ქობულეთში მხოლოდ პოლიტიკურ ტაქიკარდიას კი არ მკურნალობდა, ასლან აბაშიძესთანაც დაალაგა რამსები.**

სწორედ ამ დროს გამოჩნდა ასპარეზზე კაკოს „მამობრივი" მზრუნველობის შედევრი მაია ნადირაძე, რომელიც მოგვიანებით სააკაშვილის ერთ-ერთ ოდიოზურ საყრდენად იქცა. ისე დააჭენებდა თურმე წყნეთში კვადრომობილს, როგორც 2 საუკუნის წინათ — მისი სეხნია ცხენს და ამიტომ მასაც მაია წყნეთელი შეარქვეს.

**„ვარდების რევოლუციაშიც" არცთუ უმნიშვნელო როლი შეასრულა ასათიანმა, რომელსაც ვითომ მაშინ გაემიჯნა, როცა მიშამ გაივაკა და მის პრეზიდენტობას წინ ვერაფერი დაუდგებოდა. ამ „გამიჯვნის" მიზეზად ის დაასახელა, რომ ვხედავდი, გიჟი მოდიოდა ხელისუფლებაშიო (?!), მაგრამ ამაზე ქვემოთ...**

და აი, სულ ახლახან, როცა ტალიავინის დასკვნის გამოქვეყნების მეორე დღეს მიხეილ სააკაშვილმა საქართველოზე მორიგ გამვლელს — ვიტაუტას ლანდბერგისს, მორიგი (მაპატიოს უფალმა) წმიდა გიორგის ორდენი ჩამოჰკიდა: ნემო ბურჭულაძესთან, ბაჩუკი ქარდავასთან, ნოდარ ნათაძესა და კოკო გამსახურდიასთან ერთად, კაკო ასათიანიც ვიხილეთ. შეკრებილებს სააკაშვილმა ეროვნული მოძრაობის დამსახურებული მოღვაწეები უწოდა. უფრო მეტიც, ცალ-ცალკე ყველას მოეფერა, ხოლო ეროვნული მოძრაობის ლომს — კაკო ასათიანს, იმ დროის ეროვნული მოძრაობის ისტორიული ფიგურა თუ რაღაც ამგვარი უწოდა.

ისე შეიფერა აკაკიმ ეს ქათინაური, თითქოს, რაც ზემოთ მოგახსენეთ, წინამდებარე წერილის ავტორის ავადმყოფური ფანტაზიის ნაყოფი ყოფილიყო და არა — ყველასთვის ცნობილი რეალობა. **უფრო მეტიც, ისეთი სახით იჯდა, ვითომ ერთხელ და ორჯერ ეთქვას მიშაზე შეშლილი, გიჟი, სამკურნალო და სხვა მსგავსი სასიამოვნო „ქათინაურები" ახლახან ჩაფლავებული პარლამენტის წინა ტრიბუნიდან თუ „კავკასიის" ეთერიდან.**

მოკლედ, ყველაფრიდან ჩანს, რომ ზემოჩამოთვლილ „ეროვნულ მოღვაწეებთან" ერთად, თუ მათ გარეშე, ტრადიციონალისტების ლიდერი ეს უკვე მერამდენედ აპირებს მთავრობის „ღობეზე" გადახტომას, რაც არაერთხელ წარმატებით მოუხერხებია გამსახურდიას ხანიდან მოყოლებული. როგორც „მედიანიუსს" აკაკი ასათიანმა განუცხადა, თბილისის მერის თანამდებობაზე ისინი ოპოზიციის ერთიანი კანდიდატის წარდგენის მომხრეები არიან.

„თუმცა მიმაჩნია, რომ, თუ ახალი საარჩევნო კოდექსი არ შეიქმნება, არჩევნებში მონაწილეობის მიღებას აზრი არ აქვს".

**ძნელია, არ დაეთანხმო ტრადიციონალისტების ლიდერს, ამიტომ უფრო მეტსაც ვიტყვი. რაც უნდა დემოკრატიული საარჩევნო კანონი მიიღონ, ეს მხოლოდ ფარატინა ქაღალდი იქნება, რადგანაც მიშას დანიშნულ და ვანოს ჩატარებულ არჩევნებში მონაწილეობას აზრი არ ექნება, მით უმეტეს, ისეთი „უმწიკვლო, შეუბღალავი" რეპუტაციის კანდიდატისთვის, როგორიც ბატონი აკაკი ასათიანი ბრძანდება. ეგეც არ იყოს, ჯერ დაუნიშნავ არჩევნებზე ლაპარაკი ცოტა ნაადრევი ხომ არ არის (და ეს არა მარტო ტრადიციონალისტების გასაგონად)?**

დანიშნულიც რომ იყოს, ადგილობრივი უშველის ჩვენს ყოვლისმომცველ ეროვნულ კატასტროფას? ასეც რომ იყოს, მომავალ მაისამდე „ან ვირი მოკვდება, ან ვირის პატრონი!"




გვერდი მოამზადა
**დავით მხეიძე**

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

## გუბაზ სანიკიძე:

# «ეროვნულ ფორუმს» ამერიკელებთან ძალიან სერიოზული ურთიერთობა ჩამოუყალიბდა



„ეროვნული ფორუმის“ ლიდერი გუბაზ სანიკიძე „საქართველო და მსოფლიოსთან“ ერთობ სენსაციურ განცხადებებს აკეთებს და ირწმუნება, რომ „ეროვნული ფორუმი“ ყოველგვარი გაერთიანებებისა და ერთიანი ოპოზიციური კოორდინაციის გარეშე გაისტუმრებს ხელისუფლებიდან მიხეილ სააკაშვილს.

## ისე, არაფერი გეტკინოთ არც თქვენ, არც მე და არც საქართველოს მოსახლეობას, 2013 წლამდე სააკაშვილი ხელისუფლებაში დარჩეს!

**— ბატონო გუბაზ „ეროვნულ ფორუმს“, ისევე, როგორც მრავალ სხვა პარტიას, საზოგადოება ხელისუფლებასთან ფარულ გარიგებაში გადანაშაულებთ! ეს მოსაზრება, შეიძლება, იმიტომაც გაჩნდა, რომ თქვენმა პარტიამ გარკვეული ტაიმაუტი აიღო და მოვლენებს მაყურებლის პოზიციიდან დაუწყო ყურება. არსად ჩანდა თქვენი აქტიურობა, თუ, რა თქმა უნდა, არ ჩავთვლით რეგიონებში გასვლას, რომელიც, როგორც ხელისუფლების, ისე ოპოზიციური პარტიებისთვის, საქილიკო თემადაც იქცა: „ფორუმი“ სოფლებში საქეიფო მარათონს მართავსო...**

— ქილიკს კაცი არ მოუკლავს, თუმცა, გულწრფელად გეუბნებით, იმას არ მოველოდი — რატომ აღმოჩნდა რეგიონებში გასვლა საქილიკო თემა. თუ ვინმეს ჰგონია, რომ ცხვირაწევით და თბილისში პროსპექტებზე სიარულით ვინმეზე უპირატესნი არიან, ძალიანაც შემცდარან იმიტომ, რომ რეგიონებში მცხოვრები ადამიანები არაფრით ნაკლები არ არიან, თუ მეტი არა; ქილიკს მაინც დაანებონ თავი, ჩემი რჩევა იქნება! ნებისმიერ ქართულ სოფელში ძალიან ბევრი ღირსეული ადამიანი ცხოვრობს სამოქალაქო თვითშეგნებით, განათლებითა და წესიერებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია!

**— გულახდილად მითხარით, ხელისუფლებაში უფრო მეტი მოქიშპე გყავთ თუ ოპოზიციაში? ერთ-ერთი ოპოზიციური პარტიის ლიდერისგან მსმენია: ფორუმელებს რეიტინგი თავში აუვარდათ და კისერს მალე მოიტეხენო...**

— ქალბატონო ირინა, ჩემთვის ყოველთვის გამოცანა იყო შური! მე ჩემმა დედ-მამამ ისე გამზარდა, რომ არ ვიცი, რას ნიშნავს ეს გრძნობა, თუმცა, თუ სულხან-საბას განმარტებას გავიხსენებ, შური არის „სხვისა სიკეთესა ზედა წუხილი“! ხომ კარგი და ზუსტი განმარტებაა?

**— ბატონო გუბაზ, „საქართველო და მსოფლიომ“ ჯერ კიდევ ზაფხულში მოიპოვა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ამერიკულმა ორგანიზაცია „აირაიმ“ ეროვნულ ფორუმს რამდენიმედღიანი ტრეინინგი ჩაუტარა ბაზალეთის სასტუმრო კომპლექსში და იმ პერიოდში გავრცელდა ინფორმაციაც, რომ „ფორუმი“ ამერიკელებს „შეეკრა“! საინტერესოა თქვენი კომენტარი თუნდაც იმ კუთხით, რა დატვირთვას ატარებდა ამერიკელებთან ის კონტაქტი და რატომ არ გაშუქდა ეს ამბავი?**

— ეს სიმართლეა, მაგრამ „შეკვრის“ რა მოგახსენოთ...

## სააკაშვილი მსოფლიოს თვალში არის სადამ ჰუსეინი-2, მანიაკად და ავადმყოფ ადამიანად ითვლება

სხვათაშორის, ამერიკელები ძალიან პრაგმატული ხალხია და, როცა ნახეს, რომ არსებობს ისეთი პოლიტიკური პარტია, რომლის სახელი და გვარი არის „ეროვნული ფორუმი“ და რომლის რეიტინგიც დანარჩენებზე მზარდია, გადაწყვიტეს ჩვენთან შეხვედრა! მინდა, გითხრათ ისიც, რომ „ეროვნულ ფორუმს“ ამერიკელებთან ძალიან სერიოზული ურთიერთობა ჩამოუყალიბდა და არ დაგიმალავთ იმასაც, რომ

**რამდენიმე დღის წინათ ვაშინგტონიდან, კერძოდ კი სახელმწიფო დეპარტამენტიდან, ჩამოსული იყო დელეგაცია, რომელიც შეხვდა „ფორუმის“ წარმომადგენლებს! მოკლედ გეტყვით: მათ აინტერესებთ, რა გზას ადგას ჩვენი პოლიტიკური ორგანიზაცია, რა ხედვები გვაქვს საგარეო პოლიტიკურ ასპექტში, რას ვაპირებთ და ა.შ.**

ჩვენ ინტენსიურად ვმუშაობთ იმ კუთხით, რომ ჩამოგვიყალიბდეს ღია ურთიერთობები ევროპასთან, რუსეთთან, ამერიკასთან და ყველა იმ ქვეყანასთან, ვისთანაც შემდგომი თანამშრომლობა გვექნება, რადგან სხვანაირად არ გამოვა! პირადად მე ძალიან კარგი ურთიერთობა მაქვს ირანის რესპუბლიკის საელჩოსთან და ვფიქრობ, რომ ესეც ძალიან მნიშვნელოვანია...

**— დღეს ბევრი ლაპარაკობს იმაზე, რომ საქართველოს ღრმა პოლიტიკური კრიზისიდან მხოლოდ ეროვნულად მოაზროვნე ხელისუფლება გამოიყვანს, მაგრამ იმპერიული ზრახვებით აღჭურვილი სახელმწიფოები რამდენად დაუშვებენ ამას, თუნდაც გეოპოლიტიკური რეალობიდან გამომდინარე, ძნელი სათქმელია...**

— თუკი ჩვენი საზოგადოება მხოლოდ ეროვნულ ძალას გამოუცხადებს მხარდაჭერას, ქვეყნის გარეთ იძულებულნი გახდებიან, ანგარიში გაუწიონ და პატივი სცენ ხალხის ნებას — ჰყავდეს ეროვნული ხელისუფლება, გამიგეთ? მოდი ღიად ვთქვათ:

**ამერიკელებს შევარდნაძის შემდეგ ხელისუფლებაში ზურაბ ჟვანიას მოყვანა უნდოდათ, მაგრამ იძულებულები გახდნენ, სააკაშვილისთვის დაეჭირათ მხარი...**

**— რატომ?**

— იმიტომ, რომ სააკაშვილი თავისი მხარდამჭერებით ძალა გახდა და სწორედ ამ ძალას გაუწია ანგარიში ამერიკამ! მკითხველი მიხვდება, ვისაც ვგულისხმობ, არის საქართველოში პარტიები, რომლებიც ერთგულია ე. წ. ამერიკული ხაზისა, მაგრამ ამერიკელებისგან მათ არანაირი მხარდაჭერა არ აქვთ! ჭორებისა და ქილიკის ფონზე „ფორუმს“ ქვეყანაში მაღალი რეიტინგი აქვს... გადავთვალე ნაირნაირი ჭორები და „აღმოვაჩინე“, რომ თურმე მე ამ ხელისუფლებას 120 მილიონ დოლარად „მივეყიდე“! (*იცინის*). ახლა 120 მილიონი დოლარი რომ მქონდეს, მარტო სააკაშვილის ხელისუფლებას კი არ გავისტუმრებ, შეიძლება მეზობელი ქვეყნების პრეზიდენტებიც კი გამოვცვალო... ეს ისე, ხუმრობით, რა თქმა უნდა... თურმე მე „პორშ კაიანის“ ბოლო მოდელი მყოლია... მანქანებში დიდად ვერ ვერკვევი, მაგრამ მითხრეს, რომ უცხოეთში ასეთი მანქანები მხოლოდ მილიონერების ფუფუნებაა...

**— თუმცა არც „ნისანის“ ჯიპია იაფი, რომლითაც თქვენ სარგებლობთ...**

— რომელი „ნისანის ჯიპი“, რას ლაპარაკობ? გადაიხედე ერთი ქვევით, ის თეთრი მანქანა, ჩემი აივნის ქვეშ რომ დგას, ჯიპია? ჩემი მანქანა 1996 წელს გამოშვებული „ნისან მაქსიმაა“, რომელიც ჩემმა ძმამ, გორდა სანიკიძემ, ამერიკიდან გამომიგზავნა! რაც შეეხება თქვენ მიერ დასახელებულ ჯიპს, ის ჩემი მეგობრისაა, რომელმაც თავისი საქმეები გვერდზე გადადო და მხარში მიდგას!

**ხელისუფლებაშიც და ოპოზიციაშიც, როგორც ეტყობა, უანგარო მეგობრობა რას ნიშნავს, არ იციან და ამიტომაც ატლიკინებენ ენებს!**

მე არც „ნისანის“ ჯიპი მყავს, არც „პორშე კაიანე“, არც თვითმფრინავი და არც არაფერი, გასაგებია? ნებისმიერ მოქალაქეს, ხელისუფლების წარმომადგენელს თუ ოპოზიციურ პარტიას, შეუძლია გადაამოწმოს, რა ქონების პატრონი ვარ და დასკვნები შემდეგ გააკეთოს! ისე, უარს ნამდვილად არ ვიტყოდი, მანქანას თუ მაჩუქებენ, მაგრამ საჩუქარს მხოლოდ ჩემი მეგობრისაგან მივიღებდი და არა ამ ხელისუფლებისაგან. კახა შარტავაზეც ამბობენ, რაღაც „მაგარი“ ჯიპი ჰყავს და ვანო მერაბიშვილის ძმაკაციაო, მაგრამ კახას 20 წლისწინანდელი „მერსედესი“ ჰყავს და ისეთივე ძმაკაცია მერაბიშვილის, როგორც მე — სააკაშვილის!

**— რეგიონებში სიარული და მოსახლეობის ინფორმირება კარგია, მაგრამ ხომ შეიძლება, ეს 2013 წლამდე გაგრძელდეს და სააკაშვილმაც ეს ქვეყანა საბოლოოდ დააქციოს?**

— ისე, არაფერი გეტკინოთ არც თქვენ, არც მე და არც საქართველოს მოსახლეობას, 2013 წლამდე სააკაშვილი ხელისუფლებაში დარჩეს! კაცი მთელ მსოფლიოში გახდა განდევნილი, მას ხელს აღარავინ ართმევს, სურათის გადაღება არ უნდა მასთან არავის და თქვენ მეუბნებით, დრო მის სასარგებლოდ მუშაობსო?

**სააკაშვილი მსოფლიოს თვალში არის სადამ ჰუსეინი-2, მანიაკად ითვლება და ავადმყოფ ადამიანად არის შერაცხული; და ისე ჩემი მტერი მოძლიერდა, ეგ რომ ჰგონიათ ვიღაცებს ახლა მოძლიერებული! საკუთარ ქვეყანაში კაცს უკვე ტუფლებს ესვრიან, დასცინიან და თქვენ მეუბნებით, მოსახლეობა ტაშისკვრით ხვდებაო? მაგას სულ ერთი ამალა დაჰყვება თან, ხან ერთ ტანსაცმელს ჩააცმევს, ხან მეორეს და ასულელებს იმ ხალხს, ვინც სულელია! დრო სააკაშვილზე არ მუშაობს, დამიჯერეთ...**

„ფორუმი“ არ აპირებს არავის ჭკუაზე სიარულს, მეტსაც გეტყვით: ჩვენ არ ვაპირებთ, ადგილობრივ არჩევნებს დაველოდოთ და მასში მონაწილეობა მივიღოთ! ჩვენ არც მიხეილ სააკაშვილთან და არც იმ პარტიებთან თანამშრომლობას ვაპირებთ, რომლებიც მიხეილ სააკაშვილთან თანამშრომლობენ. აი, ასე!!!

**— თქვენ ერთხელ ჩემთან ინტერვიუში ბრძანეთ, რომ: ხალხს აქვს აჯანყების უფლებაო!**

— დიახ, როცა პოლიტიკურად, კონსტიტუციურად და მშვიდობიანად არ გვარდება პოლიტიკური პროცესები, ხალხს აქვს აჯანყების უფლება და ძალიან გთხოვთ, ამ თემაზე მეტს ნუღარ ჩამეკითხებით!

**— ყბადაღებულ ტალიავინის კომისიის დასკვნაზე რა აზრის ხართ?**

— როგორც არ უნდა გადაატრიალ-გადმოატრიალო ეს დასკვნა, რომელ გვერდზეც არ უნდა გადაშალო, შავით თეთრზე წერია, რომ ომის დაწყებაში დადანაშაულებულია ქართული მხარე და სააკაშვილს სწორედ ამას გადავაყოლებთ!

**მირჩევნია, სააკაშვილი ქართულ სასამართლოში გასამართლდეს და არა რომელიმე საერთაშორისო სასამართლოში. რა მანქანებიც არ უნდა გამოიყენოს მან, ყურებზე რომ დააყენოს მთელი ეს ხელისუფლება, ეს ასე მოხდება!**

მას პასუხისგება ჯერ სასამართლოს, შემდეგ ქართული სახელმწიფოს, დაბოლოს, ღვთის წინაშე მოუწევს!

ესაუბრა
**ირინე გოგოსაშვილი**

7 - 13 ოქტომბერი, 2009 წელი. №32
www.geworld.net

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

## ლევან ჯოხაძე:

# ქართული სასამართლო არაკომპეტენტური, უფლებამოსილების არმქონე ექსპერტიზის დასკვნას ითვალისწინებს

**სამართალწარმოებაში უდიდესი მნიშვნელობა ექსპერტიზის დასკვნას ეკისრება. აქედან გამომდინარე, ეჭვქვეშ არ უნდა იდგეს ექსპერტიზის ბიუროს კომპეტენტურობა. დღეს საქართველოში ფუნქციონირებს შს სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტური ლაბორატორია და იუსტიციის სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტური ეროვნული ცენტრი. სამართალდამცველები, ძირითადად, ამ ბიუროების საექსპერტო დასკვნებით ხელმძღვანელობენ. ადვოკატ ლევან ჯოხაძის მიერ წარმოებული საქმეების მასალებში კი რამდენიმე ისეთი დოკუმენტია, რაც ექსპერტის დასკვნის არაკომპეტენტურად მიჩნევის საფუძველს იძლევა.**



არსებობს საქართველოს კანონი „პროდუქციისა და მომსახურების სერტიფიკაციის შესახებ“. მასში წარმოდგენილია ყველა ის დაწესებულება, რომელმაც უნდა გასცეს შესაბამისობის სერტიფიკატები. ეს კანონი არეგულირებს ისეთი ორგანიზაციების საქმიანობას ან მოქმედებას, რომელიც ეხება პირთა განუსაზღვრელ წრეს და მოიცავს ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მომეტებულ საფრთხეს. ამავე კანონით განსაზღვრულია აკრედიტაციის კრიტერიუმები. სერტიფიკაციის და ლაბორატორიულ ორგანიზაციებად შეიძლება აკრედიტებული იყოს ნებისმიერი სამართლებრივი ფორმის მქონე იურიდიული პირი, საკუთრების ფორმის მიუხედავად, და ფიზიკური პირები, რომლებიც პასუხისმგებლები არიან და საქართველოს კანონის თანახმად შეესაბამებიან დადგენილ მოთხოვნებს. აქედან გამომდინარე, შსს-ს საექსპერტო-კრიმინალისტური ლაბორატორია და იუსტიციის სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტური ეროვნული ცენტრი გარკვეული პერიოდულობით უნდა გადიოდეს აკრედიტაციას, რათა შემოწმდეს, შეესაბამება თუ არა მათი მუშაობის პრინციპები თუ სამუშაო ლაბორატორიული დანადგარები არსებულ სტანდარტებს, რათა მან ცდომილება არ დაუშვას.

**2006 წელს სტანდარტების სამსახურს დამოუკიდებელ ორგანოდ გამოეყო ეროვნული აკრედიტაციის ცენტრი. როგორც ლევან ჯოხაძემ „საქართველო და მსოფლიოსთან“ საუბრისას აღნიშნა, ამ ცენტრის მონაცემებით, შსს საექსპერტო-კრიმინალისტური ლაბორატორია და იუსტიციის სამინისტროს საექსპერტო კრიმინალისტური ცენტრი აკრედიტაციის გარეშე მუშაობენ:**

— უფლება მაქვს, მოვითხოვო იმ სასწორისა და დანადგარების სერტიფიკატი, რომლებითაც შემოწმდა ნარკოტიკი. თუ არ არსებობს შესაბამისობის სერტიფიკატი, ეს დანადგარები შემოწმებულია სტანდარტების დაცულობის თვალსაზრისით; სრული საფუძველი მაქვს, არ გავიზიარო და ეჭვქვეშ დავაყენო ექსპერტიზის კომპეტენტურობა. გამოვითხოვე ინფორმაცია აკრედიტაციის ეროვნული ცენტრიდან. **ამ ცენტრის მონაცემებით, შსს ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლოს ექსპერტიზის ბიუროს მხოლოდ ზოგადი ქიმიის ნავთობპროდუქტების ხარისხის კონტროლის ლაბორატორიაა აკრედიტებული. იუსტიციის სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტური ცენტრი და შსს საექსპერტო კრიმინალისტური ლაბორატორია არ არის აკრედიტებული.** ეს ლაბორატორიები ამოწმებენ და ადგენენ ამოღებული ნარკოტიკის რაოდენობას, მაშინ, როდესაც „პროდუქციისა და მომსახურების შესახებ“, საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, მხოლოდ აკრედიტებულ ორგანოს აქვს უფლება, განახორციელოს შესაბამისობის შეფასება. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, ექსპერტმა აუცილებლად უნდა მიუთითოს, რა მეთოდი გამოიყენა კვლევის დროს. ჩვენთან ეს კვლევები ქვის ხანის სტანდარტებითა და მეთოდებით ხდება.

**— ამის საფუძველზე შეგიძლიათ, მოითხოვოთ ექსპერტიზის დასკვნის გაუქმება?**

— სამწუხაროდ, არა. მას მაინც შეუძლია, გასცეს ცნობა. პირველ რიგში, ექსპერტიზის ინტერესებში უნდა შედიოდეს, რომ მისი სანდოობის ხარისხი მაღალი იყოს. ამით მე დავადასტურე სასამართლოში, რომ ეს სტრუქტურები არაკომპეტენტურები არიან; ეს ლაბორატორიები არღვევენ ორ საერთაშორისო კონვენციას — საქართველოს კონსტიტუციას, საქართველოს კანონს საერთაშორისო შეთანხმებების შესახებ, საქართველოს კანონს ნორმატიული აქტების შესახებ, საქართველოს კანონს სტანდარტებისა და სერტიფიცირების შესახებ, საქართველოს კანონს აკრედიტაციის შესახებ. ეს კი საკმარისი საფუძველია იმისთვის, რომ მის კომპეტენტურობაში შემეპაროს ეჭვი.

**— რა ვითარებაა კერძო ექსპერტიზებთან მიმართებაში?**

— სამწუხაროდ, საქართველოში კერძო ექსპერტიზა აღარ ტარდება, ერთადერთი კერძო საექსპერტო ბიუროა სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა შპს „ვექტორი“ და ფარმაკოლოგიური ლაბორატორია, რომელიც დიღომში მდებარეობს. მაგრამ ეს საექსპერტო დაწესებულებები ნარკოტიკულ და ფსიქოტროპულ ნივთიერებებზე დასკვნას არ იძლევიან. **ამ მიმართულებით, შს და იუსტიციის სამინისტროების ლაბორატორიების გარდა, არც ერთი ლაბორატორია არ მუშაობს, იმიტომ, რომ ეშინიათ. ალტერნატივის ვარიანტი არ გვაქვს.** რომც გვქონდეს, ჩვენი სასამართლო ისეთი დამონებული და დამოკიდებულია, ამ არააკრედიტებული, არაკომპეტენტური და უფლებამოსილების არმქონე ექსპერტიზის დასკვნას გაითვალისწინებს და არა — აკრედიტებული ექსპერტიზისას.

**— რატომ ეშინიათ კერძო ექსპერტებს ნარკოტიკულ ნივთიერებებზე მუშაობისა?**

— იმიტომ, რომ ისინი ყველაფერს თავის სახელს დაარქმევენ. ამის გამო კი სერიოზული პრობლემები შეექმნებათ. როგორც აღვნიშნე, შს და იუსტიციის სამინისტროების ექსპერტიზის ბიუროები ორ საერთაშორისო კონვენციას არღვევენ. ესენია: გაეროს 1961 და 1979 წლების კონვენციები, სადაც განსაზღვრულია ნარკოტიკული და ფსიქოტროპული ნივთიერებები. ამ კონვენციების თანახმად, სუბოტექსის შემცველობაში არსებული ნივთიერება **ბუპრენორფინი** ფსიქოტროპულ ნივთიერებებს მიეკუთვნება. საქართველოს პარლამენტმა 2003 წლის 12 მაისს მიიღო დადგენილება უკანონო მფლობელობიდან ამოღებული ნარკოტიკული და ფსიქოტროპული ნივთიერებების მცირე, დიდი და განსაკუთრებული ოდენობის შესახებ. ამ დადგენილებით ნარკოტიკულ საშუალებას მიეკუთვნა ბუპრენორფინი. ამავე დადგენილებაში წერია, რომ ფსიქოტროპულ ნივთიერებებს მიეკუთვნება მხოლოდ სუფთა ნივთიერებები, სუბსტანციები და არა მათი წამლის ფორმები, ანუ თუ **სუბოტექსი** ჩაითვლება ფსიქოტროპულ ნივთიერებად, ასეთ შემთხვევაში, დასჯადი არ არის, რადგან მას წამლის ფორმა აქვს. დასჯადი სუფთა ნივთიერების შენახვაა.

ჩემი ინფორმაციით კი, დღეს დაახლოებით **4 ათასი პატიმარია, რომელიც სუბოტექსის უკანონოდ შენახვა-რეალიზაციისთვის არიან გასამართლებული. ისინი უკანონო პატიმრები არიან.**

**— იქნებ, დაგვიკონკრეტოთ, რატომ?**

— ეს ხალხი არ არის გასამართლებული იმ ბრალდებით, რაც ჩაიდინეს. ბრალის წარდგენა მოხდა შეუსაბამოდ. პიროვნება ნარკოტიკული ნივთიერებების რეალიზაციისთვის 260-ე მუხლით თუ გასამართლდა, მინიმალური სასჯელი თერთმეტი წელია. თუ ის გასამართლდა იმ ბრალით, რაც მან ჩაიდინა — ფსიქოტროპული ნივთიერების უკანონო რეალიზაცია, სასჯელი 3 წელია. განსხვავება თვალსაჩინოა. ეს იგივეა, რაც ხულიგნობის ჩამდენი სახელმწიფო გადატრიალების მცდელობისთვის გაასამართლო.

**ნანა ლაღაძიშვილი**

---

## კვირის თემა

# «მაშასადამე, ევროპელობიდან» «მაშასადამე, NATO-ელობამდე», ანუ ჯვარი აქაურობას და ფუი ეშმაკს!

**5 ოქტომბერს საზეიმო მიღებით გაიხსნა ნატოს დღეები საქართველოში: კონფერენციები, შეხვედრები — თბილისში, ქუთაისში, გურჯაანში და, რა თქმა უნდა, ბულვარდაგრძელებულ ბათუმში. ეს ისტორიული მოვლენა კი 9 ოქტომბერს დასრულდება მუსიკისა და დრამის თეატრში სპექტაკლ „მარლენ დიტრიხის“ ჩვენებით.**

მარლენ დიტრიხის ნამდვილი სახელი და გვარია მარია მაგდალინა ფონ ლოში. არ ვიცი, დიტრიხის გავლენით თუ სხვა რაიმე მიზეზით, მაგრამ მოიხსნა პირბადე **„საინფორმაციო ცენტრმა ნატოს შესახებ“** და მშვენიერმა გიულჩიტაიმ სახე დაგვანახა: „Покажи личико, Гюльчитай!“

**მყვირალობის კვირეული დაეწყო ზემოთ ნახსენებ ცენტრს, რომელიც მაშინ იფეთქებს ხოლმე, როცა გარდაუვალი და აუცილებელი ხდება ინვესტორისთვის იმის დამტკიცება, რომ მისეულ პროექტში ჩადებული თანხები მიზნობრივად იხარჯება, თანაც სრულად და უანგაროდ, დიდი სიყვარულითა და კურტიზანკებისა და გეიშების მზაობით ყველაფრისთვის.**

მზად ვართ ავღანეთში ჩვენი კონტინგენტის გასაგზავნად, მზად ვართ ამერიკული სამხედრო ბაზებისთვის ჩვენი დარჩენილი ტერიტორიის დასათმობად, გუანტანამოს პატიმრებისთვის ჩვენი ციხის კარების სტუმართმოყვრულად გასახსნელად.

საქართველოს ხელისუფლება თანდათან ემსგავსება ალექსანდრე მატროსოვს, რომელიც ყოველ წამს მზად არის, რუსეთ-აშშ დაპირისპირების ამბრაზურას თავისი მოქალაქეების სიცოცხლით გადაეფაროს. მაგრამ, ეტყობა, ეს ყველაფერი უპასუხო ტრფიალად რჩება: ნატოს კარებთან გვაყურყუტებენ ტყუილი დაპირებებით. საჭიროა უფრო მეტი, უფრო დიდი და მასშტაბური.

— იყავით მზად!

— მზად ვართ!

და გამოფინა უკვე ნახსენები „ნატოს შესახებ ცენტრმა“, ანუ პოლიტპროპმა (პოლიტიკურმა პროპაგანდისტმა) თბილისის ქუჩებსა და მოედნებზე მორჩილების, სულის გაყიდვისა და რწმენის ღალატის ბანერები — ჩვეულებისამებრ უზარმაზარი, ძვირადღირებული და ხეპრეობით გამორჩეული.

ამჯერად ნამეტანი მოუვიდათ, იმაზე უარესი „მე მიყვარს თბილისის“ და „მე მიყვარს საქართველოს“ ნახატი ბედნიერების „თვალსაჩინოებით“ რომ მოგვაბეზრეს თავი, ისეთივე ყალბით, როგორიც, თუნდაც ავლაბრის რეზიდენციაში გასულ ორშაბათს გამართული პრეზიდენტის შეხვედრა იყო ხანდაზმულ პედაგოგებთან, რომლებსაც „ჩარეცხილობიდან“ სასწაულებრივად გადაენაცვლათ გმირობის მაგალითების რიგში, რაიც თურმე საზღვარგარეთ არ უნდა ვეძებოთ.

ახლა დატკბა მიხეილი.

დატკბა და დათბა, გალღვა ჩრდილოატლანტიკური მიუკარებლობით გამორჩეული ნატოს ცენტრი საქართველოში, გახსნა კარტები და გამოჩნდა სულგაყიდულობა სრული და მზადყოფნა უფრო მეტი უარესობისათვის.

გოეთეს „ფაუსტის“ ქართული ვარიანტი!

**„მე ვარ ქართველი, მაშასადამე, ვიქნები NATO-ელი!“**

ცავატანემ, ელი!

შენ გენაცვა!

ისეთივე ყალბი და ნაძალადევი, როგორც რეკლამის ტექსტები პლაკატებზე თუ ტელეეკრანების ფერადი ვირტუალობიდან.

**უსაზღვრო და დაუოკებელია სიყვარულის ეს გამჟღავნება, მარტის კატებს რომ მოუვლით ადრე გაზაფხულზე და ამძუვნებულები ისეთ კონცერტებს გვიმართავენ „სინათლის ქალაქის“ ბნელ კუთხეებში, როგორსაც თბილისის ხელისუფლება ობივატელების ხარჯზე თავისუფლების მოედანზე უფასოდ უტარებს ახალგაზრდულ ასაკში ფეხშედგმულ გოგო-ბიჭებს ტირაჟიდან გასული ქალბატონების მონაწილეობით და სცენაზე მონდომებით მოძუნძულე „პოდტანცოვკებით“.**

ეს ის სიყვარული არ არის, მალვა რომ უნდა. ისეთია, რომელმაც გამოტვინება იცის.

**ასე რომ არ იყოს, რომელი ჭკუათმყოფელი გააკეთებდა იმას, რაც ამათ მოიმოქმედეს, გამოფინეს და გაამჟღავნეს. გასული საუკუნის ღვთისმძებნელთა საქმე, მგონი, ნატოს შეგირდების ამ ჯგუფმა დაასრულა: იპოვეს თავიანთი ღმერთი და კერპი — პირადი მოხმარების მინოტავრი, ურჩხული — ადამიანისა და ბუღა ხარის სახითა და ხატებით, რომელსაც თავზე ადგას ნატოს ლოგო.**

ფუი ეშმაკს და ჯვარი აქაურობას! Stop!

**„ჯვარი აქაურობას!“ შეცდომაა.**

**„ნატო აქაურობას!“ სწორია.**

**სიტყვათა თამაშით მკითხველთან ღლაბუცი არ გეგონოთ, NATO-ელთა პლაკატზე, ბანერზე თუ რაღაც უბედურებაზე ზუსტად ასე წერია: „ნატო აქაურობას!“** წამოსცდათ ან ფეხებზე დაგვიკიდეს და ურცხვად და დაუფარავად გვითხრეს, რომ მათი ჯვარი და ღმერთი ნატოა, რომელიც აქაურობას გადაეფინება ქვეყნიერების ოთხივ კუთხით მიმართული ლოგოს გამოსახულებით. რომ მართლმადიდებლობა და ეკლესია ამათთვის, პირველ შემთხვევაში ▶

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# გიორგი ჯავახაძე: კირკიტაძის საქციელი სისხლის სამართლის დანაშაულია და ცემის მუხლით კვალიფიცირდება

**ეროვნული ჩემპიონატის ბოლნისში გამართული მატჩი რუსთავის „ოლიმპსა“ და ცხინვალის „სპარტაკს“ შორის დიდი ხმაურით დასრულდა. მსაჯობით უკმაყოფილო ქვემო ქართლის სამხარეო ადმინისტრაციის ხელმძღვანელი გაცოფებულ გულშემატკივრებს წინ გაუძღვა და მსაჯთა ბრიგადას ფიზიკურად და სიტყვიერად გაუსწორდა. არის თუ არა აღნიშნული ქმედება — მსაჯების მიმართ ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა — სისხლის სამართლის დანაშაული და მოსთხოვენ თუ არა პასუხს გუბერნატორს?**



ქართული ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატის მსაჯები და დამკვირვებელი ამირან კუჭუხიძე ქვემო ქართლის სამხარეო გუბერნატორის — დავით კირკიტაძის მუშტების სამიზნე მას შემდეგ გახდნენ, რაც მათ საფეხბურთო კლუბ „ოლიმპის“ ფეხბურთელ გიორგი ჭედიაზე თამაშგარე დააფიქსირეს და თამაში გაჩერდა. ამ დროს კი ცხინვალის „სპარტაკის“ საჯარიმოში სპარტაკელი გიორგი კვახაძე იწვა. ცხადია, თამაში უნდა გაგრძელებულიყო, მაგრამ მსაჯებს დაშვებული შეცდომა „ოლიმპის“ გულშემატკივრებმა არ აპატიეს და რამდენიმე კაცზე ჯავრი ერთად იყარეს. ამირან კაჭახიძემ ტვინის შერყევა მიიღო, პოლიციას კი მომხდარზე რეაგირება არ მოუხდენია.

ის, რაც ბოლნისში 30 სექტემბერს მოხდა, ყველაფრის ზღვარს სცილდება.

„ოლიმპი“ თამაშს აგებდა. მატჩის 89-ე წუთზე ოლიმპელთა მეკარემ გიორგი ჭედია სპარტაკელთა მეკარესთან პირისპირ გაიყვანა, თუმცა გვერდითა მსაჯმა ალამი ააფრიალა და, მსაჯობით ისედაც უკმაყოფილო გუბერნატორმა უკურთხა და უკურთხა მსაჯებს ოჯახები. ზუსტად ერთ წუთში „ოლიმპმა“ გოლი გაიტანა და შეხვედრა ფრედ — 1:1 დასრულდა. მიუხედავად ამისა, კირკიტაძემ ჩათვალა, რომ მსაჯებმა „ოლიმპს“ ქულები დაუკარგეს და პირადად გაუსწორდა ლამის მამისტოლა კაცს.

საქართველოში მსაჯების უმეტესობა რომ არაკვალიფიციური და არაობიექტურია, კარგად მოეხსენებათ მათაც, ვინც სტადიონებს ხშირად სტუმრობს. ქვემო ქართლის გუბერნატორი „ოლიმპს“ რომ ლობირებს და დაინტერესებულია კლუბის წარმატებით (თუმცა არა იურიდიულად), არც არის ვინმესთვის უცხო. „კირკიტა“ კლუბის თამაშებს არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც ესწრება და საკუთარ სიმპათიას გუნდის მიმართ საჯაროდაც აფიქსირებს. მაგრამ, რაც მან გააკეთა ბოლნისში, კანონის ფარგლებს სცდება.

კირკიტაძე მოედანზე საფინალო სასტვენისთანავე შევარდა, მას კი ბოლნისში „ოლიმპის“ საქომაგოდ ჩასული გულშემატკივარიც მიჰყვა და მსაჯებსა და მათ უფროსს შეურაცხყოფა მიაყენა. ამირან კაჭახიძე, გარდა მსაჯთა უფროსისა, მატჩის კომისრის ფუნქციასაც ასრულებდა, პოლიცია ინციდენტის ადგილზე მას შემდეგ გაეშურა, რაც დაზარალებულმა სამედიცინო დახმარებისთვის ექიმებს მიმართა.

ძნელი არ უნდა იყოს იმის წარმოდგენა, თუ რა დღეში ჩააგდებდა ერთ ადამიანს ამდენი გაცოფებული „გულშემატკივარი“. კაჭახიძემ გარკვეული დროის შემდეგ საკუთარი მანქანით დატოვა ტერიტორია, როგორც შემდეგ გახდა ცნობილი, მას ტვინის შერყევა მიუღია.

არავინ დაობს, რომ მსაჯები შეცდნენ და ამაზე შესაბამისი სტრუქტურა იმსჯელებს, მაგრამ ვინ იმსჯელებს იმ ფაქტზე, რაც შემდეგ მოხდა და დაისჯება თუ არა ვინმე? — ალბათ, არც არავინ.

**რა სახის დანაშაულთან გვაქვს საქმე და როგორ კვალიფიცირდება?**

ბოლნისში სტადიონზე მყოფი გულშემატკივრები, რომელთა შორის იურისტებიც არიან, ამბობენ, რომ კირკიტაძის საქციელი სისხლის სამართლის დანაშაულია და ცემის მუხლით კვალიფიცირდება. იურისტი და ქართული ფეხბურთის ქომაგი გიორგი ჯავახაძე ხსნის, რომ თუკი დადგება კირკიტაძის პასუხისმგებლობის საკითხი, მისი დანაშაული შემდეგი მუხლით უნდა დაკვალიფიცირდეს:

**მუხლი 12.5 ცემა (28.94.2006 №2937):**

**„1. ცემა ან სხვაგვარი ძალადობა, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია, მაგრამ არ მოჰყოლია ამ კოდექსის 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი, — ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომით, ვადით ას ოციდან ას ოთხმოც საათამდე ანდა გამოსასწორებელი სამუშაო ვადით თხუთმეტ თვემდე“.**

ვნახოთ, რას წერენ სპორტულ ფორუმებზე გულშემატკივრები:

**„ნორმალურ ქვეყანაში ასეთი საქციელი კირკიტაძეს პოლიტიკური კარიერის ფასად დაუჯდებოდა, ხოლო სტადიონს — დისკვალიფიკაციად“.**

**„სად არის მერე ნორმალური ქვეყანა, საქართველოა ნორმალური ქვეყანა? ნორმალური მარტო „ნაციონალებისა“ და მათი ფანებისთვის არის. რაც იყო კირკიტაძე, ისევ იმად დარჩა, მაგის გამოსწორება არ იქნება. ეგ არის, ქვეყანაში რომ დაუსჯელობის სინდრომია და კანონი არავის აინტერესებს“.**

**„სად ვცხოვრობთ?! გაგიჟებული ვარ, რა მსაჯების ცემა!.. ბოლო-ბოლო, კაცი გუბერნატორია და, უბრალოდ, სირცხვილია, როგორ იქცევა. მსოფლიო ჩემპიონატები წაუგიათ მსაჯების გამო, მაგრამ მათ ხელით არავინ შეხებია. მსაჯი არის ხელშეუხებელი, ეს სპორტის ერთ-ერთი მთავარი პრინციპია“.**

ფეხბურთისმოყვარულ გუბერნატორს, ეტყობა, დაავიწყდა ეს ყველაფერი. მკითხველს გერმანიისა და იტალიის მაგალითი მინდა, გავახსენო. 1966 წელს გერმანიას მსოფლიო ჩემპიონობა ბაზრამოვმა დააკარგვინა, მაშინ უნდა მოეკლათ ის მსაჯი? 2002 წელს კორეასა და იაპონიაში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე იტალიის ნაკრებს 5 გოლი არ ჩაუთვალეს, აქედან ორი ეკვადორელმა ბაირონ მორენომ კორეასთან მატჩის დროს არ ჩათვალა და იტალიის ნაკრები გამოეთიშა მსოფლიო ჩემპიონატს. არ მგონია, რომ კირკიტაძე უფრო მეტად გამწარებულიყო, ვიდრე გერმანიის ან იტალიის გუნდების რომელიმე გულშემატკივარი ან ოფიციალური პირი, მითუმეტეს, დონესა და მასშტაბს თუ გავითვალისწინებთ.

როგორც გულშემატკივრები ჰყვებიან, ცემა-ტყეპის ამბავი ბოლნისში არ დასრულებულა. კირკიტაძე გასახდელთან ელოდებოდა მსაჯებს, მაგრამ რომ აღარ გასულან, „წაბრძანებულა ამალითურთ“. როგორც თვითმხილველი ამბობს, კირკიტაძე და მისი ძმაკაცები ფონიჭალის გადასახვევთან დახვედრიან მსაჯთა ბრიგადას და ბოლნისში დაწყებული საქმე იქ დაუსრულებიათ.

ამაზრზენი და გაუმართლებელია ის, რაც კირკიტაძემ ჩაიდინა. გვესმის, რომ გაბრაზდა, გაცოფდა... მაგრამ, როდესაც ხარ მთავრობის წევრი, სამხარეო გუბერნატორი და თავად უნდა იცავდე კანონს, ხულიგნობა შეუფერებელი საქციელია. წესით და რიგით, ნორმალურ ქვეყანაში, იქ, სადაც კანონს პატივს სცემენ, ყველას დაიჭერდნენ.

თუმცა ეს კირკიტაძის მხრიდან ძალადობის პირველი შემთხვევა როდია. გაგახსენებთ, კირკიტაძემ პარლამენტში დაცვის თანამშრომელს რომ სცემა, საქართველოს პრეზიდენტმა კი „კირკიტა“ გმირად შერაცხა და მადლობა საქვეყნოდ გადაუხადა. მაშინ „ნაციონალური მოძრაობის“ გენერალური მდივანი პარლამენტის წევრი იყო. მოგვიანებით პრეზიდენტმა კირკიტაძე ქვემო ქართლში გუბერნატორად გადაისროლა. როგორც ჩანს, კირკიტაძეს ისევ სურს, პრეზიდენტს თავი შეახსენოს და მან „გმირად“ კიდევ ერთხელ შერაცხოს.

ამ ამბიდან ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ მას ამჯერადაც ისევე შერჩა ყველაფერი, როგორც ადრე დაცვის წევრის ცემა. აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ამ დანაშაულებს კირკიტაძე საღ გონებაზე მყოფი ჩადის და, შესაბამისად, გაცნობიერებულიც აქვს საკუთარი საქციელი. როგორც წესი, დანაშაული ისჯება, ხოლო ერთი და იმავე დანაშაულის ჩადენა უკვე არის რეციდივი და უფრო მკაცრ სასჯელს ითვალისწინებს. ვინც მსაჯს სცემა, აუცილებლად უნდა დაისაჯოს და მიეცეს დისკვალიფიკაცია. ერთხელ, როცა რომის „რომას“ თავკაცი ფაბიო კაპელო მოედანზე შეიჭრა და კლუბის ფეხბურთელებთან ერთად მუშტიკრივი გააჩაღა, გარკვეული ვადით დისკვალიფიცირებულ იქნა და საკუთარი შეგირდების თამაშის ნახვა ტრიბუნიდანაც კი აეკრძალა. კირკიტაძე კი მომხდარის გამო მოსახსნელია, მაგრამ, სამწუხაროდ, საქართველოში ამის ილუზია ნამდვილად არ გვაქვს და, ვფიქრობთ, რომ ეს დანაშაული ისევე შერჩება ბატონ „კირკიტას“, როგორც სხვა დანარჩენი მასაც და ამ ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებს.

ჩვენი ვარაუდი გამართლდა — ამ ფაქტიდან რამდენიმე დღის შემდეგ პროფესიული ფეხბურთის ლიგაში იმსჯელეს და გადაწყვიტეს: „ოლიმპს“ ორმატჩიანი ცარიელი ტრიბუნა მიუსაჯეს და 5-ათასლარიანი ჯარიმა დააკისრეს. კირკიტაძეს კი ყველაფერი „ხახვივით შერჩა“.

კირკიტაძეს ბევრი უყვირია მსაჯებისთვის — ახალკაცი ხომ გავუშვი, თქვენც მოგივლით ახლაო; ასეთი ნაგვებით რომ იყო სავსე ფედერაცია, ამიტომაცაა ფეხბურთის საქმე კარგადო...

მე კი მგონია, ამ ქვეყანას კირკიტაძისნაირი დაუსჯელი ჩინოვნიკები რომ განაგებენ, იმიტომაც მიდის ჩვენი საქმე „კარგად“.

**მაგდა კლდიაშვილი**

---

◀ — ცარიელი სიტყვებია, მეორე შემთხვევაში — ადგილი, სადაც შეგიძლია სიტყვით გამოხვიდე და ილაპარაკო ყველაფერი, რაც შენი შერყეული ტახტის (თუ სავარძლის) ფეხებს იატაკს მიალურსმავს და ამით გაამყარებს.




მაგრამ მილურსმული სკამები გამომძიებლების სამუშაო ოთახებში რომ არის?

ეს ვის ახსოვს!

**როცა შენი ჯვარი და ეკლესია ნატოა და დაიწყევლები — ნატო აქაურობასო, ისიც უნდა გაარკვიო, პირჯვარი როგორ გადაიწერო — აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ, თუ პირუკუ; ჩრდილოეთის გავლით, თუ სამხრეთზე აქცენტირებულად — დაახლოებით იმ განედის გასწვრივ, ერაყი და ავღანეთი რომ მდებარეობს. იქნებ, პირდაპირ უნდა მოუვლინო მეხთატეხა ბალკანეთის ნახევარკუნძულს და, როგორც აფროდიტე ზღვის ქაფიდან, განადგურების ქაოსიდან და შავი კვამლიდან შვა კოსოვო, ვითარცა სიმბოლო სეპარატიზმის ზეობისა?**

NATO-ელი!

**„...ელოი, ელოი, ლამა საბაქთანი?“ რაც ნიშნავს: „ღმერთო ჩემო, რად მიმატოვე?“ (მარ. 15,34).**

**„ჯვარი აქაურობას, —** გვიხსნის ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, — **აქაურობა ჯვარმა დაიცვას ყოველივე სიავისაგან — უბედური შემთხვევის ან ავი სულის ხსენების დროს ჩაურთავენ“.**

ჩვენ ახლა ვის ვახსენებდით?..

**„მშვიდობით, NATO გეწეროს,**

**ეგეც სამარის კარია...“**

ამათ მასხარაობას რომ მივყვეთ, ვაჟა შეიძლება ასეც მოვთარგმნოთ და გავათანამედროვოთ, თორემ დარჩა ხევსურეთის პირველყოფილობაში, ვითარცა გარიყული ქართული სული, რომელიც NATO-ელთა სიცარიელის თავზე დაცურავს ბიბლიურ პირველსიტყვასავით. არც ***„ლაშარის NATO“*** იქნება დიდი შეცდომა და არც **„NATO პატიოსანი“** ჯვარი პატიოსანის ნაცვლად.

„ნატოს ცენტრის“ ენამოსწრებულებს კიდევ რომ ეფიქრათ, როგორც ერთმა ჩემმა კოლეგამ შენიშნა, შეჯვარებასაც გადააNATO-ებდნენ და სათანადო ილუსტრაციებით გამოაქვეყნებდნენ კიდეც.

ასკაცარ, ელი?

* * *

ორი სიტყვაც ხუმრობაგაშვებით.

**NATO-ს ასეთი უნიჭო „პიარშჩიკების“ ფონზე ეროვნული მოძრაობის გარიჟრაჟისდროინდელი მიამიტური, მაგრამ გულწრფელი მოწოდება ნატოს ჯარების საქართველოში შემოყვანის მოთხოვნით, რაც, ირაკლი წერეთლის აზრით, სახელმწიფო სუვერენიტეტს მოგვაპოვებინებდა, პოლიტიკური სიბრძნის ნიმუშად აღიქმება.**

სულ რამდენიმე წლის წინათ ჩვენი საზოგადოებრივი აზრი ნატოსთან ურთიერთობის გაღრმავებას საქართველოს საგარეო პოლიტიკის ორგანულ ნაწილად და პრიორიტეტულ მიმართულებად მიიჩნევდა. დომინირებდა საერთო სურვილიც, მოლოდინიც და კეთილგანწყობაც.

ნატოსთან ურთიერთობისადმი ორ ასეთ განსხვავებულ დამოკიდებულებას შორის იყო პერიოდი, რომელიც დიპლომატიისთვის დამახასიათებელი თავშეკავებულობით გამოირჩეოდა: ბუშის ადმინისტრაციის მოსვლამდე ვალდებულებების თოკით ნატოში შესასვლელად არც ამერიკა მიგვათრევდა ოლღა ბებიას ფაქიზოსავით, არც რუსეთს ჰყავდა სოლოვეი რაზბოინიკივით ჩასაფრებული თავისი ძალები ასეთი ჩანაფიქრის განხორციელებისთვის ხელის შესაშლელად.

**სხვის მონაყოლს არ გიმეორებთ. საშუალება მქონდა, პირადად მიმედევნებინა თვალი იმ კონფერენციებზე, შეხვედრებსა და სამიტებზე განვითარებული ურთიერთობებისთვის, სადაც საქართველოს იმდროინდელი პრეზიდენტის მონაწილეობით ეს პროცესები ყალიბდებოდა.**

იყო ასეთი სიტუაცია, მაგრამ ერთგულების, ქვეშევრდომული მორჩილების ჩვენეულმა დემონსტრაციამ, რაც სახელმწიფო პოლიტიკად ჩამოყალიბდა, თვით იდეის ლუსტრაციისკენ წაიყვანა საქმე და NATO-ელთა ჭეშმარიტი მიზნებიც გაცხადდა. ამას კი, დამემოწმებით, ფართო საზოგადოების მკვეთრი რეაქცია მოჰყვა, რომელსაც სიყვარულს ვერ დაარქმევ.

**ფრიად უარყოფითი როლი ითამაშა ჩრდილოატლანტიკური ალიანსის უმოქმედობამ აგვისტოს ომის დღეებში — ნატოს ავტორიტეტი სერიოზულად დაეცა და შეირყა.**

**მაგრამ ისიც ფაქტია, რომ, თუ ჩაერეოდა და შეიარაღებულ კონფლიქტში თავის სამხედრო პოტენციალს ჩართავდა, მესამე მსოფლიო ომი გარდუვალი იქნებოდა.**

**ღმერთმა დაგვიფარა ასეთი მეგობრისგან, რომელიც, თქვენც იცით, თავს არ იკლავს ალიანსში ჩვენი მიღებისათვის.**

ჯვარი აქაურობას!

**ლაშა გიორგაძე**

**P.S.** პრობლემის აქტუალობიდან გამომდინარე, „საქართველო და მსოფლიომ“ ინტერაქტიური გამოკითხვა ჩაატარა. მკითხველებს ვთხოვეთ, ეპასუხათ ერთადერთ შეკითხვაზე: **ეთანხმებით თუ არა საქართველოს ხელისუფლების საგარეო პოლიტიკას?**

პასუხები შემდეგნაირად განაწილდა:

**არ ვეთანხმები — 87,43 პროცენტი,**

**ვეთანხმები — 9,14 პროცენტი,**

**მიჭირს პასუხის გაცემა — 3,43 პროცენტი.**

ვისაც განსჯის უნარი აქვს, დაფიქრდეს!

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

## დემურ გიორხელიძე:

# ბიუჯეტში სერიოზული პრობლემებია, მთავრობა საშინაო ვალდებულებებს ვერ ისტუმრებს

**„სიღარიბის მაჩვენებელი 2010 წლის დასაწყისისთვის კიდევ უფრო გაუარესდება“, — აცხადებენ ცალკეული ექსპერტები. მათ ამ საგანგაშო განცხადების გაკეთების უფლებას აძლევს ქვეყანაში ბოლო დროს შექმნილი არასტაბილური ეკონომიკურ-პოლიტიკური მდგომარეობა. მიმდინარე წლის პირველ და მეორე კვარტალში უცხოური ინვესტიციების შემოდინება საგრძნობლად შემცირდა. ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, მეორე კვარტალში საქართველოში 92,172 მილიონი დოლარის ინვესტიციაა შემოსული, რაც გასული წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელზე თითქმის ნახევარი მილიარდით ნაკლებია. ყველაზე მსხვილი ინვესტორი 73 მილიონი დოლარით ამ დროისთვის არაბეთის გაერთიანებული საემიროებია, ყველაზე მეტი ინვესტიცია — 57 მილიონი დოლარის ოდენობით კი უძრავ ქონებაში ჩაიდო.**
**ეს მაჩვენებლები მოულოდნელი არაა ეკონომიკის ექსპერტ დემურ გიორხელიძისთვის, რომელმაც ჩვენთან საუბრისას აღნიშნა:**





— ამ მონაცემებს სერიოზული ობიექტური მიზეზები აქვს. პირველი — ევროპისა და აზიის წამყვანი ქვეყნების ეკონომიკაში ჯერ კიდევ დაუძლეველი კრიზისია, რის გამოც, ბუნებრივია, ქვეყნის გარეთ კომპანიების საინვესტიციო აქტივობა კლებულობს. მეორე — საქართველოში ჯერ კიდევ არასაკმარისია ის გარემო, რომელიც ქვეყანაში დიდ ინვესტორებს მოიზიდავს და დიდი პროექტების რეალიზაციისთვის სტიმულს მისცემს. ბოლო ორი წელია, საქართველოში არასტაბილური პოლიტიკური სიტუაციაა. 2007 წლის ნოემბრის მოვლენები, არჩევნებისშემდგომი პერიოდი, აპრილის მოვლენები, აგვისტოს ომი იმაზე მეტყველებს, რომ ქვეყანაში არ არსებობს კონსტიტუციური მექანიზმი, რომ პოლიტიკური უთანხმოებები კანონის ჩარჩოებში წყდებოდეს და არა ქუჩაში. ასეთი სიგნალები კი საქმიან ადამიანს ინვესტიციების განხორციელების დროს ყოველთვის აბრკოლებს. ნებისმიერ კერძო სტრუქტურას ჰყავს ანალიტიკური ჯგუფები, რომლებიც სწავლობენ იმ ქვეყანას, სადაც მათმა კომპანიამ უნდა განახორციელოს ინვესტიცია. ჯერჯერობით, როგორი რეიტინგიც უნდა მოგვანიჭოს მსოფლიო ბანკმა, საქართველო არ წარმოადგენს იმ კომპლექსური მოთხოვნების დამაკმაყოფილებელ ქვეყანას, სადაც შეიძლება კანონის ფარგლებში, ხელისუფლებისგან დამოუკიდებლად გრძელვადიანი საინვესტიციო პროექტების რეალიზაცია. აქ არის არა მაღალი, არამედ განუსაზღვრელი რისკები. არავინ იცის, რა მოხდება, როგორ გადაწყვეტილებას მიიღებს ხელისუფლება, როგორ შეიცვლება თავად ხელისუფლება და ა.შ. სწორედ ეს რისკებია ბიზნესისა და ეკონომიკის განვითარებისთვის ხელისშემშლელი ფაქტორები. ამიტომაც იყო ინვესტიციები 2009 წლის პირველ და მეორე კვარტალში დაბალი და არცაა მოსალოდნელი, წლის ბოლომდე ზრდა დაფიქსირდეს.

**— ბატონო დემურ, ხელისუფლება კი აცხადებს, რომ 2009 წლის IV კვარტალში სიტუაცია შეიცვლება და ზრდა დაფიქსირდება...**

— ვერ გეტყვით, რის იმედი აქვს ხელისუფლებას, შეიძლება ინვესტიციებში იმ 4,5 მილიარდ დოლარს თვლის, რომელიც მეგობარი ქვეყნების მიერ აგვისტოს ომის შედეგების ლიკვიდაციისთვის გამოეყო. არ მაქვს ინფორმაცია, რომელი ქვეყნის კერძო ფინანსური ინსტიტუტები ან სტრუქტურები აპირებენ საქართველოში ინვესტირებას. ნაკლებად მოსალოდნელია, დარჩენილ სამ თვეში რაიმე სერიოზული გარდატეხა მოხდეს. მით უმეტეს, ამის საშუალებას არ იძლევა იმავე წამყვან ქვეყნებში ჯერ კიდევ დაუძლეველი ეკონომიკური კრიზისი.

**— ეკონომიკის მინისტრი 2009 წლისთვის 2 მილიარდი დოლარის ინვესტიციას ელოდებოდა. 2008 წლის აგვისტოს მოვლენებიდან მალევე ჰქონდა მინისტრს ასეთი ოპტიმისტური გათვლები და საინტერესოა, — საიდან, რაც საბოლოო ჯამში არ გამართლდა კიდეც...**

— ცხადია, ხელისუფლება ოპტიმისტურ განცხადებებს უნდა აკეთებდეს, მაგრამ გაუგებარია, როგორი გათვლები ჰქონდათ და რომელი კერძო სტრუქტურების მონაცემებს ეყრდნობოდნენ.

**მიუღებელია, როდესაც ქვეყნის პირველი პირი კონკრეტულ მინისტრებს ან საელჩოებს ინვესტორების მოძიებას ავალებს. ეს არ არის მინისტრების ან ელჩების საქმე. ხელისუფლების მოვალეობაა კარგი საკანონმდებლო და ინსტიტუციური კონსტრუქციის აგება, სადაც თავისუფალი ეკონომიკური სუბიექტი კანონიერ, ლეგალურ საქმიანობას აწარმოებს და მას ქვეყანაში საკუთარი საქმიანობის გაფართოების შესაძლებლობა ექნება. სწორედ ეს უჩენს ინვესტორს პერსპექტივას.**

სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტები არ წარმოადგენს ეკონომიკურ ზრდას და, როცა არაფერი კეთდება კერძო სექტორისა და ბანკების სტიმულირებისთვის, ბიზნესის უდიდესი ნაწილი ჩერდება და სამუშაო ადგილები იკარგება.

**— სახაზინო ვალდებულებების გამოშვება არ არის საბანკო სექტორისთვის დამატებითი სტიმული?**

— ბანკისთვის ეს, გარკვეულწილად, გარანტირებული შემოსავლის მიღების საშუალებაა. ბანკი იმ თავისუფალი სახსრებით, რომელსაც კრიზისის გამო აღარ აბანდებს ეკონომიკის რეალურ სექტორში, ყიდულობს სახელმწიფო ფასიან ქაღალდებს და გარკვეული დროით იღებს მაღალ პროცენტს. დიახ, ეს ბანკისთვის შემოსავალია.

**— ბიუჯეტისთვის?**

— ბიუჯეტისთვის ეს ნიშნავს, რომ იქ არის გარკვეული პრობლემები და მიმდინარე ხარჯების დასაფინანსებლად მთავრობას არ ჰყოფნის ფული.

**მთავრობა იძულებულია, ისესხოს თანხა საშინაო ვალდებულებების გასასტუმრებლად. ზოგადად, ეს ცივილიზებული ხერხია, მაგრამ ბიუჯეტისთვის გაცილებით უკეთესი იქნებოდა, თუ ეს თანხები კერძო სექტორში წავიდოდა. კერძო სექტორის აქტიური საქმიანობით ბიუჯეტში გაცილებით მეტი თანხები შევა გადასახადების სახით, ვიდრე სახაზინო ვალდებულებებით დროებით შეუძლია მიიღოს მთავრობამ, თანაც სახაზინო ვალდებულებებს მომსახურება უნდა და ეს ხარჯი უფროა, ვიდრე შემოსავალი.**

**— ხელისუფლება აცხადებს, რომ ბიზნესის კეთებისთვის საუკეთესო საკანონმდებლო ბაზაა შექმნილი და მაგალითად მოჰყავს მსოფლიო ბანკის რეიტინგი. როგორ ფიქრობთ, ეს საკმარისია, ინვესტორები საქართველოში ფულის დაბანდებით დაინტერესდნენ?**

— მსხვილი ორგანიზაციის გაყიდვისას ჩვენ არ ვიცით მყიდველთა ვინაობა, მათი პირობები, რატომ არჩევენ, ხშირ შემთხვევაში, ცნობილი არ არის შედეგებიც. ეს კრიტერიუმები ყველა ცივილიზებული, განვითარებული ქვეყნისთვის საყოველთაოა. რაც შეეხება ბიზნესის წარმოების თვალსაზრისით მე-11 ადგილზე ყოფნას, ეს, ჩემი აზრით, მსოფლიო ბანკის მხრიდან საკმაოდ უპასუხისმგებლო რეიტინგია, რადგან მსოფლიოში ბიზნესის კეთების კუთხით პირველ და მეთერთმეტე ადგილს შორის რაიმე სხვაობას ვერ ვხედავ, თუმცა ყველაზე მნიშვნელოვანი ერთი თავისებურებაა, რომელსაც არავინ აქცევს ყურადღებას. შეიძლება არაბი შეიხისა და უცხოელისთვის საქართველოში კანონების დონეზე, მართლაც, საუკეთესო პირობებია, მაგრამ იმავეს ვერ ვიტყვით ქართველ ბიზნესმენზე. დიდი შეუსაბამობაა, როცა საქართველოს მოქალაქის ეკონომიკური აქტივობა შეზღუდული და შეფერხებულია, არაბი შეიხისთვის კი — ლაღი და თავისუფალი. ეს სამთავრობო-ეკონომიკური პროექტებისა და ბოლო წლების რეფორმების დიდი ნაკლია. **აქცენტი გაკეთებულია არა საკუთარი მოქალაქის ნიჭისა და უნარის განვითარებაზე, არამედ ვიღაც მდიდარ უცხოელ ბიძაზე, რომელმაც საქართველო უნდა „ააშენოს“. ასეთი რამ არსად მომხდარა და არც მოხდება. საქართველოს კი, თუ ამ გზით რამეს მიაღწევს, უკვე სახელად საქართველო აღარ ერქმევა.**

**— „სითი პარკი“ ებრაული კომპანიაა, მაგრამ ხელისუფლებამ მაინც შეუქმნა პრობლემები...**

— „სითი პარკის“ საქმიანობა ძალზე გამაღიზიანებელი იყო. არ შეიძლება მომსახურე კომპანია პირიქით ითხოვდეს მომსახურებას და ყველა საკუთარი კაპრიზის დაკმაყოფილებას, ამიტომ არ მგონია, „სითი პარკს“ რაიმე პრობლემა ჰქონდეს.

**— აღნიშნულ კომპანიასთან ხელშეკრულების გაფორმებისას ხელისუფლებას ხომ უნდა შეეთავაზებინა ისეთი პირობები, რაც ებრაული კომპანიისთვისაც და საქართველოს მოქალაქეებისთვისაც მისაღები იქნებოდა?**

— დასავლეთ ევროპის ქვეყნებში მსგავსი შემოსავლები, ძირითადად, ქალაქის ბიუჯეტში მიდის და ქალაქის ბიუჯეტის შევსების ერთ-ერთი წყაროა. რაკი მერიამ გაასხვისა ეს უფლება და მოგების დიდი ნაწილი დაუთმო კერძო სექტორს, ებრაული კომპანია გაცილებით ფრთხილად უნდა მოქცეულიყო.

მართალია, ქალაქში მანქანების პარკირების პრობლემაა, მაგრამ არ უნდა ისარგებლო ამით და სიღატაკის კატასტროფის წინაშე მდგარ ქვეყნის მოქალაქეს საათში 50 თეთრი არ უნდა მოსთხოვო. ეს გაუმართლებელია და ამ ფირმის დიდი შეცდომაა.

**— ბატონო დემურ, თქვენ არაბი შეიხები ახსენეთ... რა თვალსაზრისით არიან დღეს სწორედ არაბები ყველაზე მსხვილი ინვესტორები?**

— ხელისუფლებას არ დაუმალავს, რომ ისინი მის მიერ რეკომენდებული ბიზნესჯგუფები არიან. არაბებს ძალიან ბევრი ფული აქვთ, ისინი ყველგან ინვესტირებენ და რა გასაკვირია, რომ საქართველოშიც გამოთქვეს ფულის დაბანდების სურვილი, თუმცა 73 მილიონი, ინვესტიციის თვალსაზრისით, საკმაოდ მიზერული თანხაა, ზღვაში წვეთია.

**— ქვეყანას უდიდესი საგარეო ვალები აქვს, ბიუჯეტს უჭირს საშინაო ვალდებულებების გასტუმრება, რაზეც მიუთითებს სახაზინო ვალდებულებების გამოშვება. ხელისუფლების ოპტიმისტური განცხადებების მიუხედავად, ხომ არ გველოდება გაყინული ხელფასები და პენსიები?**

— კერძო სექტორის გაჩერებამ და სამუშაო ადგილების დაკარგვამ ქვეყნის მდგომარეობა კიდევ უფრო დაამძიმა. ელემენტარული რაციონალური გათვლებით, თუ ბიზნესი არ ამუშავდა და ბიუჯეტში შემოსავლები არ შევიდა, გაზრდილი საგარეო და საშინაო ვალების ფონზე, ბიუჯეტის საკმაოდ დიდი ნაწილი საგარეო ვალების მომსახურებაზე წავა და ახალი პრობლემები იჩენს თავს.

**— რა პრობლემებს გულისხმობთ?**

— ჩვენ საბაზრო ეკონომიკაზე დაფუძნებული დემოკრატიული საზოგადოება უნდა ავაშენოთ. საქართველოს ხელისუფლებამ თავის მოქალაქეებს ხელი უნდა შეუწყოს თავისუფალი, ლეგალური და კანონიერი შრომისთვის. ამას სჭირდება ინფრასტრუქტურა, ინსტიტუტები, სტიმულირება და რაკი ასე არ არის, ამიტომ კერძო სექტორი სულს ღაფავს, რამდენიმე პრივილეგიური ჯგუფის გარდა, რომელთაც ხელისუფლება ლობირებს. დღეს საქართველოს პირველი ტრაგედია და უბედურება სამუშაო ადგილების უქონლობაა. ხალხმა დაკარგა შემოსავლები, ხელისუფლებას კი არ შეუძლია მისი სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფა. ხელისუფლებას სოციალური პროგრამები პრაქტიკულად არ აქვს. ლიბერალურ პოლიტიკაზე ორიენტაცია არ ნიშნავს მრავალშვილიანი და შრომისრესურსამოწურული ადამიანებისადმი უყურადღებობას და იმის განცხადებას, რომ ეს პრობლემა ბაზარმა უნდა დაარეგულიროს. ლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკა არ ნიშნავს სოციალურ დარვინიზმს. ეს არის მთავრობის უდიდესი შეცდომა და ამიტომაცაა საქართველოში სოციალური ფონი უაღრესად დამძიმებული.

ესაუბრა
**ნათია ქადაგიშვილი**

**P.S. ექსპერტების აზრით, ხელისუფლებას უჭირს საშინაო ვალდებულებების გასტუმრება, ამიტომ იძულებულია, საერთაშორისო დახმარებები გამოიყენოს, რაც საჩუქარი კი არა, როგორც უმრავლესობა აპიარებდა, არამედ კრედიტია და ვალად ედება ქვეყანას. ამდენად, უახლოეს მომავალში სასიკეთო ცვლილებები არაა მოსალოდნელი და სიღარიბის მაჩვენებელი კიდევ უფრო გაუარესდება, რასაც, მნიშვნელოვანწილად, ხელს უწყობს დევნილების ჩამოსახლება, ბიზნესაქტივობის შემცირება და სამუშაო ადგილების დაკარგვა.**

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# გენებით მანიპულაცია, ანუ რა იმალება ლამაზი პროდუქტის მიღმა

**სურსათის უვნებლობა მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე პრობლემურ საკითხს წარმოადგენს. საქართველოს მოსახლეობას ნაკლებად აქვს ინფორმაცია, თუ რამდენად უვნებელ, ხარისხიან და ეკოლოგიურად სუფთა საკვებს მიირთმევს. არადა, დღეს მსოფლიოში სურსათს განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება; მით უფრო, რომ ბოლო წლებში გენმოდიფიცირებული (GMO) პროდუქციის მასშტაბები გაიზარდა. საზოგადოება GMO პროდუქციას შიშით უყურებს. უკვე არავინაა დარწმუნებული, რომ მის სუფრაზე გაშლილი სანოვაგე ეკოლოგიურად სუფთაა და გენური ინჟინერიის წყალობით არ არის მიღებული. როცა სიკვდილიანობის ერთ-ერთ მიზეზად გაუსაძლისი ცხოვრება სახელდება, საკვები პროდუქტების ხარისხზე ნაკლებად მახვილდება ყურადღება.**
**თუ რა მდგომარეობაა დღევანდელ სამომხმარებლო ბაზარზე, რამდენადაა დაცული მომხმარებლის უფლებები, რა კანონი მუშაობს ამ კუთხით, „საქართველო და მსოფლიო“ ესაუბრება GMO პროდუქტების ექსპერტს, ასოციაცია „ელკანას“ დირექტორს, ქალბატონ მარიამ ჟორჟაძეს.**



**— ქალბატონო მარიამ, როდის და როგორ წარმოიშვა GMO კულტურები და რას გვეტყვით მათი სახეობების შესახებ?**

— კომერციული მიზნით, GMO კულტურები პირველად 1996 წელს დაითესა. სხვათაშორის, საქართველოში GMO პროდუქცია ამ დროიდან შემოდის. GMO კულტურები გენური ინჟინერიის გზით მიიღება. გენური ინჟინერიის მეთოდებით შესაძლებელია თევზის გენის პომიდორში ჩანერგვა ან ღორის გენისა — კარტოფილში და ა.შ.

გენური ინჟინერიის ტექნოლოგიით დღეისათვის 4 ძირითადი კულტურა მიიღება: სოია, სიმინდი, ბამბა და თალგამის ნაირსახეობა — კანოლა. კვლევები, ასევე, მიმდინარეობს სხვადასხვა მარცვლეულ, პარკოსან და ბოსტნეულ კულტურებზეც; აგრეთვე, ხეხილზე, დეკორატიულ მცენარეებზე და ისეთ ხე-მცენარეებზეც კი, როგორიცაა: ფიჭვი, ალვის ხე, ევკალიპტი და სხვ. მსოფლიოში სულ 30-მდე მცენარის კომერციულ თესვაზეა ნებართვა გაცემული.

**გენური ინჟინერიის ტექნოლოგიას სრულად ფლობს რამდენიმე მულტინაციონალური კომპანია: მონსანტო, სინჯენტა, დუპონტი, ბასფი და ბაიერი. მათთვის GMO კულტურა იგივეა, რაც ნებისმიერი სხვა საქონელი. კომპანიებს ამ კულტურის წარმოებაში თანხები აქვთ ინვესტირებული. მათთვის ეს საქმიანობა ბიზნესია, საიდანაც უნდა მიიღონ მოგება.**

**ვნებს თუ არა ეს საზოგადოებას, მათ ინტერესებში არ შედის.**

**— რა არის გენმოდიფიცირებული პროდუქტი?**

— GMO პროდუქტები მრავალნაირია: გარკვეული ვაქცინები, საკვები, წამლები, საკვები დანამატები და მრავალი გადამუშავებული თუ დაკონსერვებული პროდუქტი. გენმოდიფიცირებულ სოიას თუ სიმინდის კომპონენტები შესაძლებელია ისეთ პროდუქტებში შეგვხვდეს, როგორიცაა: შოკოლადი, იოგურტი, ძეხვი და სხვ. ლუდის საწარმოებში, პურის საცხობებში, ძირითადად, GMO საფუარს იყენებენ. საქართველოშიც, ძირითადად, GMO ტექნოლოგიით დამზადებული ინსულინი შემოდის. ასეთი ინსულინი უფრო იაფია, ვიდრე ბუნებრივი გზით წარმოებული.



**გენური ინჟინერიის მეთოდებით, როგორც ზემოთ აღვნიშნე, შესაძლებელია თევზის გენის პომიდორში ჩანერგვა, ანუ ისეთი რამეების ჩადენა, რაც შეუძლებელია, ბუნებაში მოხდეს.**

**— განსხვავდება თუ არა GMO კულტურა კონვენციური კულტურისგან?**

— განსხვავდება. GMO კულტურა მიიღება ისეთი გზით, რომელიც ბუნებაში არ არსებობს. კონვენციური სელექციის დროს ჩვენ ვაჯვარებთ ახლო ნათესაურ სახეობებს. მაგალითად: ხორბლის ერთ სახეობას მეორესთან, პომიდორს პომიდორთან და ა.შ. გენური ინჟინერიის მეთოდებით, როგორც ზემოთ აღვნიშნე, შესაძლებელია თევზის გენის პომიდორში ჩანერგვა, ანუ ისეთი რამეების ჩადენა, რაც შეუძლებელია, ბუნებაში მოხდეს.

**— არის თუ არა GMO საკვები კონვენციურ საკვებზე უკეთესი?**

— კონვენციურ საკვებთან შედარებით, GMO საკვებ პროდუქტს არანაირი უპირატესობა არ აქვს. ის, კონვენციური კულტურით მოყვანილ პროდუქტთან შედარებით, არც გემრიელია და არც შესახედავად უკეთესი. ჩვეულებრივ, მისი მოყვანაც ძვირი ჯდება. ხელოვნური ტექნოლოგიების საპირისპიროდ დღეს უკვე სერიოზული ბიძგი მიეცა ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციას. მათზე მოთხოვნილებაც და ფასიც მსოფლიოში ყოველწლიურად იზრდება. GMO პროდუქტების გამოყენებამ შესაძლებელია, ადამიანის ჯანმრთელობა დააზიანოს და გარემოც დააბინძუროს.

**— რა საფრთხე შეიძლება დაემუქროს ადამიანის ჯანმრთელობას?**

— მეცნიერებმა ექსპერიმენტი მდედრ ვირთაგვებზე ჩაატარეს. მათ GMO სიმინდითა და სოიათი კვებავდნენ. ნაშიერები დღენაკლულნი იბადებოდნენ და ძალიან მალე იღუპებოდნენ. ამასთან, შვილები შთამომავლობას ვეღარ იძლეოდნენ. დასკვნების თანახმად, ეს საშიშროება ვრცელდება ადამიანებზეც, ანუ

**თუ ფეხმძიმე ქალბატონი გენური ინჟინერიით მოყვანილი საკვებით იკვებება, მის ნაყოფზე ეს მოვლენა მძიმედ აისახება.**

აგრეთვე, ექსპერტები ფიქრობენ, რომ გენური ინჟინერიიდან ბუნებრივ კულტურაში უცხო გენის გადატანის გამო, GMO მცენარემ შეიძლება თავის უჯრედში ახალი პროდუქტები გამოიმუშაოს და ეს ახალი პროდუქტები შეიძლება შხამიანი იყოს, გამოიწვიოს ალერგია, დააზიანოს ორგანიზმის ქსოვილები და დაარღვიოს იმუნური სისტემა.

**— როგორ უნდა ავარიდოთ თავი GMO საკვებს?**

— იმპორტირებული საკვები, რომელიც შეიცავს სოიას, სიმინდს, კარტოფილს ან პომიდორს, მოსალოდნელია, რომ GMO საკვები იყოს.

**— არსებობს თუ არა საშუალება, GMO პროდუქტებს შესამოწმებელი ანალიზები ჩაუტარდეს?**

— საქართველოში არ არსებობს აკრედიტებული ლაბორატორიები, სადაც შესაძლებელი იქნება GMO პროდუქტების შემოწმება. არც შესაბამისი კანონმდებლობა არსებობს. ანალიზების გაკეთება რომც გვინდოდეს, ვერ შევძლებთ, რადგან მათ პასუხებს იურიდიული ძალა არ ექნება. სახელმწიფო არ ზრუნავს ხალხზე, არ აწვდის სწორ ინფორმაციას, დარღვეულია მომხმარებლის ყველა კანონი. GMO პროდუქტები კანონით უნდა იქნეს კოდირებული. თუ მასში 0,9 პროცენტზე მეტი GMO ინგრედიენტია, მისი მარკირება სავალდებულოა, რათა მომხმარებელს არჩევანის საშუალება მიეცეს. საქართველოში ეს არ კონტროლდება, რამაც შეიძლება სავალალო მდგომარეობამდე მიგვიყვანოს.

**— შეიძლება თუ არა GMO კულტურის ისე თავისუფლად მოყვანა, როგორც სხვა კულტურებისა?**

— შეუძლებელია.

**გენმოდიფიცირებულ კულტურებთან მრავალი რისკი ასოცირდება. ისინი საფრთხეს უქმნის ბიომრავალფეროვნებას, სასარგებლო მწერებს და კულტურათა ველურ მონათესავე სახეობებს. სერიოზული საკითხია GMO საკვებით გამოწვეული რისკი ადამიანისა და ცხოველის ჯანმრთელობის მიმართ.**

მსოფლიოში გენური ინჟინერიის ტექნოლოგიის გამოყენება მხოლოდ კარგად კონტროლირებად პირობებში შეიძლება. GMO კულტურა უნდა დაექვემდებაროს სპეციფიკურ ტესტირებას. როდესაც ყველაფერი გაირკვევა, შეიძლება ნებართვის გაცემაც მის მოსაყვანად.

**საქართველოში ჯერ კიდევ შემორჩენილია უნიკალური სასოფლო-სამეურნეო ჯიშები. ყველამ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ მათ გადასარჩენად. ამით ჩვენს მომავალ თაობებსაც შევუნარჩუნებთ ჯანმრთელობას.**

**— გადაჭრის თუ არა GMO კულტურები შიმშილისა და სრულფასოვანი კვების პრობლემას?**

— ადამიანები იმიტომ შიმშილობენ, რომ მათ არ გააჩნიათ სახსრები საკვების საკმარისი რაოდენობით შეძენისათვის. არაგონივრულია, სრულფასოვანი კვების პრობლემის გადასაჭრელად ძალისხმევა ერთი კულტურის განვითარებისკენ მივმართოთ. მითუმეტეს, GMO კულტურები ჯერჯერობით არც მაღალი მოსავლიანობით გამოირჩევა და არც — განსაკუთრებული კვებითი ღირებულებებით.

**GMO სათესლე მასალა საკმაოდ ძვირია და ინდუსტრიული წარმოების (და არა ღარიბი ფერმერების) მოთხოვნილებებზეა გათვლილი.**

**— როგორ რეგულირდება ბიოუსაფრთხოების სფერო?**

— საერთაშორისო რეგულირება ბიოუსაფრთხოების სფეროში ემყარება ბიოუსაფრთხოების ოქმს. იგი, თავის მხრივ, ბიოლოგიური მრავალფეროვნების კონვენციას (ე.წ. რიოს დეკლარაციას) ეყრდნობა. ეს ოქმი ძალაში შევიდა 2003 წლის 11 სექტემბერს, რომელიც GMO ორგანიზმების გადაადგილებას ეხება, ტრანზიტს, მათზე მანიპულირებასა და გამოყენებას, რამაც მავნე გავლენა შეიძლება იქონიოს ბიოლოგიური მრავალფეროვნების კონსერვაციასა და გამოყენებაზე, აგრეთვე, ადამიანის ჯანმრთელობაზე. საქართველო 1997 წლიდან რიოს კონვენციის მომხრეა. ბიოუსაფრთხოების ოქმის რატიფიცირება პარლამენტმა 2008 წლის შემოდგომაზე მოახდინა, თუმცა კანონი GMO ორგანიზმების შესახებ და შესაბამისი მარეგულირებელი სისტემა ქვეყანას ჯერჯერობით არ აქვს.

ესაუბრა
**ნანა დიხამინჯია**



**გენური ინჟინერიის ტექნოლოგიით დღეისათვის 4 ძირითადი კულტურა მიიღება: სოია, სიმინდი, ბამბა და თალგამის ნაირსახეობა — კანოლა.**

**P.S. ალბათ, უახლოეს წლებში GMO პროდუქციის წარმოება მთელ მსოფლიოში კიდევ უფრო დიდ მასშტაბებს შეიძენს, თითოეული სახელმწიფოს პოლიტიკაზე ბევრი რამ იქნება დამოკიდებული, თუმცა ისიც ცხადია, რომ, როგორი რეგულაციებიც უნდა იქნეს მიღებული, GMO პროდუქტები მაინც აღმოჩნდება ბაზარზე. მთავარია, მათ შესაბამისი ნიშანი ჰქონდეს, რომ მომხმარებელმა იცოდეს, რას ყიდულობს.**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# ჩავიდა რუსთავში და ნახა აფხაზეთი!

**გახსოვთ, ალბათ, დიდი ილიას ნათქვამი ისტორიული ფრაზა: „ჩავედი სამეგრელოში და ვნახე საქართველო!“ რომლის პერიფრაზიც წინამდებარე წერილის სათაურად შევარჩიე. „მედიანიუსის“ ცნობით, აფხაზეთის ე.წ. ლეგიტიმური მთავრობის, ანუ აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გიორგი ბარამია რუსთავში საკვირაო სკოლას ეწვია და სკოლის ეზოში უგზოუკვლოდ (ალბათ, აფხაზეთში? — ავტ.) დაკარგულთა მემორიალი გვირგვინით შეუმკია! სკოლის კურსდამთავრებულებისთვის დიპლომებიც გადაუცია და სკოლის პედაგოგებისთვის „აფხაზური ენის საფუძვლიანი სწავლებისთვის“ მადლობა გადაუხდია!**



მოდი და ნუ გაგიჟდები სიხარულით. ამაზე თუ ამბობდა პოეტი: „ამას ნატრობდა ჩუმის ნატვრითა ქართველი!..“ ჰოდა, მოდი და ნუ დაუჯერებ ჩვენს პრეზიდენტს, ამას წინათ მცხეთაში ბეტონის ზელვის ფონზე (ეს მერამდენედ) სათავისოდ რომ მიმოიხილა ჰაიდი ტალიავინის დასკვნა, რომ დაახეთქა, არაფერიც არ დაგვიკარგავს და ვინც ამბობს ტერიტორიები დავკარგეთ, ტვინები აქვთ დაკარგულიო, თუ რაღაც ამის მსგავსი აზრადაკაზრა!

**აგერ გიორგი ბარამიას ტვინში ყველაფერი რიგზე აქვს და იპოვა რუსთავში აფხაზეთი. მეტი რა გზა ჰქონდა, როო? არ დავუფასეთ მიშიკოს, როცა კოდორის ხეობას ზემო აფხაზეთი დაარქვა, ანუ თოფის გაუსროლელად, უცებ რომ დაიბრუნა აფხაზეთის ზემოთა მხარე. იმდენი უძახეს ქვეყნის გამყიდველმა, უმადურმა ქართველებმა, რომ ბალაფშიც დაიჯერებს, დალის ხეობა აფხაზეთი ყოფილა და როცა მომენტს იშოვის, ამაყად მოფრიალე ხუთჯვრიან დროშას საკუთარით შეცვლისო, რომ, ენდე! შარშან, აგვისტოში, დრო იხელთა, იქაური ქართველები, ვაჟკაცი სვანები, რომლებიც მანამდე ნაცებმა წინდახედულად განაიარაღეს, თოფი არ გავარდნილა, ისე დაიფრინა!**

ჰოდა, ვიყოთ ახლა ასე — ვიაროთ რუსთავის „აფხაზურ“ სკოლებში, მარნეულის „აფხაზურ“ უნივერსიტეტში, საგარეჯოს „აფხაზურ“ თეატრში და ა.შ.

ჰო, ამ ყველაფერმა ცხონებული ჯაბა იოსელიანის ერთი ხუმრობა გამახსენა — როცა ძალიან შააღონეს აფხაზეთიდან ლტოლვილებმა, როდის დავბრუნდებით აფხაზეთშიო, ჯაბას უთქვამს, — დარგეთ ერთი-ორი პალმა მარნეულის ცენტრში და ეგეც — თქვენი აფხაზეთიო.

**როგორც იცით, იმ ბნელ დროს ყველაფერი დეფიციტი იყო, მათ შორის, ალბათ, პალმებიც. აბა, დღევანდელ, მიშას გენიით გასხივოსნებულ ქვეყანას კი არ ჰგავდა მაშინდელი საქართველო... ერთი-ორი პალმაც კი ვერ იშოვეს.**

აი, სულ ახლახან თბილისის აეროპორტში 700 ათასი დოლარის ღირებულების პალმებით გაძეძგილი თვითმფრინავი გვაჩვენეს, რომელიც მიშას მეგობარ (ასე თქვა ტელეწამყვანმა და რა ვქნა? — ავტ.) რომელიღაც არაბ შეიხს გამოუგზავნია (ახლაც იქირქილონ, მიშასთვის არავის უნდა ხელის ჩამორთმევაო, ენდე! — ავტ.) პირადად მიშასთვის ანაკლია და განმუხური მსოფლიოს ყველაზე მაგარი კურორტებიაო (გაგრის, ბიჭვინთისა და რიწის მახინჯი დედა ვატირე! — ავტ.), ხალხს რომ „აზოლებ“, ცოტათი მაინც რომ დაგიჯერონ, ჩემი გამოგზავნილი პალმებით მორთეო!

**ჰოდა, კარგი იქნება, თუ შეიხის პალმებიდან რამდენიმე ძირს აფხაზეთის ე. წ. ლეგიტიმური მთავრობის თავმჯდომარეს, ამხანაგ გიორგი ბარამიას გამოუყოფენ, რათა რამდენიმე ცალი რუსთავის აფხაზური სკოლის ეზოში დარგონ; დანარჩენი კი საქართველოს იმ რეგიონებსა თუ ქალაქებში გადაანაწილონ, სადაც კომპაქტურად ცხოვრობენ აფხაზეთიდან დევნილები.**

„პახოდუ“, რატომღაც ამ ბოლო დროს მივიწყებული კლიპი „გამარჯობა, აფხაზეთო შენი“ ამოიღონ ნაფტალინიდან და მეტი რაღა უნდათ დევნილებს? თვალები დახუჭონ და მერაბ სეფაშვილის ხმას მოუსმინონ: „მოდიხარ სოხუმში?“, თვალებს გაახელენ და შეიხის პალმებს დაინახავენ. მომავალში, იქნებ, მიშას მეგობარმა არაბმა მაგნოლიების ნერგებიც გაგვიჩალიჩოს და აფხაზეთის დაბრუნების ვირტუალური სურათი მაგნოლია-პალმების „რეალობით“ გამდიდრდება.

**ჰო, მართალია, ე. წ. სამხრეთ ოსეთის ე. წ. ლეგიტიმურმა მთავრობამ და მისმა დირექტორმა, ამხანაგმა სანაკოევმა რა დააშავა? რომელსაც, კაცმა არ იცის, სად და რისთვის დააპროწიალებენ, ბრიუსელი იქნება, ჟენევა-სტრასბურგი თუ, აგერ სულ ახლახან, გაერო. გაეროში, სადაც მაგის შემხედვარეს „შერეკილი“ ტრიფონიას ნათქვამი მახსენდებოდა: „ნეტა, ის შავი კაცი ვინ იყო, ჰა?“**

მაგას არ ჯობია, რომ, თუნდაც წეროვანის გეტოში, ერთ-ერთ საქათმეში ოსური სახაზიზგინე და ჰამაც ოსური ლუდსახდელი გავხსნათ? თანაც იმ ზუმბას ნაფტალინიანი კლიპის არ იყოს, „კოკოითი ფანდარასტიც“ გავიხსენოთ, დილა-საღამოს ვასმენინოთ სამაჩაბლოდან გამოქცეულებს და შარშანდელი აგვისტოს ტრაგიკულ შედეგებსაც ვირტუალურ-ხაზიზგინურად აღმოვფხვრით.

**თორემ ცოდოა მიშა, რაცხა 20% დაკარგა ტერიტორიებისა და რა მოხდა მერე, ყელში ხომ არ უნდა ამოვუყვანოთ? რაც შეეძლო, ხომ გააკეთა? მთავარია, ხომ პირველებმა „ვხიეთ“ რუსებს? მერე რა, რომ, კნიაზ ფანტიაშვილის არ იყოს, მოგვიბრუნდნენ და აი, ჯინჯილებითა, ჩინმენდლებითა ერთი დაშხოშიანად, მამაპაპურათა რო გვჟეჟეს!..“**

სამაგიეროდ, ოპოზიციის გულისგასახეთქად და ჯინაზე მაინც ჩვენ გავიმარჯვეთ! ჰოდა, ვიმღეროთ ახლა შეიხის პალმების ჩრდილში „გამარჯობა, აფხაზეთო შენი!“ და ვიყვიროთ წეროვანის ხაზიზგინების სურნელში „კოკოითი ფანდარასტ!“. ამასობაში 2013 წელიც მოვა, მიშას მეფედ თუ არა, პრემიერ-მინისტრად მაინც ვაკურთხებთ და სოფელიც აშენდება...

**დავით მხეიძე**

# ფოკაში დედათა მონასტრის წევრები ზამთარში ძველი ტანკით გადაადგილდებიან

**გაზაფხულზე, შემოდგომასა და ზამთარში გაყინული, ზაფხულში კი ადიდებული ფარავანი — ერთი პატარა სოფლის ორი დიდი უკიდურესობა; ორმეტრიან თოვლში უექიმოდ დარჩენილი სოფელი და გზის გახსნის იმედში გარდაცვლილი მოხუცი; სოფელი, სადაც ექიმი არ არის და სიცივეში გამომწვარი ნაკელით — წივით თბებიან; რით გადაადგილდებიან ზამთარში აქაურები და როგორ ცხოვრობს ჯავახეთის პატარა სოფლის 300-მდე სომხური ოჯახი? ახსოვს თუ არა ეს სოფელი ხელისუფლებას?**

ეს ფოკაა. აქ ცოტა ხანს თუ არის სიმწვანე და სითბო. ძირითად მეურნეობას მეთევზეობა, მეცხოველეობა და კარტოფილის მოყვანა შეადგენს.

დღეს ნაკლებად ახსოვთ, რომ ჯავახეთში ეს პატარა ადგილი საქართველოს ნაწილია. აქ ხალხმრავლობა მხოლოდ პირველ ივნისს, ნინოობასაა და იწყება მსვლელობა წმიდა ნინოს გზით სვეტიცხოვლამდე. სხვა დღეები ამ სოფელში ერთნაირია.

ერთადერთი, რაც ფოკაში ქართულია, არის საპატრიარქოს რეზიდენცია და დედათა და მამათა მოქმედი მონასტერი. დანარჩენი ყველაფერი სომხურია — ენა, ტრადიცია, სწავლება...

ფოკაშია ფარავნის ტბა, რომელიც ზაფხულობით ისე დიდდება, რომ ირგვლივ ყველაფერს ტბორავს. მოსახლეობას, ფაქტობრივად, წყალში უხდება ცხოვრება, თოვლი კი აქ შემოდგომის დადგომისთანავე მოდის და მხოლოდ მაისში დნება. სოფელში ფიქრობენ, რომ ისინი ხელისუფლებამ დაივიწყა.

ძნელი არ უნდა იყოს იმის წარმოდგენა, თუ რა დღეში იქნება ორმეტრიან თოვლში ჩაფლული სოფლის მოსახლეობა.

**25 წელია, ქართული ენის მასწავლებელი კლარა ფოცხვერაშვილი დედათა მონასტერში ცხოვრობს და იქიდან სკოლაში დადის.**

**ზამთრობით გატკეპნილი და გაყინული თოვლიანი ბილიკით მიდის სამსახურში, იცის, მარჯვედ უნდა იყოს, ბილიკიდან რომ არ გადავარდეს, რადგან ყოფილა შემთხვევები, როცა თოვლში ჩავარდნილან, ვეღარ ამოსულან და გაყინულან.**

აქ ზამთარში გადაადგილება თითქმის შეუძლებელია. სოფელში ხანდახან ერთი ძველი ტანკი მოდის და მონასტრის წევრები სოფლიდან სხვა დასახლებულ პუნქტამდე ან გაწმენდილ გზამდე გაჰყავს. ამ ტანკის არსებობა კარგახანს ბევრს არ სჯეროდა და ხუმრობაც ეგონა, ერთხელ ამის გამო კლარა ფოცხვერაშვილი გალანძღეს კიდეც.

**„ჩვენი მოსწავლეები ლიტერატურულ კონკურსში მონაწილეობდნენ და მე განათლების სამინისტროში უნდა ჩამეტანა მათი დაწერილი თემები, მაგრამ დიდთოვლობის და უგზოობის გამო სოფლიდან გამოსვლა ვერ მოვახერხე. ტანკიც არ მოსულა, რომ ახალქალაქამდე ან ნინოწმინდამდე მაინც გავყოლოდი. სამინისტროდან დამირეკეს, მკითხეს, რატომ არ ჩამოხვედითო, მეც ვუთხარი, ტანკი არ მოსულა-თქო; პასუხად კარგად გამომლანძღეს — ამხელა ქალი რას კადრულობთო! სანამ დედაო არ დავალაპარაკე, ტანკის ამბავი არ დაიჯერეს“.**

ერთმა ფოკელმა მოსწავლემ საკონკურსოდ დიდთოვლობასა და ფოკის ყველაზე დიდ პრობლემაზე ქართულად მოთხრობა დაწერა **„გზა“,** რომელშიც 11 წლის ბიჭუნა მარტოხელა ბებიასა და შვილიშვილზე გვიამბობს. ზამთრის სიცივემ და ასაკმა თავისი გააკეთა და ჯერ ბებია ჩავარდა ლოგინად, შემდეგ — შვილიშვილი. პატარა ბიჭს

**„საქართველო არის ესე“ ?**

**„ლურჯ მწვერვალებს ქარი რძისფერ ნისლში ხვევდა და, როდესაც ბარში ვარდნი ჰყვაოდნენ, თოვლი იდო ჯავახეთის მთათა ზედა და ტყეებში ქარიშხლები ბღაოდნენ“...**



ფილტვების ანთება აღმოაჩნდა. სოფელში ექიმი არ ჰყავდათ, რის გამოც მათი მდგომარეობა დამძიმდა. მოთხრობის პატარა ავტორი ჰყვება ბებიას განცდებზე, რომელიც ყოველდღე ეკითხებოდა მნახველ თანასოფლელებს, გზა როდის გაიხსნებაო, რომ შვილიშვილი გადაერჩინა.

**„ახლო მეზობელი შორეულ ნათესავზე უკეთესიაო, — წერს მოთხრობის ავტორი, — მეზობლები ზრუნავდნენ მათზე და მიჰქონდათ საჭმელი. ერთხელ დედამ საჭმელი გამატანა, ორივე საშინლად ახველებდა. ბებიამ მკითხა, გზა როდის გაიხსნებაო და მეც ვუთხარი, მამამ უყურა ტელევიზორში და თქვა, რომ სულ მალე გაიხსნება გზა და ექიმიც ჩამოვაო. დაიმედდნენ, მოხუცი ერთ შვილიშვილსაც ნატრობდა, რომელიც დიდ ქალაქს** (იგულისხმება ერევანი) **იყო და მის ჩამოსვლასაც ხელს თოვლი და უგზოობა უშლიდა. წამოვედი მათგან და მრცხვენოდა, რომ ტყუილი ვთქვი, თუმცა, ხომ გაგიგონიათ, „კარგი ტყუილი ცოდვა არ არისო“.**

**„სამი თვე ელოდებოდნენ გზის გახსნას და მასე ველოდებოდით მთელი სოფელი. მამამ ერთხელ მართლა თქვა, რომ ამ დღეებში გზა გაიხსნებაო, მეც გახარებული გავიქეცი მათთან, მოხუცი უკვე ძალიან ცუდად იყო, გაეხარდა და თქვა, იქნებ, ჩემი ბავშვი მაინც გადაარჩინონო.**

**მეორე დღეს ბებია გარდაიცვალა. ბებიის გარდაცვალების მეორე დღეს გზა გაიხსნა... ბავშვი სოფლიდან სასწრაფოდ წაიყვანეს და დიდ ქალაქში გადაარჩინეს“,** — ასე ამთავრებს პატარა მოსწავლე თავის მოთხრობას, სადაც მთელი სოფლის სიხარული და ტკივილი გზის გახსნაზე გადის.

**ამ ამბავს რომ მიყვებოდა ქალბატონი კლარა, ცოტათი შემრცხვა კიდეც, აქ ჩვენ ელექტროენერგია და ინტერნეტი რომ გვეთიშება, ლამის პანიკაში ვვარდებით. მათ კი მხოლოდ გზა და ექიმი სჭირდებათ ბედნიერებისთვის. ადგილი, საიდანაც წმიდა ნინო შემოვიდა საქართველოში, დღეს მოვლასა და ყურადღებას საჭიროებს, რათა ისედაც უქართველებოდ და მცირე მოსახლეობით დარჩენილი პატარა სოფელი მთლად არ დაიცალოს.**

**მაგდა კლდიაშვილი**

# რა უნდა გაითვალისწინოთ იპოთეკით დატვირთული ბინის აუქციონზე შეძენისას



**საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული აღსრულების ბიურომ უძრავი ქონების იძულებითი საჯარო აუქციონი დაიწყო. აუქციონზე გამოტანილია კერძო და საბანკო იპოთეკით დატვირთული ბინები. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 71-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, აუქციონზე გატანილი უძრავი ქონების საწყისი ფასი განისაზღვრება ექსპერტის მიერ დადგენილი საბაზრო ღირებულების 50%-ით. იმ შემთხვევაში, თუ პირველ აუქციონზე არ მოხდა ქონების რეალიზაცია, განმეორებით აუქციონზე საწყისი ფასი განისაზღვრება საბაზრო ღირებულების 25%-ით. აქედან გამომდინარე, ბინის შეძენით დაინტერესებული პირებისთვის ეს საკმაოდ ხელსაყრელია. მაგრამ აქ გასათვალისწინებელია ერთი დეტალი, რაზეც მყიდველმა ყურადღება უნდა გაამახვილოს. იძულებითი აუქციონის დროს ახალ მესაკუთრეზე გადადის ყველა ის ვალდებულება, რაც აქვს მოქმედ მესაკუთრეს, ანუ ახალმა მფლობელმა უნდა უზრუნველყოს კრედიტორის სასარგებლოდ იპოთეკით ნაკისრი ვალდებულებები. „საქართველო და მსოფლიო“ აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის მოადგილეს, ლაშა მაღრაძეს ესაუბრა:**

**— ბატონო ლაშა, დაინტერესებულ პირებს სად შეუძლიათ აუქციონზე გამოტანილი ბინების შესახებ ინფორმაციის მიღება?**

— აუქციონები ყოველთვის ტარდებოდა, უბრალოდ, საზოგადოება ნაკლებად იყო ინფორმირებული ამის შესახებ. დაინტერესებული პირებისთვის დღეს ეს ინფორმაცია უფრო ხელმისაწვდომი გახდა ჩვენი ვებგვერდის საშუალებით, სადაც ინტენსიურად თავსდება ინფორმაცია აუქციონის შესახებ. აუქციონამდე აღმასრულებელი ინფორმაციას აქვეყნებს ვებგვერდზე, სასამართლო დაფაზე, სააღსრულებლო დაფაზე რეგიონულ სასამართლოში, რეგიონულ აღსრულების ბიუროში და გაზეთში „სიტყვა და საქმე“. რაიონებში კი განცხადება ქვეყნდება ადგილობრივ გაზეთშიც. ამის შემდეგ დაინტერესებულმა მოქალაქემ უნდა მიაკითხოს აღმასრულებელს და მისთვის საჭირო ინფორმაციას კონკრეტული ქონების შესახებ მისგან მიიღებს.

**— სააღსრულებო ბიურო მოქმედებას იწყებს სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ. რა კატეგორიის ბინებია წარმოდგენილი თქვენს აუქციონზე?**

— სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე გაიცემა სააღსრულებო ფურცელი. ამის შემდეგ კრედიტორი მიმართავს აღმასრულებელს. 2009 წლის პირველ ივლისს შესული ცვლილებით კრედიტორს შეუძლია, მიმართოს როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო აღმასრულებელს. უმეტეს შემთხვევაში კრედიტორად გვევლინება საბანკო სექტორი, თუმცა არიან ფიზიკური პირებიც, რომლებსაც აქვთ გარიგება მოვალესთან და მოვალეს იპოთეკით აქვს დატვირთული საცხოვრებელი ბინა.

**— რა პრინციპით ტარდება აუქციონი?**

— აუქციონი საჯაროა და მონაწილეობა შეუძლია ყველას, კრედიტორის მომართვის შემდეგ. აღმასრულებელი საჯარო რეესტრიდან და შსს საინფორმაციო სამსახურიდან მოვალის ქონების შესახებ ინფორმაციას მოიძიებს. თუ მოვალის სახელზე აღმოჩნდა უძრავი ქონება, აღმასრულებელი აყადაღებს ქონებას. შემდეგ ხდება ქონების შეფასება იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტების მიერ და ამის შემდეგ ბინა სარეალიზაციოდ აუქციონზე გადის. პირველ აუქციონზე საწყისი ფასი ექსპერტის მიერ დადგენილი საბაზრო ღირებულების 50%-ია. თუ პირველ აუქციონზე ქონების რეალიზაცია არ მოხდა, მაშინ 15 დღის შემდეგ უნდა ჩატარდეს განმეორებითი აუქციონი. ამ თხუთმეტი დღის განმავლობაში ქონება, ე. წ. თავისუფალი გაყიდვის რეჟიმში გადადის, ანუ ამ პერიოდში ნებისმიერ მსურველს შეუძლია, მოგვმართოს და აუქციონში მონაწილეობის გარეშე შეიძინოს ბინა იმ ფასად, რაც დადგენილი იქნა საწყის ეტაპზე. განმეორებით აუქციონზე საწყისი ფასი განისაზღვრება საბაზრო ღირებულების 25%-ით. თუ ამ ეტაპზეც არ მოხდა რეალიზაცია, მაშინ აღმასრულებელი კრედიტორს სთავაზობს, რომ ქონება მიიღოს ნატურით. მას გადაწყვეტილების მიღებისთვის ეძლევა 15 დღის ვადა. ამ დროში ბინა ისევ თავისუფალი გაყიდვის რეჟიმშია და ამ ეტაპზეც მსურველს შეუძლია აუქციონის გარეშე ბინის შეძენა, 25% საფასურად. ხშირ შემთხვევაში კრედიტორისთვის უკეთესია, რომ მოხდეს ბინის რეალიზაცია და აიღოს თანხა, რადგან შემდგომში არ მოუხდეს ბინის რეალიზაციაზე ზრუნვა. თუ კრედიტორი უარს იტყვის, მაშინ ის კარგავს ამ ქონებაზე მოთხოვნის უფლებას.

**— აუქციონში მონაწილეობის მსურველებმა რა პროცედურები უნდა გაიარონ?**

— აუქციონში მონაწილეობის მსურველმა აუქციონის დაწყებამდე სააღსრულებო ბიუროს სადეპოზიტო ანგარიშზე უნდა შეიტანოს სარეალიზაციო ქონების გამოცხადებული საწყისი ფასის ერთი მეათედი, კონკრეტული აუქციონის მითითებით ან წარმოადგინოს ამავე ოდენობის საბანკო გარანტია. საჯარო აუქციონის მონაწილეებს, გარდა ქონების (ამ შემთხვევაში ბინის) შემძენისა, აუქციონის დასრულებისთანავე უკან დაუბრუნდებათ ბიუროს ანგარიშზე შემოტანილი თანხა ან საბანკო გარანტია.

ქონების შემძენმა შემოთავაზებული თანხა სააღსრულებო ბიუროს ანგარიშზე შვიდი დღის ვადაში სრულად უნდა შეიტანოს. წინააღმდეგ შემთხვევაში უკან არ უბრუნდება და, ფაქტობრივად, კარგავს საბანკო გარანტიით ან დეპოზიტზე შეტანილ თანხას. აუქციონის შედეგი ბათილდება და ინიშნება განმეორებითი აუქციონი.

**— როდესაც აუქციონის შემდეგ უძრავი ქონება გადადის ახალი მფლობელის საკუთრებაში, რა ვალდებულებები ეკისრება მას?**

— აღმასრულებელი აუცილებლად აფრთხილებს აუქციონში მონაწილე პირებს, რომ ეს ქონება დატვირთულია გარდამავალი იპოთეკით, ანუ არსებობს რამდენიმე კრედიტორი. ქონების შეძენის შემთხვევაში, ახალ მესაკუთრეზე გადადის ეს გარდამავალი უფლებები. მან უნდა გაისტუმროს შემდგომი რიგის კრედიტორები. აღმასრულებელთანვე შეუძლიათ დააზუსტონ, თუ რა რაოდენობის თანხის გადახდა მოუწევთ კრედიტორების სასარგებლოდ. ამ თანხის გასტუმრება კი, უკვე ჩვენგან დამოუკიდებლად, შემძენსა და გარდამავალი უფლების მქონე კრედიტორის შეთანხმებით უნდა მოხდეს.

**— ახალ მესაკუთრეზე ბინის გადაფორმებას ვინ უზრუნველყოფს?**

— აუქციონის შემდეგ აღმასრულებელი გამოსცემს განკარგულებას, რომლის საფუძველზეც შემძენი საჯარო რეესტრში თავის სახელზე არეგისტრირებს ქონებას.

**— როდესაც ბინა გადის აუქციონზე, ის გამოთავისუფლებულია მცხოვრებთაგან? შემძენს რამე პრობლემა ხომ არ შეექმნება იმ მესაკუთრისგან, ვისი ბინის რეალიზაციაც მოხდა?**

— არის შემთხვევები, როდესაც ბინაში არავინ ცხოვრობს და არის შემთხვევები, როდესაც ბინაში ცხოვრობენ მესაკუთრეები. ასეთ დროს შემძენმა უნდა მიმართოს სასამართლოს, რათა გამოიწეროს სააღსრულებო ფურცელი გამოსახლების შესახებ. ხშირად ეს, რა თქმა უნდა, პრობლემებს იწვევს მესაკუთრესა და შემძენს შორის. აქედან გამომდინარე, ჩვენი ინიციატივით სულ მალე მომზადდება კანონპროექტი, რომელიც ამ პრობლემას დაარეგულირებს, ანუ გვექნება საშუალება, რომ ბინა შემძენს უკვე გამოთავისუფლებული გადავცეთ. ამ პრობლემას ამ ეტაპზე არეგულირებს არა სააღსრულებო კანონი, არამედ სამოქალაქო საპროცესო კოდექსი და შსს მინისტრის ბრძანება.

**შემძენმა, როდესაც დაარეგისტრირებს ბინას საკუთარ სახელზე, თუ ბინაში დახვდება სხვა მცხოვრები, უნდა მიმართოს პოლიციის შესაბამის ტერიტორიულ ორგანოს; წარადგინოს საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი და საპატრულო პოლიცია მოახდენს გამოსახლებას.**

**— დაინტერესებულ პიროვნებას შეუძლია, ნახოს და დაათვალიეროს ბინა, რომლის შეძენასაც აპირებს?**

— ადგილზე ბინის ნახვა არ ხდება. ვებგვერდზე განთავსებულია სურათები და შესაძლებელია იმის გარკვევა, თუ რა მდგომარეობაშია ბინა.

**— გარდა ბინის საფასურისა, კიდევ რა თანხის გადახდა უწევს ქონების შემძენს?**

— აღსრულების საფასურის გადახდა საბოლოოდ მევალეს. ბინის რეალიზაციის შემდეგ, კრედიტორის მოთხოვნასთან ერთად, ანაზღაურდება აღსრულების საფასური. აქედან გამომდინარე, ქონების შემძენს არანაირი გადასახადი არ ეკისრება.

**ნანა ლაღაძიშვილი**

**იძულებითი აუქციონის დროს ახალ მესაკუთრეზე გადადის ყველა ის ვალდებულება, რაც აქვს მოქმედ მესაკუთრეს**

# აშშ-ში გაკოტრებული ბანკების რაოდენობამ 100 მიაღწია



**3 ოქტომბერს ამერიკაში კიდევ სამი ბანკი დაიხურა. როგორც დეპოზიტების დაზღვევის ფედერალური კორპორაცია „FDIC“ აღნიშნავს, წლის დასაწყისიდან გაუქმებული საკრედიტო-ფინანსური ორგანიზაციების რაოდენობა 98-მდე გაიზარდა.**

ფინანსური კრიზისის დასაწყისიდან შარშან, მთელი წლის განმავლობაში, აშშ-ში სულ 25 ბანკი გაკოტრდა, რაც წლევანდელ მაჩვენებელზე 4-ჯერ ნაკლებია.

ამჯერად კრიზისს მიჩიგანის, მინესოტასა და კოლორადოს რეგიონალური ბანკები შეეწირა. წლის დასაწყისიდან ამ დრომდე გაკოტრებული ამერიკული ბანკების საერთო სადაზღვევო თანხამ 20 მილიარდ დოლარს გადააჭარბა. შარშანდელი ანალოგიური მაჩვენებელი 17,6 მილიარდი დოლარი იყო.

რეგულატორის პრობლემურ სიაში ამჟამად 400-მდე ამერიკული ბანკია, რომელთა აქტივების საერთო ღირებულება 300 მილიონ დოლარს აღწევს. ეს უკანასკნელი 15 წლის მანძილზე ყველაზე ცუდი მაჩვენებელია.

ანალიტიკოსები თვლიან, რომ „დიდ რეცესიას“ ასეულობით ამერიკული ბანკი ვერ გადაიტანს. ფინანსური კრიზისის ფონზე ბანკების დახურვამ საქმე იქამდე მიიყვანა, რომ აშშ ბიუჯეტს უახლოესი ხუთი წლის განმავლობაში დაზღვევის სახით 70 მილიარდი დოლარის გადახდა მოუწევს.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

არნო ხიდირბეგიშვილი:

# მისტერ ბუშმისტერ, ანუ რა საერთო აქვთ ჯორჯ ბუშსა და ბუბა კიკაბიძეს

„თქვენ ამერიკა სამოთხე და მშვიდი ნავსაყუდელი გეგონათ, სადაც ნებივრობა შეგეძლოთ! ახლა კი ჩემთან მოდიხართ და გათელილი სამართლიანობის აღდგენას მთხოვთ“.
დონ კორლეონე (მარიო პიუზო, „ნათლიმამა“)

ძვირფასო მკითხველებო! ამ პუბლიკაციის სათაურის წაკითხვისას, ალბათ, ბავშვობიდან ცნობილი სტრიქონები გაგახსენდათ: «Мистер Твистер, Бывший министр».

მაგრამ ახლა საუბარი **„ბივში“ პრეზიდენტს, მისტერ ბუშს** ეხება, რომელსაც **ბუშმისტერი** შევარქვი: **ჯორჯს** ხომ **ჯორჯია** ისე „შეუყვარდა,“ რომ მისი არმია ნახევრად ავტომატური და ნახევრად პლასტმასის შაშხანებით — **ბუშმასტერით** აღჭურვა («BUSHMASTER» ინგლ. — ცეცხლოვანი გველი), **რომლებიც გათვალისწინებულია სანადიროდ, მოქალაქეების, განვითარებული ქვეყნების პოლიციისთვის და არამც და არამც — არმიისთვის!**

თუმცა აშშ ყოფილი პრეზიდენტის გვარს სხვა ასოციაციების გამოწვევაც შეუძლია, რადგან სიტყვა **„ბუში“ (BUSH)** ინგლისურად **ბუჩქს, თმის ბულულს, ბოქვენის თმას, მელიის კუდს, ვაზნას და ღვინის მაღაზიას** ნიშნავს: გაიხსენეთ, ყოფილი **ალკოჰოლიკის** (მისივე აღიარებით, სმას თავი დაანება 1986 წლის 28 ივლისს) — **ბუშმისტერის** დაპირებული **სამხედრო დახმარება** ცარიელი **„ვაზნა“** აღმოჩნდა — შარშან აგვისტოში **„მელიის კუდი“** მოიქნია, **„ბუჩქებში“** შეძვრა და გამომშვიდობებისას მხოლოდ **„ქარტია“** დაგვიტოვა ორ **„ლეღვის ფურცელზე“** რითაც არათუ საქართველოს ვერ დაიფარავ, არამედ ზოგიერთ ჩვენს მინისტრსაც ვერ ააფარებ შემოსავლისა და უტიფარი ტყუილისგან გასიებულ სიფათზე.

ქართულად კი **„ბუში“ ნაბიჭვარს, უკანონო ვაჟს ან ქალიშვილს ნიშნავს:** როგორც **ბუშის** ყოფილი სპიჩრაიტერი **მეთ ლატიმერი** მოწმობს თავის წიგნში ***„სიტყვა მინუს: ამბავი თეთრი სახლის უკანასკნელი გმირისა“,*** აშშ 43-ე პრეზიდენტმა **ბარაკ ობამას *„პოლიტიკაში გაუთვითცნობიერებელი ბრიყვი კატა“*** უწოდა, ხოლო **ჰილარი კლინტონს** — ***„მსუქანი უკანალი“***... (?!) ისმის კითხვა: **განა ოჯახში და მშობლების მიერ აღზრდილი კაცი ზურგს უკან ასე გააქილიკებს თავის კოლეგებს, მეტადრე — სენატორებს, პრეზიდენტობის კანდიდატებს, რომელთაგან ერთი, სხვას რომ თავი დავანებოთ, მანდილოსანი და მისი წინამორბედის** (აშშ 42-ე პრეზიდენტის — კლინტონის) **მეუღლეა?!**

სამწუხაროდ, ომის გაჩაღების ოსტატის — **ბუშმისტერის** წასვლის შემდეგაც მის მიერ დაწყებული **მისტერია** დღემდე გრძელდება: **ბუშმასტერმა,** უფრო სწორად, **ცეცხლოვანმა გველმა** ხომ მთელი ახლო აღმოსავლეთი დაგესლა (ერაყი, ავღანეთი, პაკისტანი და მალე ირანსაც მიადგება!), აშშ ამჟამინდელი პრეზიდენტი კი, რუსეთის ხელმძღვანელობასთან ერთად, ამ „ხანძრის“ ჩაქრობას ლამობს — ასეთია **ბუშისეული** მემკვიდრეობა...

ყველაზე გასაკვირი კი ისაა, რომ **ბუშმისტერი** სიცოცხლის მანძილზე ორდენით **მხოლოდ ორჯერ** დააჯილდოვეს, **და იცით, ვინ?** 9 წლის განმავლობაში ომის ცეცხლში გახვეულმა, მაგრამ **ბუშის** მიერ დაუმარცხებელმა **ავღანეთმა თავისი უმაღლესი ჯილდოთი: ჰაზი ამანულ-ხანის სახელობის მედლით „ავღანელი ხალხის დახმარების, მხარში დგომისა და სამსახურის გამო“** (?!) და 2008 წლის აგვისტოში დაპირებული დახმარების გარეშე დარჩენილმა (და ამის გამო თავისი ტერიტორიის 20-პროცენტდაკარგულმა!) საქართველომ, **ასევე, თავისი უმაღლესი ჯილდოთი: წმიდა გიორგის სახელობის გამარჯვების ორდენით „საქართველოსა და მთელ მსოფლიოში დემოკრატიის განმტკიცების საქმეში შეტანილი წვლილისთვის“** (?!).

მართალია, 2005 წლის 10 მაისს თბილისში, თავისუფლების მოედანზე, **ვლადიმერ არუთინიანმაც** მოისურვა **ბუშმისტერის** დაჯილდოება **Ф-1 ყუმბარით,** მაგრამ მისი „საჩუქარი“ არ მიიღეს, თავად **ვოვიკას** კი „ვირის აბანოში“ უკრეს თავი...

უფრო მეტიც, საქართველოში (საცივისა და ხინკლის ქვეყანაში) მთელი მოსახლეობა 8000 კმ-ით დაშორებული ამერიკიდან ჩამოტანილი **„ბუშის ბარკლებზე“** გადავიდა, ხოლო თავად **ბუშის, რომლის სახელიც დედაქალაქის ერთ-ერთ ქუჩას ეწოდა, თეძოების რხევა** ლამისაა ქართული ცეკვების ანთოლოგიაში შეიტანონ! **ი.ბ.სტალინის** ერთადერთ ძეგლს კი გორში საღებავებით თხუპნიან და აღებას უპირებენ...

ფუჭი გარჯაა! ხალხი (ქართველიცა და ამერიკელიც) მომავალში უეჭველად სათანადოდ შეაფასებს თავის მმართველს, რადგან ვერსად წაუვა ისტორიულ ფაქტებს:

— რომ **სტალინმა** ორი წყვილი საცვალი, წყვილი ჩექმა, რამდენიმე კიტელი, 4 რუბლი და 40 კაპიკი და **გიგანტური იმპერია დატოვა, სადაც შიდა საზღვრების შეცვლა და ტერიტორიის დაკარგვა სავსებით გამორიცხული იყო;**

— რომ აშშ პრეზიდენტმა **ბილ კლინტონმა** პრეზიდენტ **ჯორჯ ბუშს** დაუტოვა ამერიკა **130 მილიარდდოლარიანი პროფიციტით,** მან კი, თავის მხრივ, მემკვიდრეს — პრეზიდენტ **ბარაკ ობამას 150 მილიარდიანი დეფიციტის** მქონე ამერიკა გადაულოცა!

აი, ასეთი **ნაბუშარი** ამბავია...

რატომ გავამახვილე ამაზე ყურადღება?

ჯერ ერთი, იმიტომ, რომ, როგორც ზემოთაც აღვნიშნე, ამ **ბუშისტის** კვალი დღემდე შემორჩა: **გრძელდება მის მიერ ინიცირებული ომები და მსოფლიო კრიზისი (რისგანაც მთელი მსოფლიო და, განსაკუთრებით, ამერიკელი ხალხი იტანჯება!), ხოლო საქართველოს ხელისუფლება, ნაცვლად იმისა, რომ ამერიკა-რუსეთის „გადატვირთვა“ გამოიყენოს და თავადაც დაიწყოს რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობის მოგვარება, ამერიკის მსგავსად (მადლობა ღმერთს, საამისო ნიადაგიც ნოყიერი აქვს!), ინერციით ბრმად განაგრძობს ბუშის ადმინისტრაციის რუსოფობიულ კურსს,** რომელიც, პოლიტოლოგ **ა. ჭაჭიას** გონებამახვილური შენიშვნით, **„უფსკრულში ჩაჩეხილსა და იქ კიდევ ორმოს მთხრელს გვაგონებს“!**

მეორეც, იმიტომ, რომ წინა კვირას (მიმდინარე წლის 30 სექტემბერს) ევროკავშირის ეგიდით მოქმედმა, სამხრეთ კავკასიაში კონფლიქტის გარემოებათა შემსწავლელმა საერთაშორისო კომისიამ, შვეიცარიელი დიპლომატ **ჰაიდი ტალიავინის** ხელმძღვანელობით, გამოაქვეყნა მოხსენება, **სადაც ერთმნიშვნელოვნადაა ნათქვამი, რომ 2008 წლის აგვისტოში ომი საქართველომ დაიწყო:** ***„ფართომასშტაბიანი სამხედრო კონფლიქტი 7-დან 8 აგვისტოს ღამით საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა ცხინვალის დაბომბვით დაიწყო „გრადის“ ტიპის საარტილერიო სისტემის გამოყენებით... იყო თუ არა ძალის ამგვარი გამოყენება საჭირო საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით? არა“.*** კომისია აღნიშნავს, რომ ეს არ მიიჩნევა ***„აუცილებელ და პროპორციულ ქმედებებად“,*** რადგან იურიდიულად სავალდებულო საერთაშორისო დოკუმენტების მიხედვით, საქართველოს **ძალის გამოუყენებლობა** დაეკისრა.

**რუსეთი** კი, კომისიის აზრით, პასუხისმგებელია **კონფლიქტის ესკალაციასა და საერთაშორისო სამართლის დარღვევაზე:** ***„რუსეთის სამხედრო მოქმედებათა მნიშვნელოვანი ნაწილი თავდაცვის გონივრულ საზღვრებს გასცდა და ვერ განიხი-***










გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

*ლება რუსი მშვიდობისმყოფლების მიმართ მუქარის თანაბარზომიერ მოქმედებად. სამხრეთ ოსეთში ნამდვილად ჰქონდა ადგილი ეთნიკური ქართველების ეთნიკურ წმენდას, თუმცა ვერ დადგინდა, იყო თუ არა ეს მოქმედებები კოორდინირებული და არსებობდა თუ არა ბრძანება ამის თაობაზე... სავარაუდოდ, ეთნოწმენდა ჩრდილოკავკასიური ფორმირებების მიერ ხორციელდებოდა. ამ ფაქტში რუსული არმიის უშუალო მონაწილეობა დამტკიცებული არ არის“.* მოხსენებაში ასევე აღნიშნულია, რომ რუსეთმა დაარღვია **ბაეროს** წესდება, როცა მან და მისმა აფხაზმა მოკავშირეებმა იერიში მიიტანეს **ზემო კოდორის** ხეობაზე და რომ მესამე მხარის მიერ სეპარატისტული **აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარება,** ასევე, იქ **რუსული პასპორტების *„მასობრივი გაცემა“*** ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართალს.

ახლა ვნახოთ, ჯერ ა.წ. 7 აგვისტოს რა განაცხადა ამის თაობაზე პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა **ალექსანდრე ჭაჭიამ** თავის პრესკონფერენციაზე **„Аргументы и факты“**-ში: *„ამბობენ, რომ რუსეთი არ უნდა ჩარეულიყო ოსეთის კონფლიქტში და ასე შემდეგ. წარმოვიდგინოთ, რომ არ ჩაერია. მოხდებოდა ელემენტარული რამ: მთელი კავკასია პარტიზანულ ომს გამოუცხადებდა საქართველოს, შეიქმნებოდა მოხალისეთა რაზმები და ყველა კავკასიელ ხალხთა წარმომადგენლები ამ სასაკლაოში ოსეთის მხარეს დაიჭერდნენ. და ეს, არსებითად, უმართავი პროცესი დიდი კავკასიური ომის დასაწყისი იქნებოდა! შემდეგ რაღაც მომენტში ეს გამოიწვევდა დიდი სახელმწიფოების ჩართვას ამ პროცესში, მერე კი — სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკებსაც! აი, როგორ გაგრძელდებოდა ეს კონფლიქტი“.*

რაც შეეხება რუსული პასპორტების გაცემას — **თუ მეხსიერება არ მღალატობს, არც ისე დიდი ხნის წინათ რუსეთის მოქალაქეობის მისაღებად რუსეთის საელჩოს წინ თბილისში (და არა ცხინვალსა და სოხუმში!) უზარმაზარი რიგი იდგა** (გარშემო კი თაღლითები დაძრწოდნენ, რომლებიც პასპორტებში, როგორც შემდეგ გაირკვა, „ლევ“ ბეჭედს არტყამდნენ 500-600 დოლარად)! **ვფიქრობ, დღეს რომ რუსეთმა ამის ნება მისცეს, რიგი თბილისში (და არა მხოლოდ აქ!) კვლავაც უშველებელი იქნება...**

ამიტომ ვაცხადებ: მიუხედავად იმისა, რომ მოხსენების ავტორები ***„მიზნად არ ისახავდნენ კონფლიქტში კონკრეტულ დამნაშავეთა განსაზღვრას“*** და რომ, როგორც ხაზგასმით აღნიშნა კომისიის წარმომადგენელმა, გერმანელმა დიპლომატმა **უვე შრამმა *„ექსპერტთა მთავარი ამოცანა იმ ომის მიზეზებისა და ფესვების აღმოჩენა იყო, რომლის შედეგად საქართველოს აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი გამოეყო“*, ამ ტრაგედიის მთავარ მიზეზსა და ნამდვილ საფუძვლებზე მოხსენებაში ერთი სიტყვაც არ თქმულა!**

მომხდარის **მიზეზები და ფესვები** კი არა რუსეთსა და საქართველოში, არამედ უფრო შორს — (ცე-რე-უში, პენტაგონსა და აშშ სახელმწიფო დეპარტამენტშია საძიებელი — ზემონახსენები **ჯორჯ ბუშის** პრეზიდენტობისას: დღეს საიდუმლოს არ წარმოადგენს ის ფაქტი, რომ **„პროექტი საქართველო“,** ისევე, როგორც **„ფერად რევოლუციათა“** სერია, სწორედ იქ შემუშავდა და დამტკიცდა! **მიზანი: კავკასიაში ბლოკპოსტის შექმნა, რისთვისაც საქართველოს ტერიტორია უნდა გამოეყენებინათ საკუთარ გეოპოლიტიკურ და გეოსტრატეგიულ ინტერესებში.**

ამისათვის საჭირო იყო:

**1. საქართველოს სამხედრო ინფრასტრუქტურისა და მისი სამხედრო კონტინგენტის გამოყენება ახლო აღმოსავლეთის ომებში** (ერაყი, ავღანეთი, პაკისტანი, პერსპექტივაში — ირანი), **შეექმნათ საქართველოში ნატოს ბაზა ქართველი მოსამსახურეებით, რაკეტსაწინააღმდეგო ელემენტების განთავსების პერსპექტივით;**

**2. გასვლა კასპიისპირეთში — აზერბაიჯანისა და ცენტრალური აზიის ნავთობისა და გაზის საბადოებისკენ, ამ ქვეყნებიდან ენერგომატარებელთა მარშრუტის შეცვლა რუსეთის გვერდის ავლით, არსებულ მილსადენებზე კონტროლის განხორციელება** (ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი, ბაქო-თბილისი-სუფსა, ბაქო-თბილისი-ერზერუმი) **და ახალი მილსადენის გაყვანა** („ნაბუქო“);

**3. კონტროლის განხორციელება მნიშვნელოვან სატრანსპორტო** (საავტომობილო, სარკინიგზო, საზღვაო) **სატრანზიტო კვანძზე, რომელსაც ჯერჯერობით ალტერნატივა არ გააჩნია სომხეთისათვის;**

**4. საქართველოს გადაქცევა პლაცდარმად რუსეთის ჯერ სამხრეთ, შემდეგ კი ჩრდილოეთ კავკასიიდან განსადევნად**: რუსეთის ფედერაციის სამხრეთ საზღვრების გაკონტროლება (რადიოსალოკაციო და სხვა დაზვერვა), პანკისის ხეობიდან დივერსიული ჯგუფების გადასროლა ჩრდილოეთ კავკასიაში, იქაურ ბოევიკთა უზრუნველყოფა, საველე მეთაურებთან კავშირი და სხვადასხვაგვარი ინციდენტების, ტერაქტებისა და პროვოკაციების ინსპირირება ამ ფეთქებადსაშიშ რეგიონში შემდგომი დესტაბილიზაციით. **საბოლოო მიზანი — რუსეთის ფედერაციიდან ჩეჩნეთის, ინგუშეთის, ყარაჩაევო-ჩერქეზეთის და, შესაძლოა, ჩრდილოეთ ოსეთის უალტერნატივო გამოყოფისათვის სიტუაციის შექმნა.**

**მხედველობაში იქონიეთ, რომ ჩამოთვლილთაგან არც ერთი მიზნისთვის აფხაზეთი და სამაჩაბლო საჭირო არ არის! უფრო მეტიც — ისინი ხელს უშლიდნენ ვაშინგტონის იმჟამინდელი ადმინისტრაციის მიზნების განხორციელებას, რადგან ბუშმისტერიცა და მისი გარემოცვაც ჩინებულად ხვდებოდნენ — საქართველოს პრეზიდენტი სააკაშვილი ნებისმიერ დროს დააჯახებდა მათ რუსეთს ძალისმიერი გზით თბილისის იურისდიქციაში ურჩ ანკლავთა დაბრუნების მიზნით!** როგორც სავსებით სამართლიანად აღნიშნა ხსენებულ პრესკონფერენციაზე **ალექსანდრე ჭაჭიამ,** ***„დღეს საქართველოში ხელისუფლება ავრცელებს აზრს, რომ ეს ყველაფერი დროებითია, რომ ძალიან მალე აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს დაიბრუნებენ — კვლავ მეორდება მითი, რომ აშშ ყოვლისშემძლეა, ხოლო მითიური მსოფლიო თანამეგობრობა დაგვეხმარება. და ეს ყველაფერი დაბრუნების მექანიზმების განხილვის გარეშე ხდება, მხოლოდ ლოზუნგების დონეზე: დავიბრუნებთ და მორჩა! საზოგადოების გარკვეული ნაწილი ამას ყურად იღებს, ისევე, როგორც მრავალი წლის განმავლობაში უსმენდა შევარდნაძის ცრუ განცხადებებს: აი, სულ მალე ეს მოხდება, ერთი, ორი წლის შემდეგ, თუმცა როგორ, გაუგებარია...“***

**ამიტომ 08.08.08 ომში, პირველ რიგში, დამნაშავენი არიან ისინი, ვინც წვრთნიდა, აღჭურვიდა** (თუნდაც უმაქნისი „**ბუშ**მასტერებით“!), **რითაც საკუთარ მოქალქეებსა და მეზობლებზე აქეზებდა ჩვენს უნიჭო ხელისუფალთ, არწმუნებდა მათ, რომ საქართველო შტატების თანაბარუფლებიანი პარტნიორია და რომ კრედიტები მუდამ მდინარესავით იდენს!**

**ვინ სჩადიოდა ამას?!**

რაღა თქმა უნდა, მისტერ **ბუშმისტერი,** რომელმაც პირველმა მიიღო საქართველოს უმაღლესი ჯილდო, **და მისი მეგობრები,** რომლებმაც მის კვალდაკვალ მიიღეს წმიდა გიორგის სახელობის გამარჯვების ორდენები: **ჯონ მაკეინი, ჯოზეფ ბაიდენი, ვალდას ადამკუსი, ლეხ კაჩინსკი, ვიტაუტას ლანდსბერგისი და... ბუბა კიკაბიძე!**

დასასრულ, უსამართლობა იქნებოდა, არ აღგვენიშნა, რომ 2009 წლის 3 აგვისტოს **არასამთავრობო საზოგადოებამ „ისტორიული მემკვიდრეობა“** თბილისში, **РИА „Новости“**-ს საინფორმაციო მოედანზე, გამართა მრგვალი მაგიდა **„2008 წლის აგვისტო — საქართველოს სახელმწიფოებრიობის ტრაგედია: მიზეზები და შედეგები“,** რომლის დასკვნით განცხადებაშიც ითქვა: ***„აშშ ყოველმხრივ აქეზებდა სააკაშვილს ამ ავანტიურისკენ — მარტო ჯორჯ ბუშის ცნობილი განცხადება რად ღირს იმის შესახებ, რომ მან „წითელი ხაზი“ გაუვლო რუსეთს კავკასიის ქედზე და მისი გადმობიჯება აუკრძალა! გავიხსენოთ კ. რაისის ვიზიტი ომის წინ, მ. ბრაიზას აქტიურობა, საფრანგეთის პრეზიდენტ სარკოზის სიტყვები იმის შესახებ, თუ როგორ დაიყოლია ის ჯორჯ ბუშმა — არ ჩაფრენილიყო მოსკოვში რუსეთის მიერ თბილისის აღებამდე!“***

**P.S. «Мистер Твистер, Бывший министр»** გახსოვთ ჩვენთვის ბავშვობიდან ცნობილი სამუილ მარშაკის ლექსის ეპიგრაფი **მისტერ ტვისტერზე** აშშ-დან, რომელიც ტურისტად მიემგზავრება სსრკ-ში?! შეგახსენებთ — ეს, უბრალოდ, რეკომენდაციაა **ძველი გზამკვლევიდან,** რომელიც ღაღადებს: ***„ქვეყანაში ჩასვლისას შეეცადე, დაიცვა იქაური კანონები და ადათ-წესები, გაუგებრობების თავიდან აცილების მიზნით“.***

განა **ბუშმისტერსა** და მის თანამოძმეებს არ გამოადგებოდათ ეს **ძველი გზამკვლევი?!**

# უგულავამ იცის, ვინ გახდება თბილისის მერი

**ირაკლი ალასანია, გიგი უგულავა, კოკო გამსახურდია, გუბაზ სანიკიძე და ლევან გაჩეჩილაძე თბილისის მერობისთვის იბრძოლებენ. მიუხედავად იმისა, რომ სანიკიძესა და გაჩეჩილაძეს თავიანთი კანდიდატურები არ დაუსახელებიათ, პოლიტიკურ კულუარებში ამაზე უკვე ღიად საუბრობენ, თუმცა ალასანიას გუნდი ელოდება, როდის გაწევრდება გუბაზ სანიკიძე მათ ალიანსში. თბილისის ამჟამინდელი მერი გიგი უგულავა კი ხელისუფლების უცვლელი ფალავანია.**





რამდენიმე პოლიტიკურმა სუბიექტმა და პოლიტიკურმა პარტიამ 2010 წლისთვის დაგეგმილი არჩევნებისთვის წინასაარჩევნო კამპანია უკვე დაიწყო. მართალია, ოპოზიციურ პარტიებს შორის იყო შეთანხმება „გვყავდეს მერობის ერთიანი კანდიდატიო“, მაგრამ აღმოჩნდა, რომ პოლიტიკური ამბიციები სტრატეგიაზე გაცილებით დიდია. ამიტომაც, როგორც ყოველთვის, „პოლიტიკური ერთობა არ შედგა“.

**მართალია, გაჩეჩილაძემ დაიფიცა და დაიგინა კიდეც, არ მაქვს პოლიტიკური ამბიციები და არც მერობისთვის ვიბრძოლებო, მაგრამ „გრეჩიხა“ საპრეზიდენტო არჩევნების დროსაც ამგვარი შინაარსის განცხადებებს აკეთებდა, თუმცა მოგვიანებით გეგმები შეცვალა და, ოპოზიციის მტკიცებით, გახდა კიდეც ქვეყნის პრეზიდენტი.**

სამაგიეროდ, ცნობილია, რომ მერობისთვის არ იბრძოლებენ სალომე ზურაბიშვილი, ნინო ბურჯანაძე და ლეიბორისტული პარტია.

რაც შეეხება თბილისის ამჟამინდელ მერს — გიგი უგულავას, ფაქტია, რომ ზემოთ ჩამოთვლილი პოლიტიკოსებიდან მერობის სურვილი ყველაზე მეტად მას კლავს. მიზეზიც აქვს — ძველი თბილისის რეაბილიტაციის პროექტი უნდა განახორციელოს და რკინიგზა ქალაქგარეთ გადაიტანოს.

როგორც პარლამენტის კულუარებში საუბრობენ, გიგი უგულავას რამდენიმე ძლიერი პოლიტიკური ფიგურა უჭერს მხარს, მათ შორის, გიგა ბოკერია თავისი „თავისუფლების ინსტიტუტით“.

მიხეილ სააკაშვილისა და ზურაბ ადეიშვილის დუეტს საკუთარი კანდიდატურა არ ჰყავს, ამიტომ უგულავას მათი მხარდაჭერის იმედიც უნდა ჰქონდეს. ვანო მერაბიშვილისა და ბაჩო ახალაიას ტანდემს ნაკლებად აინტერესებს უგულავას პოლიტიკური ტრამპლინი, თუმცა „ერთობის პრინციპი“ მოითხოვს, უგულავას ამოუდგეს მხარში.

უგულავა ხვდება, რომ რამდენიმე თვის წინათ საქართველოში დაბრუნებულ ირაკლი ალასანიას მაღალი პოლიტიკური რეიტინგი აქვს და, შესაბამისად, შანსიც — გახდეს თბილისის მერი. ეს კი „თავისუფლების ინსტიტუტში“ პოლიტიკოსად გამომცხვარი უგულავასთვის სერიოზულ პრობლემას და საფიქრალს წარმოადგენს.

დეპუტატების დიქტოფონს მიღმა საუბრებს თუ დავუჯერებთ, უგულავას პრეზიდენტისთვის უთხოვია, „მომეცი ნორმალური პიარის ჩატარების უფლება და მე ვიცი, ვინც გახდება მერიო“. სააკაშვილის პასუხი, ალბათ, ყველასთვის ნათელი იქნება, თუკი საღამოს საინფორმაციო გამოშვებებში უგულავას ქებასა და მის „დამსახურებაზე“ გაუთავებელ საუბრებს გავითვალისწინებთ.

რამდენიმე კვირაა, პარლამენტში მმართველი გუნდის წარმომადგენელთა მხრიდან გაჩნდა იდეა, რომ 2010 წლის მაისში დაგეგმილი ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები 2010 წლის თებერვალში გადმოიწიოს. მართალია, ამ იდეის მთავარ მიზეზს და არგუმენტს დეპუტატთა უმრავლესობა არ ხსნის, მაგრამ ოპოზიციისთვის ნათელია, თუ რის მიღწევას ცდილობს ამით „ნაციონალური მოძრაობა“. პირველი ის, რომ, თუკი მართლაც გადმოიწევს ვადამდელი არჩევნების თარიღი 2010 წლის თებერვალში, ეს ოპოზიციისთვის სერიოზული დარტყმა იქნება. ოპოზიციური პარტიების კანდიდატებს საკმარისი დრო არ ექნებათ წინასაარჩევნო კამპანიის საწარმოებლად.

ამასთან, ბურჯანაძე-ზურაბიშვილი-ბესელიას ტრიო მასობრივი საპროტესტო აქციებით იმუქრება. როგორც ბურჯანაძე აღნიშნავს, დღეს გამოსავალი მხოლოდ საპროტესტო აქციებშია და „მხოლოდ ამ გზით შეიძლება, მიხეილ სააკაშვილი აიძულო, გადადგეს“. მასვე ეთანხმებიან ბესელია და ზურაბიშვილი, რომლებმაც პირობა დადეს, რომ საზოგადოებას პოლიტიკურად მძიმე შემოდგომას შესთავაზებენ, თუმცა დანაპირები არ გამართლდა.

გოკა გაბაშვილი კი, უკვე მერამდენე თვეა, ირწმუნება — ბურჯანაძე იმიტომ ვერ იწყებს აქციებს, საზღვარგარეთიდან ფული ვერ შემოაქვსო.

მერობის კანდიდატებს შორის უგულავას უპირატესობა ფინანსების კუთხითაც ნათელია. მმართველ გუნდს დიდი თანხა აქვს გადადებული, იგი როგორმე მეორედ რომ „აჩოჩდეს“ მერის სკამზე.

გიგი უგულავა უმრავლესობის სრული მხარდაჭერით სარგებლობს. ამის მიზეზი კი ის არის, რომ არ აღმოჩნდა უმრავლესობაში პირი, რომელიც შეძლებდა, ირაკლი ალასანიასათვის კონკურენცია გაეწია. ალასანიას პარტიაში კი აცხადებენ, რომ თუკი სამართლიანი არჩევნები ჩატარდება, კონკურენციას გადამწყვეტი მნიშვნელობა მათთვის არ ექნება.

საარჩევნო კოდექსზე მომუშავე ჯგუფი მოამზადებს საარჩევნო კოდექსში შესატან ცვლილებებს, რომელიც განსახილველად ვენეციის კომისიას გადაეგზავნება. ჯერ დაზუსტებული არ არის, როდის დაუბრუნდება ვერენციის კომისიასთან გადაგზავნილი საარჩევნო კოდექსი საქართველოს პარლამენტს.

ვენეციის კომისიიდან კანონპროექტში შესატანი ცვლილებების პაკეტის დაბრუნებას და მის ძალაში შესვლას რამდენიმე კვირა სჭირდება. კანდიდატებმა სწორედ ახალი საარჩევნო კოდექსის ადეკვატურად უნდა მოამზადონ თავიანთი სტრატეგიული გეგმა, ამიტომ მმართველი გუნდის სურვილი, 2010 წლის თებერვალში ჩატარდეს ადგილობრივი არჩევნები, დიდი ალბათობაა, დაუკმაყოფილებელი დარჩეს.

**შორენა გოგოლაძე**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# პროკურატურა ღურჭუმელიძის წინააღმდეგ აღძრული საქმის გამოძიებას აჭიანურებს

**რატომ შეაჩერა პროკურატურამ საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირების პრეზიდენტ მანანა ღურჭუმელიძის წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმე? სპმთპ-ს წევრი პედაგოგების — ნინო გელაშვილისა და მერი გვასალიას განცხადებაში მანანა ღურჭუმელიძის დანაშაულებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მოყვანილი ფაქტები, მართლაც, ვარაუდის დონეზე იყო გამოთქმული თუ პროფკავშირების პრეზიდენტის ბედი 7 მაისს წყნეთის დასასვენებელ სახლში მიხეილ სააკაშვილთან შეხვედრამ გადაწყვიტა?**

## განათლების პროფკავშირების პრეზიდენტი მინდობილობებით აირჩიეს

პედაგოგთა ისედაც მცირე ხელფასებიდან საწევროს სახით გადახდილი თანხები, მართლაც და მიზნობრივად იხარჯება და არანაირ ფინანსურ დარღვევას არ აქვს ადგილი თუ ხელისუფლებასთან ალიანსზე მოარული ხმები საფუძველს მოკლებული არაა? ეს ის კითხვაა, რომელზეც პასუხის გაცემა საკმაოდ ძნელია, რადგან დღესდღეობით განათლების პროფკავშირები აუღებელი ციხესიმაგრეა, რომლის შიდა სამზარეულოში ჩახედვა არათუ გარეშე თვალისთვის, წევრი პედაგოგებისთვისაც კი შეუძლებელია.

აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ მანანა ღურჭუმელიძის საქმიანობით გამოძიება ადრეც დაინტერესდა. იმ ეტაპზე ფინანსურმა პოლიციამ პროფკავშირში არსებული დარღვევის შესწავლა ჟურნალისტ დოდო ლაზარაშვილის განცხადებისა და ფინანსური ანგარიშების აუდიტის დასკვნის საფუძველზე დაიწყო, რომელიც მასწავლებელთა პროფკავშირში შავი ბუღალტერიის არსებობას ადასტურებდა. **მას წაყენებული ჰქონდა ბრალდება, რომელიც სამიდან რვა წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებდა, თუმცა განათლების პროფკავშირის პრეზიდენტი მაშინაც სუფთად გამოვიდა. მითუმეტეს, რა გასაკვირი იყო, საქართველოს პროკურატურას თვალი დაეხუჭა მანანა ღურჭუმელიძის დანაშაულებრივ საქმიანობაზე მას შემდეგ, რაც, როგორც ჩვენთვის სანდო წყაროდან გახდა ცნობილი, განათლების პროფკავშირის პრეზიდენტი ხელისუფლებას ბოლო საპარლამენტო არჩევნებისას მხარში ამოუდგა. მაშინდელი უშიშროების საბჭოს მდივნის,**

**კახა ლომაიასთვის მიცემული პირობა — საქართველოს მასწავლებლების 100 ათასი ხმა შენი იქნებაო, პირნათლად შეასრულა. ხელისუფლება ასეთ სიკეთეს არ ივიწყებს და ჩანს, გაწეული ღვაწლი არც მანანა ღურჭუმელიძეს დაუვიწყეს.**

პედაგოგების — ნინო გელაშვილისა და მერი გვასალიას — განცხადება კი რჩება „ხმა მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“.

ცნობისათვის, „საქართველის პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირი“ ორი ორგანიზაციის — „განათლების მუშაკთა პროფკავშირისა“ და „სოლიდარობის“ შეერთების საფუძველზე ჩამოყალიბდა. მასში 100 ათასი მასწავლებელია გაერთიანებული. ისინი საწევროს სახით ყოველთვიურად ხელფასის 1%-ს რიცხავენ ამ ორგანიზაციაში, რაც წლიურად დაახლოებით 2,5 მილიონ ლარს შეადგენს. ამას ემატება უცხოეთიდან შემოსული გრანტები. ესეც საკმაოდ სოლიდური თანხაა და ჯამში განათლების პროფკავშირის წლიური ბიუჯეტი დაახლოებით 3-3,5 მილიონი ლარით განისაზღვრება. წესით, ეს თანხა პედაგოგთა შრომითი, სოციალურ-ეკონომიკური და სამართლებრივი უფლებების დაცვას, მათ პროფესიულ მომზადებას უნდა ხმარდებოდეს.

სამწუხაროდ, როგორც ამბობენ, ქალბატონი მანანა საგანმანათლებლო რეფორმისა და მასწავლებელთა პროფესიული გადამზადების სასტიკი წინააღმდეგია. განათლების ხარისხის ამაღლების ნაცვლად პედაგოგებს რეფორმებისა და გადამზადების ბოიკოტირებისკენ მოუწოდებს და მასწავლებელთა სახელს ხელისუფლების შანტაჟისა და პოლიტიკური ვაჭრობისთვის იყენებს.

ღურჭუმელიძემ პროფკავშირი საოჯახო ბიზნესად აქცია. უსინდისოდ ითვისებს პედაგოგთა საწევრო შენატანებს და შესანიშნავად იწყობს პირად ცხოვრებას. მან პროფკავშირის თანხებით შეიძინა საკმაოდ ძვირადღირებული აგარაკი, მანქანა „ტოიოტა RAV-4“ 28400 ამერიკულ დოლარად, ხელფასი გაიზარდა 3 ათას ლარამდე, მაშინ, როცა მასწავლებლების ხელფასი 300 ლარს არ აღემატება; თავისი სამივლინებო ხარჯები მთავრობის სამივლინებო ხარჯებს გაუტოლა; საკუთარ თავს ანებივრებს პრემიებით, იმ მოტივით, თითქოსდა მისი დამსახურება იყოს პედაგოგებისთვის ხელფასების მომატება, დაზღვევა, მე-13 ხელფასის გაცემა, მასწავლებელთა პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლებაზე სახელმწიფოებრივი ზრუნვის ზრდა და ა.შ. პროფკავშირში დაასაქმა ახლო ნათესავები (ქმარი, შვილი, სიძე...), მათ შორის, ხელმძღვანელ პოსტებზე. საქართველოს ბანკში გახსნა დეპოზიტი, სადაც პედაგოგთა საწევრო თანხა ირიცხება. რაც ყველაზე საინტერესოა, მიუხედავად იმისა, რომ ორგანიზაცია „სოლიდარობა“ „განათლების მუშაკთა პროფკავშირთან“ გაერთიანების შემდეგ დაიხურა, საბანკო ანგარიში მაინც დარჩა. **დღემდე არარსებული ორგანიზაციის ანგარიშზე პარალელურ რეჟიმში პედაგოგთა საწევროების სახით ირიცხება თანხები, რაც დაახლოებით 18 ათასი ლარია.**

სამაგიეროდ, მანანა ღურჭუმელიძემ ლანძღვა-გინე-



**ღურჭუმელიძემ პროფკავშირი საოჯახო ბიზნესად აქცია. უსინდისოდ ითვისებს პედაგოგთა საწევრო შენატანებს და შესანიშნავად იწყობს პირად ცხოვრებას. მან პროფკავშირის თანხებით შეიძინა საკმაოდ ძვირადღირებული აგარაკი, მანქანა „ტოიოტა RAV-4“ 28400 ამერიკულ დოლარად, ხელფასი გაიზარდა 3 ათას ლარამდე, მაშინ, როცა მასწავლებლების ხელფასი 300 ლარს არ აღემატება**

ბით გამოისტუმრა შემწეობისთვის მისული სამაჩაბლოდან დევნილი ერედველი პედაგოგი იმ მიზეზით, რომ სპმთპ საქველმოქმედო ორგანიზაცია არაა, მაშინ, როცა პედაგოგთა მიერ გადახდილი საწევროებით ქუთაისში ორჯერ მოაწყო 13-ათასიანი და თბილისში 8-ათასიანი ბანკეტები.

საინტერესოა, თუკი პროფკავშირი ვალდებული არ არის, დაეხმაროს ერედველ პედაგოგს, რატომ უნდა ხელეწიფებოდეს პედაგოგთა საწევრო თანხებით ძვირადღირებული ბანკეტების მოწყობა ამ ქალბატონს?

ეს ერთ-ერთი იმ კითხვათაგანი იყო, რომლითაც მასწავლებელთა თავისუფალი პროფკავშირის პრეზიდენტს მასწავლებელთა საინიციატივო ჯგუფის სახელით თბილისის 116-ე საჯარო სკოლის პედაგოგმა ქეთევან დოლიძემ ღია წერილით მიმართა. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-10 და მე-40 მუხლების შესაბამისად, მანანა ღურჭუმელიძისგან ახსნა-განმარტებები მოითხოვა პედაგოგმა დავით ფერაძემაც. მას კონკრეტულად აინტერესებდა 2007-2008 წლების პროფკავშირის ბიუჯეტის გეგმა, პროფკავშირთა ანგარიშზე ჩარიცხული თანხების მოცულობა, საშტატო და ხელშეკრულებით აყვანილ თანამშრომელთა ნუსხა და სახელფასო ანაზღაურება, სპმთპ-ს პრეზიდენტის ქონებრივი დეკლარაცია, სპმთპ-ს პრეზიდენტის სახელფასო ანაზღაურების, სატრანსპორტო, სატელეფონო, სამივლინებო და სხვა ხარჯების დადგენილი ნორმები და დადგენილების საფუძვლები, გრანტებიდან მიღებული შემოსავლის ოდენობა და ა.შ.

აღნიშნული ინფომაცია ხელმისაწვდომი, რა თქმა უნდა, არ გამხდარა დავით ფერაძესთვის. პირიქით, მანანა ღურჭუმელიძემ მას და ქეთევან დოლიძეს სასამართლოში უჩივლა და მორალური ზარალის ანაზღაურება მოითხოვა.

**ქალბატონი მანანა განათლების თავისუფალ პროფკავშირში ექსკლუზიურ-მონოპოლისტური უფლებების გასამყარებლად და განსამტკიცებლად, როგორც ამბობენ, არ ერიდება პროფკავშირის თანამშრომელთა და სკოლის დირექტორთა შანტაჟს, მათზე ფსიქოლოგიურ ზეწოლას, ინტრიგას; საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელებს აიძულებს, ყოველგვარი ხელშეკრულების გარეშე გადაურიცხონ პედაგოგთა საწევროები.** ამით კი ირღვევა „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონის 51-ე მუხლი და საბანკო ოპერაციების თანხების ანაზღაურებისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან სკოლისთვის გამოყოფილი სახსრები იხარჯება. ხოლო იმ სკოლების წინააღმდეგ, რომლებიც უარს აცხადებენ „ხარკის“ გადახდაზე, სარჩელი შეაქვს სასამართლოში ან განათლების სამინისტროს გენინსპექციაში აგზავნის მათ მაკომპრომეტირებელ წერილებს.

**ქალბატონმა მანანამ პროფკავშირში ახალი წესებიც შემოიღო და ხმის მიცემის პროცედურა იმდენად გაამარტივა, რომ პროფკავშირის წევრებისთვის უკვე მინდობილობითაა შესაძლებელი არჩევნებში მონაწილეობის მიღება.**

მაგალითისთვის, 2009 წლის 13 სექტემბერს წყნეთის დასასვენებელ ბაზაზე ჩატარდა საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის რიგგარეშე ყრილობა, რომელზეც საქართველოს პროფესიული კავშირის გაერთიანების საანგარიშო-საარჩევნო ყრილობაზე გასაგზავნი დელეგატები აირჩიეს. როგორც „საქართველო და მსოფლიოსთვის“ სანდო წყაროდან გახდა ცნობილი, წყნეთის დასასვენებელი სახლის სასადილო ოთახში, სადაც რეალურად 200 კაციც კი ვერ დაეტეოდა (ერთ-ერთმა დელეგატმა დათვალა სკამების რაოდენობა და აღმოაჩინა, რომ 402 დელეგატისთვის 112 სკამი იყო გათვალისწინებული), სამანდატო კომისიის მოხსენების მიხედვით, 318 დელეგატი იმყოფებოდა. ეს საკმაოდ თვალშისაცემი სიყალბე იყო, თუმცა აღნიშნული ფაქტი არც ერთ დამსწრეთაგანს არ გაუპროტესტებია. ჩვენივე წყაროს ცნობით, ამ ყრილობაზე 10-15 პიროვნება პროფკავშირის აპარატის წარმომადგენელი გახლდათ და დარბაზში რეალურად 100 კაცი იმყოფებოდა. ხოლო მაჩვენებელი 318 მინდობილობებით იყო შევსებული. თავის დროზე სპმთპ-ს პრეზიდენტად ქალბატონი მანანა ღურჭუმელიძის არჩევაც სწორედ მსგავსი მინდობილობებით მოხდა ღია კენჭისყრით. მთელი დარბაზი ხედავდა, ზოგიერთ დელეგატს როგორ ეჭირა 3-4 მანდატი და სხვის ნაცვლად ხმას აძლევდა.

ანგარიშგება-არჩევნების ჩატარების, სტრუქტურული ქვედანაყოფის თავმჯდომარეების არჩევის, მათთვის უფლებამოსილების შეწყვეტისა და რეგისტრაციის შესახებ დებულებაში განათლების პროფკავშირი ხელმძღვანელობს რა საქართველოს კონსტიტუციით, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებითა და ნორმებით, საქართველოს კანონით „პროფესიული კავშირების შესახებ“ და სხვა ნორმატიული აქტებით, ასკვნის, რომ საპატიო მიზეზის არსებობის შემთხვევაში, ხმის მიცემა შეიძლება განახორციელოს სპმთპ-ის კოლეგიური ორგანოს წევრთა კანონით დადგენილი წესით გაცემული მინდობილობის საფუძველზე.

საინტერესოა, რომელი კანონით იხელმძღვანელეს განათლების პროფკავშირში, როცა ასეთი უცნაური წესი დაამკვიდრეს აღნიშნულ ორგანიზაციაში ან რომელ ნორმატიულ აქტში ამოიკითხეს მინდობილობებით ჩატარებული არჩევნების კანონიერების შესახებ?

**საინტერესოა ის ფაქტიც, რომ მანანა ღურჭუმელიძე პრეზიდენტად აირჩიეს იმ წესდების საფუძველზე, რომელიც იმავე ყრილობაზე მიიღეს და ოფიციალურ ორგანოებში დარეგისტრირებული არ იყო.**

„ეს მართლაც ნონსენსია, ფიზიკურად ადამიანი ყრილობას არ ესწრება და რაღაც ნოტარიულად დამოწმებული ქაღალდის საფუძველზე მის ნაცვლად სხვა აძლევს ხმას. მანანა ღურჭუმელიძეს თავად აქვს ნათქვამი — ფიზიკურად ხალხის დასწრებას ქაღალდები მირჩევნიაო. მართლაც, რაც ნაკლებად შეამჩნევენ მის სიყალბეს, უკეთესია, — აღნიშნა ჩვენმა ინკოგნიტო რესპონდენტმა საუბრისას, — მისი არჩევაც მინდობილობით მოხდა. ქუთაისიდან თბილისში ჩამოსულმა ქალმა, რომელსაც გზისა და ღვეზელის საყიდელი ფულიც კი არ გააჩნდა, ამერიკის პროფკავშირის წარმომადგენლის — ბობი ფილდინგის დახმარებით იმდენს მიაღწია, რომ მდიდარი და საათივით აწყობილი ორგანიზაცია ხელში ჩაიგდო კურორტებით, ბაზებით, დიდი ბიუჯეტითა და უშრომელი შემოსავლით. დღეს უკვე პროფკავშირის ფინანსებს პედაგოგების ნაცვლად საკუთარი კორუფციული საქმიანობის ჩაფარცხვას ახმარს. ვერ დაგიდასტურებთ, მაგრამ პროფკავშირის შიდა სამზარეულოდან გამოსული ხმების თანახმად, მანანა ღურჭუმელიძე რესურსცენტრის უფროსებს, გამგეობების წარმომადგენლებსა და განათლების სამინისტროს თანამშრომელს, ვინმე ჟურულს, თანხებს უხდის სიჩუმის სანაცვლოდ“.

**ნათია ქადაგიშვილი**

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ცილისწამებებითა და ყალბი ბრალდებებით გაჯერებული უკადრისი ვრცელი რეპლიკა

## გაზეთის „საქართველო და მსოფლიო" მთავარ რედაქტორს ბატონ ირაკლი თოდუას

**პატივცემულო ბატონო ირაკლი,**

**მე ძალიან დიდი ინტერესით ვკითხულობდი თქვენს გაზეთს და სურვილიც აღმეძრა თქვენთან თანამშრომლობისა. მაგრამ ძალზე მეტკინა გული, როცა თქვენი გაზეთის ფურცლებზე აღმოჩნდა დაბეჭდილი მდარე ინტრიგანობითა და ცილისწამებით გაჯერებული ვინმე „წერეთლის" წერილი. მე მესმის რომ თქვენი „გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით" და თქვენს პასუხს ვერ აგებთ წერილების შინაარსსა და ფორმაზე, მაგრამ ხომ ყველაფერს აქვს ზღვარი! თანაც, როგორ არის გაფორმებული წერეთლის წერილი: ყოვლად უკადრისი სათაური დიდი შავი ასოებით გამოყოფილი და პირველ გვერდზედაც-კი გატანილი; რა, რედაქციის შემოქმედება არაა?! მე უბრალოდ არ მგონია, ჩემს მეტად ხანდაზმულ ასაკში, ჩემი გარკვეული, არც — თუ დიდი, დამსახურებათა სანაცვლოდ ღირსი ვიყო ასეთი შეურაცმყოფელი გამოხდომებისა. ვფიქრობ, რედაქციასაც ეკისრება გარკვეული პასუხისმგებლობა.**

**იმაში რომ დაგარწმუნოთ, ხომ არ ვარ ღირსი ასეთი ლანძღვისა, გიგზავნით ასლებს იმ მიძღვნითი მინაწერებისა, რომლებიც თავიანთ წიგნებზე გააკეთეს ჭაბუა ამირეჯიბმა და ცნობილმა ჟურნალისტმა და მკვლევარმა თამარ გომართელმა.**

**გთხოვთ, ჩემი საყვედურები არ მიიღოთ შეურაცხყოფად, მე ვრჩები თქვენი გაზეთის და მაშასადამე პირადად თქვენი და თქვენი რედაქციის კეთილისმსურველად.**

**ულრმესი პატივისცემით**

**ნ. ლომოური**

ჩემი საკმაოდ ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე მე ბევრი უსიამოვნება შემხვედრია, ბევრჯერ გავუკრიტიკებივარ კიდეც, მაგრამ ის, რასაც ამ ცოტა ხნის წინ გაზეთში „საქართველო და მსოფლიო" (16-22.IX) გადავაწყდი, მართლაც უმაგალითო იყო. აქ გამოქვეყნდა ვინმე მიხეილ წერეთლის სტატია, რომელსაც მსხვილ, შავი ასოებით აწყობილი სათაური ჰქონდა — „ვირეშმაკი", ხოლო ქვესათაური ასეთი იყო: „ვრცელი რეპლიკა პროფესორ ლომოურის თაღლითობის გამო". იქვე-კი მოთავსებული იყო ჩემი პორტრეტი აშვერილი თითით. გავოგნდი: რა თაღლითობა შეიძლებოდა ჩამედინა ამ სიბერის ჟამს?! რაც შეეხება მთავარ სათაურს, ამ ხულიგნური ზედწოდებისთვის ერთი 50 წლის წინ მე ვიცი, რა პასუხსაც მიიღებდა ავტორი, მაგრამ დღეს რაღა უნდა ვქნა?! დავიწყე კითხვა და გასაგები გახდა, რომ ამ ე.წ. ავტორის აღშფოთება რატომღაც გამოუწვევია ჩემს მიერ გაზეთში „Свободная Грузия" გამოქვეყნებულ მოგონებებს მამაჩემის იულონ ლომოურისა და მისი მეგობრის სოლომონ ჩოლოყაშვილის გაბედული გამოსვლის შესახებ ლ. ბერიას წინააღმდეგ 1936 წ.

შემდეგ ამ „საბრალმდებლო დასკვნის" კითხვისას, მე თავდაპირველად სიცილი ამიტყდა — იმდენი გაუაზრებლობა, სისულელე იყო ყოველ სტრიქონში, იმდენი ცილისწამებით იყო გაჯერებული ეს წერილი. პირველი ჩემი რეაქცია იყო გულგრილი ირონია, მაგრამ შემდეგ გავიაზრე, რომ ჩემს შეურაცხყოფაში არ იყო საქმე: ჩემს მიმართ გამოთქმული ეს ყალბი ბრალდებები რიკოშეტით ხვდებოდა მამაჩემსა და მისი თაობის იმ შესანიშნავ პიროვნებებს — სოლომონ ჩოლოყაშვილსა და გიორგი რცხილაძეს, რომელთაც მე მოგონებებში ვასახელებდი. ამის მოთმენა კი არ შეიძლებოდა და მე დავმცირდი ამ კაცის დონემდე.

თავის წერილს ეს მიხეილ წერეთელი იწყებს საერთოდ მემუარისტების დადანაშაულებით: თურმე მათი საყოველთაოდ ცნობილი თვისება ყოფილა „თაღლითობა". ის ვერ ხვდება, რომ ამ აფსურდული ბრალდებით შეურაცხყოფას აყენებს მსოფლიოს დიდებულ მემუარისტებს, მაგრამ მთავარი ისაა, რომ მე თურმე ამ საქმეში „ბადალი არ მყოლია" (!). მადლობთ, ბატონო წერეთელო, რაკიღა აღიარე, რომ მე რაღაცაში ბადალი არ მყოლია! შემდეგ მოდის, ბოროტი ქილიკით, გამეორება ჩემი იმ სიტყვებისა, რომ, როცა ჩემს მიერ აღწერილი ამბები ხდებოდა, მე პატარა ვიყავი და ყველაფერი ეს მე ამ ამბის მომსწრე-თანამონაწილეთაგან — მამაჩემის, ს. ჩოლოყაშვილისა და გ. რცხილაძისგან მომისმენია. რა არის ამაში სასაცილო-დასაცინი, ვერც მე გავიგე და ვერც ვერავინ, ვინც ეს წაიკითხა.

ამას მოსდევს დიდი შრიფტით აწყობილი: „ისტორიის ფალსიფიკაცია ყველა დროში მომგებიანი საქმე იყო, მით უფრო, თუკი ამის გაკეთება ისეთი დახვეწილი ოსტატობით შეგიძლია, როგორც ამას პროფესორი ლომოური ახერხებს". ჩვენს ოპონენტს მართლაც ეტყობა, რომ მისთვის ისტორიის (და არა მარტო ისტორიის) ფალსიფიკაცია მომგებიანი საქმეა! მაგრამ მე ვითხოვ მისგან დაასახელოს ერთი კონკრეტული ფაქტი, როდესაც მე ისტორიის ფალსიფიკაციას ვახდენ, ან როდესმე მომეხდინოს. ამას ვერ გააკეთებს და მაშასადამე **წერეთელი თვით არის არა მარტო ფალსიფიკატორი, არამედ ცილისმწამებელიც.**

შემდეგ პასაჟში წერეთელი ისე ოსტატურად იხილავს საკითხებს, გამოჰყოფს ჩემს ზოგიერთ გამოთქმას განსხვავებული შრიფტით, რომ ჩემისთანა დაბალი დონის ადამიანისთვის, ეს პროცედურა მიუწვდომელი აღმოჩნდა. მაგალითად, ის გადმოსცემს ჩემს ცდას მაშინდელი საყოველთაო შიშის ატმოსფეროში, ისეთი პიროვნებების არსებობაც, რომელთათვის პრინციპები ყველაფერზე მაღლა იდგა... ამაში ავტორი მეთანხმება, მაგრამ მერე წერს: ამ ისტორიის გადმოცემისას „მემუარისტი (ე.ი. მე) უპირველესად მამამისის — მემინდვრეობის სპეციალისტის — პროფესორ იულონ ლომოურის პრინციპულობას აღწერს". აი თურმე რაში ყოფილა საქმე! აი რაში ყოფილა ჩემი „თაღლითობა" და „ფალსიფიკატორობა"! მე თურმე თაღლითურად მომინდომებია, ვილაც „მემინდვრეობის პროფესორის" პრინციპულ პიროვნებად წარმოჩენა, თან ბერიას მიერ ორგანიზებულ თათბირზე, ამ ვიღაც „მემინდვრეობის სპეციალისტის" დასწრება, „რა თქმა უნდა" აუცილებელ ფაქტად გამესაღებინა. ამ ესოდენ პატიოსანმა (არათაღლითმა) კრიტიკოსმა თუ იცის საერთოდ, ვინ იყო იულონ ლომოური?! გაუგია კი, რა ადგილი ეჭირა მას მაშინდელ (და შემდეგდროინდელ) საზოგადოებაში, მეცნიერულ წრეებში, ინტელიგენციაში?! როგორც უნდა იყოს ეს კაცი ჩემს მიმართ განწყობილი, მან უნდა იცოდეს, როცა ამდენს ქილიკობს და ოინბაზობს, რომ იულონ ლომოური, თავი რომ დავანებოთ მის წარმომავლობას, ცნობილი იყო თავისი პრინციპულობით, ობიექტურობითა და უკომპრომისობით. ეს შეფასება ჩემისთანა „თაღლითს" არ ეკუთვნის, ის აკადემიკოს **სერგი დურმიშიძეს** აქვს მოტანილი თავის წიგნში „ზოგი რამ წარსულიდან" (1985, გვ. 239). შემთხვევითი არაა, რომ ი. ლომოურის ბიუსტი დგას აგრარული უნივერსიტეტის ფასადის წინ, რომ მისი სახელი მიენიჭა ერთ-ერთ დიდ სამეცნიერო დაწესებულებას — მიწათმოქმედების ინსტიტუტს და იგი დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში. ასეთივე მაღალი რანგის მეცნიერები და მოქალაქეები იყვნენ სოლომონ ჩოლოყაშვილი და გიორგი რცხილაძე. ამიტომ მე სრული უფლება მქონდა დამეწერა ის, რაც ასე არ მოსწონს ჩემს უპრინციპო და თანაც უმეცარ კრიტიკოსს.

წერილის გაცნობამ და სრულიად აბსურდულმა ბრალდებებმა ჩემთვის ცხადი გახადა, რომ ჩემი მიზანი ახალი თაობისათვის გამეცნო იმ ბნელი წარსულის უმძიმესი ვითარება და ქართულ საზოგადოებაში ღირსეული, პრინციპული ადამიანების ყოველთვის არსებობაც დამედასტურებინა, სავსებით მიღწეული. ამიტომ დაშვრა თავისი ამომდმეტყველობით უფალი წერეთელი.

ვკითხულობდი გაზეთს და ვფიქრობდი — მაინც რამ უბიძგა ამ კაცს ჩემს მიმართ ასეთი აგრესიისკენ? და აი, მივადექი მე-18 გვერდის ბოლო სვეტს, აქ კი ჩემთვის ყველაფერი ცხადი გახდა. წერეთელი აღშფოთებული წერს, რომ მე ვერ გავექეცი ჩემთვის დამახასიათებელ „ზიზღს XX ს-ის 80-იანი წლების მოვლენების მიმართ, როდესაც გაჩნდა ტერმინები „წითელი ინტელიგენცია" და „დაშინებული ინტელიგენცია". აი სად ყოფილა ძაღლის თავი დამარხული! წერეთელი პირდაპირ წერს, რომ „ისტორიის პროფესორი **ცრუობს**". თურმე „ცალკეული ინტელიგენტები იქნებ მართლაც არ უჭერდნენ მხარს ეროვნულ მოძრაობას, მაგრამ ქართველი ხალხის თავისუფლებისაკენ სწრაფვას სწორედ ნამდვილი ინტელიგენციის თავდაუზოგავმა ბრძოლამ განუმტკიცა საფუძველი და „წითელი ინტელიგენციის" — კომფორმით შეპყრობილი და კომფორტში ჩაფლული ცრუ ინტელიგენტების წინააღმდეგობა ამ ბრძოლას კიდევ უფრო მეტ ხიბლს სძენდა". თავი დავანებოთ იმას, რომ არ არსებობს სიტყვა „კომფორმიზმი"; წერეთელს ეტყობა ჰგონია, რომ ის სიტყვა „კომფორტიდან" მოდის; სწორი ფორმაა „კონფორმიზმი" და აღნიშნავს სწორედ ისეთ უპრინციპო და საკუთარი აზრის არმქონე ადამიანებს, როგორიცაა ვინმე წერეთელი და ის ხალხი, ვის დაცვასაც იგი ცდილობს, რაც შეეხება ჭეშმარიტ ქართულ ინტელიგენციას, ის დიახაც უჭერდა მხარს ეროვნულ მოძრაობას, ის დიახაც ისწრაფოდა თავისუფლებისაკენ, მაგრამ ის არ უჭერდა მხარს იმ მოძრაობას, რომელსაც წერეთელი ეროვნულს უწოდებს. იმ ცრუეროვნულ მოძრაობას, მხოლოდ ინტელიგენციის თითო-ოროლა წარმომადგენელი ემხრობოდა. ჭეშმარიტი, მართლაც მოაზროვნე და პრინციპული ინტელიგენტები-კი — ისეთები, როგორებიც იყვნენ და არიან ჭაბუა ამირეჯიბი, ლალი ჯავახიშვილი, ზაზა კახიანი, რეზო თაბუკაშვილი, ჯანსუღ ჩარკვიანი, გურამ ფანჯიკიძე, რეზო ამაშუკელი, აკაკი ბაქრაძე, ვახტანგ ჭელიძე, თემო გოცაძე, რეზო ჩხეიძე, აკადემიკოსები ივანე კიღურაძე, მალხაზ ზაალიშვილი, ოთარ ჯაფარიძე და მრავალნი სხვანი — არა მარტო განუდგნენ, არამედ დაუპირისპირდნენ იმ მოძრაობის ლიდერებს. თუ იქნებ აქ ჩამოთვლილნი იყვნენ ცრუ ინტელიგენტები?! აი ეს არის უდავო რეალობა! მაშასადამე „ისტორიის პროფესორი ლომოური" კი არ ცრუობს, არამედ ვინმე არაპროფესორი წერეთელი!

აღსანიშნავია, რომ ე.წ. ეროვნული მოძრაობის ეს თავგამოდებული მომხრე და დამცველი, წერილის ბოლოს **ბერიას მეხოტბედაც-კი გვევლინება:** იმეორებს რა იგივეს, რასაც ჩემი მოგონებების თანახმად, ჩოლოყაშვილი და მამაჩემი შეცდომად თვლიდნენ, ის წერს: „ბუნებრივია, ასეთ შეცდომას არ დაუშვებდა ლავრენტი ბერია, რომელიც **სახელმწიფოებრივი აზროვნებით გამოირჩეოდა და საკუთარ რეპუტაციასაც ძალიან უფრთხილდებოდა**" (ხაზგასმა ჩემია, ნ.ლ.). ახლა მკითხველმა განსაჯოს, ვინაა ჩვენ შორის ვირეშმაკი და ისტორიოგრაფიული სკლეროზით დაავადებული!

ჩემს წინააღმდეგ ასე აგრესიულად მომართული წერილის გაცნობისას უნებურად გამიჩნდა ვარაუდი, რომ ის დაწერილია, ან ნაკარნახევ-წარმართულია გარკვეული პიროვნების მიერ, რომელიც მიხეილ წერეთლის სახელს არის ამოფარებული. ეს ვარაუდი გამიღვიძა თვით წერილის უგვანო სტილმა და უკადრისმა ტერმინოლოგიამ, ამავე გაზეთში ჩემი სწორედ იმ თითაშვერილი პორტრეტის გამოჩენამ, რომელიც ადრე, ჩემზე გარკვეული პიროვნების თავდასხმების დროს, იყო სხვა გაზეთში დაბეჭდილი; ეს ეჭვი თვით ამჟამინდელი წერილის ავტორის გვარმაც გამიძლიერა. მაგრამ, რადგან ამ ეჭვს ვერ დავამტკიცებ, გვარს არ ვასახელებ.

მე მინდა მკითხველის წინაშე ბოდიში მოვიხადო, რადგან ვერ დავიცავი აკადემიური სტილი. მაგრამ ამ ინტრიგანმა და ცილისმწამებელმა ოპონენტმა იმდენი მდარე ბრალდებები დამაყარა, რომ ვერ შევძელი გულგრილი ირონიის პოზიციაზე დავრჩენილიყავი. რაც ზევით ვთქვი, იმასაც დავუმატებ, რომ არ მგონია მეც ასეთი ბრალდებების და გამოხდომების ღირსი ვიყო, არ მგონია, ჩემი მოწაფე-სტუდენტების მრავალი თაობა, ან თანამშრომელ-კოლეგათა საკმაოდ ფართო წრე, ჩემზე ასეთ უკადრის თავდასხმას პროტესტის გარეშე შეხვდეს.

**ნოდარ ლომოური**

**(ავტორის სტილი დაცულია)**

# შეცდომაა — ვირეშმაკი, სწორია — ვირეშმაკა

**უპირველესად, მადლობას ვუხდი გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს" რედაქციას, რომელმაც საშუალება მომცა, პროფესორ ნოდარ ლომოურის „დახვეწილი აკადემიური სტილით" გამორჩეულ წერილს აქვე მოკლედ ვუპასუხო; მოკლედ, რადგან მის პასუხში „ბერიკაცი ვარ, ნუ მომკლავ..." იგრძნობა და მებრალება.**

მართალს ვიტყვი, მოველოდი კიდეც, რომ ისტორიის პროფესორი, რომელსაც **მენტორობა სისხლ-ხორცში აქვს გამჯდარი** („ხორცი" აქ ზედმეტია, უბრალოდ, ასეთი გამოთქმა არსებობს, თორემ ვინც იცნობს, ყველამ იცის — ნოდარ ლომოური „უხორცოა"!), უპასუხოდ არ დატოვებდა ჩემს ვრცელ რეპლიკას.

თავიდანვე აღვნიშნავ, რომ **„მემინდვრეობის სპეციალისტის"** (თავის ე.წ. მოგონებაში ნოდარ ლომოური სწორედ ასე მოიხსენიებს მამამისს — **„რას იტყვიან მემინდვრეები? სად არის ლომოური?"**), პროფესორ იულონ ლომოურისა და მისი მეგობრების დამსახურებათა დამცრობა გულშიც არ გამივლია, მით უფრო, რომ მათთვის თურმე **„პრინციპები ყველაფერზე მაღლა იდგა..."**

როცა მემუარისტი ნოდარ ლომოურის „ისტორიოგრაფიულ სკლეროზზე" ვწერდი და მის „მემუარისტულ თაღლითობას" აღვნიშნავდი, სწორედ ის მქონდა მხედველობაში, რასაც პროფესორი ლომოური საპასუხო წერილითაც ადასტურებს. თითქოს ყველაფერს პასუხობს **„სიბერის ჟამს" „ამ კაცის დონემდე" დამცირებული და შეურაცხყოფილი** ისტორიის პროფესორი, მაგრამ აქაც თაღლითობს. თუ ისევ სიცილი არ აუტყდება, ჩემი ვრცელი რეპლიკიდან ერთ წინადადებას გავიმეორებ: **მაშინ, როცა „ბერიას წყალობით, მოაზროვნე ელიტას საყოველთაოდ ანადგურებდნენ, მემინდვრეობის პროფესორი ლომოური და დახვეწილი ევროპული ჩაცმულობის ჩოლოყაშვილი (ყურადღება მიაქციეთ, პირველი რიგის თავადი) კონსულტანტებად დანიშნეს".**

ნოდარ ლომოურმა ამ წინადადებას გვერდი დახვეწილი მანერულობით აუარა, ვითომც არაფერი. **რატომ დანიშნეს ეს ორი „მეამბოხე და ბერიას იდეის მოწინააღმდეგე" მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატში? რა, ბერიას მათი შეეშინდა?**

შიში არაფერ შუაშია. საყოველთაოდ ცნობილია, რომ 1936 წელს პროცესები, რომლებზეც ბატონი ლომოური თავის წერილში საუბრობს, უკვე დასრულებული იყო, ხოლო საქართველოს მაშინდელი ხელმძღვანელის, ბერიას მიზანი — მიღწეული. **მან შეძლო სტალინის დარწმუნება, რომ რესპუბლიკის სიღარიბიდან გამოსაყვანად, მისი სპეციფიკის გათვალისწინებით, საჭირო იყო არა ხორბლის კულტურაზე „გადაყოლა", არამედ ტურიზმის, მეციტრუსეობის, მევენახეობის, მეხილეობის, მეჩაიეობის, მეცხოველეობის კომპლექსური განვითარება. დაარწმუნა და ამ სფეროების განვითარებისთვის დაფინანსებაც მიიღო.** სხვათაშორის, სწორედ ბერიას სახელს უკავშირდება კოლხეთის ჭაობების დაშრობა და მალარიით უეჭველი სიკვდილისგან დასავლეთ საქართველოს ათასობით მკვიდრის გადარჩენა. როცა ადამიანის მოღვაწეობას აფასებ, პირუთვნელი უნდა იყო, მით უფრო — ისტორიკოსი და თანაც — პროფესორი!

**ბერიას ამ მიზნების მისაღწევად კვალიფიციური სპეციალისტები სჭირდებოდა; მათ შორის იულონ ლომოური, სოლომონ ჩოლოყაშვილი, გიორგი რცხილაძე და სულაც არ არის საჭირო მათი მაინცდამაინც „ბერიას იდეის" მოწინააღმდეგეებად წარმოჩენა.**

უფრო მეტიც, — ჩემს რეპლიკაში მოვერიდე, მაგრამ ახლა თავს უფლებას მივცემ, შეკითხვა განვავრცო: **ხომ არ იყო ეს დანიშვნა ბერიას საჩუქარი სწორედ მისი დისკრედიტაციის მიზნით წამოწყებული ავანტიურის მომწყობთა წინააღმდეგ გამოსვლის სანაცვლოდ?**

ამ შეკითხვას 10 წლის ბიჭუნა ვერ დასვამდა, მაგრამ ხანმოთეულ პროფესორს (ისტორიის პროფესორს!) ეს შეკითხვა რატომ არ გაუჩნდა? გასაგებია — რატომაც! მას სხვა მიზანი ამოძრავებდა და როცა **კუდში ხელი წაავლეს** (ესეც ფიგურალური გამოთქმაა, ბატონო მენტორო!), ამბობს: **„თავდაპირველად სიცილი ამიტყდა"** და **„პირველი ჩემი რეაქცია იყო გულგრილი ირონია".**

აი, ასე, „გულგრილი ირონია" ეუფლება პროფესორ ლომოურს, როცა სიმართლეს პირში მიახლიან, მაგრამ მოუთმენლობა იპყრობს და ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ „წითლების" რევანშს მის ლიდერებთან დაპირისპირებად ნათლავს. **იმდენი კი უნდა ესმოდეს (ესმის კიდეც, მაგრამ იხტიბარს არ იტეხს!) ისტორიის პროფესორს, რომ მაშინდელმა „დაპირისპირებამ" საქართველო უფსკრულში გადაჩეხა.**

„წითელი ინტელიგენციის" თვალსაჩინო წარმომადგენელს კარგად ეხერხება თავის დაჭერა, თუმცა უფროსობას შეჩვეული **ნადირექტორალი ლომოური** ვერ ითმენს და თავის „ვირეშმაკობას" **(შეცდომაა — ვირეშმაკი, სწორია — ვირეშმაკა! „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის" მიხედვით „ვირეშმაკა" ბრიყვ, მაგრამ თან ეშმაკ ადამიანს ნიშნავს)** საპასუხო წერილის დასასრულსაც ავლენს — **„...არ მგონია, ჩემი მოწაფე-სტუდენტების მრავალი თაობა, ან თანამშრომელ-კოლეგათა საკმაოდ ფართო წრე, ჩემზე ასეთ უკადრის თავდასხმას პროტესტის გარეშე შეხვდეს".**

განკარგულება გაცემულია. როგორც ჩანს, მალე ნოდარ ლომოურის „ფანკლუბი" შეიქმნება და მის დასაცავად ფართო ფრონტიც გაიშლება.

**შეიბრალეთ მოხუცი — დაიცავით, მოასწარით!**

**მიხეილ წერეთელი**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net



### თინათინ მღვდლიაშვილი:

# ამქვეყნად იმისთვის მოვედი, რომ წმინდანებს ვემსახურო

**ჭეშმარიტად დიდი ხელოვანი, პოეტესა თინათინ მღვდლიაშვილი, რომლის საქვეყნოდ ცნობილ ლექსებსაც მთელი საქართველო მღერის, ხატთაშემამკობელი და თვითნასწავლი მხატვარიცაა. თქვენ წარმოიდგინეთ, წმინდანებისა და გმირების ეპიტაფიებს თინათინი პირველ პირში წერს, რაც ნამდვილად უპრეცედენტო მოვლენაა. ეს გასაოცარი, მრავალმხრივ ნიჭიერი ქალბატონი დღეს ჩვენი რედაქციის სტუმარია.**



**— ქალბატონო თინათინ, თქვენ მიერ შემკული წმინდანების ხატებიდან თამარი და დავითი სამების საპატრიარქო ტაძარშია დაბრძანებული, ნანა და მირიანი — სამთავროში, „შენ ხარ ვენახი“ — სვეტიცხოველში, ხოლო „ათონის ილუმენია“ — მამა დავითში. საინტერესოა, რომელი ხატი შეამკეთ პირველად?**

— 1999 წელი იყო... იმ პერიოდში „ხატთა და ვაზთა საგალობელს“ ვწერდი და „საქართველოს ამპელოგრაფია“ დამჭირდა, დიდი წიგნია. შიგ წმიდა გიორგის მოზრდილი რეპროდუქცია აღმოვაჩინე, რომელსაც თავის დროზე ვერ მივხედე, ჩარჩოში ვერ ჩავსვი. ვიფიქრე, ხატი დამსჯის, ასე უპატივცემულოდ რომ ვექცევი-მეთქი და წიგნში აღარ ჩავაბრძანე, თუმცა წარმოდგენა არ მქონდა, რას გავაკეთებდი. რეპროდუქცია ჯერ მუყაოზე გადავაკარი. სახლში მძივები და სამკაული მქონდა და ხატის გამშვენიერება დავიწყე.

**— რამდენ ხანს ამკობდით წმიდა გიორგის?**

— ერთი წლის განმავლობაში... ალბათ, მისი კურთხევა იყო, ხატმა თავი შემამკობინა. ერთ დღესაც მივხვდი, რომ ხელოვნების ლამაზი ნიმუში შევქმენი და წმიდა გიორგი შესანიშნავ ჩარჩოში ჩავსვი.

**— რომელ ტაძარს შესწირეთ?**

— მეტეხში დავაბრძანეთ. ჩარჩოში ჩასმამდე ხატი არ მაწუხებდა, მერე კი აღარ მოისურვა ჩემს სახლში ყოფნა. ამას ცხადად ვგრძნობდი... მერწმუნეთ, წმინდანები გვმართავენ, მათი ნება-სურვილით დავდივართ ამ ცოდვილ დედამიწაზე.

**— რატომ ფიქრობთ, რომ ხატმა აღარ მოისურვა თქვენს სახლში ყოფნა?**

— სანამ ტაძარს შევწირავდი, მინდოდა, სამი კვირით ცისფერ გალერეაში გამომეფინა და მის წაბრძანებას არ ვჩქარობდი, მაგრამ აღარ დაიცადა... იმ დღეს გამომცემლობაში მივდიოდი, მანქანით მომაკითხეს. სახლიდან გასული ხატმა უკან მიმაბრუნა — ვიფიქრე, მანქანაში ჩავაბრძანებ და ქალაქს შემოვატარებ-მეთქი, მაგრამ გზაში მეგობარს რატომღაც ვთხოვე, მეტეხში ამიყვანე-მეთქი. მამა აკაკი ტაძარში დამხვდა. მივედი მასთან და ვეუბნები: წმიდა გიორგის ხატი შევამკე, მინდა, შემოგწიროთ, მაგრამ

## მერწმუნეთ, წმინდანები გვმართავენ, მათი ნება-სურვილით დავდივართ ამ ცოდვილ დედამიწაზე

სამი კვირით გამოფენაზე წავაბრძანებ და მერე მოვიყვანმეთქი. როგორც გენებოთო, მიპასუხა. ჩავთვალე, რომ მოძღვარმა სათანადო ყურადღება არ მომაქცია და მეწყინა... გაბრაზებულ გულზე მეგობარს ვთხოვე, ხატი ამოაბრძანე-მეთქი.

**— როგორ შეხვდა მამა აკაკი გამშვენიერებულ წმიდა გიორგის?**

— ძალიან მოეწონა. დამლოცა, მაკურთხა და საკურთხეველში შეაბრძანა. დიდხანს ვტიროდი სვეტთან ატუზული, მე ხომ ხატის გამოფენა მსურდა... წმიდა გიორგის მერე შევამკე ღვთისმშობლის ბერძნული ხატი „ნუ მტირ მე დედაო“. რაც კი ვინატრე მის გასამშვენიერებლად — მარგალიტები, სხვა ძვირფასი თვლები, ოქრო, ბეჭდები, ყველაფერი თავისით მოვიდა. „ნუ მტირ მე დედაო“ სულ ძოწითაა შემკული... გუნებაში გავიფიქრე, ერთი ქილა ძოწი მინდა-მეთქი. სასწაული მოხდა, ახლობელმა სწორედ ქილით მომიტანა ძოწი.

**— მოასწარით ხატის გამოფენაზე გატანა?**

— დიახ, მერე კი ჯვრისმამის ტაძარს შევწირე, ისიც საკურთხეველშია დაბრძანებული. ცისფერ გალერეაში სხვებმაც ნახეს ჩემ მიერ შემკული ხატი და იდეა მაშინვე „აიტაცეს“... საერთოდ, პლაგიატები ერთობ მოხერხებული ადამიანები არიან!..

**— ვიცი, რომ თქვენ მიერ შემკული წმიდა დავითის ხატი, რომელიც სამებას შესწირეთ, დაზიანდა...**

— სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით, 2004 წელს, წმიდა მეფეების — თამარისა და დავითის — ხატები სამების საპატრიარქო ტაძრის ანალოღიებზე დააბრძანეს. სამწუხაროდ, მას შემდეგ წმინდანებმა ბევრი შეურაცხყოფა აიტანეს. განცვიფრებული ვარ, მაგრამ ფაქტია, რომ ხატებს საკეტები დაუმტვრიეს, რამდენჯერმე გაძარცვეს, ხოლო 2008 წლის 8 თებერვალს, წმიდა დავითის ხსენების დღეს, პატრიარქის კურთხევით ტაძრის ცენტრში დაბრძანებული ხატი, რომელსაც უამრავი ადამიანი ეამბორა, სტიქაროსნებმა დაამტვრიეს...

**— რანაირად?**

— ასე მითხრეს, ხელიდან გაუვარდათო, რაც არავის სჯერა... მოკლედ, საქართველოსავით დალეწილი შემომისვენეს სახლში დავითის ხატი, რომელსაც ორთვენახევრის განმავლობაში დიდი რუდუნებით ვამკობდი.

**— თქვენს მაგიდაზე დაბრძანებულია წმიდა გიორგის გამშვენიერებული ხატი, რომელ ტაძარს უნდა შესწიროთ?**

— მე იგი აფხაზეთში ქართველთა დიდებით შესვლის დღეს მივუძღვენი. მერწმუნეთ, ეს ხატი ცხუმიდან შავ ზღვაში ჩაიხედავს...

**— რატომ ხართ ასე თავდაჯერებული?**

— მის მინაზე ტალღებს ვხედავ, ამიტომაც უნდა შევიყვანო აფხაზეთში... მინდა, გითხრათ, რომ შიომღვიმის მონასტერში მალე წაბრძანდება წმიდა მიქაელისა და წმიდა გაბრიელის ხატი, რომელიც უკვე შემკულია. ამჟამად იგი მონასტრის ისტორიულ მფლობელთა საგვარეულოს ერთ-ერთი წარმომადგენელის, ბატონ შოთა ზევდგენიძის ოჯახში ინახება.

**— ქალბატონო თინათინ, თქვენ წმინდანებისა და გმირების ეპიტაფიებს წერთ, თანაც, პირველ პირში, რაც უპრეცედენტო მოვლენაა. რა ძალამ მოგცათ ამის ნიჭი?**

— მე, ცოდვილი ქალი, გრიგოლ ხანძთელის ეპიტაფიას ვწერ, თანაც, პირველ პირში... გიკვირთ, არა?.. შეუძლებელია, ზუსტად ავხსნა, რა ხდება, მაგრამ გეტყვით, რომ წმინდანებსა და გმირებს ვემსახურები. ამისთვის მოვედი ქვეყანაზე. ზეცაში დიდი სამეგობრო მყავს და მათ მიწიდან უნდა ვემსახურო. მაგალითად, წმიდა იოთამმა თავისი გვარის წარმომადგენელს, ბატონ შოთას შემახვედრა. ჩვენ დავმეგობრდით, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში მფარველად მომევლინა. აი, გაბრიელ ეპისკოპოსის ეპიტაფიის დაწერის შემდეგ კი ხილი არ მომკლებია. მე წავიკითხე მისი პირადი ბარათები, სადაც ხშირად საუბრობს ხილზე, რადგანაც ამით გაჰქონდა თავი. ეპიტაფიაშიც აღვნიშნე: „ხორცი ვიმჭლე ხმელი ხილით“... ამ ფრაზის დაწერის მერე შევხედე მის ხატს და ვთხოვე, ხილი მეც გამომიგზავნე-მეთქი. მეორე დილით მეზობლის ქალმა ყველანაირი ხილით სავსე უზარმაზარი ლანგარი შემომიტანა.

ზეზვა გაფრინდაულის ეპიტაფიის დაწერის შემდეგ მისმა სულმა მომატარა ადგილები, რაც მანამდე არ მენახა. ქაქუცას სოფელ მატანში საგანგებოდ მიმიწვიეს, არაჩვეულებრივად გამიმასპინძლდნენ. ბახტრიონის ციხის გორა მაჩვენეს.

უფაქიზესი ურთიერთობა მაქვს მამა ანდრია ყურაშვილთან, რომელიც 1993 წელს დახვრიტეს აფხაზეთში. „შენ ხარ ვენახის“ შემკობის დროს სულ ვტიროდი, მამა ანდრიას გამო ვღვრიდი ცრემლს.

განსაკუთრებულ კავშირს ვგრძნობ თინათინ გურიელთან, კახეთის დედოფალთან (კახეთის მეფის, ლევან მეორის მეუღლე), რომელმაც შუამთის მონასტერი ააშენა. გრიგოლ ხანძთელის ეპიტაფიის დაწერის შემდეგ მუდმივად ვგრძნობ მის შემწეობასა და მფარველობას.

**— როგორც ვიცი, ვახტანგ გორგასლის ვაჟსაც მიუძღვენით ეპიტაფია...**

— დიახ, ასეა! გორგასლის შვილის – მეფე დაჩი უჯარმელის ეპიტაფია ასე მთავრდება: „რა მშვენიერი არეა, კალას ციხიდან მცხეთამდე, ვარსკვლავებს გავწი-გამოვწევ, რომ საქართველოს ვხედავდე“... მერწმუნეთ, ზეციურ მეგობართა მფარველობით ვარსებობ, ისინი მეხმარებიან, რომ ცოცხალი ვიყო. ჩვენ მარტონი არ ვართ, მცირედი ღვაწლის სანაცვლოდაც უფალი დიდ საჩუქარს გვიკეთებს, ღმერთი ნამდვილად ჩვენთან არის.

**— ქალბატონო თინათინ, როგორ მოხვდა ათონის მთის ივერთა მონასტრის წიგნსაცავში თქვენი ლექსი „ტაძართა და ვაზთა საგალობელი“ და ღვთისმშობლის საქებ-სადიდებელი პოემა „სამადლობელი“?**



— ჩემშიც მუდმივად გაოცების გრძნობაა. ერთი ჩვეულებრივი ცოდვილი ვარ, მაგრამ, ალბათ, როცა ღვაწლში ხარ, ფუტკარივით შრომობ და ღვთივსათნო საქმეს აკეთებ, ღმერთი ხედავს, გიფასებს... „ტაძართა და ვაზთა საგალობელი“ რომ დავწერე, ჩემს მეგობარს გავუგზავნე ათენში. სხვათა შორის, ეს ლექსი ძალიან უყვარს პატრიარქს. აქვე მინდა, აღვნიშნო, რომ უწმიდესმა და უნეტარესმა მაჩუქა თავისი ბეჭდითა და წარწერით დამშვენებული ოქროცურვილი წიგნი „ნათელი ქრისტესი საქართველო“, როცა მის რეზიდენციაში წმიდა მეფეების — დავითისა და თამარის ხატები მივაბრძანეთ. ღვთის ნებით, ჩემმა ლექსმა „ტაძართა და ვაზთა საგალობელი“ ათენიდან სალონიკში გადაინაცვლა და ერთი მორწმუნე ქალბატონის ხელში მოხვდა. იგი ათონის მთაზე მიდიოდა წმინდა ადგილების მოსალოცად. სხვათაშორის, ეროვნებით რუსია. როცა მეგობარმა დამირეკა და მითხრა, შენი ლექსი ათონის მთაზე ავიდაო, აღტაცებულმა „სამადლობელი“ — ღვთისმშობლის საქებ-სადიდებელი პოემა შევქმენი. ღვთის იდუმალი განგებულებით, თბილისის ყოფილმა მერმა თამაზ ვაშაძემ „სამადლობელი“ ათონის მთის ივერთა მონასტერში, კარიბჭის ღვთისმშობლის ხატის წინ დაასვენა სამი დღის განმავლობაში, მერე კი წიგნსაცავში შეინახეს, მაგრამ ყდაზე გამოსახული ჩემი სურათი ბერებმა დაფარეს, რადგანაც მამათა მონასტერია. სხვათაშორის, „სამადლობელი“ სამი დღის განმავლობაში ქრისტეს საფლავზეც იდო.

**— ვისი შემწეობით?**

— 2007 წლის 7 აპრილს — ხარება დღეს... სხვათაშორის, მეც 7 აპრილს ვარ დაბადებული... ჩემმა მეგობარმა შოთა ზევდგენიძემ, რომელიც იერუსალიმში იყო წმინდა ადგილების მოსალოცად, „სამადლობელი“ ქრისტეს საფლავზე დადო. საოცარია, მაგრამ არაბმა მცველებმა, რომლებიც სხვებს უკრძალავდნენ უფლის საფლავზე ნივთების დადებას, ბატონ შოთას ნება დართეს, ჩემი წიგნი დაესვენებინა. მერწმუნეთ, ამას ამპარტავნებით კი არა, სიხარულით გიყვებით. უზომოდ ბედნიერი ვარ, რომ ჩემი ლექსები გეთსემანიის ჯვრის მონასტერშიც მოხვდა. ამაზე მეტი, რა უნდა ვინატრო?! როცა „სამადლობელს“ ვბეჭდავდი, კარიბჭის ღვთისმშობლის ლამაზი ხატი არ მქონდა და გარეკანზე ჩემი ფოტო უნდა მომეთავსებინა, ალბათ, ამპარტავნების გამო. მასალა უკვე სტამბაში იყო ჩაშვებული, როცა ათონის მთიდან ერთმა მღვდელმა ულამაზეს მოოქროვილ ჩარჩოში ჩასმული კარიბჭის ღვთისმშობელი გამომიგზავნა. მაშინღა მივხვდი, რამხელა მკრეხელობა უნდა ჩამედინა. სასწრაფოდ გავიქეცი სტამბაში და გარეკანზე ღვთისმშობლის ხატი დავაბეჭდვინე. სასწაული მოხდა — წმიდა მარიამმა თავისი ხატი გამომიგზავნა.

ესაუბრა
**ნინო გოჭიაშვილი**

**P.S. 29 სექტემბერს ქალაქის მთავარ ბიბლიოთეკაში (ტოვსტონოგოვის ქ. №2), გაიხსნა ქალბატონ თინათინ მღვდლიაშვილის ნახატების გამოფენა, რომელსაც მისი პოეზიის თაყვანისმცემლები დაესწრნენ. საქართველოს კულტურის სამინისტროს წარმომადგენელმა, ხელოვნებათმცოდნე ლია ბუაძემ მაღალი შეფასება მისცა თინათინის ნამუშევრებს და განაცხადა: „მისი ნახატებიდან რამდენიმე მსოფლიოს ნებისმიერ გამოფენას დაამშვენებდა“. გაცნობებთ, რომ გამოფენა 24 ოქტომბერს, 16 საათზე, დაიხურება. იმ დღეს თინათინი პოეზიის საღამოსაც გამართავს. ასე რომ, წინ დიდი სიამოვნება გელით.**

## აფხაზეთში ქართველთა დიდებით შესვლის დღეს ჩემ მიერ შემკული წმიდა გიორგის ხატი ცხუმიდან შავ ზღვაში ჩაიხედავს

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ყოველდღიური ლოცვები

**ლოცვა ნებისმიერი საქმის დამთავრების შემდეგ:**

აღვსება ყოველთა კეთილთა შენ ხარ, ქრისტე ღმერთო ჩემო, აღავსე სიხარულითა და მხიარულებითა გული ჩემი და მაცხოვნე მე, რამეთუ შენ ხარ ღმერთი მრავალ-მოწყალე.

**ლოცვა სწავლის დაწყების წინ:**

ყოვლად სახიერო უფალო, გარდამოგვივლინენ ჩვენ მადლი სულისა წმიდისა შენისა, მომნიჭებელი გულისხმის — ყოფნისა და განმაძლიერებელნი, გარდმოცემულისა ჩვენდა სწავლისა, აღვიზარდნეთ შენ შემოქმედისა ჩვენისა სადიდებლად, მშობელთა ჩვენთა სანუგეშოდ, ეკლესიისა და მამულის სასარგებლოდ.

**ლოცვა სადილის წინ:**

მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა, წმინდა იყავნ სახელი შენი, მოვედინ სუფევა შენი, იყავნ ნება შენი, ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა, პური ჩვენი არსობისა მოგვეც ჩვენ დღეს, და მოგვიტევენ ჩვენ თანანადებნი ჩვენნი, ვითარცა ჩვენ მივუტევებთ თანამდებთა მათ ჩვენთა, და ნუ შეგვიყვანებ ჩვენ განსაცდელსა, არამედ გვიხსენ ჩვენ ბოროტისაგან.

თვალნი ყოველთანი შენდამი ესვენ, უფალო, და შენ მოსცი მათ საზრდელი ყოველსა ჟამსა, აღაღებ შენ ხელსა შენსა, და განაძღებ ყოველსა ცხოველსა ნებისაებრ შენისა, ამინ.

**ლოცვა საზრდელის მიღების შემდეგ:**

გმადლობ შენ, ქრისტე ღმერთო, ჩვენო, რამეთუ განგვაძღე ჩვენ ქვეყნიერთა კეთილთა შენთაგან; ნუ დაგვაკლებ ჩვენ ზეცისათა შენსა სასუფეველსა, არამედ, ვითარცა შორის მოწაფეთა შენთა მიხვედ, მაცხოვარ, და მშვიდობა მიმადლე მათ, ეგრეთცა მოვედ ჩენთანა და გვაცხოვნენ ჩვენ. ამინ.

**კურთხეულ არს ღმერთი,** რომელი გვწყალობს, და გვზრდის სიყრმით ჩვენიდგან, რომელი მისცემს საზრდელსა ყოველსა ხორციელსა; აღივსენ სიხარულითა და მხიარულებითა გულნი ჩვენნი, რათა მარადის კმაყოფილნი გარდავემატნეთ ყოველთა საქმითა კეთილითა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს მიერ, რომლისათანა გშვენის დიდება, სიმტკიცე, პატივი და თაყვანის-ცემა, თანა სულით-წმიდითურთ, უკუნისამდე. ამინ.

**დიდება შენდა უფალო,** დიდება შენდა წმიდაო, დიდება შენდა მეუფეო, რამეთუ მოგვეც ჩვენ საზრდელი საშვებელად, აღგვავსენ ჩვენ სულთა წმიდითა, რათა გამოვსჩნდეთ წინაშე შენსა კეთილის მოქმედად, და ნუ გვარცხვენ ჩვენ ოდეს მიაგებდე კაცადკაცადსა საქმეთა მათთაებრ.

# როდის განკვეთა ეკლესიამ მონოფიზიტები



**მეოთხე მსოფლიო საეკლესიო კრება 451 წელს ქალაქ ქალკედონში ჩატარდა. მას თავმჯდომარეობდა კონსტანტინეპოლელი ანატოლი. კრება 8 ოქტომბერს გაიხსნა და 1 ნოემბერს დასრულდა. მას ესწრებოდა 630 ეპისკოპოსი, რომლებმაც უმთავრეს საკითხად გაიტანეს ევტიქის მწვალებლური სწავლება. იგი ამტკიცებდა, რომ იესო ქრისტეში იყო მხოლოდ ერთი, ღვთაებრივი ბუნება და ერთი ნებისყოფა, ხოლო კაცის ბუნება და კაცის ნებისყოფა ჩანთქმული იყო ღვთაებრივი ბუნებისა და ნებისყოფის მიერ. ამ სწავლებას მონოფიზიტობა, ანუ ქრისტეს ერთბუნებოვნება ეწოდება.**

მეოთხე მსოფლიო საეკლესიო კრებამ, რომელსაც ეწოდა „ძეგლი მართლმადიდებლობისა“, დაადგინა, „აღიაროს ქრისტეში შეერთება ორთა ბუნებათა: განუყოფლად, განუყრელად, შეურყვნელად და უქცეველად“.

ეს კი იმას ნიშნავს, რომ ორი ბუნება ქრისტესი არ შეადგენს ცალკე არსებულ პიროვნებას, ორივე ბუნება შეერთებულია ერთგვამოვნად. ისინი ერთმანეთში არ შერეულა, ანუ კაცური ბუნების მიღებით არ შეცვლილა არც ღვთაებრივი და არც კაცური ბუნება. ასე რომ, მართლმადიდებლები დიოფიზიტები ვართ.

კრებამ ევტიქი და მისი თანამოაზრე მონოფიზიტები განკვეთა. ქრისტიანულ მსოფლიოში მათ სწავლებას დღეს სომეხთა ეკლესია მისდევს.

# სულისთვის სასარგებლო რჩევები



● ჩვენი მიწიერი ყოფა არ არის ჭეშმარიტი, ნამდვილი ცხოვრება, რისთვისაც შემოქმედმა შექმნა ადამიანი; მომავალ მარადიულ ცხოვრებასთან შედარებით, იგივეა, რაც გამოუჩეკელი ბარტყის ცხოვრება კვერცხში ან ნაყოფის ყოფნა დედის მუცელში.

● თუკი მენიჩბე შეცდა, დიდი უბედურება არ არის, მაგრამ მესაჭის შეცდომა გემს დაღუპავს. ასევეა სულიერ ცხოვრებაშიც — რიგითი ადამიანის ცოდვით დაცემა საზოგადოებისთვის იმდენად საზიანო არ არის, რამდენადაც მისთვის, მღვდლის ცოდვები კი ყველას ვნებს.

● მითიური მიდასი რასაც კი შეეხებოდა, ყველაფერს ოქროდ აქცევდა, ახლა პირიქითაა; საკმარისია, ოქროთი ვინმეს შეეხო, რადაც მოისურვებ, იმად აქცევ.

● ორი აზრი ამოიგდე თავიდან: ნუ ჩათვლი საკუთარ პიროვნებას დიდების ღირსად, ნუ იფიქრებ, რომ სხვა შენზე რაღაცით დაბლა დგას. თუ ასეთი განწყობა გექნება, არასოდეს გაგალიზიანებს თავსდატეხილი უსამართლო შეურაცხყოფა.

● ბევრი ახალგაზრდა და მოწიფული ამბობს, ასაკში რომ შევალ, ღვთის გზას მაშინ დავადგებიო, მაგრამ მიაღწევენ კი ნაგულისხმებ ასაკს ან რომც მიაღწიონ, იოლი იქნება ზნე-ჩვეულებების შეცვლა?

**კაცობრიობის დაყოფა ერებად და ენებად ღმერთის უზენაესი განგებულებით აღსრულდა და თუ ვინმე მისი ნების საწინააღმდეგოს განხორციელებას ცდილობს, ანუ მსოფლიო საზოგადოების შექმნისთვის იღვწის, რაც კოსმოპოლიტიზმის თანამედროვე, დამახინჯებული გაგებაა, ლუციფერულ ამპარტავნებაშია ჩავარდნილი, რადგანაც საკუთარ ნებას უფლისაზე მაღლა აყენებს, მნიშვნელობა არ აქვს, რომელი კეთილშობილური მიზნით ინიღბება.**

# კოსმოპოლიტიზმის ქრისტიანული გაგება



როცა კაცთა მოდგმა ამისთვის მზად იქნება, უფალი თავად გაგვაერთიანებს და, როგორც წმინდა წერილი გვასწავლის, ეს გაერთიანება უთუოდ სულიერ საწყისზე აღსრულდება და არა ფიზიკურ პლანში. კოსმოპოლიტიზმი არ ნიშნავს ერებს შორის ანტაგონიზმსა და კაცთმოძულებას, მაგრამ მსოფლიო საზოგადოების შექმნის იდეა, სადაც არ იარსებებს ეროვნული დიფერენციაცია და ადამიანთა პიროვნული განსხვავება, არაქრისტიანულია. ჭეშმარიტი კოსმოპოლიტიზმი ეროვნული ფესვებიდან იღებს სათავეს და ქრისტიანულ კაცთმოყვარებაზე, ანუ მოყვასის სიყვარულზეა დაფუძნებული. ამის თვალსაჩინო მაგალითია სახარებისეული კეთილი სამარიტელი, სხვა შემთხვევაში კოსმოპოლიტიზმი ფარისევლობა და ერებს შორის ურთიერთდაპირისპირების სათავეა. ამის მკაფიო მაგალითია ბოლშევიკური კოსმოპოლიტიზმი. ჭეშმარიტი მსოფლიო მოქალაქეობა ეროვნული თვითშეგნების გარეშე არ არსებობს.

# კითხვა-პასუხი

**როგორ უყურებს ეკლესია სამგლოვიარო ტანსაცმლის დიდხანს ტარებას?**

— ეკლესია ყველაფერში ზომიერებისკენ მოგვიწოდებს. ბუნებრივია, როცა ადამიანი ახლობლის გარდაცვალებას გლოვობს, მაგრამ ზედმეტმა მწუხარებამ შესაძლოა, სასოწარკვეთილებაში ჩაგვაგდოს. იმედგაცრუებული, სასიკვდილო ცოდვაში ჩავარდნილი ადამიანი თავად შორდება ღმერთს და გარდაცვლილის ცოცხალ სულზე როგორღა იზრუნებს? ახლობლის წინაშე ვალდებულება მისი გარდაცვალების მერეც გვაქვს; მხოლოდ ტირილი კი არა, ლოცვით შეწევნა სჭირდება. გარდა ამისა, წრეგადასული გლოვა ჩვენი ურწმუნობის მაჩვენებელია.

**შეუძლია თუ არა სასულიერო პირს ქუჩაში საერო ტანსაცმლით სიარული?**

— სასულიერო სამოსის გახდით მოძღვარს სამღვდლო მადლი არ განეშორება, მაგრამ სასურველია, ქუჩაშიც სასულიერო სამოსით იაროს, რადგან ის მხოლოდ ტაძარში როდია მღვდელი, იგი ყველგან და ყოველთვის დაკარგული ცხვრის ქრისტესთან მიყვანას უნდა ცდილობდეს. მღვდელი ტაძარშიც, სახლშიც, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებშიც, კულტურულ დაწესებულებებშიც ქრისტეს უნდა ქადაგებდეს სიტყვით თუ საქმით. ასე რომ, სასულიერო სამოსით ხალხში გამოჩენა უკვე ქრისტეს უსიტყვო ქადაგებაა.

**რა უბიძგებს ადამიანს სამონასტრო ცხოვრებისკენ?**

— წმიდა მამები სამ მიზეზს ასახელებენ: პირველი — როცა ბავშვობიდანვე გამორჩეულია ადამიანი და მონასტერში ცხოვრება სურს; მეორე — ძიება! გარკვეული დროის შემდეგ პიროვნება მონასტერში მიდის და იქ პოულობს ნავსაყუდელს; მესამე — მძიმე ცოდვების გამო კაცი ცხონების გზას ერში ვერ ხედავს და სულის გადასარჩენად მონასტერში მიდის.

ღვთის წინაშე სამივე ერთია. არ აქვს მნიშვნელობა, რა მიზეზით შეხვალ ღვთის სასუფეველში. მთავარია, მონასტერში მიხვიდე, ადიდო უფალი და სიცოცხლის ბოლომდე იქ იცხოვრო.

**შეიძლება თუ არა ფულის შენახვა კეთილი საქმისთვის?**

— კეთილ საქმეთა აღსრულებისთვის ფულის შენახვა ვერცხლისმოყვარეობად არ ითვლება. როცა ჩანაფიქრს შეასრულებ, მერე შეგიძლია, აღარ დააგროვო თანხა და მთლიანად ღმერთს მიენდო. უფალი სახსარს გამოგიჩენს, გაჭირვებაში არ მიგატოვებს.

რუბრიკას უძღვება **ნინო გოძიაშვილი**

## ანა კბილაშვილი: სანამ მეორედ არ გავთხოვდი, გარდაცვლილი მეუღლის სულმა არ მიმატოვა

**ანა კბილაშვილი პირველ ბავშვზე იყო ორსულად, როცა საყვარელი მეუღლე გარდაეცვალა, მაგრამ ისინი სიკვდილმა ვერ დააშორა. ქმრის სული ქალს სიზმარში ეცხადებოდა და განსაცდელისგან იფარავდა.
მხოლოდ მაშინ მიატოვა, როცა ანა მეორედ გათხოვდა.**

— შვიდი თვის ორსული ვიყავი, როცა მეუღლე გარდამეცვალა...

— **რა დაემართა ახალგაზრდა კაცს?**

— საბა 38 წლისა იყო, როცა დავოჯახდით. ჩემი პირველი სიყვარული ხარო, — მითხრა, — სანამ არ გაგიცანი, ეს გრძნობა სექსთან მქონდა გაიგივებულიო. კარგი წყვილი ვიყავით, მაგრამ სიკვდილმა უდროოდ წაიყვანა — ახალგაზრდა კაცს გულმა უმტყუნა. მამამისიც ინფარქტით დაიღუპა 50 წლის ასაკში. გული გენეტიკურად სუსტი აქვთ. საავადმყოფოში ისე წაიყვანეს ჩემმა დედამთილმა და მამამთილმა, რომ არაფერი გამაგებინეს.

— **თქვენ სად იყავით იმ დროს?**

— დედაჩემთან. სუსტი წელი მქონდა და ექიმების რჩევით, წოლით რეჟიმს ვიცავდი, მოვლა მჭირდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ არაფერი მითხრეს, ეშინოდათ, ინერვიულებს და ნაყოფზე იმოქმედებსო, ვიგრძენი მეუღლის გარდაცვალება...

— **როგორ?**

— ძირითადად, ვიწექი ხოლმე. ერთხელ რომ ჩამთვლიმა, სიზმარში საბა ვნახე. მიღიმოდა, მომეხვია, გულში მაგრად ჩამიხუტა და მითხრა: მე მალე წავალ, მაგრამ არ უნდა ინერვიულო, ბავშვზე ცუდად იმოქმედებს, გოგო გვეყოლება და დედაჩემის სახელი დაარქვი. არასოდეს მიგატოვებ, სულ შენ გვერდით ვიქნებიო.

ერთი სიტყვით, წინასწარ შემამზადა...

როცა მითხრეს, გარდაიცვალაო, არ გამკვირვებია, შეგუებული ვიყავი. მაშინ ექოსკოპია არ არსებობდა და ბავშვის სქესი არ ვიცოდი.

— **მართლა გოგონა გეყოლათ?**

— დიახ. საბას სურვილისამებრ, დედამთილის სახელი დავარქვი. ყოველთვის ვგრძნობდი ჩემ გვერდით მის ყოფნას...

ერთხელ ლალის, ჩვენს გოგონას, პოლიკლინიკაში აუცრეს. ექიმმა მითხრა, თუ დღის განმავლობაში სიცხე აუწევს, აუცილებლად დამირეკეო, მაგრამ ბავშვი თავს კარგად გრძნობდა. საღამოს დავაძინე და მეც დავწექი. შუაღამისას საბა დამესიზმრა. ნამძინარევი შემაჯანჯღარა, მითხრა — ბავშვს მიხედეო. მაშინვე წამოვხტი, ლალის შუბლზე ხელი დავადე, გავარვარებული იყო, ისეთი მაღალი სიცხე ჰქონდა. ყოველთვის მაფრთხილებდა, როცა ხიფათი გველოდა... ჩემ გვერდით იყო წლების განმავლობაში.

— **როდის გათხოვდით მეორედ?**

— საბას გარდაცვალებიდან 6 წლის შემდეგ მამუკა გავიცანი. ერთმანეთი შეგვიყვარდა და დაოჯახება გადავწყვიტეთ. ქორწილის წინა ღამეს საბა მესიზმრა. ხელი მაგრად ჩამავლო და მითხრა — ჩემთან უნდა წამოხვიდეო. ამ დროს საიდანღაც გაჩნდა გარდაცვლილი ბიძაჩემი, რომელიც საბას წინ გადაეღობა: სად მიგყავს, ჯერ შვილი უნდა გაზარდოს, თავი დაანებეო და ხელი გააშვებინა. მას შემდეგ გარდაცვლილი მეუღლე აღარ დამსიზმრებია.

— **თქვენი გათხოვება ეწყინა?**

— როგორც ჩანს, არ სურდა, სხვისი ცოლი გავმხდარიყავი. ჩემ გვერდით უნდოდა ყოფნა.

— **მას შემდეგ აღარ დაგსიზმრებიათ?**

— ერთხელ... როცა მამუკასთან თანაცხოვრების 5 წლისთავზე ურთიერთობა დამეძაბა.

— **მიზეზი რა იყო?**

— მიღალატა. ბევრი ვითმინე, მაგრამ ბოლოს მივხვდი, რომ თავს ვიტყუებდი და სასამართლოში განცხადება შევიტანე განქორწინების თაობაზე. აღარ ვუყვარდი. რა აზრი ჰქონდა ჩვენს ერთად ცხოვრებას...

— **მამუკა დაქორწინდა?**

— დიახ, განქორწინებისთანავე თავისი საყვარელი შეირთო. როცა მეორე ქმარს გავეყარე, იმ ღამით საბა დამესიზმრა... მე და ლალი სიზმარში ერთმანეთის გვერდით ვისხედით. სევდანარევი ღიმილით მოგვიახლოვდა, ორივენი მაგრად ჩაგვიკრა გულში, მოგვიალერსა და წავიდა. მას შემდეგ აღარასოდეს დამსიზმრებია.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# რუსეთმა აღარ იცის, სად წაიღოს ხორბალი

**მიუხედავად საზაფხულო გვალვისა, რუსეთში 2009 წლის მოსავალმა სოფლის მეურნეობის სამინისტროს მოლოდინს გადააჭარბა. ეს კი აღნიშნულ უწყებას სიხარულის მიზეზზე მეტად პრობლემებს უქმნის. როგორც იქნა, სახელმწიფო ჩამოყალიბდა ახალი სახელმწიფო შესყიდვების აგენტთან დაკავშირებით.**



ეს სახელმწიფო გაერთიანებული ხორბლის კომპანია იქნება, თუმცა შესყიდვას არავინ ჩქარობს. დაბალი საექსპორტო ფასებისა და იმის გამო, რომ შარშანდელი ჭარბი ხორბალი ჯერაც არ გახარჯულა, წლევანდელი მოსავლის შესყიდვაზე მოთხოვნილება, უბრალოდ, არ არსებობს. ჯერ კიდევ ერთი კვირის წინათ სოფლის მეურნეობის მინისტრი ლენა სკრინიკი ამბობდა, რომ, სავარაუდოდ, მხოლოდ მარცვლეული მოსავალი 85 მილიონ ტონას მიაღწევდა. არც ეს პროგნოზი გამართლდა, მოსავლის მხოლოდ 80%-მა 88,8 მილიონი ტონა შეადგინა.

ხორბლის ჭარბი რაოდენობა უკუპროპორციულად მოქმედებს ფასებზე. თუ 2008 წელს ერთი ტონა ხორბალი 4-5 ათასი რუბლი ღირდა, წელს ფასი 3 ათასამდე დაეცა. გარდა ამისა, არასასიკეთო საექსპორტო კონიუნქტურა ხორბლის შენახვის აუცილებლობას წარმოშობს, ეს კი თავისთავად ზრდის ფასს ელევატორების მომსახურებაზე (ერთი თვით ერთი ტონა ხორბლის შენახვის ფასი შარშანდელს შემდეგ 55-დან 65 მანეთამდე გაიზარდა). ამას ემატება ისიც, რომ შარშანდელი 23 მილიონი ტონის ნაცვლად წელს საექსპორტო მხოლოდ 19 მილიონი ტონაა.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვითომ ეს თავისტკივილები არ ჰყოფნიდეს, ხორბლის ფასის სტაბილისაციისთვის შექმნილი სახელმწიფო ინტერვენციული ფონდის ბედიც ემატება. თავდაპირველად იგეგმებოდა, რომ ფონდს შემოდგომაზე იაფად უნდა შეესყიდა ხორბალი მასზე ფასის აწევის შემდგომი რეალიზებისთვის. შედეგად 2008 წლის ძვირადღირებული სახელმწიფო შესყიდვების შედეგი — 8,06 მილიონი ტონა ხორბალი ჯერაც ელევატორებში ინახება. სწორედ ამის გამო წლევანდელი მოსავლის შესყიდვას ჯერჯერობით პირი არ უჩანს.

# ამერიკელი დიპლომატის პოსტი ავღანურ არჩევნებში დარღვევებზე მითითებას შეეწირა

**გაეროს მისიაში მომუშავე მაღალჩინოსანი ამერიკელი დიპლომატი სამსახურიდან გაათავისუფლეს, რაკი ავღანეთის საპრეზიდენტო არჩევნებისას მომხდარი დარღვევების გადამოწმება მოინდომა. ამით პიტერ გელბრეიტმა თავისი უფროსი კაი ეიდე და თავად ავღანეთის პრეზიდენტი განარისხა.**



ოფიციალური მონაცემებით, 20 აგვისტოს საპრეზიდენტო არჩევნებში პირველივე ტურის შედეგების მიხედვით გაიმარჯვა ავღანეთის მოქმედმა პრეზიდენტმა ჰამიდ კარზაიმ. გაეროს სპეცთავმჯდომარის მოადგილე გელბრეიტი, რომელიც ამ გამარჯვების სამართლიანობაში დაეჭვდა, სექტემბრის შუა რიცხვებში გაეროს გენერალური მდივნის გადაწყვეტილების შესაბამისად თანამდებობიდან გაათავისუფლეს და ავღანეთიდან გაიწვიეს.

გაეროს წარმომადგენლებმა ეიდესა და გელბრეიტს შორის უთანხმოება აღიარეს. როგორც გაეროს ერთ-ერთმა ინკოგნიტო თანამშრომელმა გაამხილა, კარზაის ხელისუფლების მინისტრებმა განაცხადეს, რომ მასთან მუშაობა აღარ შეუძლიათ. კარზაის წინასაარჩევნო შტაბში დიპლომატის გაწვევის შესახებ კომენტარებს არ აკეთებენ და მომხდარს გაეროს შიდა საქმედ აფასებენ.

გელბრეიტს, ალბათ, ნებაყოფლობით მიჰყვებიან ის დიპლომატები, რომლებიც პირადად უჭერდნენ მას მხარს ან საერთო ჯამში იზიარებდნენ ავღანეთის დამოუკიდებელი საარჩევნო კომისიისადმი მისეულ მკაცრ დამოკიდებულებას. გელბრეიტი კატეგორიულად მიანიშნებდა იმაზე, რომ თავდაპირველად საარჩევნო კომისიამ უარი განაცხადა ათასობით ყალბი ხმის ჩათვლაზე, მაგრამ ერთი დღის შემდეგ ხელისუფლების ზეწოლის შედეგად ეს გადაწყვეტილება შეცვალა.

გელბრეიტის გაწვევას თავად ობამას ადმინისტრაციის თანხმობა დასჭირდა. მისმა გაწვევამ ბევრი გააკვირვა, რადგან აშშ-ის მანამდელი წარმომადგენელი ავღანეთში რიჩარდ ჰოლბრუკი კარზაისაგან ასევე მოითხოვდა საარჩევნო პროცესისადმი პატივისცემას. კარზაის ადმინისტრაციის მიმართ კრიტიკა საიდუმლო მოხსენებაშიც დაფიქსირდა, რომელიც ქვეყანაში ამერიკული ჯარების სარდალმა, გენერალმა სტენლი მაკრისტალმა მოამზადა. მან აღნიშნა, რომ ავღანეთის ამჟამინდელ ხელისუფლებაში გამეფებული კორუფცია „თალიბანზე“ ნაკლებად საშიში არ არის.

# რუსეთი შეერთებულ შტატებს რაკეტსაწინააღმდეგო ფარის ალტერნატივას შესთავაზებს

**უახლოეს მომავალში რუსეთის თავდაცვის სამინისტრო ამერიკის მიერ რაკეტსაწინააღმდეგო დაცვის ელემენტების ჩეხეთსა და პოლონეთში განთავსებაზე უარის თქმასთან დაკავშირებით წინადადებას მოამზადებს.**

ამის შესახებ თავდაცვის მინისტრმა ანატოლი სერდიუკოვმა „ორს პლუს ორი“ ფორმატის (საგარეო პოლიტიკისა და თავდაცვის უწყებების ხელმძღვანელები) რუსულ-ფრანგული შეხვედრის შედეგად განაცხადა.

მისი თქმით, რუსეთი დადებითად აფასებს ამერიკული მხარის ინიციატივას — ევროპაში რაკეტსაწინააღმდეგო დაცვის განთავსებაზე უარის თქმას. პრეზიდენტის დავალებით, თავდაცვის უწყება ამ საკითხს დაამუშავებს, უახლოეს პერიოდში საკუთარ წინადადებებს მოამზადებს და განსახილველად წარადგენს.

ამასთან, ანატოლი სერდიუკოვმა აღნიშნა, რომ ამ თემას საფრანგეთის თავდაცვის მინისტრთან შეხვედრის დროს არ შეხებიან.



როგორც რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის პრესმდივანმა ნატალია ტიმაკოვამ ორიოდე დღის წინათ დაადასტურა, რაკეტსაწინააღმდეგო დაცვის ერთობლივად შექმნის სფეროში რუსეთის მიერ წამოყენებული ყველა წინადადება ძალაში რჩება და თუ ამერიკული მხარე თანამშრომლობის სურვილს გამოთქვამს, რუსული მხარე სრული მზადყოფნით უპასუხებს.

# დოლარის ვარდნას ვერაფერი შეაჩერებს

**2009 წლის მესამე კვარტალში დოლარის ვარდნა მხოლოდ გამყარდა. მიუხედავად ამისა, ეკონომიკა გამოცოცხლებას იწყებს, ინვესტორები კი მოგების იმედით კვლავ სარისკო აქტივებში აბანდებენ ფულს. როგორც „wall street journal“ იუწყება, ამერიკული ვალუტა მომავალი რამდენიმე კვირის მანძილზე შესაძლოა, კიდევ და კიდევ გაიაფდეს. ინვესტორები ვარაუდობენ, რომ სხვა ქვეყნები ფედერალურ სარეზერვო სისტემაზე ადრე ასწევენ რეფინანსირების წილებს, რაც, თავის მხრივ, დიდ შემოსავლებს განაპირობებს.**




გამორიცხული არაა დოლარის პოზიციის დასუსტება, თუ ის ძალიან შორს შეტოპავს, შეაჩერონ. საბოლოო ჯამში, აზიისა და ევროპის პოლიტიკოსებს შეუძლიათ, მოიმიზეზონ, რომ დასუსტებული დოლარი აშშ-ში საქონლის ექსპორტირებაში უშლით ხელს, არადა, ამ ექსპორტირებით სწორედ დოლარს ეშველება.

ამ კვარტალში ამერიკულმა ვალუტამ ევროსთან შედარებით საკუთარი ღირებულების 4,1% დაკარგა, იაპონურ იენთან შედარებით კი — 6,8%. გასულ ორშაბათს ერთი ამერიკული დოლარი 89,77 იენი ღირდა. ეს 2009 წლის პირველი იანვრიდან დღემდე დოლარის ყველაზე დაბალი კურსია.

ამერიკულთან მიმართებაში ნედლეულის ექსპორტირებადი ქვეყნების ვალუტებიც ცალსახად მყარდება, მაგალითად, ავსრალიის ვალუტა 9,5%-ით გამყარდა.

ბრიტანული ფუნტი დოლარზე სუსტი აღმოჩნდა, მან დოლართან მიმართებაში 2,9% დაკარგა, ევროსთან მიმართებაში კი — 6,9%. სამაგიეროდ, მანამდე, მეორე კვარტალში, ფუნტი დოლართან მიმართებაში 15%-ით გამყარდა. საერთოდ, ბრიტანეთის ეკონომიკა ძალზე მგრძნობიარე აღმოჩნდა კრიზისის შედეგების მიმართ და ახლო მომავალში მის გამოცოცხლებას არავინ იმედოვნებს. უფრო მეტიც, ინგლისის ბანკმა განაცხადა, რომ ბრიტანეთის ეკონომიკის სრულფასოვან აღდგენაზე ჯერჯერობით საუბარიც ზედმეტია.

სავალუტო ანალიტიკოსის — სეიმონ დერიკის განცხადებით, აშშ ხელისუფლების მცდელობებმა — მთელი ფული ეკონომიკისთვის მიეშველებინა, მსესხებელთათვის დოლარი უჩვეულოდ გააიაფა, ამასთან, ამერიკულ აქტივებს ახლა უკიდურესად მოკრძალებული შემოსავლები მოაქვს.

სამაგიეროდ, ერთი ევრო ლამის დოლარნახევარი ღირს.

უორენ ბაფეტის დონის ინვესტორები ღელავენ. შესაძლოა, ამერიკის მზარდმა ვალებმა და არაორთოდოქსულმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ დოლარისადმი ნდობის დაკარგვა გამოიწვიოს. შედეგად გაიზრდება ინფლაცია და აუცილებლად „შთანთქავს“ ფიქსირებული გადასახადების აქტივებიდან მიღებულ შემოსავლებს. მაგალითად, შტატების ხაზინის ობლიგაციებს. უკანასკნელი წლების განმავლობაში ბეფეტის საინვესტიციო კომპანია „Berkshire Hathaway Inc“-მა დოლარის საწინააღმდეგო არაერთი გარიგება მოაწყო.

დოლარის ვარდნა აუცილებლად წამოჭრის საკითხს, თუ როდემდე ჩათვლიან მას ოპტიმალურ სარეზერვო ვალუტად მსოფლიოს უმსხვილესი ბანკები, ზოგიერთი კრიტიკოსი, განსაკუთრებით, რუსეთსა და ჩინეთში, უკვე მოუწოდებს მსოფლიოს დოლარის ალტერნატიული ვალუტის შექმნის ან მრავალი ვალუტის სისტემაზე გადასვლისაკენ.

მიუხედავად პესიმისტური პროგნოზებისა, მრავალი ექსპერტი და ინვესტორი ირწმუნება, რომ ჯერ კიდევ წლის ბოლომდე დოლარის სისუსტე დაძლეული იქნება და მსოფლიო სარეზერვო ვალუტა გადარჩება.

# შტატებს გადასახადების გაზრდა მოუწევს

**ეკონომიკის კრიზისიდან ამერიკის გამოსასვლელად ხელისუფლებას კრედიტირების შეზღუდვა და გადასახადების გაზრდა მოუწევს. ფედერალური სარეზერვო სისტემის ექს-მეთაურის — ალან გრინსპენის აზრით, უამისოდ რეკორდული ბიუჯეტური დეფიციტისა და მოსალოდნელი ინფლაციის პრობლემებთან გამკლავება შეუძლებელი გახდება.**

ამერიკის შეერთებული შტატების 2008-2009 ფინანსური წლის (დასრულდა 30 სექტემბერს) ბიუჯეტის დეფიციტმა 1,6 ტრილიონი დოლარი შეადგინა, 2019 წლამდე კი ადმინისტრაცია იმაზე 7,1 ტრილიონი დოლარით მეტს დახარჯავს, ვიდრე გადასახადებიდან მიიღებს. გრინსპენი ამბობს, რომ „გადასახადების მნიშვნელოვნად გაზრდის გარეშე ამასთან გამკლავებაზე ფიქრი არარეალურია“. მისივე აზრით, ზემოხსენებულ თანამდებობაზე მის მემკვიდრე ბენ ბერნანკეს ბოლო ორი წლის სასწრაფო და საგანგებო ფინანსირების შედეგად გაჩენილი ჭარბი ფულის სტერილიზაციასა და ამოღებაზე მოუწევს მუშაობა. გარდა ამისა, გრინსპენი თვლის, რომ მომავალ წელს ამერიკული ეკონომიკის ზრდა შესაძლოა, შენელდეს ბაზარზე აქციების აწევის შეჩერების გამოც.



საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# სააკაშვილი დასავლეთ ევროპაში ისედაც «მოკვეთილად განიხილება»

**ევროპის კავშირის ეგიდით შექმნილი საქართველო-რუსეთის 2008 წლის ზაფხულის კონფლიქტის მიზეზების დამდგენი საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარე ჰაიდი ტალიავინიმ ბრიუსელში ევროპის მინისტრთა საბჭოს ამ კომისიის მიერ მომზადებული მოხსენება გადასცა. 30 სექტემბერს გამოქვეყნებული 40-გვერდიანი ანგარიში, რომელიც თანდართული დოკუმენტებით თითქმის ათას გვერდს შეადგენს, ხელს საქართველოსკენ იშვერს.**

## ტალიავინის კომისიის დასკვნის შემდეგ იგი ვეღარასდროს დაიბრუნებს დიდების დღეებს, რომლებიც პრეზიდენტობის დასაწყისში ჰქონდა



თავად ჰაიდი ტალიავინიმ, რომელიც 2002-2006 წლებში საქართველოში გაეროს წარმომადგენლობას ხელმძღვანელობდა და უკანასკნელი ერთი წელი რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის წარმომშობი მიზეზების კვლევაში გაატარა, განაცხადა: „ორივე მხარეს მისი წილი პასუხისმგებლობა ეკისრება. თუ საქართველომ 2008 წლის 7 აგვისტოს ღამით ცხინვალზე საარტილერიო შეტევით კონფლიქტი დაიწყო, რუსეთმა ამ სიტუაციისთვის შესანიშნავი ნიადაგი მოამზადა, რამაც საბოლოოდ ის საქართველოსთან შეიარაღებულ დაპირისპირებამდე მიიყვანა. ამასთანავე, რუსეთმა საერთაშორისო სამართლის ნორმები დაარღვია, როდესაც სამხედრო ოპერაციები სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული საზღვრების მიღმა, საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე აწარმოა; დამატებით, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობაც აღიარა, მიუხედავად იმისა, რომ საქართველო და საერთაშორისო თანამეგობრობის დიდი ნაწილი ამას ეწინააღმდეგებოდა. ამავე დროს, კონფლიქტის კონტექსტში, როგორც ერთი, ასევე მეორე მხრიდან არარეალური ბრალდებები ისმოდა. განსაკუთრებით ეს ეხება რუსებისა და ოსების მიერ საქართველოს დადანაშაულებას სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის გენოციდში.“

ანგარიშში საქართველო გაკრიტიკებულია იმისთვის, რომ მას სამხრეთ ოსეთის დედაქალაქ ცხინვალზე თავდასხმისთვის არასაკმარისად კანონიერი საფუძველი ჰქონდა.

გაზეთი „The New York Times“ წერს, რომ დასკვნამ საყოველთაოდ არსებული ეჭვები დაადასტურა: ყველა დამნაშავეა!.. საქართველო იმიტომაა დამნაშავე, რომ ამ ქვეყნის შფოთიანმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა უგუნური გადაწყვეტილება მიიღო და სამხრეთ ოსეთს შეუტია. რუსეთი დამნაშავეა იმის გამო, რომ სააკაშვილს აშინებდა და აქეზებდა, შემდეგ კი მომენტით ისარგებლა და საქართველოს თავს დაესხა; აშშ დამნაშავეა, რადგან თავისი დუმილით სააკაშვილს უბიძგებდა, ევროპა კი იმიტომაა დამნაშავე, რომ საერთოდ არაფერს აკეთებდა. გაზეთი იმასაც აღნიშნავს, რომ ამ დასკვნის შემდეგაც ქართველებს ჭკუა არ უსწავლიათ, რომ საქართველოს მთავრობა, უკვე გამოვლენილი ფაქტების მიუხედავადაც, განაგრძობს იმის მტკიცებას, რომ ჯარების გაგზავნაზე გადაწყვეტილების მიღების მომენტში სამხრეთ ოსეთში რუსეთის არმიის შემოჭრა უკვე დაწყებული იყო. საქართველოს წარმომადგენელი ევროკავშირის სტრუქტურებში ამტკიცებს, რომ, თუკი საგამოძიებო კომისიის წევრებს მიაჩნიათ, რომ საქართველოს მოქალაქეები დაცვას არ იმსახურებენ, „ეს მათი გემოვნების საკითხია“.

სააგენტო „ფრანს-პრესი“, ექსპერტების პოზიციაზე დაყრდნობით, აღნიშნავს, რომ ევროკავშირის იმ დასკვნის გამო, რომელმაც სააკაშვილის მთავრობა რუსეთთან ომის დაწყებაში დაადანაშაულა, საქართველოს პრეზიდენტის პოზიციებს დასავლურ დედაქალაქებში სერიოზული დარტყმა მიადგა. სულ რაღაც რამდენიმე წლის წინათ დასავლეთში ამომავალი ვარსკვლავის, ამერიკაში განსწავლული და პოლიგლოტი სააკაშვილის რეპუტაცია დაინგრა ბრალდებებით იმის თაობაზე, რომ მან საქართველოს აჯანყებულ რეგიონზე, სამხრეთ ოსეთზე, უგუნური შეტევა მოაწყო და ქვეყნის შიგნით განსხვავებული აზრის არსებობას ეწინააღმდეგება.

თავად სააკაშვილი დასკვნას მიესალმა, მას „საქართველოს დიდი დიპლომატიური გამარჯვება“ უწოდა და განაცხადა, რომ მოვლენების თბილისური ვერსია „დაცული და გაზიარებულია“. ბრიუსელში განთავსებული ევროპული პოლიტიკის ცენტრის კავკასიის საკითხთა ექსპერტმა ამანდა აკჩაკოჩამ განაცხადა, რომ „ის დღეები, როდესაც იგი ოქროს ბიჭუნა იყო, დიდი ხნის წინათ დასრულდა და მას ძალიან გაუჭირდება თავისი პოზიციის გაუმჯობესება“.

სხვა ანალიტიკოსები მიიჩნევენ, რომ დასკვნამ გააქარწყლა სააკაშვილის მუდმივი მტკიცება იმის თაობაზე, თითქოს სამხრეთ ოსეთზე შეტევის წამოწყებისას საქართველო ფართომასშტაბიანი რუსული ინტერვენციის პირისპირ იყო. დოკუმენტში გარკვევითაა ნათქვამი, რომ ომი თბილისმა გამოიწვია, დაიწყო რა დაუსაბუთებელი თავდასხმა სამხრეთ ოსეთზე. ქართული მხარის განცხადებების დამადასტურებელი მტკიცებულება, თითქოს შეტევას რუსული ინტერვენცია უძღოდა, არ არსებობს.

ლონდონის Chatham House-ის კავკასიის საკითხთა ექსპერტის ჯეიმს ნიქსის თქმით, „სააკაშვილი დასავლეთში სერიოზულადაა დისკრედიტებული, რადგან საბოლოო ჯამში, მიუხედავად იმისა, თუ რა პროვოკაციებს ჰქონდა ადგილი, სამხრეთ ოსეთის მიმართულებით რაკეტების გასროლა მისი გადაწყვეტილება იყო“; ევრაზიის ჯგუფთან მომუშავე კავკასიის ექსპერტმა ანა იელენკოვიჩმა კი დასძინა, რომ სააკაშვილი დასავლეთ ევროპაში ისედაც „მოკვეთილად განიხილება“ და ეს დასკვნა მის წინააღმდეგ ამგვარ დამოკიდებულებას მხოლოდ განამტკიცებს. იმავე ექსპერტებმა საქართველოში ოპოზიციის სისუსტესა და მეორე საპრეზიდენტო ვადის ამოწურვამდე სააკაშვილის დარჩენაზეც ისაუბრეს, შემდეგ კი დასძინეს, რომ მიუხედავად ამისა, იგი ვეღარასდროს დაიბრუნებს დიდების დღეებს, რომლებიც პრეზიდენტობის დასაწყისში ჰქონდა, როდესაც ევროპის დედაქალაქებში მას თბილად ხვდებოდნენ და შეერთებული შტატების ყოფილი პრეზიდენტი ჯორჯ ბუში მის ქვეყანას „დემოკრატიის შუქურას“ უწოდებდა.

დასკვნის მიხედვით, 2008 წლის აგვისტოში რუსეთ-საქართველოს შორის საომარი „ოპერაციები საქართველოს მხრიდან მასირებული საარტილერიო შეტევით დაიწყო... მოგვიანებით მან საკუთარი ქმედებების გამართლებისთვის რუსეთის საეჭვო ინტერვენცია დაიმოწმა. საქართველოს განცხადების თანახმად, სამხრეთ ოსეთში რუსული სამხედრო ძალების მობილიზება, კერძოდ კი, სამხედრო და სამედიცინო პერსონალის, კარვების, დაჯავშნილი ავტომობილების, ტანკების, თვითმავალი არტილერიისა და საარტილერიო აღჭურვილობის რაოდენობის გაზრდა 2008 წლის ივლისის დასაწყისში დაიწყო და მთელი აგვისტო გრძელდებოდა... მისია ვერ ახერხებს ქართული მხარის ჩვენებების საფუძვლიანობის დადასტურებას, რომელთა მიხედვითაც სამხრეთ ოსეთში რუსეთის შეიარაღებული ძალების შეჭრა 2008 წლის 8 აგვისტოს მოხდა... საქართველოს შეიარაღებული ძალების მიერ 7-დან 8 აგვისტოს ღამით ცხინვალის დაბომბვამ სათავე დაუდო საქართველოში ფართომასშტაბიანი შეიარაღებული კონფლიქტის დაწყებას... საქართველოს განცხადებები იმის თაობაზე, რომ სამხრეთ ოსეთში, 7-დან 8 აგვისტოს ღამით, ქართული შეტევის დაწყებამდე იქ ადგილი ჰქონდა რუსეთის შეიარაღებული ძალების ფართომასშტაბიან ყოფნას, არ დადასტურდა... ასევე, არ დადასტურდა ცნობები იმის თაობაზე, რომ რუსეთი ასეთი სერიოზული თავდასხმისთვის ემზადებოდა. ვერ იქნა მოძიებული მტკიცებულებები იმის თაობაზე, რომ სამხრეთ ოსეთში რუსეთის სამშვიდობო ძალების მხრიდან ადგილი ჰქონდა საერთაშორისო შეთანხმებებით გათვალისწინებული ვალდებულებების მიმართ აშკარა უდიერ დამოკიდებულებას...და ეს, შესაბამისად, შეიძლება მათთვის იურიდიული სტატუსის ჩამორთმევის საფუძველი გამხდარიყო“.

იმავე დოკუმენტის მიხედვით, აგვისტოს ომის შედეგად „საერთო ჯამში 850 ადამიანი დაიღუპა, 100 ათასზე მეტმა მშვიდობიანმა მოსახლემ კი საკუთარი სახლი დატოვა. მათგან დაახლოებით 35 ათასი ადამიანი უკან დაბრუნებას ვერ ახერხებს“.

# «ჩვენთან, ამერიკაში, მალე დიქტატურა იქნება»



**ცნობილი ამერიკელი მწერალი გორ ვიდალი „The Times“-ისათვის მიცემულ ინტერვიუში ირწმუნება, რომ ამერიკაში მალე დიქტატურა იქნება.**

83 წლის ვიდალი პრეზიდენტ ჯონ კენედისთან მეგობრობდა, მონაწილეობდა ომში, იყო სტუდია „მეტრო-გოლდვინ-მაიერის“ სცენარისტი, ფიქრობდა პოლიტიკოსობაზე, 24 რომანი დაწერა და მსოფლიოს ერთ-ერთ უდიდეს ესეისტად ითვლება. შარშან ჰილარი კლინტონის ბანაკიდან ობამასკენ გადაინაცვლა და ამით დიდი ხმაურიც გამოიწვია. ახლა კი აღიარებს, რომ ნანობს ამ ნაბიჯის გამო.

„ობამა უჭკვიანესი ადამიანია მათ შორის, ვინც კი მრავალი წლის მანძილზე აგვირჩევია ამ თანამდებობაზე, მაგრამ გამოუცდელია. სამხედრო საკითხებში გარკვევა საერთოდ არ შეუძლია. ისე იქცევა, თითქოს ავღანეთი ჯადოსნური თილისმაა და ავღანეთის საკითხის მოგვარება ტერორიზმს მოსპობს“, — ამბობს მწერალი. მისი აზრით, ამერიკელები უნდა წავიდნენ ავღანეთიდან ბუშის მიერ გამოცხადებული „ტერორთან ბრძოლა“ კი, მისი აზრით, მხოლოდ პიარია.

„მთელი ცხოვრება ვერ ვიტანდი მატყუარებს და ვცხოვრობ ქვეყანაში, რომელიც სავსეა სწორედ ასეთებით... ობამას სჯერა თავისი გენერლების. ის თვლის, რომ რესპუბლიკური პარტია მხოლოდ პარტიაა, სინამდვილეში კი ეს იდეოლოგიაა, რომელიც სხვა რასისა და რწმენის წარმომადგენლებისადმი ზიზღს ეფუძნება“, — ბრძანა მწერალმა და ამერიკელ კონსერვატორებს ფაშისტები უწოდა, შემდეგ კი დასძინა, ჰილარი უკეთესი პრეზიდენტი იქნებოდა, რადგან „მან მეტი იცის მსოფლიოს შესახებ და იმის შესახებაც, თუ როგორ მოექცეს გენერლებს“.

„ჩვენს დროში ამერიკა საშიშ იზოლაციონალიზმს განიცდის, არ ჰყავს ინტელექტუალთა ფენა და ლპება. მალე ჩვენთან სამხედრო დიქტატურა იქნება, რადგან სამხედროების გარდა ველარავინ გადაარჩენს ქვეყანას ქაოსისაგან. ობამას პრობლემა ისაა, რომ ის ზედმეტად განათლებულია და ვერ ხვდება, რამდენად გონებაჩლუნგი და უჭკუოა მისი აუდიტორია“, — ამბობს მწერალი.

1948 წელს ვიდალი პრესისათვის შავ სიაში აღმოჩნდა იმის გამო, რომ დაწერა ერთ-ერთი პირველი რომანი, რომელშიც ღიადაა აღწერილი ჰომოსექსუალთა სხეულებრივი ლტოლვა. კითხვაზე, რამდენად მნიშვნელოვანია მისთვის სიყვარული, მწერალმა უპასუხა: „ნუ ჩავარდებით შეცდომაში იმ იდიოტების კვალდაკვალ, რომლებიც ასწავლიან, თითქოს გეების ურთიერთობა ჰეტეროსექსუალთა ურთიერთობას ჰგავს. ეს ასე არ არის“, — თუმცა განსხვავების განმარტებაზე უარი განაცხადა.

# საუდის არაბეთი რუსულ იარაღს იყიდის

**საუდის არაბეთი რუსეთს მოუწოდებს, უარი განაცხადოს საზენიტო-სარაკეტო კომპლექს „С-300“-ის ირანისათვის მიწოდებაზე. თუ უახლესი კომპლექსების — „С-400“-ის არაბების მიერ შესყიდვაზე შეთანხმებას მიაღწევენ, ირანთან მილიარდდოლარიანი კონტრაქტის სანაცვლოდ საუდის არაბეთის ხელისუფლება მზადაა, 2-დან 7-მილიარდამდე ღირებულების კონტრაქტი გააფორმოს.**



საუდის არაბეთთან 2005 წლის შემდეგ მიმდინარეობს მოლაპარაკებები იმ იარაღის მიწოდებაზე, რომლის შემადგენლობაშიც „Т-90С“ და „БМП-3“ ტიპის ტანკები, „Ми-35“ და „Ми-17“ ტიპის ვერტმფრენები და „С-400“-ის ტიპის საზენიტო-სარაკეტო კომპლექსებიც იქნება. წლის ბოლოსათვის პირველი კონტრაქტების გაფორმებას ელიან. პირველ რიგში, ეს ვერტმფრენებს მოიცავს, — ირწმუნება თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობასთან დაახლოებული წყარო. თავდაცვის სფეროში ინფორმირებული წყაროს ცნობით, „С-300“-ის ირანისათვის მიწოდება შესაძლებელია, უმოკლეს ვადებში განხორციელდეს, ვინაიდან საქონელი პრაქტიკულად მზადაა გასაგზავნად, მაგრამ პროცესი ზედა ეშელონებიდან მიღებული ბრძანების გამო ფერხდება. მისივე თქმით, თუ ირანთან კონტრაქტი გაუქმდება, „С-300“-ებს ბიუჯეტი გამოისყიდის და ისინი რუსულ შეიარაღებულ ძალებს შეემატება.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

გელა ქვარიანი:

# მთვრალი ვიყავი, ნახევრად მძინარე და არ ვიცი, პატრულმა რა დაწერა

**თბილისის საქალაქო სასამართლოს სს კოლეგიის მოსამართლემ ნინო სანდოძემ მობილურის ქურდობისათვის 27 წლის მიხეილ ლეჟავას 8 წლით პატიმრობა მიუსაჯა. ლეჟავა წარდგენილ ბრალდებაში თავს დამნაშავედ დღემდე არ ცნობს. პროცესზე თავად დაზარალებულმა გელა ქვარიანმაც წინასწარ გამოძიებაში მიცემული ჩვენება (სადაც დამნაშავედ ლეჯავას უთითებს) ორჯერ უარყო და განაცხადა: „მთვრალი ვიყავი, ნახევრად მძინარე და არ ვიცი, პატრულმა რა დაწერა.
მე ეს პიროვნება პირველად პროცესზე ვნახე.“**

## მე ეს პიროვნება პირველად პროცესზე ვნახე



ჩვენების შეცვლისათვის გელა ქვარიანი პასუხისგებაში მისცეს. საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ 2007 წლის 1 ივნისს, დაახლოებით 10 საათზე გელა ქვარიანი „დეზერტირების“ ბაზართან არსებულ ერთ-ერთ სასადილოში შევიდა. შეიძინა ერთი ბოთლი არაყი და მარტო სვამდა. მოგვიანებით იგი შეუერთდა გვერდით მაგიდასთან მჯდომ სამ თუ ოთხ პიროვნებას, რომლებიც, აგრეთვე, სვამდნენ არაყს. ისინი გამთენიამდე ქეიფობდნენ. 2 ივნისს, დახლოებით დილის 5 საათზე ისინი გამოდიან სასადილოდან და ქვარიანის მითითებით აკავებენ ლეჟავს.

პროკურორ დავით ახვლედიანის თქმით, ლეჟავამ ქვარიანს მობილური ტელეფონი გამოსტაცა. ქვარიანმა ჯერ სთხოვა ლეჟავას კუთვნილი ტელეფონის დაბრუნება, შემდეგ იძულებულმა პატრულს მიმართა.

მობილურის გატაცებაში ბრალდებულის ადვოკატის, მაია ტალახაძის განცხადებით, სასამართლოს არ გააჩნია არანაირი მტკიცებულება მიხეილ ლეჟავას მიმართ, რომელიც დაადასტურებდა მის ბრალეულობას.

**„ერთადერთი მტკიცებულება, რაც ბრალდებას გააჩნდა, ეს იყო დაზარალებულის ჩვენება, თუმცა მან ეს ჩვენება სასამართლოზე უარყო. ლეჟავას უდანაშაულობა მტკიცდება თვით დაზარალებულ გელა ქვარიანის ჩვენებით, რომელიც სასამართლო სხდომის დროს 2007 წლის 26 ნოემბერს მისცა. იგი კატეგორიულად გამორიცხავს ლეჟავასთვის ტელეფონის თხოვების ფაქტს და აცხადებს, რომ სუფრაზე მჯდომ პიროვნებათაგან ერთ-ერთს ათხოვა, მაგრამ არა — ლეჟავას.**

**„ქვარიანმა პროცესზე განმარტა, რომ იყო ძალიან მთვრალი და პატრულის მანქანიდან არ გადმოსულა და რომ პატრულის თანამშრომლებს მისთვის არც დაკავებული პირები უჩვენებიათ. ტელეფონის პოვნის შესახებ კი სატელევიზიო რეპორტაჟიდან შეიტყო და, როცა ეკრანზე ლეჟავა დაინახა, ძალიან გაუკვირდა. მან, ასევე, აღნიშნა, ისეთი მთვრალი ვიყავი, არ მახსოვს გამომძიებელი რას მეკითხებოდა და რაზე მოვაწერე ხელიო,“** — აცხადებს ლეჟავას ადვოკატი მაია ტალახაძე.

ის, რომ გელა ქვარიანი ნასვამ მდგომარეობაში იყო, სასამართლო სხდომაზე დაკითხულმა პატრულის თანამშრომელმაც დაადასტურა. საპატრულო პოლიციის თანამშრომელმა ინჯიამ და დავით გაგნიძემ თქვეს, რომ ქვარიანი ნასვამი იყო.

**„ამის შემდეგ პროკურორმა, დაუსაბუთებელი მიზეზებით, რამდენჯერმე მოითხოვა სასამართლო სხდომის გადადება. პროკურატურა არ არის საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენით დაინტერესებული. 2008 წლის 21 იანვარს გელა ქვარიანი მე-8 საპყრობილიდან მეორედ მოიყვანეს სასამართლო პროცესზე. მან სასამართლოს განუცხადა, რომ არაფერი აქვს დასამატებელი და ეთანხმება 2007 წლის 26 ნოემბერს სასამართლო სხდომაზე მიცემულ ჩვენებას, რითაც კიდევ ერთხელ დაადასტურა ლეჟავას უდანაშაულობა,“ — ამბობს მაია ტალახაძე.**

ყოველივე ზემოხსენებულის შემდგომ პროკურორმა დავით ახვლედიანმა ლეჟავას საპროცესო შეთანხმება შესთავაზა სამწლიან რეალურ სასჯელზე, თუმცა ლეჟავა ამ გარიგებაზე არ წავიდა. პროკურორი თანახმა იყო, პირობითად გათავისუფლებილი ლეჟავა (იგი ჯართის ქურდობისათვის იყო დაკავებული და ხონის რაიონულმა სასამართლომ პირობით გაათავისუფლა) კვლავ პირობითი სასჯელით გაეთავისუფლებინა, თუმცა, როგორც ახვლედიანმა განგვიცხადა, მან გენერალური პროკურატურისაგან უარი მიიღო.

პროკურორი ახვლედიანი 2008 წლის 4 თებერვალს დანიშნულ პროცესზე არ გამოცხადდა. რის გამოც იგი მოსამართლე ნინო სანდოძემ 100 ლარით დააჯარიმა, 8 თებერვალს კი სასამართლოს გელა ქვარიანის განაჩენი წარუდგინა.

ახვლედიანის განმარტებით, გელა ქვარიანმა დანაშაული აღიარა. მან უარყო სასამართლოზე ლეჟავას სასარგებლოდ მიცემული ჩვენება და წინასწარ გამოძიებაში მიცემული ჩვენება დაადასტურა. გელა ქვარიანი, საპროცესო შეთანხმების საფუძველზე, თბილისის საქალაქო სასამართლოს სს კოლეგიის მოსამართლემ შორენა გუნცაძემ დარბაზიდან გაათავისუფლა.

**„ეს იყო სასწრაფოდ ჩატარებული სასამართლო პროცესი, რომ ლეჟავას დანაშაული დაემტკიცებინათ. ქვარიანს ყველასთვის გასაგები და ნაცნობი ხერხებით აღიარებინეს დანაშაული. ერთ-ერთ პროცესზე მან თქვა კიდეც, რომ მაგრად სცემეს. ეს უსამართლო სასამართლოს განაჩენია. უდანაშაულო ახალგაზრდას, რომელსაც მძიმე ავადმყოფი შვილი ჰყავს და პატიოსნად შრომობს, 8 წელი არ ეკუთვნის,“** — ამბობს მაია ტალახაძე.

8 თებერვალს მოსამართლე სანდოძემ პროკურორის მოთხოვნა დააკმაყოფილა და ლეჟავას 8 წლით პატიმრობა მიუსაჯა.

**„ხუთი წლის გოგონა და შვიდი წლის ბიჭი მყავს. ძალიან რთულ მდგომარეობაში ვართ ოჯახი, ბიჭს თირკმლის ოპერაცია გავუკეთეთ და ახლა გულის ოპერაცია სჭირდება სასწრაფოდ. ჩემი ქმარი სოფლიდან ჩამოვიდა და მტვირთავად დაიწყო მუშაობდა იმისათვის, რომ ავადმყოფი შვილისათვის პატიოსანი შრომით ეშოვა ფული. ამ მოსამართლეებს შვილები არ ჰყავთ? ოდესღაც ყველას მიუზღავს ღმერთი სამაგიეროს სხვათა გამწარებისთვის. რვა წელი მობილურის ქურდობისათვის; მით უფრო, როცა არ მოუპარავს? ეს უსამართლობაა, მაგრამ დღეს ძალიან ძნელია, იპოვო და დაამტკიცო შენი სიმართლე,“ — ამბობს ლეჟავას მეუღლე ლიკა კიკნაძე.**

# ცოლ-ქმარი შვილების თვალწინ დახოცეს

**მწყემსი, რომელიც მეუღლესა და სამ მცირეწლოვან შვილთან ერთად სამხედრო მანქანის ძარაში ცხოვრობდა, ვერც წარმოიდგენდა, რომ ნანახის გამო მას და მეუღლეს სასტიკად გაუსწორდებოდნენ. ეს შემზარავი მკვლელობა სოფელ ნორიოში მოხდა. 30 წლის ელდარ მამედოვი და 24 წლის სარა სულეიმანოვა საკუთარი სახლის კართან შვილების თვალწინ ავტომატის ჯერით დაცხრილეს. 35 წლის მალხაზ კორძახიამ ცოლ-ქმრის მკვლელობის მოტივად შურისძიება დაასახელა. სასამართლომ კორძახიას განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი მკვლელობისათვის უვადო პატიმრობა მიუსაჯა.**

## მამედოვმა კარი გააღო თუ არა, კორძახიამ იგი ავტომატის ჯერით დაცხრილა



საქმე აღძრული იყო 18,177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით, 236-ე მუხლის „ა„ „ვ“ „ზ“ „თ“ და „ლ“ ქვეპუნქტებით –დამამძიმებელ გარემოებებში და განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი განზრახ მკვლელობისთვის.

საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ მალხაზ კორძახიას ბაქო-თბილისი-სუფსის მაგისტრალური ნავთობსადენი მილიდან ნავთობის მოპარვის მიზნით დანაშაულებრივი ჯგუფი ჰქონდა შექმნილი. პროკურორი მატკავა საბრალდებო დასკვნაში წერს:

**„წარსულში ქურდობისათვის ნასამართლევმა მალხაზ კორძახიამ გარდაბნის რაიონის სოფელ ნორიოს ტერიტორიაზე გამავალ ბაქო-თბილისი-სუფსის ნავთობსადენის მაგისტრალური ხაზიდან დიდი ოდენობით ნედლი ნავთობის მითვისება განიზრახა. ამ მიზნით მან 2005 წლის ოქტომბერში დანაშაულის მოსამზადებლად შექმნა ორგანიზებული ჯგუფი. იგი დაუკავშირდა თავის ახლობლებს — ვლადიმერ გოგნაძეს და გარდაბნის რაიონის სოფელ ნორიოში მცხოვრებ ალექსი ცოფურაშვილს, არჩილ ღონიაშვილს, ვალერი კრიჭიშვილს და შესთავაზა ნავთობსადენის მაგისტრალური ხაზიდან ნავთობის მოპარვა, რაზეც ისინი დათანხმდნენ“.**

დანაშაულის თანამონაწილეებმა როლები გაინაწილეს: გოგნაძესა და ცოფურაშვილს უნდა მოეძიათ სპეციალური საშუალებები და იარაღი, ხოლო კრიჭიშვილსა და ღონიაშვილს ხელი უნდა შეეწყოთ მათთვის — უნდა ეთვალთვალათ, ონკანის მიერთების პროცესში ვინმეს ხელი არ შეეშალა, თავად კორძახიას კი უნდა ეხელმძღვანელა და გაეკონტროლებინა ყოველივე.

**„2005 წლის ოქტომბრის შუა რიცხვებში, ღამის საათებში, გოგნაძემ და ცოფურაშვილმა დაიწყეს სპეციალური მოწყობილობების მონტაჟი. კორძახიასა და მის თანამზრახველთა დანაშაულებრივ საქმიანობას შემთხვევით შეესწრო იქვე ახლოს მდებარე ფერმის საქონლის მწყემსი — ელდერ მამედოვი, რომელიც საქონლის საძებრად გასულიყო. იგი მეუღლესთან — სარა სულეიმანოვასა და სამ მცირეწლოვან ბავშვთან ერთად ფერმის ტერიტორიაზე მდგარი სამხედრო მანქანიდან მოხსნილ ძარაში ცხოვრობდა.**

**2005 წლის 19 ოქტომბერს, დილის საათებში, შემოვლის დროს მიერთებული ონკანი მილსადენის დაცვის თანამშრომელმა უჩა გაბრიჭიძემ შეამჩნია, რომელმაც აცნობა ხელმძღვანელობასა და მილსადენის კომპანიას. როცა კორძახიამ გაიგო, რომ კომპანიამ იცოდა დაზიანებული მილსადენის შესახებ, უსაფუძვლოდ იფიქრა, მწყემსი მამედოვი დაასმენდა. შურისძიების მოტივით კორძახიამ გადაწყვიტა, მამედოვი მოეკლა.“**

საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ იმავე დღეს, დაახლოებით ღამის 12 საათზე, მთვრალი კორძახია გოგნაძესთან ერთად თავისი კუთვნილი თეთრი „ნივით“ სოფელ ნორიოში ავიდა, სადაც დახვდნენ ცოფურიშვილი და კრიჭიშვილი. დანარჩენებმა კორძახიას მამედოვის მკვლელობაში დახმარება აღუთქვეს. მათ კორძახიას მისცეს საბრძოლო ვაზნებით დამუხტული „АКС“ მოდელის „კალაშნიკოვის“ სისტემის ცეცხლსასროლი ავტომატური იარაღი. კორძახია გოგნაძესთან ერთად გაემართა მამედოვის საცხოვრებელი ადგილისკენ. გზაზე გოგნაძე ცდილობდა, გადაეფიქრებინა კორძახიასთვის მამედოვის მკვლელობა, მაგრამ განრისხებულმა კორძახიამ გოგნაძეს გაჩუმება ურჩია.

**„20 ოქტომბერს, დაახლოებით ღამის ორ საათზე, ფერმაში მივიდნენ. კორძახიამ მანქანიდან იარაღი გადმოიღო და მამედოვს დაუძახა. მამედოვმა კარი გააღო თუ არა, კორძახიამ იგი ავტომატის ჯერით დაცხრილა. სროლის ხმაზე მამედოვის მეუღლე და მისი სამი მცირეწლოვანი ბავშვიც გამოვიდა. კორძახიამ პატარების თვალწინ მამედოვის მეუღლეც დაცხრილა“,** — წერს პროკურორი საბრალდებო დასკვნაში.

მამედოვს გულმკერდის არეში ხუთი ჭრილობა ჰქონდა მიყენებული, მის მეუღლეს კი ოთხი ტყვია მოხვდა თავის არეში. ახალგაზრდა ცოლ-ქმარი ადგილზე გარდაიცვალა. კორძახია კი შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. პოლიციამ მკვლელის დაკავება მოახერხა.

დაკავებულებმა აღიარეს დანაშაული. კორძახიას სასამართლომ უვადო პატიმრობა მიუსაჯა. იგი დღემდე იხდის სასჯელს.

მშობლების მკვლელობის თვითმხილველი და დაობლებული პატარები მამედოვისა და სულეიმანოვას მშობლებთან იზრდებიან.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# პროცენტიანი ვალის გამო მამიდაშვილი მოკლა

**მკვლელობა, რომელზეც ქვემოთ გიამბობთ, მეტად შემზარავია. ბიძაშვილმა მამიდაშვილი მოსაკლავად გაიმეტა, რადგან მისი ვალი ემართა. ტრაგედიის შემდეგ მკვლელობაში ბრალდებული დაზარალებულის ოჯახთან ერთად ეძებდა დამნაშავეს და მკვლელობის სავარაუდო ვერსიებსაც ერთად განიხილავდნენ (!). მეტიც, იგი გარდაცვლილს ფსალმუნებსაც კი უკითხავდა. სამართალდამცველებმა ექვმიტანილი დაკრძალვიდან მოკლე ხანში დააკავეს.**





დაკავებულმა მიხეილ ღაღაშვილმა მამიდაშვილის, 44 წლის რამაზ კვინტრაძის მკვლელობა აღიარა. მასთან ერთად პოლიციელებმა კიდევ ერთი პიროვნება – 40 წლის კობა ხარაიძე დააკავეს. გამოძიებამ მის მიმართ სს საქმე დანაშაულის დაფარვისთვის აღძრა. დანაშაული ხარაიძემაც აღიარა. რაც შეეხება ღაღაშვილს, მის მიმართ სს საქმე 108-ე მუხლით — განზრახ მკვლელობისთვის არის აღძრული.

მკვლელობაში ბრალდებული თავის ჩვენებაში მკვლელობის მოტივზე საუბრობს. იგი ამბობს, რომ მამიდაშვილის მოკვლის მიზეზი პროცენტიანი ვალი გახდა, რომლის აღებაშიც იგი კვინტრაძეს დაეხმარა. ღაღაშვილის თქმით, საერთო თანხა 30 000 დოლარზე მეტს შეადგენდა; კვინტრაძეს ყოველთვიურად 5% — 1 500 დოლარი უნდა გადაეხადა, თუმცა ბოლო სამი თვის მანძილზე თანხას აღარ იხდიდა. ბიძაშვილ-მამიდაშვილს შორის შეკამათებაც სწორედ ამ ფაქტმა გამოიწვია.

მიხეილ ღაღაშვილი მკვლელობიდან რამდენიმე დღეში, უფრო სწორად, კვინტრაძის დაკრძალვის შემდეგ დააკავეს. მანამდე კი იგი მხოლოდ მოწმის სახით დაკითხეს. ღაღაშვილმა დაკავებისთანავე აღიარა დანაშაული.

მკვლელობა 10 მარტს, აბაშიძის ქ. №3-ში, მიხეილ ღაღაშვილის საცხოვრებელი სახლის სადარბაზოში, სარდაფთან მოხდა. ბიძაშვილ-მამიდაშვილი ხსენებულ ვალთან დაკავშირებით შეკამათდნენ, რაც ჩხუბში გადაიზარდა. ღაღაშვილმა მამიდაშვილს თავში აგური ჩაარტყა. დარტყმა სასიკვდილო აღმოჩნდა. კვინტრაძე ადგილზევე გარდაიცვალა.

თავის ჩვენებაში ღაღაშვილი მკვლელობის მოტივსა და ჩადენილ დანაშაულზე საუბრობს.

**„ჩემს მამიდაშვილს, რამაზს პროცენტიანი ვალი ავაღებინე. საერთო თანხა 30 000 დოლარზე მეტს შეადგენდა. დიდი ხანია, თანხა აღებული ჰქონდა, თითქმის 2 წელიწადზე მეტი. ბოლო სამი თვე პროცენტს აღარ იხდიდა. ის ხალხი, ვისაც ფული გამოვართვი, მირეკავდა, მაწუხებდა და ფულს მე მთხოვდა. ამ თემასთან დაკავშირებით რამაზს ხშირად ვხვდებოდი და ვესაუბრებოდი,“** — ამბობს ღაღაშვილი.

გამოძიების მასალების მიხედვით, **კვინტრაძემ პროცენტის გადახდა 2008 წლიდან შეწყვიტა. ღაღაშვილი კი მისგან თანხის გადახდას ითხოვდა, რადგან როგორც შუამავალს, მევალეები მას სთხოვდნენ ფულს. როცა ღაღაშვილი დარწმუნდა, რომ კვინტრაძე ფულის გადამხდელი არ იყო, მასთან შეხვედრა გადაწყვიტა.**

მკვლელობის დღეს მიხეილ ღაღაშვილი მამიდაშვილს ფილარმონიასთან დაუდარაჯდა. როცა კვინტრაძე გამოჩნდა, მანქანაში ჩაუჯდა. ისინი აბაშიძის ქუჩისკენ — ღაღაშვილის სახლისკენ წავიდნენ.

ღაღაშვილი იხსენებს, რომ ისინი სადარბაზოშივე შელაპარაკდნენ:

**„რამაზს შევხვდი და ვუთხარი, რომ ვალზე უნდა გველაპარაკა. ჩემთან, სახლში მივედით. ვიფიქრე, ეზოში ჩავიდოდით და იქ ვილაპარაკებდით. ეზოში შესვლამდე დერეფანში ხმამაღალი შელაპარაკება მოგვივიდა, რაც სიტყვიერ შეურაცხყოფაში გადაიზარდა. ჯერ მე ვკარი ხელი, მერე — იმან. წავიქეცი. იქვე ქვა თუ აგური ეგდო, არ მახსოვს, ჩავარტყი...“**

მკვლელობის შემდეგ ღაღაშვილმა მამიდაშვილის მანქანა გლდანში გადამალა, მისი პირადი ნივთები კი გადაყარა. იქიდან დიდუბის ავტოსადგურში შეიარა და პოლიეთილენის პარკი იყიდა. შინ მიბრუნებულმა გვამი პარკში გაახვია. მოგვიანებით მეგობრის — კობა ხარაიძის დახმარებით გვამი მანქანაში მოათავსა და წყნეთის მიმართულებით წავიდა.

**„ამის შემდეგ მივდივარ და ვყიდულობ ცელოფანს, რაშიც ვახვევ მიცვალებულს. ამაში დამეხმარა ჩემი ნაცნობი კობა ხარაიძე. მეორე დღეს, დაახლოებით 9-დან 10 საათამდე, გავედი. მანქანა გამოვიყვანე და წყნეთის მიმართულებით წავედი. პირველსავე გადასახვევზე გავედი და გვამი გადავაგდე“,** – იხსენებს ღაღაშვილი.

ღაღაშვილი 17 მარტს დააკავეს. მან დანაშაული აღიარა. დანაშაული აღიარა ხარაიძემაც. მის მიმართ სს საქმე 374-ე მუხლით – დანაშაულის დაფარვისთვის არის აღძრული.

აღსანიშნავია, რომ სასამართლოს აღმკვეთ პროცესზე ღაღაშვილს ადვოკატი არ ჰყავდა. მან დაცვის აყვანაზე უარი განაცხადა. სამაგიეროდ, ხარაიძეს იცავდა ორი ადვოკატი. მისმა ერთ-ერთმა ადვოკატმა მარინა ფხალაძემ განაცხადა, რომ ბრალდების პოზიცია ხარაიძის დაპატიმრების თაობაზე არაკანონიერია.

**„ბრალდების პოზიცია აშკარად მკაცრია და, შესაბამისად, არაკანონიერი, ვინაიდან ამ დანაშაულის დროს არ გაითვალისწინა ის გარემოებები, რომელიც აღკვეთის დროს უნდა იქნეს გათვალისწინებული. ხარაიძემ აღიარა მის მიერ ჩადენილი ქმედებები, არაფერი დაუმალავს გამოძიებისთვის. არავითარი საფუძველი არ არსებობს იმისა, რომ იგი გამოძიებას დაემალოს. მთელი ამ ხნის განმავლობაში მას ქალაქი არ დაუტოვებია, არ მიმალულა. დაკავების დროს სახლში იმყოფებოდა. სახეზეა ნაკლებად მძიმე დანაშაული, რომელიც ჯარიმაც ითვალისწინებს“,** – განაცხადა ადვოკატმა და მოსამართლეს ხარაიძის გირაოთი გამოშვების შუამდგომლობით მიმართა. ადვოკატმა გირაოს თანხად 5 000 ლარი დაასახელა, რასაც პროკურორი არ დაეთანხმა.

საბოლოოდ, სასამართლომ ორივე ეჭვმიტანილს 2-თვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა.

წესით, სასამართლოს აქამდეც უნდა დაეწყო ღაღაშვილი-ხარაიძის საქმის განხილვა.

როგორც საქალაქო სასამართლოს პრესსამსახურში აცხადებენ, საქმის განხილვა უმოკლეს ვადაში დაიწყება.

# ვაგზლის მოედანზე მეძავი დაჭრეს



**სხეულით ვაჭრობა მეტად სახიფათო პროფესია გახდა. ბოლო პერიოდში გახშირდა შემთხვევები, როდესაც მეძავსა და კლიენტს შორის წარმოშობილი უთანხმოება თანხის გადაუხდელობის გამო სისხლის სამართლის მძიმე დანაშაულით სრულდება. ერთ-ერთი ფაქტი ვაგზლის მოედანზე ღამის საათებში მოხდა. 34 წლის მარინა ქებურიას მუცელში დანა ჩაარტყეს. დაჭრილი საავადმყოფოში გადაიყვანეს, დამნაშავე კი შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.**

ექიმების განცხადებით, დაჭრილი ქებურიას მდგომარეობა სტაბილურია და, მიუხედავად ღრმა ჭრილობისა, მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.აღძრულია სს საქმე 19,109 მუხლით განზრახ მკვლელობის მცდელობისათვის, რაც 7-დან 15 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

როგორც ირკვევა, მარინა ქებურია ზუგდიდის რაიონიდანაა. მას 16 წლის ბიჭი და მეუღლე ჰყავს. როგორც თვითონ ამბობს, ვაგზლის მოედანზე, რამდენიმე წელია, მუშაობს. საავადმყოფოში მარინა ქებურიას მეუღლე და შვილი პატრონობენ. ჩვენთან საუბარში იგი უპრობლემოდ ყვება მომხდარის შესახებ და დამნაშავის დასჯას მოითხოვს.

**„17 წელია, გათხოვილი ვარ. 16 წლის შვილი მყავს. გაჭირვებამ მაიძულა, თბილისში ჩამოვსულიყავი და აქ მემუშავა. ჯერ ვვაჭრობდი, მაგრამ დიდი ვერაფერი გავაკეთე.**

**ვმუშაობდი, ვწვალობდი და ბავშვს ტანსაცმელსაც ვერ ვყიდულობდი, ჩემი მეუღლე კი სოფელში ოჯახს უვლიდა. როცა ვნახე, ვაჭრობით არაფერი გამომდიოდა, მივიღე ეს გადაწყვეტილება. თითქმის სამი წელია, აქ ვდგავარ ღამღამობით. იმ ღამეს, დაახლოებით 1 საათზე, კლიენტი მოვიდა. 25 ლარად ერთი საათი უნდა გამეტარებინა მასთან.**

**წამიყვანა იქვე ახლოს, ბინაში. ერთი საათის შემდეგ მე წასვლა დავაპირე და ჩემი გასამრჯელო მოვთხოვე. მან ჯერ სიცილით მითხრა უარი, მაგრამ ჩხუბი რომ დავუწყე, 5 ლარი დამიგდო ლოგინზე.**

**მე მაინც არ მოვეშვი, ჩემს ნამუშევარს ვითხოვდი. ცოტა ნასვამი იყო, მაგრამ იმას, რაც გააკეთა, ნამდვილად არ ველოდი — გაბრაზდა, ჯაყვა ამოიღო, დამარტყა და გაიქცა. მე არც მისი სახელი ვიცი და არც გვარი, მაგრამ მინდა, რომ იპოვონ და დასაჯონ, რადგან მან ლამის სიცოცხლე მომისწრაფა,“** — ამბობს მარინა ქებურია.

ქებურიას მეუღლე, რომელიც მას საავადმყოფოში გვერდიდან არ მოშორებია, ჩვენთან საუბარში ამბობს, რომ მარინა ცხოვრებამ აიძულა, ეს გზა აერჩია.

**„ბავშვს ჩაცმა უნდა, ჭამა უნდა, სკოლიდან ხან ექსკურსიაზე მიჰყავთ, ხან ბავშვები იკრიბებიან. ამას ხომ უნდა ფული? მე ყველაფერი ვიცი, მაგრამ რა ვქნა... ბავშვს სჭირდება და ამას შვილისთვის ვაკეთებთ და ვითმენთ,“** — ამბობს დაჭრილის მეუღლე....

ქებურია შვილს თავის საქმიანობას უმალავს. ბიჭს ჰგონია, რომ დედამისი ხილით ვაჭრობს. **„ძალიან განიცდის, რომ ეს საშინელება დამემართა, მას ვუთხარი, რომ ქუჩაში დამაყაჩაღეს და მაგ დროს დამარტყეს დანა. არ მინდა, ჩემ გამო შერცხვეს,“** — ამბობს ქებურია. მისივე თხოვნით, სტატიაში მისი ვინაობა შეცვლილია.

# «ჩემს გასამრჯელოს ვითხოვდი... ცოტა ნასვამი იყო, მაგრამ იმას, რაც გააკეთა, ნამდვილად არ ველოდი.»

# ქართველ მარიამს კანადაში ისევ ეძებენ



**კანადაში, ქალაქ ტორონტოში, 14 სექტემბერს გაუჩინარებულ 17 წლის ქართველ მარიამ მახნიაშვილს ახლაც ეძებენ. გავრცელებული ცნობით, ის უმცროს ძმასთან ერთად „ფორესთ ჰილის“ სკოლაში მივიდა. და-ძმა ერთმანეთს სკოლის შესასვლელთან ადგილობრივი დროით 08:30 საათზე დაშორდა, მაგრამ მარიამი იმ დღეს გაკვეთილებს არ დასწრებია. ამის შემდეგ ის აღარავის უნახავს.**

დაკარგულის ადგილსამყოფელის დასადგენად ტორონტოს სამართალდამცველებმა მესამე დონის სამძებრო ოპერაცია გამოაცხადეს — სკოლიდან ოთხი კილომეტრის რადიუსში ადგილობრივი მოსახლეობის დაკითხვა და შენობების ჩხრეკა მიმდინარეობდა. გოგონას, რომელსაც ინგლისურად საუბარი უჭირს, შემთხვევის მომენტისათვის ჯიბეში არც მობილური ტელეფონი ჰქონდა, არც — ფული.

მარიამ მახნიაშვილის მშობლები 2008 წლის ზაფხულში ლოს-ანჯელესიდან კანადაში გადავიდნენ საცხოვრებლად და საქართველოში მცხოვრები შვილებიც ჩაიყვანეს.

შემთხვევიდან რამდენიმე დღის შემდეგ კანადურ მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ მარიამი „მაკდონალდსში“ დაახლოებით 50 წლის მამაკაცთან ერთად ნახეს. სადილობის დროს მახნიაშვილი მას რუსულ და გერმანულ ენებზე ესაუბრებოდა. ვარაუდი არ გამართლდა, მარიამის კვალი არსად ჩანდა.

გოგონას კანადიდან ინტერნეტით ხშირი მიმოწერა ჰქონდა მეგობრებთან, რომ ძალიან ბედნიერია, რადგან 5 წლის უნახავ მშობლებთან ყოფნა ელირსა. მისი ნაცნობმეგობრები ამბობენ, რომ მარიამი ძალზე მშვიდი და მორიდებული, წიგნის მოყვარული გოგონაა.

გვერდები მოამზადეს
**მაკა ქობალიამ და სალომე გოგოხიამ**

გსურთ, გაგვიზიარეთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# როგორ შევარჩიოთ სასურველი მობილური, ნოუთბუქი ან ტელევიზორი

## უპასუხე დროს!

**მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში მაღაზიაში შესულ მყიდველს აოცებს ტექნოლოგიების ფართო ასორტიმენტი.**
**იცვლება გემოვნება, იხვეწება ტექნიკის შესაძლებლობები.**
**არჩევანი ფართოა.**
**სპეციალისტთა აღნიშვნით, და ეს საწყენი ნამდვილად არ არის, ქართველი მყიდველი ჯერ კიდევ გაუთვიცნობიერებელია. იგი ტექნიკას იძენს ფასიდან გამომდინარე და არა იმის მიხედვით, თუ რამდენად საჭირო და მისაღებია ნივთი იმ მომენტში მისთვის. რუბრიკის მიზანია, მკითხველს გააცნოს მსოფლიო მარკა, მსოფლიო სტანდარტები, რათა ამის შემდეგ განვსაზღვროთ ყველაზე მისაღები და სასურველი.**




## თხევადკრისტალური ტელევიზორი

**დღეს კომპანია PHILIPS-თან დაკავშირებულმა უახლესმა ტექნოლოგია Ambilinght-მა მართლაც რომ რევოლუცია მოახდინა ტელევიზორების წარმოების სფეროში.**

Ambilinght ტექნოლოგია უზრუნველყოფს ტელევიზორის ეკრანზე გამოსახული ფერების გამოტანას ტელევიზორის რვა გვერდზე — ოთხ უკანა და ოთხ წინა გვერდზე, რომელიც ანათებს ტელევიზორს წინა მხრიდან და მის უკანა მხარეს მყოფ კედელს, რაც ქმნის ეფექტს, თითქოს გამოსახულება გამოიხატება ოთახის მთლიან კედელზე. გერმანიის ქალაქ მიუნხენის კვლევით ცენტრში ჩატარებული ტესტირებით გაირკვა, რომ Ambilinght სისტემა მართლაც საოცრებებს ახდენს ტელევიზორების სფეროში. კერძოდ, ტელევიზორის დიდხანს ყურების დროს ადამიანი კი არ იღლება, პირიქით — ისვენებს და დადებითად მოქმედებს. Ambilinght ხსნის დაღლილობას, მატებს დადებით განწყობას და ხანგრძლივი ყურების შემდეგ ადამიანი ხდება უფრო ქმედუნარიანი, რაც ექსპერიმენტებითაც დასტურდება. 2009 წლის გამოშვების ტელევიზორი უკვე იძლევა პირდაპირ ინტერნეტთან სადენების გარეშე დაკავშირების და ფილმების ყურების საშუალებას, რადგანაც მას აქვს Wi-Fi და Net-TV ფუნქცია.

# როგორ შევარჩიოთ მობილური ტელეფონი

**უკვე დიდი ხანია, მობილური ტელეფონი აღარ წარმოადგენს მხოლოდ კავშირის წყაროს. ტექნიკური მონაცემების განვითარებასთან ერთად იხვეწება ტელეფონის დიზაინიც, ხდება მოდელების სეგმენტაცია მოხმარების კლასის მიხედვით, რაც ითვალისწინებს პროდუქციის დაყოფას მისი ღირებულებისა და ტექნიკური მონაცემების მიხედვით.**

მობილური ტელეფონის შესარჩევად აუცილებელია, გავითვალისწინოთ, თუ რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს ჩვენთვის სასურველი მოდელი. მაგალითად, თუ მომხმარებელს მობილური ტელეფონი სჭირდება მხოლოდ მისი ძირითადი ფუნქციის შესასრულებლად (აბონენტთან დაკავშირება, მოკლე ტექსტური შეტყობინება), მას აქვს დიდი არჩევანი საბიუჯეტო მოდელებს შორის, რომელიც არ გამოირჩევა დიდი ფუნქციონალობით, რადგანაც მის ძირითად ფუნქციას მხოლოდ კავშირის დამყარება წარმოადგენს. ასეთი მოდელებია: Nokia 1661, SonyEricsson j120, Motorola C113 და სხვ.

თუ მომხმარებელი მობილური აპარატის ძირითადი ფუნქციების გარდა დაინტერესებულია მისი ისეთი შესაძლებლობებითაც, როგორიცაა ფოტო-ვიდეოგადაღება, მუსიკალური და ვიდეოფლეერი, მობილური ინტერნეტი (GPRS, EDGE, WI-FI, 3G) და ა.შ. აუცილებელია, გათვალისწინებულ იქნეს მოდელის ისეთი მახასიათებლები, როგორიცაა: აპარატის მეხსიერება, ფოტოკამერის ხარისხი, მესამე თაობის უზრუნველყოფა და ა.შ. ასეთი მოდელების კლასს წარმოადგენს: Nokia N სერიის და XpressMusic-ის მოდელები: Nokia N82, 5600 XpessMusic; SonyEricsson W960, C-960, C-905, Motorola ROKR E8, Samsung F700 და სხვა.

ბიზნესსეგმენტზე გათვალისწინებული მობილური აპარატი აუცილებლად უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს: ოპერაციული სისტემა (Symbian OS, Microsoft Windows Mobile, Palm OS, Mas OS), საოფისე პროგრამებში მუშაობის შესაძლებლობა, სამსახურებრივ ელექტრონულ ფოსტასთან მუშაობა, ინფორმაციის შეყვანის გამარტივებული მეთოდი, ჩვეულებრივზე უფრო დიდი ეკრანი, რამდენიმე პროგრამაში პარალელური მუშაობის შესაძლებლობა. ასეთ მოდელებს წარმოადგენს Nokia E სერიის მოდელები, Sony-Ericsson-ის P და X სერიები, Samsung-ის I სერიები და HTG მოდელები.

განსაკუთრებულ სეგმენტს წარმოადგენს მობილური ქალბატონებისათვის. ამ კატეგორიის მხრივ დღეს ერთ-ერთი საუკეთესოა Motorola U9 — ახალი მოდელი, რომელიც შესრულებულია გასახსნელი ფორმფაქტორის სტილში, ზომები — 90X48X16 მმ, დიზაინი კი ოვალურია. ის აღჭურვილია Windows Media Player 11-ის ვერსიით, რომელიც უზრუნველყოფს შემდეგი ფაილების მხარდაჭერას: MP3, WMA, Polyphonic, XMF, AMR, AAC, AACT, i-Melody, SMAF, Midi, SP-Midi.

მოდელის შიდა მეხსიერება შეადგენს 25 მეგაბაიტს. მეხსიერების გაზრდა შესაძლებელია ბარათის (microSF) საშუალებით 2 GB-მდე. შიდა ეკრანი — 262000 ფერის მხარდაჭერით.

აპარატს აქვს 2-მეგაპიქსელიანი ფოტოკამერა. გადაღებულ სურათს ინახავს მსოფლიოში ყველაზე გავრცელებული JPG ფორმატით.

გადაღებული მულტიმედიური ფაილების ან MP3 ფორმატის აუდიოკლიპების გადატანა თავისუფლად შეიძლება პერსონალურ კომპიუტერში micro USB კაბელის დახმარებით.

ამ მობილური ტელეფონიდან ასევე შესაძლებელია საკუთარი ელექტრონული ფოსტის შემოწმება და ინტერნეტგვერდების დათვალიერება.




Nokia N97

მუშაობას უზრუნველყოფს ლაპარაკის რეჟიმში 7 საათის განმავლობაში, ლოდინის რეჟიმში — 350 საათი, რაკი აქვს მეტად მძლავრი ელემენტი.

მოდელი აკმაყოფილებს ყველა იმ მოთხოვნას, რაც ქალბატონებისთვის აუცილებელი და მისაღებია: შესანიშნავი დიზაინი, ინტუიციური სამართავი მენიუ და უხარვეზო მუშაობა, რაც აუცილებელია III თაობის მობილურისათვის.

# ნოუთბუქი — აუცილებელი ატრიბუტი საქმიანი ადამიანებისთვის

**მომხმარებელი ხშირად არჩევანის წინაშეა — შეიძინოს ძვირადღირებული, ტექნიკურად ძლიერი თუ შედარებით დაბალფასიანი, სადა ინტერფეისის მქონე ნოუთბუქი.**

საქმიანი ადამიანებისთვის საუკეთესოა HP 530 KP 479AA მოთხოვნები, ვისთვისაც ზედმეტია გართობა, ან მაღალი ღირებულების ნოუთბუქი. ამ მხრივ ეს მოდელი საუკეთესოა: აქვს უბრალო, სადა დიზაინი, მოხერხებული და სტანდარტული კლავიატურა და მაუსპადი.

მისი ზომებია 35X26X3 სმ, წონა — 2,7 კგ, რაც მოგზაურობის დროსაც მისაღებია. ინჩიანი თხევადკრისტალური 16:9 ტიპის ეკრანი საკმარისია კომფორტულად მუშაობისათვის როგორც საოფისე, ისე გრაფიკულ პროგრამებში. მათთვის სრულიადაც არაა აუცილებელი დიდი ზომის ოპერატიული მეხსიერება და ძლიერი პროცესორი.

## ნოუთბუქი ქალბატონებისთვის

**2008 წლის ბოლოს კომპანია MSI-მ წარმოადგინა ბიზნესკლასის ძალზე დახვეწილი მსუბუქი ნოუთბუქი MSI Wind U 100, რომელიც, ძირითადად, შექმნილია ქალბატონებისთვის.**

იგი ყურადღებას იქცევს გარეგნული მახასიათებლებით, ფერთა შესანიშნავი შეხამებითა და მცირე ზომით. მოდელი გამოდის 5 სხვადასხვა ფერში: წითელი, ღია ნაცრისფერი, შავი, ვარდისფერი და თეთრი. სხვა ნოუთბუქთაგან განსხვავებით, რომლებიც სტანდარტულად 2 ფერში გამოდის (შავი და ვერცხლისფერი), ეს ერთ-ერთი დადებითი მხარეა. ზომებითაც მოკრძალებულია — 26X18 სმ, ხოლო წონა — 1 კგ. მისაღებია ბავშვებისთვისაც, რომლებიც იწყებენ კომპიუტერთან მუშაობას და ოპერატიული სისტემის გაცნობას. ამ ჰაეროვანი ნოუთბუქის თხევადკრისტალური ეკრანი დამზადებულია LED ტექნოლოგიით, რაც მას კონტრასტს მატებს. Wind U 100 ბიზნესკლასს განეკუთვნება და, რა თქმა უნდა, თავსებადია თამაშებთან, რთულ ანიმაციურ და გრაფიკულ პროგრამებთან. მას აქვს WS-FS x/f სიხშირეები, 10/100 მბ/წმ შესაძლებლობის ლოკალური ქსელის პორტი Rj45 კაბელური კავშირი ქსელთან. მის ცენტრალურ მოწყობილობაში შედის Intel-ის Atom N270 1.6Ghz პროცესორი, ჩიპსეტი და 1 გბ-ის მოცულობის 667-მეგაჰერციანი ოპერატიული მეხსიერება, რითაც შესაძლებელია ფილმის ყურება, აუდიოსტერეო ჟღერადობის მოსმენა და ვიდეოკონფერენციის მოწყობა. დამატებით შეგიძლიათ ისარგებლოთ 1,3-მეგაპიქსელიანი კამერით.




გვერდის მომზადებაში დაგვეხმარნენ ჩვენი გაზეთის ექსპერტები: **ზაქარია ბაკურაძე, სიმონ ორმოცაძე და ირაკლი დავლიანიძე**.

# ნაწლავის კიბო სისხლის ანალიზითაც დადგინდება

**მეცნიერულმა კვლევებმა აჩვენა, რომ ნაწლავური კიბოს გამოვლენა და დადგენა, ენდოსკოპიური (გასტროსკოპია და კოლონოსკოპია) კვლევების გარეშე, სისხლის ანალიზითაც არის შესაძლებელი.**



ენდოსკოპიური კვლევა საკმაოდ ძვირადღირებულია და კვალიფიციურ მედპერსონალს მოითხოვს, სისხლის ანალიზით დიაგნოზის დასმა კი ბევრად უფრო ხელსაყრელია როგორც პაციენტების, ასევე ექიმებისთვის.

უახლოეს პერიოდში ეს მეთოდი ევროპისა და ამერიკის წამყვან კლინიკებში ფართოდ დაინერგება.

# ტოქსინი „ვიაგრას“ შეცვლის



**ამერიკელი მეცნიერების აღმოჩენით, ერთ-ერთი ტოქსინი დადებითად მოქმედებს მამაკაცის ერექციაზე.**

ამით მეცნიერებს მალე მიეცემათ საშუალება, შეიმუშაონ „ვიაგრას“ ტიპის ახალი პრეპარატი იმპოტენციის საწინააღმდეგო მოქმედებით. აღსანიშნავია, რომ შემუშავებული ტოქსინი არ გამოიწვევს არანაირ უარყოფით მოქმედებას.

# სიმთვრალეში ტრავმირებისას გადარჩენის შანსი მეტია



ამერიკელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ქალა-ტვინის ტრავმული დაზიანებისას ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ მყოფი პაციენტის გამოჯანმრთელება, ფხიზელ პაციენტებთან შედარებით, უფრო შესაძლებელია.

კვლევისას შეისწავლეს 38 ათასი პაციენტი. მათგან უმეტესობა დაიღუპა. გადარჩენილთა შორის არაფხიზელ მდგომარეობაში დაზარალებული პაციენტები აღმოჩნდნენ.

# რა კავშირშია ალცჰაიმერის დაავადება ფულთან?

**მეცნიერთა დასკვნით, ფულის მოხმარებისა და გამოყენების შეუძლებლობა შეიძლება შემდგომში მძიმე დაავადების — ალცჰაიმერის გაჩენის მიზეზი გახდეს.**



სპეციალისტები ფიქრობენ, რომ ფულის განკარგვის, ხარჯვის, გამოყენების შეუძლებლობა ალცჰაიმერით დაავადებულ პაციენტებში ჯერ კიდევ ადრეულ სტადიაში შეინიშნება, როცა ისინი, ერთი შეხედვით, ჯანმრთელნი არიან. დროული და შედეგიანი მკურნალობის თვალსაზრისით, ექიმები ასეთი პაციენტების ოჯახის წევრებს ურჩევენ, დააკვირდნენ დაავადებულს, რამდენად განკარგავს იგი საკუთარ თანხებს. შედეგად კი დიაგნოზის დასადგენად ძვირადღირებული კვლევები საჭირო აღარ იქნება.

# «გასახდომი» საყურე

**„ოქროს ნემსი“ — ეს რეფლექსოთერაპევტ მარიატ მუხინის ახალი მეთოდიკაა. პაციენტს თუ ყურს საყურისთვის კონკრეტულ წერტილში გავუხვრეტთ, წონაში დაიკლებს.**



ამ ახალი „ტექნოლოგიის“ შედეგი კვლევებითაც დამტკიცდა, თუმცა ავტორი აღნიშნავს, რომ დაუშვებელია იმავე მეთოდის გამოყენება შარლატანების მიერ. ამ სპეციფიკით გახდომისთვის 3-6 თვეა საჭირო. ბიოლოგიურად ორ აქტიურ წერტილში საყურის გაკეთებით ადამიანს მადა ეკარგება და ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლის პროცესი რეგულირდება. მეთოდმა 2003 წლიდან დღემდე წარმატებით გაიარა კლინიკური ცდები. მალე იგი ბევრ კლინიკაში დაინერგება, ხოლო საყურე „ოქროს ნემსი“ ინტერნეტით გაიყიდება, რათა პაციენტებმა თავად შეიძინონ და კლინიკას მიაკითხონ ყურის გასახვრეტად.

გვერდები მოამზადა **ეთერ კასრელიშვილმა**


# საგვარეულო მალამოს სასწაულმოქმედი თვისებები



სახალხო მკურნალი **ლამარა თოდუა** დიდი ხანია სერიოზულად და წარმატებით უძღვება თავისი წინაპრების მიერ დაწყებულ საქმიანობას.

თოდუების საგვარეულო მალამო მცენარეული (ბალახეული) შემადგენლობისაა. იგი სწრაფ და ეფექტურ შედეგს იძლევა **კანის ყოველნაირი ჩირქოვანი დაავადების, ჩირქოვანი ჭრილობების, დამწვრობის, ჰაიმორიტის დროს და შეშუპებისას. ასევე, კურნავს წითელ ქარს, წყლიდან გამოყოლილ დაავადებებს, ბუასილს, ფსორიაზს, ქალურ დაავადებებს, ანთებებს, კრუნჩხვებს (მოზარდებში), ქავილს, სახეზე სხვადასხვა გამონაყარს და ა.შ.**

„ჩვენი მალამოს მეშვეობით ნებისმიერი დაავადება უკვალოდ იკურნება, — აღნიშნა ქალბატონმა ლამარამ, — არანაირი ნაოჭი, ნაიარევი კანზე არ რჩება. მას **ორგანიზმიდან გამოჰყავს, ასევე, ცხოველის, ქვეწარმავლის ან მორიელის შხამი.**

უამრავი შემთხვევიას გახსენება შეიძლება, როცა ამ მალამომ, მართლაც, სასწაული მოახდინა: „ერთ ქალბატონს, რომელსაც დამწვარ ფეხზე აღარც კანი და აღარც კუნთი ჰქონდა შერჩენილი, ჩემი მალამოს საშუალებით ერთ კვირაში მთლიანად აღუდგა ქსოვილის უჯრედები და სხეული ახალი კანით დაიფარა“.

**თოდუების მალამო რთულ ჩირქოვან ჭრილობებსაც შველის, კურნავს ეპილეფსიის წინაპერიოდს, ამისათვის წამლის ერთხელ მიღება სავსებით საკმარისია.**

**ქალბატონი ლამარა მალამოს გარდა სხვადასხვა სახის წამლებსაც ამზადებს, მაგალითად:** კრუნჩხვების წამალს, რომელიც კომპოტში ან რძეში უნდა გაიხსნას; ქავილის საწინააღმდეგო სითხეს; ასევე, ამზადებს სახის კანის დასაჭიმავ ნიღბებს, რომელიც ნაოჭებს ასწორებს, აქრობს გამონაყარს, არბილებს და ათეთრებს კანს. იგი ამზადებს თმის ცვენის შემაჩერებელ მალამოსაც. თმის ძირებზე მისი შეზელვიდან ერთ კვირაში წყდება თმის ცვენა და ძირები მაგრდება. მისი მალამოები აქრობს ქერტლს, ფეხებზე ოფლიანობას, სუნს.

**ეფექტურია მის მიერ დამზადებული ტილების წინააღმდეგო საშუალებებიც (ერთი წასმაც შველის).**

**თუ გსურთ, განიკურნოთ თოდუების საგვარეულო სამკურნალო საშუალებებით, მიაკითხეთ ქალბატონ ლამარას.**
**ტელ. 899 161 082; 30-62-52;**
**მისამართი: თბილისი, კანდელაკის ქუჩა №65.**



# მასთან სიცოცხლეზე ხელჩაქნეულები მიდიან და გამოჯანმრთელებულები ბრუნდებიან




**გაგნიძის პრეპარატი არჩენს**

**ავთვისებიან სიმსივნურ დაავადებებს, კუჭ-ნაწლავის გაუვალობას, კოლიტს, ფისტულას, პროსტატიტს, ბუასილს, ნერვის ანთებას, ნევროზს, ფსიქიკურად დაავადებულებს, პარკინსონს, ასთმას, ჩიყვს, გულისა და თირკმელების დაავადებებს; სპობს აზოტს თირკმელში, კურნავს გაფანტულ სკლეროზს და შიდსს, შველის ცერებრალურ დამბლას, ყურებიდან ჩირქდენას, ოსტეოქონდროზს, ჰაიმორიტს, ლეიკოზს, სეფსისს, ბოტულიზმს, ტუბერკულოზს, ცეროზს I და II სტადიებში, C-ჰეპატიტს, ბოტკინს, ელენთის, ნაღვლის ბუშტის დაავადებებს, ანთებით პროცესებს, ქლამიდიას, კლიმაქსს, წყლულს, ფსორიაზს, სახსრების დაავადებებს, ეპილეფსიას; ამყარებს იმუნიტეტს, ახდენს თავის ტვინის უჯრედების აღდგენა-შენარჩუნებას, დადებითად მოქმედებს სექსუალურ დარღვევებზე და ნარკოტიკებთან დამოკიდებულებებზე.**

**კოორდინატებია:**

**თელავი,**
**კავკასიონის ქუჩა №61-ბ,**
**გაგნიძე ბიჭიკო (დომენტი).**
**ტელ.: 893-22-66-51 8(250) 7-61-24**

**თბილისი,**
**აწყურის 31ა.**

**ბათუმი, ასათიანის 11,**
**(ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს,**
**10-დან 14 საათამდე).**




# წერილები ბიჭიკო გაგნიძეს

# გმადლობთ, ბატონო ბიჭიკო



**გ. შიომღვდლიშვილი:** — ჩემი მეუღლე უმძიმესი ავადმყოფი იყო. არა ერთი დაავადება აწუხებდა. ზოგი წამალი ერთ დაავადებაზე დადებითად მოქმედებდა, ზოგი — მეორეზე. საერთო ჯამში კი მათ ბევრი უკუჩვენებაც ჰქონდა. ალბათ, ამიტომაც იყო, რომ პაციენტის გამოჯანმრთელება ვერა და ვერ ხერხდებოდა, წლების განმავლობაში იტანჯებოდა და საშველი არ ჩანდა.

ბიჭიკო გაგნიძის პრეპარატის მიღების შემდეგ მდგომარეობა გაუმჯობესდა: პაციენტი ფეხზე წამოდგა, მადაც აღუდგა, იმუნიტეტიც გაუძლიერდა. ბოლოს ავადმყოფობამ უკან დაიხია.

დღეს ჩემი მეუღლე ჯანმრთელია. ამას კი ვუმადლით ჩვენს მკურნალს, რომელმაც მძიმე მდგომარეობიდან გამოგვიყვანა თავისი ფიტოთერაპიული წამლებით.

**მარიამ ნახუცრიშვილი:** — მძიმე ავადმყოფი ვიყავი. მაწუხებდა სახსრების ტკივილი, კუჭ-ნაწლავის სისტემის მოშლა, კლიმაქსური სინდრომი, ვენების გაგანიერება. თითქმის ყოველდღე წამალი მჭირდებოდა. ბოლო წლებში კი მისი შეძენის საშუალებაც აღარ მქონდა.

ნათესავმა მირჩია, ბიჭიკო გაგნიძის მცენარეული სამკურნალო საშუალება მესინჯა. წამლის მიღებიდან ერთი კვირის შემდეგ თავი უკეთ ვიგრძენი, გავაგრძელე მკურნალობა და ორი კურსის ბოლოს ტკივილები სულ გამიქრა. ამჟამადაც ამ წამლებით პროფილაქტიკურ მკურნალობას გავდივარ. მჯერა, რომ ეს ნამდვილად ბუნებრივი ელექსირია და სრულ გამოჯანმრთელებამდე მიმიყვანს.

**რუსუდან მამულაშვილი, ექიმი:** — ხუთი წლის განმავლობაში მაწუხებდა კუჭის მჟავიანობა, გულძმარვა. მივიღე კლასიკური მედიცინის თითქმის ყველა პრეპარატი. მკურნალობის მომენტში ყველა ჩივილი მეხსნებოდა, მაგრამ მერე კვლავ მძიმე მდგომარეობაში ვიყავი, აღარ ვიცოდი, რა მექნა.

გადავწყვიტე, ბიჭიკო გაგნიძის პრეპარატი მომესინჯა. ორი კვირის შემდეგ ტკივილებიც გამიქრა და გულძმარვაც მომეხსნა. უკვე ერთი წელია, არანაირ წამალს აღარ ვიღებ. საკუთარ თავზე გამოვცადე ამ წამლის სიკეთე. დღეს, ფაქტობრივად, სრულიად ჯანმრთელი ვარ. ეს კი ბიჭიკო გაგნიძის დამსახურებაა.

გაგნიძის პრეპარატი მივაღებინე ჩემი ოჯახის წევრს, 14 წლის ბავშვს, რომელსაც, ასევე, კუჭ-ნაწლავისა და მომნელებელი სისტემის დაავადება აწუხებდა. 10-დღიანი კურსის ჩატარების შემდეგ არაჩვეულებრივი შედეგი მივიღეთ.

ვფიქრობ, გაგნიძის წამალი სერიოზული პრეპარატია და ის კვლევასა და ფარმაცევტულ სისტემაში დამკვიდრებას იმსახურებს.

**გულნარა მექვაბიშვილი:** — ვარ 60 წლის, მაწუხებდა კუჭის წყლული. კლასიკური მედიცინის პრეპარატების მიღების გარდა, ვიმკურნალე გურიაში ფიტონაკრებით. ამის შესახებ სამკურნალო წიგნში ამოვიკითხე. შედეგი ვერ მივიღე. დაავადების ფონზე განმივითარდა დეპრესია და მაღალი წნევაც ხშირად მაწუხებდა. ნებისმიერი წამალი შვებას ერთიორი დღით მაგრძნობინებდა, მერე ტკივილები კვლავ მიტევდა. მუდმივმა დიეტამ სულ მიმასუსტა.

შარშან მითხრეს ბიჭიკო გაგნიძის წამლის თაობაზე. წყალწაღებული ამ იმედს მოვეჭიდე. ორი თვის მკურნალობის შემდეგ დაავადებამ უკან დაიხია.

დღეს უკვე არანაირ დიეტაზე აღარ ვარ. ნებისმიერ საკვებს ვიღებ და აღარ მეშინია წყლულის განვითარების. ვფიქრობ, ამ წამლით პროფილაქტიკა საუკეთესო შედეგის მომტანია.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net



# მანგლისი

## ალგეთის ხეობა

**მარიამობის თვრამეტიდან ალგეთის ხეობაში ისე აცივდა, რომ მანგლისში დასასვენებლად ამოსული ხალხის უმეტესობა უკან გაბრუნდა, ცენტრალური კორომი თითქმის დაცარიელდა. სანაცვლოდ საველე სამუშაოებისთვის შეიქმნა ხელსაყრელი პირობები. ჩვენი გადამღები ჯგუფი ორი დღეა, რაც მანგლელ-წალკელი მიტროპოლიტის ანანია ჯაფარიძის სტუმარია. მისი რეზიდენცია მანგლისის ცნობილი ტაძრის გვერდით მდებარეობს, მაგრამ ეკლესიის გადაღებას არ ვჩქარობთ, საგანგებოდ ვემზადებით, თითქოს. უნდა გამოვტყდე და ვთქვა, რომ პირადად ცნობილ საკათედრო ტაძრებზე მუშაობა დიდად არ მხიბლავს, რადგან მათ შესახებ, თითქმის, ყველაფერია ცნობილი, — ახალი რა უნდა დავწერო და გადავიღო?!**



მანგლისის ტაძარი

მესამე დღეს მაინც შევბედეთ და XIX საუკუნეში რუსთა მიერ აღმართული სამრეკლო-კარიბჭის ზღუდე გადავლახეთ.

მზიან თუ მოღრუბლულ ამინდში მანგლისის „ღვთისმშობელი“ ერთნაირად მოქუფრული გამოიყურება, და ეს იმიტომ კი არა, რომ ხუროთმოძღვრული ღირსება აკლია, არამედ იმიტომ, რომ ბაზალტის რუხი კვადრები სინათლეს ვერ ირეკლავს და ფიტარეთივით ვერ ბრწყინავს. ...სანაცვლოდ ისტორია აქვს ძალიან ძველი და სხივფენილი.

საიდან მოდის ტოპონიმი მანგლისი?

სიტყვა „მანგალი“ ნამგლის თავდაპირველი ფორმაა და ამდენად, შესაძლოა, ადგილმდებარეობის ნამგლისებური შემოწერილობის გამო დაიმკვიდრა დაბამ ეს სახელი. დაბაც ახლა ჰქვია, თორემ ადრეშუასაუკუნეებში და მას მერეც საქართველოს ერთ-ერთი ცნობილი ქალაქი იყო. იგი აღმოსავლეთიდან და სამხრეთიდან დასავლეთისაკენ, კონკრეტულად კი ბიზანტიისაკენ მიმავალ დიდ სატრანზიტო გზაზე იდო.

ასე იყო IV საუკუნის 30-იან წლებშიც, როცა მირიან მეფემ ეპისკოპოსი იოანე და მისი თანმხლები პირნი გაგზავნა ბიზანტიის კეისართან ცნობილი ხუროების სათხოვნელად და ეკლესიათა ასაშენებლად. კონსტანტინეპოლიდან გამობრუნებულმა ჩვენმა დელეგაციამ დედოფალ ელენესაგან გადმოცემული წმინდა ნაწილები — მაცხოვრის ჯვარცმის ფერხთა ფიცარნი და სამსჭვალები — რომ წამოიღო, გზადაგზა ეკლესიათა მშენებლობაც წამოიწყო. ასეთი ეკლესიები ერუშეთში, წუნდასა და მანგლისში აიგო. ბოლომდე გაურკვეველი რჩება ერთი საკითხი: რომელი სიწმინდეები დაავანეს მანგლისის ჯვრის ტაძარში (XI საუკუნემდე აქ მდგარი ძველი საყდარი ჯვრის სახელობისა იყო) — ფერხთა ფიცარნი თუ სამსჭვალნი? „მოქცევაი ქართლისაის“ მიხედვით, ფერხთა ფიცარნი ერუშეთში იქნა დატოვებული, სამსჭვალნი კი — მანგლისში. ლეონტი მროველის თხზულებიდან საწინააღმდეგო ამბავს ვგებულობთ: ერუშეთში — სამსჭვალნი, მანგლისში — ფერხთა ფიცარნი. უდავოა ერთი რამ — IV საუკუნის 30-იან წლებში საქართველოში ერთ-ერთმა პირველმა ეკლესიამ, თავისი დიდი ქრისტიანული სიწმინდეებით, მანგლისში დაიდო ბინა. იმ მცირე ტაძარმა ვახტანგ გორგასლამდე იარსება, რადგან წმინდანმა მეფემ, საეპისკოპოსოების დაარსების პარალელურად, ეპარქიათა ცენტრებში ახალი და უფრო დიდი საყდრების მშენებლობა წამოიწყო. მანგლისის ძველი ტაძრის ადგილზე ვახტანგს რვაწახნაგა, მოზრდილი გუმბათიანი, საყდარი აუგია. და აი, აქ იბადება შეკითხვა: რატომ მაინცადამაინც რვაწახნაგა, როცა სხვაგან, თუნდაც მცხეთაში, სამნავიანი ბაზილიკები ან მცირე გუმბათიანი საყდრები შენდებოდა? ნათელი პასუხი ამისა არ არსებობს, მაგრამ ერთი ვერსია კი თავს იჩენს: ხომ არ მოხდა ეს იმის გამო, რომ იოანე ეპისკოპოსის მიერ IV საუკუნეში აგებულ ტაძარში, „მცხეთის ჯვრის“ მსგავსად, დიდ ოქტაგონურ კვარცხლბეკზე ჯვარი იყო აღმართული? ამდენად, ვახტანგისეული ტაძრის ფორმები იმ ოქტაგონს ხომ არ მიასადაგეს? ძველი მატიანეები ასეთ რამეს არ გვეუბნებიან მცხეთის, უჯარმისა და თხოთის მთის ჯვრების აღმართვის პარალელურად, მაგრამ მანგლისში ეს, იქნებ, ოდნავ მოგვიანებით მოხდა? ამომწურავი პასუხი ამის თაობაზე არ არსებობს. ლ. მელიქსეთბეგს რომ მანგლისის თავზე ჯვრის აღმართვის საკმაოდ „გაბედული“ მოსაზრება აქვს, ეს სულ სხვა თემაა.



მუქი შტრიხებით აღნიშნულია V საუკუნის ტაძარი

ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ ვახტანგისეული ტაძარი გეგმარებში შიგნიდან ტეტრაკონქს წარმოადგენდა, გარედან კი ოქტაგონს. არის ისეთი ცნობა, რომ თითქოს 627 წელს ბიზანტიის კეისარმა ჰერაკლემ, საქართველოში ლაშქრობის დროს, მანგლისის ტაძრის სიწმინდეები უკან წაიღო. სხვა ცნობებიდან განსაკუთრებით საინტერესოა ის, რომ, სომხური წყაროებითაც კი, „მანგლისის ჯვარი“, მცხეთის ჯვართან ერთად, მთელი ქრისტიანული კავკასიის ერთ-ერთ უმთავრეს სალოცავად ითვლებოდა. V-VI საუკუნეებიდან მოყოლებული დღემდე, მანგლისის ეპარქიას ქართული სამოციქულო ეკლესიის იერარქიაში მე-4 ადგილი უკავია. ცნობილია მისი პირველი ეპისკოპოსი — ელაგესი თუ ელატესი, რომელიც 506 წლის დვინის ცნობილ საეკლესიო კრებაში მონაწილეობდა.

მესამე ეტაპი მანგლისის ტაძრისათვის XI საუკუნეში დაიწყო, როცა არაბთა შემოსევების დროს გაპარტახებული ვახტანგისეული საყდრის საფუძველზე ახალი, უფრო დიდი, კარიბჭეებიანი და გუმბათიანი ეკლესია აიგო. იგი ღვთისმშობლის სახელზე აკურთხეს.

მეოთხე ეტაპი XIX საუკუნის რესტავრაციაა. ჯერ თემურ-ლენგის, შემდგ კი დაღესტნელი მეკობრეების განუწყვეტელმა თარეშმა მანგლისის „ღვთისმშობელი“ ძალიან დააზიანა. ამ დროს მისი შეკეთება ითავეს მანგლისში დაბანაკებულ რუს კარაბინერთა პოლკის ოფიცერთა ოჯახებმა, რომლებმაც ბერძენი ხელოსნები მოიწვიეს. ქართული ხუროთმოძღვრული სტილის მოწინააღმდეგე ბერძენი ოსტატების მიერ. ამ დროს, შესაძლოა, სრულიად გადათლილიყო ტაძრის პერანგი, რომ საქმეში ასე თუ ისე განათლებული რუსი ოფიცრები არ ჩარეულიყვნენ. ამიტომ გადარჩა ჩუქურთმათა ნაწილი და უცვლელი დარჩა გუმბათის ყელი. ბერძენ ხელოსანთა მიერ ჩატარებულმა რესტავრაციამ ფასადურ ნაწილში რამდენიმე ძალიან საყურადღებო წარწერაც შეიწირა, ინტერიერში კი უფრო სავალალო შედეგი მივიღეთ — კედლების თეთრად გადალებვის შედეგად, სრულიად დაიკარგა XI საუკუნის მხატვრობა, თუმცა, ამ შემთხვევაშიც, გადარჩა მხოლოდ გუმბათის ყელი და გადარჩა, ვფიქრობთ, ერთი გარემოების გამო: აქ არსებულ, გადამურულ და ჩაბნელებულ ფრესკებში არის ერთი ნახატი, რომელსაც, გადმოცემის თანახმად, მაჰმადიანებიც კი უფრთხოდნენ. ვახუშტი ბატონიშვილი ამ ფრესკის თაობაზე ასე წერს: „სამხრით გუმბათსა შინა არს მაჰმად (ე.ი. მუჰამედი — გ.ქ.) ლომსა ზედა მჯდომარე დახატული. იტყვიან მის გამო მაჰმადიანთა არა შეუმუსრავთ“. სხვათაშორის, გამოედევნა რა ამ თქმულებას, XIX საუკუნეში ს. სლივიცკიმ ასე დაწერა: „და მართლაც, ტაძრის ქვეშ მოჩანს მუჰამედის გამოსახულება“-ო. მისმა მოგვარემ ი. სლივიცკიმ ამ ფრესკაში ცხენოსანი წმიდა გიორგი აღმოაჩინა (?!). სინამდვილეში ეს არც წმიდა გიორგია და არც მუჰამედი. ჩვენს წინაშეა „წმიდა მამაი“ — დიდმოწამე ქრისტიანი ჭაბუკი, რომელმაც ლომი მოათვინიერა და გახედნა. მას სიუხვის ყანწი უკავია, რომელშიც ფეხის თითისწვერი ჩაუყვია მამაის თავზე დახატულ ანგელოზს. ექვთიმე თაყაიშვილი ამ ფრესკას განახლების სიმბოლურ გამოსახულებადაც აღიქვამს. აღსანიშნავია, რომ სტილიზებულ ლომზე მჯდარი „წმიდა მამაი“, რომლის ფონად მზის ორმაგი დისკოა გამოყენებული, პირადად ჩემში ურარტუს მთავარი ღვთაების — „ხალდეს“ ასოციაციასაც იწვევს, რომელიც ურარტუელი ხალდების, ქართველური ტომების, დაარსებულია.

როგორც ზევით ითქვა, მანგლისის დღევანდელი ტაძარი, ხუროთმოძღვრული ნიშნებიდან გამომდინარე, XI საუკუნის ძეგლია. მისი წარწერები — ჩვენამდე მოღწეული თუ მოუღწეველი, მაგრამ ადრე წაკითხული — ზუსტ თარიღსაც გვეუბნებიან. ამ მხრივ ფასდაუდებელი წვლილი აქვთ გაღებული ჯერ მარი ბროსეს, შემდეგ კი ექვთიმე თაყაიშვილს. მანგლისის შემორჩენილ თუ განადგურებულ წარწერებში ჩვენ ვხვდებით ისეთ სახელებს, როგორებიცაა: **ღოდომის ძენი შალვა და კონსტანტი, აბულარი, კვირიკე ეპისკოპოსი, ძლიერი ბაგრატი, დედოფალი გურანდუხტი, ეპისკოპოსი არსენი, სავა ბიბილური** და სხვ. ეს პიროვნებები სხვადასხვა ეპოქას განეკუთვნებიან.

საინტერესოა სხვა ორი წარწერაც: 1) სამხრეთ სტოვის შესასვლელის თაღზე (წაიკითხეს ა. შანიძემ და თ. ბარნაველმა): **„სრულ იქმნა ესე სტოვა მეფობასა ღმრთივ დამყარებულისა გიორგი ყოვლისა აღმოსავლეთის ნევილიმოსისა (თუ თვითმპყრობელისა)“.**

2. სამხრეთ სტოვის აღმოსავლეთ საყრდენზე (წაიკითხა თ. ბარნაველმა): **„ათანასე მანგლელ ეპისკოპოსმან ნოემბერსა მე-12-სა დღესა სახიერისა იოვანე მოწამისაი დავდევ აღაპი ღამისთევით, ჟამის წირვით რკს (?). ვინ შეუცვალოს ცოდვათამცა მისია. გარდაიხადოს“.**

მთავარი წარწერები სულ სხვაა. სამხრეთ კარიბჭეში, ტაძარში შესასვლელი კარის მარჯვენა მხარეს, მ. ბროსეს საბოლოო წაკითხვით წერია: **„რვასა ნოემბერსა, დღესა მთავარანგელოზთასა მე საალაპედ შევწირე (...)სთვის. ყველა ღვდლებისა და ეპისკოპოსისათვის, რომელნი ჟამს უწირავენ. ვინ შეუცვალოს, ცოდვათა მისთა გარდაიხდის. ქრისტე შეიწყალე ბაღუაშ ლიპარიტი“.** ექთვიმე თაყაიშვილი მხოლოდ ნაწილობრივ ეთანხმება მარი ბროსეს: „თუესა ნოემბერსა რვასა მთავარანგელოზთასა აღაპი თეოდორე ერისთავს ვაცინას ძისაი ჟამის წირვით. რაოდენი მღვდელი იყოს ჟამი უწიროს. ვინ შეუცვალოს, ცოდვათამცა მისთა გარდიხდის; ქრისტე, შეიწყალე ბაღუაშ“.

აკაკი შანიძემ „თევდორეერისთავ ვაჩინას ძეი“ კი ამოიკითხა, მაგრამ „ბაღვაშის“ ნაცვლად „ბაღათური“ წაიკითხა.

კიდევ ორი მთავარი და თარიღიანი წარწერა, რომლებიც დღეს აღარ არსებობს, ესკიზების სახით აღმოჩნდა მარი ბროსეს არქივში: 1) წარწერა სამხრეთ სტოვიდან ეკლესიაში შესასვლელი კარის თაღზე: **„(ქ. იქნა დი) დისა ამის საყდრისა აღშენება ქორონიკონსა სმ (ე.ი. 1020 წელს)“;** 2) წარწერა სამხრეთ სარკმლის გვირგვინს ქვემოთ: **„(სახელითა ღმრთისაითა და მეოხებითა) ძელისა ცხოვრებისაი მე გლახაკი... ღირს ვიქმენ აღშენებად წმიდისა ამის ეკლესიის სალოცველად სულისა ჩემისა. ქორონიკონი იყო სმ“ (ე.ი. 1020 წელი).**

არსად ჩანს კიდევ ერთი წარწერიანი ქვა, რომელიც, ექვთიმე თაყაიშვილის აზრით, ტაძრის მშენებლობის დასრულების თარიღს გვეუბნებოდა. ეს ქვა თავის დროზე კარაბინერთა პოლკის სიახლოვეს უპოვნია დიმიტრი მეღვინეთუხუცესს და ნაწილობრივ წაუკითხავს მარი ბროსეს: „დიდება შენდა ღმერთო... ახალსა მთვარესა აკურთხეს, თუესა თებერვალსა... ქორონიკონს სმზ“ (ე.ი. 1027 წელს).

ეს უმთავრესი ქტიტორული წარწერები იმას გვეუბნება, რომ მანგლისის დიდი საყდრის აშენება დაწყებულა მეფე გიორგი პირველის ზეობაში — 1020 წელს ლიპარიტ III ბაღვაშის თაოსნობით და დასრულებულა 1027 წელს.

მარი ბროსესა და ექვთიმე თაყაიშვილის საწინააღმდეგოდ ა. შანიძის მიერ „ბაღუაშის“ ნაცვლად „ბაღათურის“ წაკითხვას ქტიტორულ წარწერაში მხარს უჭერენ ვ. ბერიძე, თ. ბარნაველი და მ. დვალი. მათი მოსაზრებით, გიორგი I-ის მეფობაში ლიპარიტ კლდეკარის ერისთავებს, რომელთა მამული და ძვალშესალაგი ეკლესია კაცხში იყო, მანგლისში არაფერი ესაქმებოდათ. მაგრამ, თუ ეს პიროვნება ბაღვაში არ არის და მართლაც ბაღათურია, მაშ, ამხელა პიროვნებას ისტორია რად არ იცნობს? საბოლოო დასკვნის გამოტანა ძალიან ჭირს.

ამ თემას ჩვენ მომდევნო მოგზაურობის დროს დავუბრუნდებით.



მანგლისის ტაძრის სამხრეთის კარიბჭე



წმიდა მამაის ფრესკა

**გელა ქოქიაშვილი**
ავტორის ფოტოები

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# პირველი მსოფლიო ომი და საქართველო

**გერმანიის იმპერიის წაქეზებით თურქეთი ომში 1914 წლის ოქტომბერში ჩაება. პანთურქისტული წრეების ომში წარმატებას უნდა მოჰყოლოდა ოტომანთა „დიდი იმპერიის“ აღდგენა მასში ამიერკავკასიის, ყირიმის, კავკასიელთა მთიელი ტომების, პოვოლოჟიესა და თვით შუა აზიის გაერთიანებით. 1914 წლის 2 აგვისტოს ხელი მოეწერა გერმანია-თურქეთის სამოკავშირეო ხელშეკრულებას, რომლის მიხედვითაც თურქული არმია, ფაქტობრივად, რჩებოდა გერმანული სამხედრო მისიის ხელმძღვანელობის ქვეშ და ცხადდებოდა მობილიზაცია.**

**იმავდროულად თურქეთის ხელისუფლებამ გამოაქვეყნა დეკლარაცია ნეიტრალიტეტის შესახებ.**

10 აგვისტოს დარდანელში გერმანული ხომალდები შევიდა. მათმა არა მხოლოდ თურქული არმია, არამედ ფლოტიც გერმანელთა დაქვემდებარებაში მოაქციეს. 9 სექტემბერს თურქეთის მთავრობამ ყველას გამოუცხადა, რომ კაპიტულაციის რეჟიმზე, უცხოეთის მოქალაქეების განსაკუთრებულ სამართლებრივ უფლებებზე უარს აცხადებდა.

**თურქეთის მთავრობის წევრთა უმრავლესობა საერთოდ წინააღმდეგი იყო ომისა. მაშინ თურქეთის სამხედრო მინისტრმა ენვერ-ფაშამ გერმანელებთან ერთად თურქეთის მთავრობის წევრთა თანხმობის გარეშე ომი დაიწყო და ქვეყანა ფაქტის წინაშე დააყენა.**

1914 წლის 29-30 ოქტომბერს თურქეთის ფლოტმა ცეცხლი გაუხსნა სევასტოპოლს, ოდესას, ფეოდოსიასა და ნოვოროსიას. 1914 წლის 2 ნოემბერს რუსეთმა ომი გამოუცხადა თურქეთს. 5-6 ნოემბერს მის კვალს მიჰყვნენ ინგლისი და საფრანგეთი. ამგვარად, წარმოიშვა **კავკასიის ფრონტი რუსეთსა და თურქეთს** შორის.

რუსეთი ყურადღებას არ ადუნებდა, რათა თურქეთს ყარსის ციხესიმაგრესა და ბათუმის პორტზე კონტროლი არ დაებრუნებინა, რაც თურქეთმა 1870-იანი წლების ბოლოს დაკარგა. ამასთან დაკავშირებით აქვე გთავაზობთ მცირე ისტორიულ ექსკურსს:

**მე-19 საუკუნის 70-იან წლებში ევროპასა და წინა აზიაში მთავარი გეოპოლიტიკური მოთამაშეები არიან: ინგლისი, გერმანია, ავსტრო-უნგრეთი, საფრანგეთი, რუსეთი და ოსმალეთი; კერძოდ, ინგლისი და რუსეთი დაპირისპირებულია შუა აზიის გამო; ინგლისი და საფრანგეთი – ევროპაში ჰეგემონობისათვის; რუსეთი და ოსმალეთი შავი ზღვის აკვატორიაში (ბალკანეთი, კავკასია) გაბატონებისათვის იბრძვიან და სხვ. არის დროებითი კოალიციებიც: ინგლისი კავშირშია ოსმალეთთან, ბისმარკის გერმანია და ავსტრო-უნგრეთი – რუსეთთან**.

აღმოსავლეთ ევროპისა და კავკასიის გადანაწილებისათვის ბრძოლაში ალექსანდრე მეორის რუსეთი ამარცხებს სულთნის ოსმალეთს. 1878 წლის 3 მარტს **სან-სტეფანოს ზავით** დამარცხებულმა თურქებმა რუსებს დაუთმეს ბათუმიც (ყარსთან ერთად). საქართველო, როგორც დამხვდური ქვეყანა ამ დროს არ არსებობს; დეზორიენტირებულია ქართული ეროვნული ცნობიერებაც; ამ დროს საქართველოს მასშტაბით აქტიურად ჩნდება ილია ჭავჭავაძის გუნდი, რომელიც ერის კონსოლიდაციას ცდილობს.

1878 წლის 30 მაისის რუსეთ-ინგლისის საიდუმლო გარიგებით, ინგლისი თანხმდება რუსეთს, რომ ამ უკანასკნელმა ბათუმი (ყარსთან ერთად) დაიკავოს, მაგრამ 1878 წლის 13 ივნისს **ბერლინის კონგრესზე** ინგლისმა მხარი დაუჭირა გერმანია-თურქეთის კოალიციას, რათა **ბათუმი გამოცხადებულიყო პორტო-ფრანკოდ**. ბისმარკის მოქნილობის წყალობით ბათუმი გამოცხადდა ყველასთვის საზიარო ქალაქად (თავისუფალ სავაჭრო ზონად, თანამედროვე ტერმინოლოგიით: თავისუფალ ეკონომიკურ ზონად). ამავე კონგრესმა 3-წლიანი ვადა დაადგინა სამხრეთ საქართველოდან მუსლიმან ქართველთა აყრისა და შუა თურქეთში გადასახლებისათვის.



1886 წლის 23 ივლისს რუსეთმა ცალმხრივად გააუქმა ბათუმის პორტო-ფრანკო; ამ ფაქტმა რეგიონის სხვა გეოპოლიტიკური მთავარი მოთამაშეების აღშფოთება გამოიწვია, მაგრამ იმხანად ომში გამარჯვებულ რუსეთთან კონფლიქტი არ გაამწვავეს; თუმცა ბათუმის საკითხი მათთვის ღია ჭრილობად დარჩა.

აქვე აღვნიშნავთ, რომ

**ბათუმის პორტო-ფრანკოს გაუქმებას მიესალმა ილია ჭავჭავაძე, ვინაიდან, მისი აზრით, „თავისუფალმა ეკონომიკურმა ზონამ“ გააუარესა აჭარის მოსახლეობის ისედაც მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა**

(შ. მეგრელიძე, 1963, ხ. ახვლედიანი, 1971). საყურადღებოა, რომ ამავე შინაარსის ცნობას გვაწვდის ცნობილი მოგზაური ევგენი ვეიდენბაუმი; კერძოდ, ის 1878 წლის ნოემბერში თავის დღიურებში წერს:

**„აქამდე პორტო-ფრანკო ვაჭრების წახალისებას კი არა, გარეშემო მცხოვრებთა შევიწროებას ემსახურებოდა;... კერძოდ, ქალაქში მათ შემოაქვთ მცირეოდენი ღარიბული პროდუქტი, შემდეგ შეისყიდიან რამდენიმე არშინ ნარმას და უკან ბრუნდებიან — ბათუმი არის მათი ბაზარი. პორტო-ფრანკოს გამოცხადების შემდეგ ქალაქის საზღვრის მცველები მათ ბაჟს თხოვენ. ძალიან ძნელია, რომელიმე აჭარელს აუხსნა და შეაგნებინო, თუ რატომ უნდა გადაიხადოს მან დამატებითი თანხა ქალაქიდან გასვლისას უკვე ნაყიდ საქონელში“.**

რუსეთს ხელს არ აძლევდა ბათუმის პორტოფრანკოობა. სამაგიეროდ, ბათუმში თავისუფალი ვაჭრობა ხელს აძლევდა სხვა მომხვდურ ქვეყნებს, ამიტომაც **ბათუმის პორტოფრანკოობა, ისევ და ისევ ქართველთა ნების გარეშე, დღის წესრიგში დასვეს ევროპის სახელმწიფოებმა პირველი მსოფლიო ომის დროსაც.** საქართველოს გარეშე ინტენსიურად იხილებოდა ეს თემა ანტანტის სახელმწიფოების უმაღლესი საბჭოს სხდომებზეც 1920 წელს.

ომი კავკასიაში ორივე მხარისათვის — რუსეთისთვისაც და თურქეთისთვისაც — ურთულეს პირობებში მიმდინარეობდა. განსაკუთრებით რთული იყო ჯარების მომარაგება საბრძოლო მასალით, სურსათით, ცხენებისათვის საჭირო ფურაჟით; ამასთან, მთიანი რელიეფის გამო გაძნელებული იყო კავშირი; ხოლო სარკინიგზო კავშირის უქონლობა აძლიერებდა ამ რაიონში (პირველ რიგში, ბათუმსა და ტრაპზონში) შავი ზღვის პორტებზე კონტროლის მნიშვნელობას.

საომარი მოქმედებების დაწყებამდე კავკასიის არმიის ყურადღება მიმართული იყო ორი ჯგუფის ორ მთავარ ოპერატიულ მიმართულებაზე; ეს იყო:

**1. ყარსის მიმართულება (ყარსი — ერზრუმი) — დაახლოებით 6 დივიზია ოლტი-სარიყამიშის რაიონში;**

**2. ერევნის მიმართულება (ერევანი — ალაშკერტი) — დაახლოებით 2 დივიზია და მხედრიონი იგდირის რაიონში.**

ფლანგებს იცავდა საზღვრისპირა დაცვა და არცთუ ისე დიდი დამოუკიდებელი რაზმები, კაზაკები და საჯარისო შენაერთები. მარჯვენა ფლანგი მიმართული იყო შავი ზღვის სანაპიროს გასწვრივ ბათუმისკენ; მარცხენა კი — ქურთთა რაიონების (სადაც ქურთებმა მობილიზაციის გამოცხადების შედეგად ჩამოაყალიბეს ქურთთა ირეგულარული მხედრობა) და თურქული აზერაიჯანის წინააღმდეგ.

1914 წლის ნოემბერში რუსეთის არმიამ, შეიჭრა რა თურქეთის საზღვრებში, შეტევა განახორციელა 350 კმ. რადიუსში; მაგრამ წინააღმდეგობის გაწევის გამო იძულებული გახდა, თავდაცვაზე გადასულიყო.




**არასამთავრობო ორგანიზაციამ — „ისტორიული მემკვიდრეობა“ — გამოსცა ისტორიული დოკუმენტების კრებულთა სერია, რომელიც XVII-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს ეხება. კრებულები გამიზნულია მკითხველთა ფართო წრისათვის, რამეთუ პოლიტიკური კონიუნქტურის გარეშე, მხოლოდ ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით ასახავს წარსულ სინამდვილეს. თუკი გავითვალისწინებთ ისტორიული ფაქტებით მანიპულირების მზარდ და საშიშ ტენდენციას, გამოცემა ფრიად დროული და აქტუალურია. მსურველებს კრებულების შეძენა შეუძლიათ წიგნის მაღაზიებში. დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ: 38-41-97.**

## გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ რედაქციას

თქვენ გაზეთში (№31) ჩემი ინტერვიუ შემოკლებით დაიბეჭდა, სადაც საუბრის დროს დავუშვი ენობრივი ლაფსუსი და ნაცვლად ლევან ბერძენიშვილისა, უნებლიეთ წარმოვთქვი ლევან გაჩეჩილაძის გვარი. საერთოდ, ამ ბოლო დროს ლევან გაჩეჩილაძის გარშემო აგორებულია ჭორები და ატეხილია მითქმა-მოთქმა, რომელიც, ჩვეულებისამებრ, როგორც სიმართლეს, ასევე ცილისწამებებს ეფუძნება. ვინც ჩემს მოღვაწეობას ზერელედ მაინც იცნობს, დამერწმუნება, რომ ვცდილობ, სიმართლეს ვემსახურო და არც როდის ვუმშვენებდი გვერდს ცილისწამებებს.

ამიტომაც უმორჩილესად გთხოვთ, მორიგ ნომერში გამოაქვეყნოთ შესწორება, კერძოდ, ნაცვლად დაბეჭდილი პასაჟისა უნდა იყოს შემდეგი: „ლევან ბერძენიშვილი, რომელიც დღეს დიდ პოლიტიკოსობას იჩემებს, არის ადამიანი, რომელმაც თავისი ახლადდაფუძნებული პარტია გააშიშვლა, თანაპარტიელები დაასმინა და დააჭერინა. ასეთ კაცს პარტიაში ყოფნის უფლება არ აქვს...“

დასასრულს, მსურს ლევან გაჩეჩილაძეს ბოდიში მოვუხადო უნებლიეთ გაპარული ლაფსუსისთვის.

პატივისცემით

**ე. ჯაველიძე**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

## ქრონოგრაფი

# რა მოხდა მსოფლიოში სხვადასხვა წელს 7-დან 13 ოქტომბრამდე?

### 7 ოქტომბერი

**დღის ციტატა:**
**„ყოველი შემთხვევისთვის, თოფები დატენეთ და მიკროფონები ჩართეთ!“**
**ანჯეი ვიშნევსკი**

**1952 წელს** დაიბადა რფ-ის პრემიერ-მინისტრი ვლადიმერ პუტინი;

**1885 წელს** დაიბადა დანიელი ფიზიკოსი, ატომური ბომბის შემქმნელი ნილს ჰენრიკ დავიდ ბორი;

**1571 წელს** ლეპანტოსთან გაიმართა ისტორიაში უკანასკნელი სანიჩბოსნო ფლოტის ბრძოლა, რომელშიც ესპანელმა მწერალმა სერვანტესმა მარცხენა ხელი დაკარგა;

**1815 წელს** ნაპოლეონის მხარეზე გადასვლისთვის სიკვდილით დასაჯეს მარშალი მ. ნეი;

**1944 წელს** აშშ, ბრიტანეთი, სსრკ და ჩინეთი შეთანხმდნენ ერების ლიგის გაეროთი შეცვლის შესახებ;

**1949 წელს** შეიქმნა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა;

**1999 წელს** ინგლისელმა მეცნიერებმა განაცხადეს სავარაუდო მეათე პლანეტის არსებობის შესახებ მზის სისტემაში.

### 8 ოქტომბერი

**დღის ციტატა:**
**„მონობაში დაბადებული ყოველი ადამიანი მონობისთვისაა დაბადებული...“**
**ჟან-ჟაკ რუსო**

**1848 წელს** დაიბადა ფრანგი კომპოზიტორი, „ინტერნაციონალის“ მუსიკის ავტორი პიერ დეგეიტერი;

**1892 წელს** დაიბადა რუსი პოეტი მარინა ცვეტაევა;

**1799 წელს**, საფრანგეთის ჯარების დამარცხების შემდეგ, ა. სუვოროვმა შვეიცარიის ალპები გადალახა;

**1796 წელს** ესპანეთმა ომი გამოუცხადა ინგლისს;

**1856 წელს** ბულონთან ინგლისის ჯარებმა პირველად გამოიყენეს საბრძოლო რაკეტა;

**1871 წელს** ხანძრის შედეგად ნაცარტუტად იქცა ჩიკაგოს ცენტრი;

**1993 წელს** საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ დსთ-ში საქართველოს გაწევრების შესახებ განცხადება გააკეთა.

### 9 ოქტომბერი

**დღის ციტატა:**
**„ვისაც გული არაფერზე მოსდის, ის უგულოა, ხოლო უგულო კაცი პიროვნება ვერ იქნება“.**
**ბალთაზარ გრასიანი**

**1547 წელს** დაიბადა ესპანელი მწერალი მიგელ დე სერვანტესი;

**1957 წელს** დაიბადა ქართველი ფეხბურთელი, თასების თასის მფლობელი ვიტალი დარასელია;

**1967 წელს** ბოლივიაში მოკლეს ლათინოამერიკელი რევოლუციონერი ერნესტო ჩე გევარა;

**1708 წელს** რუსეთის მეფე პეტრე I სოფელ ლესნოისთან დაამარცხა შვედური კორპუსი, რომელიც პოლტავისკენ მიემართებოდა;

**1789 წელს** საფრანგეთში აიკრძალა ადამიანების წამება;

**1993 წელს** საქართველო დათანხმდა ქვეყანაში სამი რუსული სამხედრო ბაზის დატოვებას;

**2001 წელს** ეგვიპტეში აიგო მსოფლიოში უდიდესი დასაკიდი ხიდი.

### 10 ოქტომბერი

**დღის ციტატა:**
**„უპრიანია მხოლოდ ძველი გაზეთების კითხვა, რადგან 10 წლის შემდეგ ყველა ცუდი ამბავი სასაცილოდ გეჩვენება“.**
**ჟან ანუი**

**1830 წელს** დაიბადა ესპანეთის დედოფალი იზაბელა II;

**1813 წელს** დაიბადა იტალიელი კომპოზიტორი ჯუზეპე ვერდი;

**1365 წელს** ჯვაროსნებმა ალექსანდრია დაიპყრეს;

**1733 წელს** საფრანგეთმა ომი გამოუცხადა რომის წმინდა იმპერიას;

**1840 წელს** ინგლისის ჯარებმა ბეირუთი დაიპყრეს;

**1865 წელს** გამომგონებელმა უესლი ჰაიათმა აღმოაჩინა სინთეტური მასალა, რომლითაც სპილოს ძვლისგან დამზადებული ბილიარდის ბურთები ჩაანაცვლეს;

**1911 წელს** ჩინეთში მონარქია დაემხო და სუნ იატ სენმა ქვეყანა რესპუბლიკად გამოაცხადა;

**1919 წელს** ანტანტამ და აშშ-მ საბჭოთა რუსეთს ეკონომიკური ბლოკადა გამოუცხადეს.

# აინშტაინის გაკვეთილები

**აინშტაინის ფენომენს დღემდე გულდასმით შეისწავლიან ინსტიტუტებში. მისი გენიალობა ხომ ერთობ მრავალწახნაგოვანი იყო. მეცნიერმა თავის დროზე ჩამოაყალიბა 10 პოსტულატი, რომლებითაც მთელი ცხოვრება ხელმძღვანელობდა.**



თუ ადამიანი არასდროს შემცდარა, ესე იგი, არც უცდია რაიმე ახალის შექმნა;

განათლება ისაა, რაც გრჩება სკოლაში ნასწავლის დავიწყების შემდეგ;

ჩემს წარმოსახვაში ფერმწერივით ვხატავ. წარმოსახვა ცოდნაზე გაცილებით მნიშვნელოვანია, რადგან ცოდნა შეზღუდულია, წარმოსახვა კი მთელ სამყაროს მოიცავს;

შემოქმედების საიდუმლო შენი შთაგონების წყაროთა დამალვის უნარია;

ადამიანის ღირებულება უნდა განისაზღვრებოდეს იმით, რის გაცემაც შეუძლია და არა იმით, რის მიღწევაც ძალუძს;

შეეცადეთ, წარმატებული კი არა, ღირებული ადამიანი გახდეთ;

ცხოვრება შეგიძლიათ ორგვარად გალიოთ:

**იცხოვროთ ისე, თითქოს სასწაულები არ არსებობს ან იცხოვროთ ისე, თითქოს გარშემო მხოლოდ სასწაულები ხდება;**

**როცა საკუთარ თავსა და ჩემი აზროვნების თავისებურებებზე ვფიქრობ, ვასკვნი, რომ წარმოსახვის უნარი და ფანტაზია გაცილებით მნიშვნელოვანია ჩემთვის, ვიდრე აბსტრაქტულად აზროვნების ყოველგვარი ნიჭი;**

**ცხვრის ფარის უნაკლო წევრი რომ გახდე, პირველ რიგში, ცხვარი უნდა იყო;**

**თამაშის წესები უნდა ისწავლო, შემდეგ კი ყველაზე უკეთ ითამაშო;**

კითხვები ძალიან მნიშვნელოვანია, ცნობისმოყვარეობა ტყუილად ხომ არ ებოძა ადამიანს?

# 10 ტექნოლოგია, რომლებიც ამ საუკუნეში სრულყოფას მიაღწევს

**მეცნიერებს დღეს უამრავი თავსატეხი აქვთ, ამიტომ რამდენად მნიშვნელოვანიც უნდა იყოს ამჟამინდელი აღმოჩენები, ბევრი პრობლემა მაინც მოუგვარებელი რჩება. ზოგიერთი პროექტი, რომელიც ორი ათეული წლის წინათ სამეცნიერო ფანტასტიკად მიიჩნეოდა, უახლოეს მომავალში საბოლოოდ შეისხამს ხორცს. აი, ზოგიერთი მათგანი:**



**10. აზრების კითხვა**

კაცობრიობა ამაზე დიდი ხანია, ოცნებობს, სხვა საკითხია, კარგია ეს თუ ცუდი. მკვლევარებმა გარკვეულ წარმატებებს ამ სფეროში უკვე მიაღწიეს: მათ შეუძლიათ, 1 წუთით ადრე განჭვრიტონ შეცდომა, სანამ ადამიანი დაუშვებს. ტვინის აქტივობის სურათის ანალიზისას სპეციალისტებს შეუძლიათ მოახდინონ პიროვნების საქციელის პროგნოზირება ამა თუ იმ ექსპერიმენტის დროს. აზრის ძალით ადამიანმა ისწავლა რობოტების მართვა და კომპიუტერზე ბეჭდვა, თუმცა ზოგიერთი საიდუმლო კვლავ საიდუმლოდ რჩება...

**9. 90 წუთი დედამიწის გარშემო**

ჟიულ ვერნის ოცნება სადაცაა ახდება, თანაც, ამ მოგზაურობას 80 დღე კი არა, სულ რაღაც, 90 წუთი დასჭირდება. შტატებისა და ბრაზილიის საჰაერო ძალები ახალ კონცეპტს ქმნიან, რომელიც, ადრე თუ გვიან, დედამიწას საათნახევარში შემოუვლის. ყოველ შემთხვევაში, კოსტრუქტორებს ამის სჯერათ. სავარაუდოდ, ახალი ტრანსპორტით შესაძლებელი იქნება როგორც ტვირთის, ისე მგზავრთა გადაყვანაც. თვითმფრინავის მსგავსი კოსმოსური საფრენი აპარატების შექმნაზე მუშაობენ დიდ ბრიტანეთშიც.

**8. იდეალური პროთეზები**

გამომგონებლები ამ მიზნის რეალიზაციასაც მალე მოახდენენ. ტვინის სიგნალებით მართული პროთეზები უკვე არსებობს. ახლა მათი სრულყოფაღა დარჩა.

**7. ყოვლისმომცველი ცოდნა**

დღევანდელი საინფორმაციო სისტემები თითქოსდა ყოვლისშემძლეა, მარტო ინტერნეტი რად ღირს! თუმცა მეცნიერებს გაცილებით ამბიციური გეგმები აქვთ: მოკლე ხანში ადამიანი შეძლებს ინფორმაციის მიღებას ყველაფრისგან, რაც მხედველობის არეში მოხვდება. ასეთი ტექნოლოგიის პროტოტიპი წელს უკვე წარმოადგინეს: ესაა ვებკამერის, პროექტორისა და სმარტფონის ჰიბრიდი, რომელიც მალე უფრო პატარა და მოსახერხებელი გახდება.

**6. სხეულის რეგენერაცია**

2006 წელს ბრიტანელმა მეცნიერებმა ჭიპლარიდან აღებული ღეროვანი უჯრედებით პირველი ხელოვნური ღვიძლი „გამოზარდეს“. ზოგიერთი მკვლევარის ვარაუდით, ამ გზითვე შეიძლება გულის შექმნაც. მოწიფული ადამიანის ჯანმრთელი თვალიდან მიღებული ღეროვანი უჯრედების მეშვეობით, მეცნიერებმა ერთ-ერთ პაციენტს მხედველობა დაუბრუნეს, ხოლო ჩინელმა მკვლევარებმა კანის ხელახლა დაპროგრამებული უჯრედებით თაგვი გამოზარდეს. და ეს ყველაფერი მხოლოდ დასაწყისია...

**5. კვების პრობლემის გადაჭრა**

აქ საუბარი ეხება მარცვლეული კულტურებისა და სხვა მცენარეების სრულყოფას. სელექციონერები უწინდებურად ცდილობენ მოსავლის დანაკარგების მინიმუმამდე შემცირებას და, ამასთან, თითოეული მარცვლის პროდუქტიულობის გაზრდას. გამოჰყავთ ახალი ჯიშები, რომლებიც ცვლადი კლიმატის პირობებშიც ძალიან გამძლეა. გარდა ამისა, ბევრ ქვეყანაში უკვე ფიქრობენ მარცვლეულის მარაგების შექმნას, რაც საკვებისა და, მაშასადამე, კაცობრიობის მომავლის გარანტია.

**4. ნარჩენების შემცირება**

გამომგონებლები გამალებით ფიქრობენ, როგორ მოახერხონ ნარჩენების შემცირება ქათმის ბუმბულისგან პლასტიკატის შექმნის მაგალითზე, რათა მიღებული მასალა გამოყენების შემდეგ გარემოსთვის ზიანის მიუყენებლად გაიხრწნას. საკვების ნარჩენებს კი უკვე აქტიურად იყენებენ საწვავის მისაღებად.

**3. კლიმატკონტროლი**

გეოინჟინერია ერთ-ერთი მოდური მიმართულებაა, რომლის განვითარებაზეც მეცნიერები ბეჯითად მუშაობენ, აკი რამდენიმე სავსებით განხორციელებადი და ეფექტიანი იდეაც წარმოადგინეს. საუბარია ატმოსფეროს ზედა ფენებში სინათლის ამრეკლავი ნაწილაკებისა და ღრუბლების გაშვებაზე, რომლებიც მზის სხივების ნაწილს აირეკლავენ და ცოტა გააგრილებენ პლანეტას.

**2. მზის ენერგია**

მეცნიერები დედამიწაზე „პერსონალური“ მზის დამონტაჟებასაც აპირებენ, რადგან მიაჩნიათ, რომ უზარმაზარ ლაზერულ ხელსაწყოთა სხივების მიმართვა მინიატიურულ ჟანგბადოვან „საწვავის აბზე“ ენერგიის ეფექტიანი წყარო იქნება, თუმცა გამომგონებლები სხვა ვარიანტებსაც განიხილავენ, რომელთაგან ზოგიერთს უკვე იყენებენ კიდეც.

**1. ტვინის შექმნა**

აზრების კითხვა რა ბედენაა! — ეტყობა, სწორედ ასე ფიქრობენ მეცნიერები, რომლებსაც უახლოესი 10 წლის მანძილზე ხელოვნური ტვინის შექმნა განუზრახავთ.

პროფესორი მარკრამი 2005 წლიდან ხელმძღვანელობს ხელოვნური ტვინის შექმნის პროექტს. მეცნიერთა ჯგუფმა გარკვეულ შედეგებს უკვე მიაღწია: ვირთხის ტვინის ელემენტები შექმნა. მკვლევარები ტვინს „ნაწილებად“ შლიან და თითოეული მათგანის აღწარმოებას ეწევიან.

# უნიკალური გალაქტიკა



**ავსტრალიელმა მეცნიერებმა უჩვეულოდ კაშკაშა ულტრაკომპაქტური ჯუჯა გალაქტიკა აღმოაჩინეს. შემთხვევით აღმოჩენილ ობიექტს sucd 1 უწოდეს. ასტრონომებმა ის სომბრეროს გალაქტიკის თვალიერებისას შენიშნეს.**

უჩვეულო სიკაშკაშის გარდა, მას კიდევ ერთი თავისებურება ახასიათებს: ზემძლავრ რენტგენულ ნაკადს ასხივებს. ასტრონომების აზრით, sucd 1 უკვე 10 მლრდ წელზე მეტია, არსებობს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს გალაქტიკა მაშინ გაჩნდა, როცა სამყაროს ჯერ კიდევ არ შესრულებოდა 4 მილიარდი წელი. შეგახსენებთ, რომ სამყარო ამჟამად თავისი არსებობის 13,7 მლრდ წელს ითვლის. მეცნიერთა გამოთვლებით, ღია გალაქტიკაში 10 მლნ-მდე ვარსკვლავია და ის საერთოდ არ შეიცავს შავ მატერიას. არადა, მიჩნეულია, რომ სწორედ ეს შავი მატერია წარმოადგენს ჩვენთვის ცნობილ გალაქტიკებში ვარსკვლავთა მაკავშირებელ რგოლს.

# სამოთხე, ჯოჯოხეთი თუ პარალელური განზომილება?



**სამყარო არც ისე მარტივია, როგორც უწინ მიიჩნევდნენ, — ამბობენ მეცნიერები, რომლებიც შეძლებისდაგვარად ცდილობენ, შეისწავლონ „სიცოცხლე სიკვდილის შემდეგ“.**

ამ ზღვარს გადაბიჯებულთა (მაგალითად, პაციენტები, რომლებმაც კლინიკური სიკვდილი გადაიტანეს) მოწმობანი, ჩვეულებრივ, ორი სახისაა: მათ ან კაშკაშა სინათლე იხილეს, ან საზარელ წყვდიადში აღმოჩნდნენ. უწინ ცნობილი მსახიობის კურტ იორჰანსის აღწერით, „საოპერაციო ოთახის ჭერი უცებ სისხლისფრად შეიღება და ცეცხლოვანი წვიმა წამოვიდა. საზარელი სახეები ვიხილე... ჯოჯოხეთში ვიყავი.“

მეცნიერებს დღემდე არ ძალუძთ „არამიწიერი“ ხასიათის კითხვებზე ერთმნიშვნელოვანი პასუხის გაცემა, ისევე, როგორც იმის ახსნა, რატომ ხვდება ზოგი სამოთხეში, ზოგი — ჯოჯოხეთში. მიუხედავად ამისა, ზოგიერთ საკითხს უკვე მოეფინა ნათელი. „მათემატიკურად დამტკიცებულია, რომ ფიზიკური სამყაროს მიღმა არსებობს გაცილებით რთულად ორგანიზებული სხივური სამყარო,“ — ირწმუნება აკადემიკოსი შიპუნოვი.

ერთი თეორიით, არსებობს ჩვენი სამყაროს პარალელური სამყაროც, თუმცა ადამიანებისთვის ის ხილული ხდება მხოლოდ გარდაცვალების შემდეგ. შესაძლოა, იმიტომ, რომ პარალელური სამყაროს რხევათა სიხშირე უფრო მაღალია, ვიდრე ჩვენ ძალგვიძს ამის აღქმა. ამ თეორიითვე აიხსნება ზემგრძნობიარე ადამიანთა ფენომენი, რომლებიც სიცოცხლეშივე გრძნობენ ან ხედავენ ამა თუ იმ სუბსტანციის არსებობას...

# 10 ამოუხსნელი საიდუმლო

**მეცნიერებამ დღემდე მილიონობით მნიშვნელოვან კითხვას უპასუხა, თუმცა ჯერ კიდევ არსებობს ამოუხსნელი საიდუმლოებანი, რომელთა პირველ ათეულსაც აქვე გთავაზობთ:**



### რა ფაქტორი მართავს ევოლუციას?

თითქოსდა, პასუხი ნათელია: ბუნებრივი შერჩევა. ეს ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული თეორიაა, თუმცა ბევრი ექსპერტი მიიჩნევს, რომ ყველაფერი არც ისე მარტივია. „ბიოლოგიის ერთ-ერთ უდიდეს საიდუმლოდ რჩება საკითხი იმის შესახებ, ნამდვილად წარმოადგენს თუ არა ბუნებრივი შერჩევა ორგანიზმთა სირთულის გენერირების განმსაზღვრელ ერთადერთ პროცესს. ვფიქრობ, არსებობს სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორებიც“, — აცხადებს მეცნიერი მასიმო პიგლიუჩი.

### რა ხდება მიწისძვრის „გულში“?

სეისმოლოგებს დღემდე არ შეუძლიათ, ზუსტად განსაზღვრონ, რა ხდება მიწისძვრის დროს პლანეტის შიგნით. გეოფიზიკოსები ამ საიდუმლოს ამოხსნას უკვე 30 წელია, ცდილობენ...

### ვინ ხარ?

დღემდე შეუსწავლელ სფეროს განეკუთვნება ადამიანის არაცნობიერიცა და სავსებით გაცნობიერებული გადაწყვეტილებანიც: როგორ ყალიბდება ისინი? საიდან იღებს სათავეს? იდეა, რომ ცნობიერება სრულად აკონტროლებს ქმედებას, ისეთივე მცდარია, როგორც თვალსაზრისი, რომ დედამიწა ბრტყელია, — ამბობენ მეცნიერები. მართალია, ჩვენ გვეჩვენება, რომ საკუთარ თავს ვმართავთ, მაგრამ ეს არაცნობიერი მოტივების შესახებ ცოდნის უკმარისობის ბრალია.

### როგორ გაჩნდა სიცოცხლე დედამიწაზე?

ამაზე საათობით შეიძლება ლაპარაკი, მაგრამ ეს ყველაფერი მხოლოდ თეორიებია. ვერსიების სიმრავლის მიუხედავად, ვერავინ ახსნის, მილიარდობით წლის წინათ როგორ გაჩნდა პლანეტაზე მიკრობიალური სიცოცხლე.

### სადაა დანარჩენი სამყარო?

წარმოიდგინეთ, რომ ვეება ტორტის მხოლოდ ერთი ნამცეცი გაქვთ. სწორედ ასე გრძნობენ თავს მეცნიერები, რომლებიც სამყაროს საიდუმლოებებს სწავლობენ. ამბობენ, რომ კოსმოლოგებმა არსებული მატერიისა და ენერგიის მხოლოდ 4 პროცენტის ადგილმდებარეობა განსაზღვრეს. დანარჩენი 96 პროცენტი კი სწორედ ის გაუჩინარებული ტორტია!

### საიდან გაჩნდა გრავიტაცია?

გრავიტაცია ჩვენზე მოქმედთაგან ერთ-ერთი ყველაზე ნაკლებად შესწავლილი ძალაა.

„გრავიტაცია არსებითად განსხვავდება სტანდარტული მოდელების მიხედვით აღწერილ სხვა ძალათაგან, — ამბობს ფიზიკოს-თეორეტიკოსი მარკ ჯექსონი, — უმნიშვნელო გრავიტაციული ურთიერთკავშირების გამოთვლის მცდელობისას, ყოველთვის სულელურ პასუხებს ვიღებთ. ამ შემთხვევაში, როგორც ჩანს, მათემატიკა უძლურია...

### არსებობს თუ არა ყოვლისმომცველი თეორიები?

ფიზიკოსებს შემუშავებული აქვთ „სტანდარტული მოდელი“, რომელიც სამყაროს ცნობილ ნაწილს „ნაწილაკებად“ შლის და უმეტეს მოვლენასაც ახსნას უძებნის, თუმცა ის უძლურია, როცა ლაპარაკია მაღალ ენერგიებზე ან გრავიტაციაზე. ზოგიერთი მეცნიერის აზრით, ასეთი თეორია ვერასდროს შეიქმნება.

### როგორ მუშაობს ტვინი?

ტვინის შესახებ ბევრი რამაა ცნობილი, მაგრამ, თუ ჩვენს ცოდნასა და არცოდნას შევადარებთ, გუნება წაგვიხდება — ტვინში მილიარდობით ნეირონია, რომელთაგან თითოეულს ათასობით დაბოლოება აქვს...

### არის სიცოცხლე დედამიწის მიღმა?

თუკი სიცოცხლე დედამიწაზე არსებობს, რატომაა შეუძლებელი, რომ ის სხვა პლანეტებზეც იყოს?

„კაცობრიობამ სამეცნიერო-ტექნიკური ცივილიზაციის დონეს ბოლო 200 წლის განმავლობაში მიაღწია იმ 4,5 მლრდ წლიდან, რაც ჩვენს პლანეტაზე სიცოცხლე ჩაისახა.

ასე რომ, სავსებით შესაძლებელია, სადღაც არსებობდეს მრავალი სამეცნიერო-ტექნიკური ცივილიზაცია, რომლებიც მილიონობით წლის განმავლობაში ვითარდებოდა“, — აცხადებს ნობელის პრემიის ლაურეატი ფრანკ ვილჩეკი.

### როგორ იშვა სამყარო?

აი, ეს კი ზემოთ ჩამოთვლილთაგან ყველაზე მნიშვნელოვანი კითხვაა. და, შესაძლოა, უკლებლივ ყველა საიდუმლო სწორედ ამ უმთავრესი კითხვიდან გამომდინარეობდეს.

ცხადია, არსებობს თეორია „დიდი აფეთქების“ შესახებ, რომელიც 14 მლრდ წლის წინათ მოხდა, მაგრამ მეცნიერებისთვის ამ კითხვაზე კონკრეტული პასუხი მაინც არ არსებობს.

# როგორ გადალახა მოსემ ზღვა

**სანკტ-პეტერბურგელმა მეცნიერებმა ნაუმ ვოლცინგერმა და ალექსეი ანდროსოვმა ბიბლიური მოსეს მიერ ზღვის გადალახვის სასწაულს მეცნიერული ახსნა მოუძებნეს.**



ისინი ირწმუნებიან, რომ ისრაელელებმა ეს სინაის ნახევარკუნძულისა და აფრიკის გამყოფი სუეცის არხის გავლით მოახერხეს. მეცნიერების თქმით, სუეცის არხის ყველაზე ვიწრო ნაწილში არსებობს ჯვარედინი რიფი, რომელიც ბიბლიაში აღწერილ ხანაში, შესაძლოა, უფრო მაღალიც იყო, მაგრამ დროთა განმავლობაში მიწისძვრების შედეგად დაინგრა. გამოთვლებით მათ დაადგინეს, რომ წყლის დონე რიფის თავზე, ქარის სიჩქარისა და წყლის მიქცევის შედეგად, 25 სმ-ით იკლებს და რიფი 4 საათის განმავლობაში ზღვიდან ამოშვერილი რჩება. ეს დრო კი სავსებით საკმარისია არხის მეორე ნაპირამდე მისაღწევად. ბიბლიის მიხედვითაც, ისრაელელებმა ზღვის გადალახვა მოასწრეს, ეგვიპტელთა ორთვალები კი წყალში დაინთქა...

# ქრონოგრაფი

## რა მოხდა მსოფლიოში სხვადასხვა წელს 7-დან 13 ოქტომბრამდე?

### 11 ოქტომბერი

**დღის ციტატა:**
**„როგორც კი სულელი ხოტბას შეგვასხამს, ისეთ სულელად აღარ გვეჩვენება“.**
**ფრანსუა დე ლაროშფუკო**

**1820 წელს** დაიბადა რუსი მეტალურგი, ქვემეხების გამომგონებელი პაველ ობუხოვი;

**1963 წელს** გარდაიცვალა ფრანგი მომღერალი, „პარიზის ბეღურა“ ედიტ პიაფი;

**1737 წელს** კალკუტაში მიწისძვრის შედეგად 300 000 კაცი დაიღუპა;

**1853 წელს** ნიუ-იორკში გაიხსნა პირველი კლირინგული ბანკი;

**1881 წელს** ამერიკელმა დევიდ ჰიუსტონმა პირველი ფოტოფირი დააპატენტა;

**1887 წელს** ამერიკელმა გამომგონებელმა თომას ედისონმა ამომრჩეველთა ხმების დასათვლელად შექმნილი ელექტრონული მანქანა დააპატენტა;

**1931 წელს** საბჭოთა კავშირში კერძო ვაჭრობა აიკრძალა;

**1939 წელს** ბერლინის რადიომ გამოაცხადა, რომ ინგლისის მთავრობამ გერმანიას ზავი შესთავაზა;

**1961 წელს** სემიპალატინსკში პირველი ბირთვული აფეთქება მოახდინეს;

**1992 წელს** საქართველოს პარლამენტის ხელმძღვანელად ედუარდ შევარდნაძე აირჩიეს.

### 12 ოქტომბერი

**დღის ციტატა:**
**„ბევრს სურს მზის ქვეშ ადგილის დამკვიდრება, მაგრამ ცოტამ თუ იცის, რომ ამ ადგილის დამკვიდრებისთანავე დაისი იწყება“.**
**კარლ კრაუსი**

**1350 წელს** დაიბადა რუსი სარდალი, კულიკოვოს ბრძოლის გმირი დიმიტრი დონელი;

**1537 წელს** დაიბადა ინგლისის მეფე ედუარდ VI;

**1960 წელს** გაეროს გენერალურ ასამბლეაზე ნიკიტა ხრუშჩოვმა, ფილიპინელი დეპუტატის გამოსვლის პროტესტის ნიშნად, ტრიბუნაზე ფეხსაცმლის ბრახუნი ატეხა;

ჩვენს წელთაღრიცხვამდე 322 წელს მტრებისგან დევნილმა ათენელმა ორატორმა და პოლიტიკოსმა დემოსთენემ თავი მოიკლა;

**1428 წელს** ინგლისელებმა ალყა შემოარტყეს ორლეანს;

**1492 წელს** ქრისტოფორე კოლუმბმა ამერიკა (სან-სალვადორე) აღმოაჩინა;

**1822 წელს** ბრაზილიამ დამოუკიდებლობა მიიღო;

**1822 წელს** კუნძულ იავაზე ვულკანის ამოფრქვევის შედეგად 4 ათასი კაცი დაიღუპა;

**1871 წელს** აშშ პრეზიდენტმა ულის გრანდმა აკრძალა კუკლუქს-კლანი და ამ ორგანიზაციის ლიდერთა დაპატიმრება ბრძანა;

**1939 წელს** სსრ კავშირმა ფინეთს ლენინგრადიდან საზღვრის 70 კმ-ით გადაწევა მოსთხოვა;

### 13 ოქტომბერი

**დღის ციტატა:**
**„თუ შენიშნავთ, რომ უმრავლესობის მხარეს აღმოჩნდით, ესე იგი დროა, ადგილი შეიცვალოთ“.**
**მარკ ტვენი**

**1925 წელს** დაიბადა ინგლისის პრემიერ-მინისტრი მარგარეტ ტეტჩერი;

**1821 წელს** დაიბადა გერმანელი მეცნიერი რუდოლფ ვირჰოფი, რომელმაც პირველმა აღწერა ლეიკემია;

**1792 წელს** თეთრი სახლის მშენებლობა დაიწყო;

**1884 წელს** დადგინდა, რომ ნულოვანი მერიდიანი გრინვიჩზე გადიოდა;

**1900 წელს** გამოიცა ზიგმუნდ ფროიდის წიგნი „სიზმრის ახსნა“;

**1923 წელს** თურქეთის დედაქალაქი სტამბულიდან ანკარაში გადავიდა;

**1941 წელს** ფაშისტებმა კალუგა აიღეს;

**1943 წელს** იტალიამ ომი გამოუცხადა გერმანიას;

**1944 წელს** მოსკოვში სტალინი ჩერჩილს შეჰპირდა, რომ გერმანიის დამარცხების შემდეგ სსრკ ომს გამოუცხადებდა იაპონიას;

**1957 წელს** მაო ძე დუნმა სამთავრობო სხდომაზე განაცხადა, რომ ბევრი წიგნის კითხვა საჭირო არ არის;

**1987 წელს** სოარსეტის ყურეში ამერიკის ფლოტმა პირველად გამოიყენა დელფინები სამხედრო მიზნით;

**1998 წელს** ნატომ იუგოსლავიას ულტიმატუმი წაუყენა კოსოვოდან ჯარების გაყვანის შესახებ.

გვერდები მოამზადა **ნანა ჩარკვიანმა**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net



# რატომ ეძებენ სპეცსამსახურები „Facebook“-ის მომხმარებელს?

**ამერიკის შეერთებული შტატების საიდუმლო სამსახური „Facebook“-ის მომხმარებელთა ძებნითაა დაკავებული. საქმე ისაა, რომ ამ სოციალურ ქსელში ცოტა ხნის წინათ ჩატარდა გამოკითხვა — „უნდა მოვკლათ თუ არა პრეზიდენტი ობამა“. სპეცსამსახურებიც სწორედ ამ გამოკითხვის ავტორს ეძებენ. კითხვას საიტზე ოთხი სავარაუდო პასუხი ახლდა: „დიახ“, „არა“, „შესაძლოა“ და „თუ ის ჩემი ჯანდაცვისათვის ხარჯებს შეამცირებს“.**




აშშ-ში პრეზიდენტისადმი მუქარა სისხლის სამართლის დანაშაულად ითვლება, თუმცა ინტერნეტსაიტზე მსგავსი გამოკითხვის განთავსება ცალსახად დანაშაულად ვერ ჩაითვლება. შესაძლოა, ეს სულაც მოზარდის სულელური გართობა აღმოჩნდეს. ასეა თუ ისე, ზოგიერთი ამერიკელი სულაც არ მალავს, რომ ობამასთვის სიკვდილის მეტი არაფერი ემეტება და არა მხოლოდ ინტერნეტსაიტებზე, რეალურ ცხოვრებაშიც ღიად და თამამად აცხადებს ამის შესახებ. ნიუ-გემპშირში გამართული ჯანდაცვის რეფორმის საწინააღმდეგო დემონსტრაციის ერთ-ერთ მონაწილეს მოჰქონდა იარაღი და პლაკატი, რომელზეც ეწერა „თავისუფლების ხის მორწყვის დროა“. ამ დევიზის ავტორი თომას ჯეფერსონის იმ აფორიზმს გამოეხმაურა, რომლის მიხედვითაც თავისუფლების ხე მხოლოდ ტირანებისა და პატრიოტების სისხლით ირწყვება.

# სად რგავს ობამას ცოლი კიტრსა და ხახვს?



**მას შემდეგ, რაც უკვე გაპრეზიდენტებული ბარაკ ობამას მეუღლემ — მიშელმა პირდაპირ თეთრი სახლის წინ გააშენა ბოსტანი, როგორც ჩანს, ამ საქმეშიც პირველი ლედის ტიტული მოიპოვა და სატელევიზიო შოუს — „სეზამის ქუჩა“ — საიუბილეო, მე-40 სეზონის გახსნაზეც სწორედ ის ასწავლის პატარა მაყურებლებს, როგორ დათესონ კიტრი და ხახვი. გადაცემას მსოფლიოს 120 ქვეყანაზე მეტი გადასცემს. მიშელ ობამა მილიონობით მაყურებელს განუმარტავს, თუ რატომაა სასარგებლო ჯანსაღი კვება. არგუმენტები უმტკიცესია — პირველი ლედი ბავშვებს ეტყვის: ამ თესლმა რომ იხაროს, მხოლოდ მზე, წყალი და მიწა ესაჭიროება. თუ ამგვარი საკვებით იკვებებით, ისეთივე დიდები გაიზრდებით, როგორიც მე ვარ.**



შეგახსენებთ, რომ თეთრი სახლის წინ ბოსტნის გაშენებით ქალბატონი ობამა მარტიდან მკლავებდაკაპიწებული ებრძვის მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ის ელეონორა რუზველტის მიერ დაწყებულ ტრადიციას აგრძელებს — აშშ 32-ე პრეზიდენტის მეუღლეს მეორე მსოფლიო ომის წლებში თეთრი სახლის მახლობლად ბოსტნეული მოჰყავდა.

მიშელ ობამა მოსავალს არ უჩივის.

ამ ზაფხულს ერთ-ერთი სკოლის მოსწავლეებთან ერთად მან 50 კილოგრამამდე ბოსტნეული მოკრიფა. ახლახან კი გადაწყვიტა, საკუთარი მოსავლით „დიდი ოცეულის“ „პირველი ქალბატონები“ მოხიბლოს და ყველა მათგანს საკუთარი სკების თაფლით სავსე ბროლის ფლაკონი გაუგზავნა.

# ვის მოხვდა თავში ფეხსაცმელი?



**ერაყელ ფეხსაცმელსროლიას მიმდევრები გამოუჩნდნენ. სტამბოლში თურქმა სტუდენტმა საერთაშორისო სავალუტო ფონდის დირექტორს — დომინიკ სტროს-კანას სტუდენტებთან შეხვედრაზე გამოსვლისას თავში ფეხსაცმელი ესროლა. სტუდენტი დაცვის თანამშრომელმა დარბაზიდან გარეთ გააბრძანა, მაგრამ მეამბოხე ბოლო წუთამდე ყვიროდა: „ქურდო, მოგვშორდი!“. როგორც ადგილობრივი პრესა იტყობინება, სტამბოლში ნასროლმა ფეხსაცმელმა მიზანს ვერ მიაღწია, ინციდენტის შემდეგ სტროს-კანმა უნივერსიტეტის შენობა დატოვა.**

ფეხსაცმლის სროლით პოლიტიკოსისადმი უპატივცემულობის გამოხატვის პრაქტიკა მანამდე არაფრით გამორჩეულმა 29 წლის ერაყელმა ჟურნალისტმა მუნტაზერ აზ-ზაიდიმ დაამკვიდრა. შარშან, 14 დეკემბერს, მან აშშ მაშინდელ პრეზიდენტ ჯორჯ ბუშს ბაღდადში გამართული პრესკონფერენციისას თავში ორივე ფეხსაცმელი ესროლა და, რომ არა ბუშის სწრაფი რეაქცია, ერთ-ერთს ნამდვილად ვერ აიცილებდა. ჟურნალისტი მაშინ დააპატიმრეს და სამი წლით თავისუფლების აღკვეთაც მიუსაჯეს, მაგრამ შემდგომ ვადამდე გათავისუფლებულ ახალგაზრდას სამშობლოში ჩადენილი გმირობისათვის არნახული პატივი ერგო. როგორც ჩანს, მის სტამბოლელ მიმდევარსაც ამის იმედი ჰქონდა, თუმცა ჯერჯერობით არავინ იცის, როგორ დამთავრდება სტამბოლელი ფეხსაცმელსროლიას ამბავი.

# რამდენი ამერიკელი მილიონერი შეიწირა კრიზისმა?



**ჟურნალმა „Forbes“-მა აშშ მილიონერთა ქონება გადაითვალა და დაადგინა, რომ მხოლოდ უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში ყველაზე მდიდარი ამერიკელების ქონებიდან 300 მილიარდი დოლარი მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა შეიწირა. ჟურნალმა ტრადიციულად შეადგინა ამერიკის 400 უმდიდრესი ადამიანის სიაც. თუ გამოცემის მონაცემებს დავუჯერებთ, სიაში მოხვედრილი 400 უმდიდრესის საერთო ქონება 1,57 ტრილიონი დოლარიდან 1,27 ტრილიონამდე ჩამოვიდა. მდიდრების „გაღარიბებას“, რასაკვირველია, აქვს კონკრეტული მიზეზები, თანაც — არაერთი: კაპიტალის ბაზრების მძიმე მდგომარეობა, უძრავ ქონებაზე ფასების ვარდნა, განქორწინებები და ჩვეულებრივი თაღლითობები. ამ ყველაფერმა კი საქმე იქამდე მიიყვანა, რომ 314 მილიარდერი გაღარიბდა, 32 კი საერთოდ ვეღარ მოხვდა უმდიდრესთა სიაში.**

ყველაზე მეტად შტატებში სიმდიდრით მეორე ადგილზე მყოფი უორენ ბაფეტი დაზარალდა. მისი კომპანიის „ბერკშირ ჰატაუეის“ აქციების ფასმა ერთ წელიწადში 20%-ით დაიკლო. ამით კომპანიის მფლობელის ქონება 10 მილიარდი დოლარით შემცირდა. ახლა ბაფეტს მხოლოდ 40 მილიარდი დოლარიღა აქვს.

იმავე მიზეზების გამო 7 მილიარდი დოლარი დაკარგა ამერიკის უმდიდრესმა ადამიანმა, კომპანია „Microsoft“-ის დამაარსებელმა ბილ გეიტსმა, რომელიც ამჟამად 50 მილიარდს ფლობს. „Forbes“-ის პირველმა ათეულმა, რომლის შემადგენლობაში სხვებთან ერთად საცალო ვაჭრობის გიგანტ „Wal-Mart“-ის მფლობელი უოლტონების ოჯახის ერთბაშად ოთხი წევრი და ნიუ იორკის მერი მაიკლ ბლუმბერგიც მოხვდნენ, გასული საანგარიშო წლის განმავლობაში 40 მილიარდი დოლარი დაკარგა. სათამაშო ბიზნესის მეფემ, მილიარდერთა სიის ბინადარმა კერკ კერკორიანმა 8,2 მილიარდი დოლარი დაკარგა, 7 მილიარდს გამოემშვიდობა ავტომანქანების გამქირავებელი ფირმა „Rent-A-Car“-ის დამაარსებელი ჯეკ ტეილორი.

სამაგიეროდ, ბანკირმა ენდრიუ ბილმა მოახერხა და ამ ძნელბედობის ჟამს გაისამმაგა ქონება. მან გასულ შემოდგომაზე იაფად შეიძინა აქტივები და ვალდებულებები და ახლა 4,5 მილიარდის მფლობელია. ერთ-ერთი, ვინც გასულ წელს გამდიდრება მოახერხა, ფინანსისტი ჯორჯ სოროსიც გახლავთ. მისი აქტივები 2 მილიარდით გაზრდის შედეგად 13 მილიარდს გაუტოლდა. ახლა მათი მფლობელი სიაში მეთხუთმეტე ადგილზეა.

დაბოლოს, მხოლოდ სიის ბინადართა ქონება კი არა, თავად მილიარდერთა სიაც „გაღარიბდა“. 400 უმდიდრესს შორის მოსახვედრად კანდიდატს, სულ მცირე, 1,3 მილიარდი დოლარი მაინც უნდა ჰქონოდა, წლევანდელი მინიმუმი კი სულ რაღაც 950 მილიონი იყო.

# ვინ აკონტროლებს ინტერნეტს?




**დღემდე ამერიკა აკონტროლებდა, მაგრამ სხვა ქვეყნების ზეწოლის შედეგად ვაშინგტონი ნაწილობრივ თმობს მსოფლიო ქსელის მართვის სადავეებს. აშშ ვაჭრობის სამინისტრო უახლოეს მომავალში ხელს მოაწერს შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც 1998 წლის 18 სექტემბერს აშშ ხელისუფლების მონაწილეობით დაარსებული დომეინების, IP-მისამართებისა და ინტერნეტის ფუნქციონირების სხვა ასპექტების მარეგულირებელი არაკომერციული ორგანიზაცია „ICANN“ დამოუკიდებელი გახდება და აშშ ფედერალურ ხელისუფლებას აღარ დაექვემდებარება.**

ამას მოჰყვება ინტერნეტის მმართველი ქვეყნების „G12“-ის შექმნა, რომელიც მომავალში პასუხისმგებელი იქნება მსოფლიო ქსელის უსაფრთხოებაზე. მომავალი წლისათვის დაგეგმილია უამრავი ახალი ვებმისამართის გამოშვება.

ინტერნეტზე შტატების კონტროლი დახურული სამხედრო ქსელის — „Arpanet“-ის კონტროლით დაიწყო. სწორედ ის იყო თანამედროვე მსოფლიო ქსელის წინამორბედი. 1998 წელს ხელისუფლებამ კონტროლის გარკვეული ფუნქციები დაიტოვა, დანარჩენი ძალაუფლება კი კალიფორნიაში განთავსებულ კომპანია „ICANN“-ს გადასცა.

მრავალი ორგანიზაცია, მათ შორის, ევროკომისიაც, აქტიურად მოითხოვდა აღნიშნული სისტემის შეცვლას, ვინაიდან, მათი აზრით, ის მოძველებული და უსამართლო იყო. „ICANN“-ის ხელში მართვის სადავეების დატოვებას არავინ აპროტესტებს, უბრალოდ, ევროსაბჭოს აღმასრულებელი ორგანო თვლის, რომ მასში ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკის, ევროპის, აზიის, აფრიკისა და ავსტრალიის წარმომადგენელთა ადგილებიც უნდა გამოინახოს. მიმდინარე პრობლემები ყველამ ერთად უნდა განიხილოს და რეკომენდაციებიც საერთო შეთანხმების საფუძველზე შემუშავდეს.

# რა გელით, თუ საბჭოთა ოკუპაციას უარყოფთ?

**ლიტვაში, არც მეტი, არც ნაკლები, დაგაპატიმრებენ. ლიტვის პარლამენტმა პირველი მოსმენით მიიღო სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანის საკითხი და ამ ცვლილებების მიხედვით საბჭოთა ოკუპაციის, ასევე, საბჭოთა და ნაცისტური რეჟიმების დანაშაულის უარყოფის შემთხვევაში ორ წლამდე თავისუფლების აღკვეთაა გათვალისწინებული. „სსრ კავშირის ან ნაცისტური გერმანიის მიერ კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულის გამართლებისათვის“ ლიტვაში პატიმრობა, 2 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ან ჯარიმა მას შემდეგ დაწესდება, რაც სეიმი კანონპროექტს სამჯერ მოიწონებს.**




კანონპროექტის პირველ თავში ნათქვამია, რომ უნდა დაისაჯოს ყველა, ვინც ღიად უჭერს მხარს გენოციდს, სამხედრო დანაშაულსა და ლიტვისა და ევროკავშირის სამართლებრივი აქტებით აღიარებულ კაცობრიობის წინაშე ჩადენილ სხვა დანაშაულებებს ან ვინც უარყოფს და უგულებელყოფს მათ მნიშვნელობას, თუ ამგვარი ქმედება აღვივებს ძალადობასა და ზიზღს გენოციდის, სამხედრო დანაშაულის ან კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულის მსხვერპლის მიმართ.

მსჯელობისას გამოითქვა აზრი, დაისაჯონ ისინიც, ვინ აქვეყნებს საბჭოთა ოკუპაციის უარმყოფ წიგნებს თუ სტატიებს, მაგრამ გამოიკვეთა საპირისპირო აზრიც, რომ კანონში მსგავსი ცვლილებების შეტანა დემოკრატიის პრინციპებს ეწინააღმდეგება.

# ვინ გახდა ანტინობელის ლაურეატი?

**რამდენიმე დღის წინათ ჰარვარდის უნივერსიტეტში ანტინობელის პრემიით დაჯილდოების მე-19 ცერემონია გაიმართა. პრემიები გადაეცემათ იმ გამოგონების ავტორებს, რომლებიც „ჯერ სიცილს იწვევენ, შემდეგ კი ჩაგაფიქრებენ“. პრემიის ლაურეატები, საეჭვო და შეუსაბამო გამოგონებების ავტორები, წელსაც სათანადოდ დაჯილდოვდნენ.**



ჯანდაცვის სფეროში პრემია მიიღო ილინოისის მეცნიერთა ჯგუფმა ელენ ბოდნარის ხელმძღვანელობით, რომელმაც, საჭიროების შემთხვევაში, აირწინაღად ქალის ტრანსფორმირებადი ბიუსტჰალტერი გამოიგონა. აღმოჩენა იმითაა ფასეული, რომ ქალის თეთრეულის ერთი ატრიბუტისგან შეიძლება დამზადდეს ორი აირწინაღი — ერთი თავად მისი მფლობელისთვის, მეორე — ნებისმიერი მსურველისთვის.

ლიტერატურის დარგში პრემია ირლანდიელმა პოლიციელებმა მიიღეს. მათ დარღვევებისათვის 50-მდე ჯარიმა აქვთ გამოწერილი პოლონეთის მოქალაქე ვინმე „Prawo Jazdy“-ის სახელზე, პოლონურად კი სიტყვათა ეს კომბინაცია „მძღოლის მოწმობას“ ნიშნავს.

ბერნის უნივერსიტეტის პათოლოგანატომმა სტეფან ბოლიგერმა ანტინობელის პრემია მშვიდობის დარგში მიიღო. მის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით, ბარში ხელჩართული ჩხუბის დროს ლუდის ცარიელი ბოთლი გაცილებით ეფექტიანია მოწინააღმდეგის დასამარცხებლად, ვიდრე იმავე ლუდის სავსე ბოთლი. როგორც ბოლიგერმა დაასკვნა, სავსე ბოთლი მალე იმსხვრევა, ცარიელი სივრცე კი გაცილებით დიდხანს უნარჩუნებს ბოთლს გამძლეობას და საკმაოდ ძლიერი იარაღია.

მათემატიკის დარგში მიღწევებისათვის პრემიის ლაურეატი ზიმბაბვეს ცენტრალური ბანკის პრეზიდენტი გიდეონ გონო გახდა. მან ჯილდო ბრუნვაში გაშვებული 1 ზიმბაბვური ცენტიდან დაწყებული 100 ტრილიონამდე ადგილობრივი დოლარის საფასურის კუპიურების გაშვებით დაიმსახურა. ახლა მისი წყალობით ყველა ზიმბაბველი ყოველდღე მთელ დღეს მათემატიკაში მეცადინეობს.

პრემიის ლაურეატი გახდა კალიფორნიელი დონალდ ანგერიც, რომელმაც დაამტკიცა, რომ ხელის თითებზე სახსრების ტკაცუნი ართრიტს არ იწვევს. ამ უმნიშვნელოვანესი თეორიისათვის მტკიცებულებების მოსაპოვებლად ამერიკელი 60 წლის განმავლობაში ატკაცუნებდა სახსრებს მარცხენა ხელზე.

გარდა ამისა, შესაბამის ნომინაციებში დაჯილდოვდნენ ფერმერები, რომლებმაც დაასკვნეს, რომ ძროხა გაცილებით მეტ რძეს იწველის, თუ მას საკუთარი სახელი აქვს; მექსიკელი მეცნიერები, რომლებმაც ტეკილისგან ალმასის მიღების მეთოდი გამოიგონეს და მეცნიერები, რომლებმაც, როგორც იქნა, ახსნეს, რატომ არ ყირავდება ორსული ქალი.

# რატომ ხურავენ ტაძრებს?

**გერმანიის ქვემო საქსონიის ჰილდესჰაიმის საეპისკოპოსომ გადაწყვიტა ეკონომიისა და დანახარჯების შემცირების მიზნით 54 ტაძრის დახურვა.**



**ეპისკოპოსმა ნორბერტ ტრელემ განაცხადა, რომ ეს სახსრების უკმარისობამ გამოიწვია. 115 მილიონი ევროს ინვესტირების აუცილებლობისა და, ამავე დროს, მისი არარსებობის გამო თავდაპირველად 80 ტაძრის დახურვა იგეგმებოდა, მაგრამ ადგილობრივ მოსახლეობასა და ხელისუფლებასთან მოლაპარაკებების შემდეგ სია შემცირდა. ეპისკოპოსი ამ პროცესს მტკივნეულს, მაგრამ აუცილებელს უწოდებს.**

ტაძრები 2020 წლამდე უნდა დაიკეტოს. ამ დროისთვის უნდა გადაწყდეს, შენობები დაინგრევა თუ სხვა მიზნებისთვის გამოიყენება. გამორიცხული არაა, რომ ზოგიერთი ტაძარი ევანგელისტურ ან მართლმადიდებლურ კონფესიებს გადაეცეს, მაგრამ სექტებისთვის ან მუსლიმანებისთვის შენობების მიყიდვის ან გადაცემის შესაძლებლობას საეპისკოპოში კატეგორიულად გამორიცხავენ. ქვემო საქსონიასა და ბრემენში სულ 377 კათოლიკური ეკლესიაა.

# რამდენ ძროხას ჭამს ერთი გერმანელი?

**სიცოცხლის მანძილზე ერთი გერმანელი საშუალოდ 1094 ცხოველს ჭამს.**
**მათგან 4 ძროხაა,**
**4 — ცხვარი, 12 — ბატი,**
**37 — იხვი, 46 — ინდაური,**
**46 — ღორი და**
**945 — ქათამი. სწორედ ეს მონაცემებია მოცემული ვეგეტარიანელთა კავშირის მოხსენებაში.**



ამავე მოხსენების მიხედვით, მთელ გერმანიაში, თევზისა და ზღვის პროდუქტების გარდა, წელიწადში 1,1 მილიარდ ცხოველს მიირთმევენ. ამ ქვეყანაში კვირაში ერთხელ ვეგეტარიანული დღე რომ გამოცხადდეს, სიკვდილს წელიწადში 157 მილიონი ცხოველი გადაურჩებოდა. აღნიშნული მოხსენება შოტლანდიის ვეგეტარიანელთა კონგრესის მიერ 1977 წელს დაფუძნებულ ვეგეტარიანელთა საერთაშორისო დღეს — 1 ოქტომბერს მიეძღვნა. თანამედროვე მსოფლიოში ყველაზე ბევრი ვეგეტარიანელი ინდოეთში ცხოვრობს. ისინი იქ მოსახლეობის 40%-ს შეადგენენ.

# ვის გაამხიარულებს მასხარა კოსმოსში?

**ცნობილი კანადური ცირკის — „Cirque du Soleil“-ის დამაარსებელი, მილიარდერი გი ლალიბერტე რამდენიმე დღის წინათ კოსმოსში წარმატებით გაფრინდა. ის მსოფლიოში პირველი მასხარაა, რომელსაც კოსმოსი იხილავს. ყაზახეთის სტეპიდან გაფრენამდე ლალიბერტემ გამცილებლებს თავისი საფირმო წითელი ცხვირი დაანახა და ახლობლებს საჰაერო კოცნა გაუგზავნა. როგორც „კავშირი TMA-16“-დან იტყობინებიან, აპარატის ორბიტაზე გასვლის შემდეგ იგი თავს მშვენივრად გრძნობდა.**

ცეცხლის მყლაპველმა მილიარდერმა პლანეტიდან გაფრენის სიამოვნებისთვის 35 მილიონი დოლარი გადაიხადა. ეს გმირობა კი იმიტომ ჩაიდინა, რომ დედამიწაზე მილიონობით ადამიანის ყურადღება წმინდა წყლის დეფიციტისკენ მიემართა. გაფრენიდან ერთ კვირაში ის კოსმოსიდან ჩაერთვება საქველმოქმედო კონცერტზე, რომელშიც მონაწილეობას აშშ ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი ალან გორიც მიიღებს. საერთო ჯამში, 50 წლის მასხარა კოსმოსში 12 დღეს გაატარებს. ამ გაფრენისათვის მზადებას მან 12 წელი მოანდომა. მასთან ერთად ბორტზე იმყოფებიან ამერიკული ასტრონავტიკის ვეტერანი ჯეფრი უილიამსი და რუსი კოსმონავტი მაქსიმ სურაევი.



როგორც ჩანს, მასხარა ახლა მშვენიერ ხასიათზეა და თავისი მხლებლები ისე გაამხიარულა, რომ სურაევი ეკიპაჟს საკუთარი შესრულებით ასმენინებს სიმღერებს.

„კავშირ TMA-16“-ზე კანადელი ლალიბერტე მეშვიდე ტურისტია, ზოგიერთი შეფასებით — უკანასკნელიც. ეს კოსმოსური სადგური მსოფლიოს 100 მილიარდი დოლარი დაუჯდა. საქმე ისაა, რომ NASA-მ „მაქოების“ პროგრამის დახურვის შესახებ გამოაცხადა და ახლა „კავშირ TMA-16“-ზე გაფრენები მთლიანად რუსეთზეა დამოკიდებული. კოსმოსური ტურისტული ტურების ორგანიზატორი კომპანია „Space Adventures“-ის გენერალური დირექტორი ერიკ ანდერსონი კი ირწმუნება, რომ დედამიწის მიღმა მოგზაურთა რაოდენობა მხოლოდ გაიზრდება.

# რა ღირს ყალბი ლალი?



**„ტანზანიის მარგალიტად“ წოდებული ორ კილოგრამამდე წონის ლალი, რომელიც 11 მილიონ ფუნტ სტერლინგად იყო შეფასებული, ყალბი აღმოჩნდა. ახლა მისი რეალური ფასი 100 ფუნტ სტერლინგს არ აღემატება.**

ექსპერტებმა დაადგინეს, რომ ამ ქვისთვის ადრე გაცემული ყველა სერტიფიკატი ყალბია. არადა, სანამ ეს ქვა ძვირფასად ითვლებოდა, გაკოტრებული სამშენებლო კომპანია „Wrekin Construction“-ის ერთადერთ აქტივად მოიაზრებოდა.

ახლა ამ კომპანიის კრედიტორების უკანასკნელი იმედიც მოკვდა. „ტანზანიის მარგალიტი“ კომპანიის ბალანსზე 2007 წელს გაჩნდა. მაშინ მისი წყალობით კომპანიის ფინანსური დონე შვიდმილიონიანი დანაკლისის ნაცვლად სამი მილიონი ფუნტი სტერლინგის შემოსავლებს აჩვენებდა.

სპეციალისტებს „ინვესტიციის“ წარმატება მაშინაც ეეჭვებოდათ. კომპანიის მფლობელმა დევიდ უნვინმა ეს ქვა 300 ათას ფუნტ სტერლინგად შეიძინა, შემდეგ კი შემფასებლებმა დაარწმუნეს, რომ, მისგან ძვირფასი ნაკეთობების დამზადების შემთხვევაში, ფასი 11 მილიონ ფუნტ სტერლინგს გადააჭარბებდა.

ქვის კვალი სამხრეთ აფრიკამდე მიდის.

ადგილობრივმა ბიზნესმენმა ქვა ტანზანიაში 2002 წელს 13 ათასი ფუნტი სტერლინგის ეკვივალენტურ თანხად გაყიდა, კიდევ ერთი გარიგების შედეგად კი ლალი გაძვირდა, თანაც — ერთბაშად 23-ჯერ.

უნვინმა პოლიციას განუცხადა, რომ რაიმე ბოროტი განზრახვა არ ჰქონია, ვინაიდან წარმოდგენილ სერტიფიკატებს ეყრდნობოდა და ეჭვიც არ შეჰპარვია ქვის ნამდვილობაში.

# ვინ იყიდის ბებოს?

**ბრიტანელმა 10 წლის ზოი პემბერტონმა „eBay“-ს ინტერნეტაუქციონზე გასაყიდად საკუთარი ბებო გაიყვანა. განცხადებაში ზოი მერიონ გუდელს ახასიათებს როგორც მომაბეზრებელ, მაგრამ სასიამოვნო ქალს, რომელსაც ძალიან უყვარს კროსვორდების ამოხსნა. მიუხედავად იმისა, რომ ზოიმ განცხადებას ყველანაირი სახუმარო ეფექტი დაურთო, საიტის ადმინისტრაციამ ის მაინც მოხსნა ინტერნეტაუქციონიდან.**




გოგონას განცხადებით, ტელევიზორის ყურებისას ბებიამ რამდენჯერმე დაასაქმა. სწორედ ამის გამო გადასცა იგი აუქციონს და დაახლოებით 99 პენსად ვარაუდობდა მის გაყიდვას. ბავშვის მამა ტომასი ირწმუნება, რომ ბებიას და შვილიშვილს არაჩვეულებრივი ურთიერთობა აქვთ და ძალიან უყვართ ერთმანეთი. ინტერნეტაუქციონის წარმომადგენლის განცხადებით, საიტზე ადამიანებით ვაჭრობა აკრძალულია. სწორედ ამის გამო დაიბლოკა ზოის ლოტი. თუმცა, აუქციონერის თქმით, ზოის ბებოს რამდენიმე მყიდველი გამოუჩნდა. სამწუხაროდ, ცნობილი არ არის, რა ფასის გადახდას გეგმავდნენ პოტენციური მფლობელები მერიონ გუდელის შესაძენად. საერთოდ, ეს აუქციონი ცნობილია უჩვეულო ლოტებით. მაგალითად, შტატების ერთი მოქალაქე სულის გაყიდვას ცდილობდა, მაგრამ ადმინისტრაციამ მისი განცხადებაც დაბლოკა გასაყიდი საქონლის არსებობის დამადასტურებელი მტკიცებულებების არარსებობის მოტივით.

# რას იწონის ალმასი?

**სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში 507,55-კარატიანი (100 გრამზე მეტი) თეთრი ალმასი იპოვეს. აღმოჩენის თავისებურება ისაა, რომ ქვა ხარისხის მიხედვით პირველ კატეგორიას განეკუთვნება, არანაირი დეფექტი და ზედმეტი დანამატი არ აღენიშნება და, პრაქტიკულად, უნაკლოდ გამჭვირვალეა. ამგვარი ალმასი ბუნებაში უკიდურესად იშვიათი მოვლენაა და მხოლოდ საიუველირო ნაკეთობების დასამზადებლად გამოიყენება.**



ქვა სულ რამდენიმე დღის წინათ იპოვეს და სპეციალისტებს გადასცეს აუცილებელი შემოწმებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ საბოლოო დასკვნები ჯერ კიდევ არ გაკეთებულა, ექსპერტები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ქვის უნიკალობა არანაირ ეჭვს არ იწვევს.

ასეა თუ ისე, 507,55-კარატიანი ალმასი უკვე მოხვდა მსოფლიოში დღემდე ნაპოვნი ყველაზე ხარისხიანი დაუმუშავებელი ქვების ოცეულში.

ჯერ კიდევ უსახელო ზემოაღნიშნულ ალმასთან ერთად იპოვეს მასთან შედარებით მომცრო ზომის კიდევ სამი (168-კარატიანი, 58,5-კარატიანი და 53,3-კარატიანი) ქვაც. სხვადასხვა დროს კულინანის საბადოზე ნაპოვნია 755-კარატიანი და 599-კარატიანი ალმასები. იქვე იყო ნაპოვნი ახლახან ჟენევაში გაყიდული უიშვიათესი ცისფერი ბრილიანტიც.



# ახალ მიშას გილოცავთ, ანუ პირველად საქართველოში

**რეიტინგულ სიტყვებზე თუ გსმენიათ რამე? ლიდერ სიტყვებზე, სხვებზე უხშირესად რომ მეორდება საზოგადოების ვერბალურ ურთიერთობაში? სიტყვაზეა ლაპარაკი, ზანზალაკიანი ჩაჩით თავშებურვილ მასხარასავით რომ დასდევს თავის ხელმწიფეს — მის უდიდებულესობა ქართულ ენას.**
**ხან იუმორის მუხტითაა დატენილი;**
**ხან გონებაშეზღუდულობის თვალსაჩინოებაა;**
**ხან ისე ცვივა, როგორც კედელს შეყრილი ცერცვის მარცვლები, რომელთაც გაღვივება არ უწერია — ამაოდ არის თქმული და დახარჯული.**




ყველა მათგანს თავისი დრო და ჟამი აქვს, მოქმედების თავისი არეალი.

სიტყვა **„მაგრამ“** ფეხბურთთან იყო დაკავშირებული, უფრო ზუსტად, განუმეორებელ ეროსი მანჯგალაძესთან, რომელიც ისე ხშირად იმეორებდა „მაგრამს“, რომ ერთმა გაოცებულმა რუსმა გულშემატკივარმა იკითხა: **„Всех ваших футболистов пофамильно знаю, но кто такой этот Маграм, понятия не имею!“**

გაცუდებული იმედივით იყო „მაგრამ“, გულდაწყვეტასავით, ხელჩაქნევასავით ხშირად: „დარტყმა, კიდევ დარტყმა, მაგრამ...“

**სამაგიეროდ სავსე და მრავლისდამტევია 2003 წლიდან დამკვიდრებული... არა, „პირველად საქართველოში“ — არა! სიტყვა-ლიდერი, სიტყვა-დირექტივა, „ოსანას“ ქართული ვარიანტი — „მაგარია“. „ავე მარია!“ და „მიშა მაგარია!“ — დაახლოებით ასეა, რა.**

აი, მესამე კი...

ოო, მესამის ზოდიაქოს ნიშანია ცერცვი, რადგან სიტყვა იგი არის **„წადი!“**, წადი ძახილის ნიშნით, რომელიც, როგორც ვთქვით, უაზროდ ცვივა, კედელს შეყრილი, — ჯერ არავის უხარებია პიტალოზე მინდვრის ეს პარკოსანი კულტურა. ჩვენ ვერ ვიქნებით გამონაკლისი.

**არ მიდის და — ბაინჩ და ბავონც.**

**არ მიდის იმიტომ, რომ მიდის!**

სოფისტიკა? არა, ლავუაზიეს ახლად აღმოჩენილი კანონია: მიდის და უკან ბრუნდება — ისევ საქართველოში, ისევ თბილისში, ისევ პრეზიდენტად.

მიდი! მოვდივარ!

ეგეთ გაუგებრობაში იმიტომაა, ვართან, რომ ვერ დაუდგენია სასტარტო მოედანი, საიდანაც უნდა აიწიოს და — ფრიიი! ასაფრენი ზოლი იგივე დასაფრენია, რომელიც რბილი კრიტიკის ფიანდაზით მოუფენია კონსტრუქციულ ოპოზიციას, პარლამენტარ კოლეგებთან ერთად თეთრი ნაბადივით მოთელილი.

მოვიდა-წავიდას გვეპამპულება და ჩვენც მის თამაშს ვთამაშობთ. ჩიკორივით ვუტყლაშუნებთ მწარე-მწარე სიტყვების მათრახებს, ის კი ბზრიალს უმატებს საათის ისრის მიმართულებით და არ ვარდება, რადგან ასეთია თავისი ღერძის გარშემო მბრუნავი ფიზიკური სხეულის თვისება, იგივე ეგოცენტრული ბუნების ადამიანისა.

**დედამიწაც ხომ ტრიალებს, ვართან?**

**უცხოეთში მისი მივლინების ყველა პუნქტში ერთი და იგივე ნიშანია დაკიდებული. ამ ბოლო დროს ნიუ იორკშიც დაუდგამთ, გაეროში, წერეთლის სკულპტურის — ლულაგადაგრეხილი კოლტის წინ, ას ოთხმოცი გრადუსით შემობრუნებული თეთრი ისარი ცისფერ ფონზე — აქედანა და უკანო.**

**ესეც მიჰყვა და ჩამოვიდა.**

პირდაპირ მცხეთის ძველ უბანში ჩამოვიდა, სადაც „პირველად საქართველოში“ მიმდინარეობს ამორტიზებული შენობების რესტავრაცია-რეაბილიტაცია.

ხომ მღეროდა ტენორების დიდებული ტრიო რომის ნანგრევების ფონზე? — მღეროდა.

**ჩვენ კი სოლო გამოსვლა მოგვასმენინეს საქმიანი მუშების უსაგნო ფუსფუსის უკანა პლანით, რომლებიც ისეთ ახალ-უხლებში იყვნენ გამოწყობილნი, როგორც ნატაშა როსტოვა თავის პირველ მეჯლისზე.**

დაუბრუნდა თბილისს დაკარგული შვილი, იეთიმ. ეს დღეებია ეკრანიდან არ ჩამოდის და ბრაზობს, როგორც იუპიტერი, რომელიც დამნაშავეა, რახან ცხარობს.

ჰაიდი ტალიავინის კომისიის დასკვნის გამოა ასეთ დღეში და ასე აღტყინებული. ეგა და კიდევ ერთი წვერიანი მინისტრი რომ ჰყავს — იაკობაშვილი. სხვები მაინც და მაინც არ აქტიურობენ, ან ისე, სასხვათაშორისოდ აგინებენ რუსეთს.

**კაცმა რომ თქვას, საგამოძიებო კომისიას ისეთი არაფერი უთქვამს, რაც არ ვიცოდით; ჩვენი ხელისუფლების რეაქციაც ისეთია, როგორსაც ველოდით: ამათი მტკიცებით, ომი საქართველოს მხარემ რომ დაიწყო, პატრიოტიზმის უმაღლესი გამოვლენა და მხედართმთავრული ნიჭის გაკისკასება იყო.**

ამას ჩამტვრეულ საფეხურზე გადაბიჯების პრინციპით გვიმტკიცებენ — მომდევნოზე რომ მოიმაგრებს კაცი ფეხს და იქიდან დაიწყებს იმაზე ლაპარაკს — ეს კიბე ზევით ასასვლელია, თუ ქვევით ჩასასვლელი.

**თითქოს არაფერს ნიშნავს, ვინ ისროლა პირველად. არადა, „ჰიუმან რაის ვოჩის“ დასკვნით, პირებმა, რომლებმაც დაიწყეს ომი, სისხლის სამართლის კანონმდებლობით უნდა აგონ პასუხი.**

**აგვისტოს ომის დროს ხომ დაგვიდგა ვაჟკაცურად გვერდში საფრანგეთის პრეზიდენტი სარკოზი? დაგვიდგა.**

მაშასადამე, არ გვაქვს საფუძველი, ფრანგებს ტენდენციურობა დავაბრალოთ. ფრანგული Le Figaro უკრიტიკოდ იღებს ტალიავინის კომისიის დასკვნას და წერს: **„კომისიის აზრით, იმ ღამით ცხინვალის მიმართულებით მძიმე არტილერიის ცეცხლის გახსნით, ომი საქართველომ დაიწყო“.**

## KEMO-კატურა



ფრანგული Liberation კი აღნიშნავს, რომ **ომის გაჩაღებაში რუსეთისთვის მისი წილი პასუხისმგელობის დაკისრების მიუხედავად, მოხსენება ცხადყოფს, რომ სამხრეთ ოსეთზე შეტევის ინიციატორი საქართველო იყო.**

**ფრანს პრესი** მწარე-მწარეებს არ ერიდება: **ევროპელი ლიდერები საქართველოსთან ურთიერთობის გაღრმავებას ესწრაფიან, მაგრამ უფრთხიან შფოთიან სააკაშვილს.**

ხოლო ევროპის საქმეთა საფრანგეთის სახელმწიფო მდივანმა **პიერ ლელუშმა** განაცხადა: **„პასუხისმგებლობის თანაბრად განაწილების მიუხედავად, მოხსენება მიხეილ სააკაშვილს უფრო ამხელს, ვიდრე ვლადიმერ პუტინს. ეს ყველაფერი სააკაშვილმა დაიწყო, რადგან ამერიკელების დახმარების იმედი ჰქონდა (!), მაგრამ არაფერი გამოუვიდა“.**

ამის საპასუხოდ თბილისიდან ისმის: ვინც აგრესორს არ ესროლა, აღიგავა კიდეცო პირისაგან მიწისა და მაგალითად ავღანეთს ასახელებენ.

ვაი, ჩემო თავო უბედურო! ავღანეთში არ უსვრიათ ავღანელებს?! უკაცრავად, მაგრამ ამინის გადასაგდებად ჩატარებული ოპერაციის დროს ვინ გაუწია სერიოზული შეიარაღებული წინააღმდეგობა საბჭოთა სპეცდაჯგუფებას?!

არ ისროდნენ მთელი კამპანიის დროს?

უკაცრავად, მაგრამ, ამერიკელებმა თალიბებს რომ შეუტიეს, არც მაშინ უსვრიათ?!

**ავღანეთის მაგალითის დამოწმებით დიდი იაღლიში მოუვიდა მცხეთაში ქადაგად დავარდნილ ორატორს.**

**მომხდურს თუ არ ესროლე, გაქრები! ხომ იყო ეს მისი უმთავრესი არგუმენტი?**

**იყო.**

ვინ იყო ავღანეთის მეორე სამხედრო კამპანიის დროს მომხდური?

ამერიკის შეერთებული შტატები.

ესე იგი, ამისი ლოგიკით, ავღანელებს უნდა ესროლათ ამერიკელებისთვის, თორემ გაქრებოდნენ?

სერიოზულად ბრძანეთ ეს, ბატონო პრეზიდენტო, თუ ტესტი ჩაგვიტარეთ პოლიტსიმწიფის ატესტატის მისაღებად?

აი, ერაყში თავიდან რომ არ ესროლეს, იმიტომაც ესვრიან და თავისიანებთან ერთად აფეთქებენ დღეს და ყოველდღიურად.

კიდევ ერთი ალოგიკურობა და — ბასტა!

რუსეთმა ომი ჯერ კიდევ მაშინ გამოგვიცხადა, როცა რუსული პასპორტების დარიგება დაიწყო აფხაზეთსა და ცხინვალშიო.

ამიტომ უნდა გვესროლა?!

მაგრამ გვეყო ჭკუა და არ დაგვიწყია ომი, ე.ი. არსებობდა მიზეზი და არ დამდგარა ის შედეგი, რომელმაც აგვისტოში ომის უბედურება დაგვატეხა თავს.

საინტერესოა, შევარდნაძე სააკაშვილის ლოგიკურ ვექტორს რომ გაჰყოლოდა, წამოგებოდა შემოგდებულ პროვოკაციას და ცხინვალი და სოხუმი დაებომბა, რას იტყოდა დღეს ბატონი მიხეილი?

რაღა ბევრი გავაგრძელოთ, მორიგი გამარჯვება მოვიპოვეთ! და სადღაც, ანდრომედას ნისლოვანებაში ხელახლა იბადება რეიტინგული სიტყვა **„წადი!“** ძახილის ნიშნით...

**ორივე მხარე დამნაშავეაო, მეტ-ნაკლებად, ცხადია, ასკვნის ევროკავშირის კომისია. მაგრამ არავინ, არც ერთი მხარე არ აპირებს თავზე ნაცარი დაიყაროს და პატიება სთხოვოს ქართველ ხალხს პოლიტიკური მჯობნის-მჯობნობანას თამაშით ადამიანების გაუბედურებისთვის.**

არც იმის გარანტიას იძლევა ვინმე, რომ მსგავს იდიოტურ ქმედებას აღარ დაუშვებს. მიხეილს მეხად დაეცა ტალიავინის კომისიის დასკვნა, დაჰკრა თავში და, როგორც ასეთ დროს ხდება ხოლმე, ბიძგი მისცა მის უამრავ ახალ თვისებას — გმირობას, სიმამაცეს, შეუპოვრობას, შეტევას და გამარჯვებას — საზოგადოებრივ ურთიერთობებში სარეალიზაციოდ. ფერიცვალება პრეზიდენტისა ღვინობისთვეში — პირველად საქართველოში და — გიხაროდენ!

* * *

**ამ დილით თბილისელმა მეეზოვემ, ქალატონმა ზოზემ, რომელიც ჩვენგან დანაგვიანებულ რუსთაველის პროსპექტს ხვეტავს და ასუფთავებს, იმედის სიმაღლიდან მითხრა: „ამ ზამთარსაც გავუძლებთ მტერების ჯინაზე!“**

**გავუძლებთ, ზოზე, ძველები ვართ და იმიტომ!**

**ნაადრევად ხომ არ ჩამოწერეს სიტყვა „ძველები“ რეიტინგული სიტყვების რიგიდან?**

**ლაშა გიორგიძე**

საქართველო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
http://www.geworld.net

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
მთავარი რედაქტორის მოადგილეები:
არმაზ სანებლიძე, ბონდო მძინარაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ლევან ზანგურაშვილი
ვებრედაქტორი გოჩა ხავთასი
რეალიზაციის მენეჯერი დავით ბუაძე, ოფისმენეჯერი თათია ვაშაკიძე,
რეკლამის მენეჯერი ეთერ კასრელიშვილი (899 110 200)
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, ამბროლაურის ქ. № 166/5
ტელ.: 38-41-97; e-mail: info@geworld.net